ქვირის პალიტრა
№28 (42
ზაფხული, აზარტი
და ქართული
უიკ-ენდი
კალაძის სიდიდრის
გამხელილი საიდუმლო
„ჩემს შვილს ხმაზე
შევატყვე, რომ
ბედნიერი იყო“...
სულის მკურნალები
ია ფარულავამ მუშაობა
ფსიქიატრიულ კლინიკაში დაიწყო
კოლორიტები
ძველი თბილისელების
პირველი ცნობილი
ფოტოგრაფი
ISSN 1987 - 5029
როგორ გავირუჯოთ სწორად

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

ქალის პალიტრა
ეგა
№28 (422)
10 - 16 ივლისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

გურამ რჩეულიშვილის გედისწერა

„მაგალითად, გურამ რჩეულიშვილი ძალზე მოუსვენარი იყო. გამასსენდა, მეთერთმეტე კლასს ვამთავრებდით და გადავწყვიტეთ, თავები გადაგვეპარსა. დილით შინიდან გამოსულებმა, ჯერ დალაქს შევეარეთ, სამართებლით თავები გადავიპარსეთ და ასე გამოვცსადდით სკოლაში“.

71

ფეხმძიმე ცოლი და პატიმროგამისჯილი ქმარი



„ეგის“ №27-ში დაიბეჭდა მომავალი დედის მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ აგვისტოში ეოგონას ელოდება, მაგრამ არაფერი ახარებს, რადგან მისი მეულლე დაიჭირეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეოგონა იმასაც წუხდა: „ამ ამბის გამო მეგობრებიც დავკარგე. მათ არ სჯერათ, რომ სულ ცყუილად დაიჭირეს“...

34

სიფიცხე

ალეკსანდრა ლეონის ოჯახიდან სკოლას, მაგრამ ახლა იმ ოჯახიდან, რომელიც დღეევანდელ ოჯახს ანმაზენ.

სიტუაცია

39-70

■ მინიატიურები
„ბაიკერები“ შინაგან საქმეთა სამინისტროში ანუ „რეფორმის ანტირეფორმა-2008“ 5
■ რეპორტაჟი
ზაფხული, აზარტი და თბილისური უიკ-ენდი 6
■ მასმედია
„მწიფდება პროტესტის სხვადასხვა ფორმა“ 9
■ ჟურნალისტის როლში
სწავლით დაღლილი მოდელი და სიკვდილის წინ გასამხელი საიდუმლო.... 12
■ ფაქტი და კომენტარი
„ჩვენს ქვეყანაში ომია დაწყებული...“ 14
■ კონფლიქტის ზონა
„რაც მეტი რუსული ფული შემოდის, მით უფრო ფუჭდება აქაურობა“ 15
■ პირადი ცხოვრება
გამხელილი „საიდუმლო“ ანუ „ჩვენ სულ თაფლობის თვე გვექნება“ 17
■ საქმე
ქველმოქმედება ფეხბურთისა და ახალგაზრდობის სასიკეთოდ 19
■ ერუდიტი
პაატა დავითაიას სუსტი წერტილი 20
■ კონკურსი
„ამჯერად ისეთი ნაკადია, რომ სახეც კარგი აქვთ და ტანიც“ 22
■ პროფესია
„...ფოტოაპარატით ხელში დავიბადე“ 24
■ აღსარება
შეურიგებელი ანა (გაგრაძელება) 26
■ ანტიდეპრესანტი 28
■ ზღვარზე
სულის მკურნალები ანუ ცნობილი მსახიობი ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს ეხმარება 28



მგლების დანახვაზე მეკობრენი უკან გაბრუნდნენ. მთავარი საკბილო ფრენდეკთან ეგულებოდათ და რისთვის უნდა ელვარათ სისხლი.

ნადირები გააფთრებული ღმუილით შემოგვესივნენ. ხმალი მოვიშველიე, მაგრამ ჩემმა ასისთავმა ვერ მოასწრო მგლების მოგერიება. ოთხი თუ ხუთი მგელი ერთად ეცა ცხენი მუდრიანად დასცა მიწაზე და ელვის სისწრაფით დაულეიქა. უკან აღარც მიმიხედავს. ვიცოდი, რომ ვერაფრით დავეხმარებოდი. ცხენს დეზი ვკარი და გავაშენე. მგლები უკან მომყვნენ. ცხენმა ივარგა. თორემ ვერაფრით დავაღწევდი თავს გაფთრებულ ხროვას.

82

■ ნამდვილი ამბავი
გივის დიეტა... 31
■ თინეიჯერული პონტები
✓„აუღებელი ციხესიმაგრეები“ და „ქალთებდახეული“ ბიჭები 32
✓ფეხმძიმე ცოლი და პატიმრობამისჯილი ქმარი 34
■ ჯანმრთელობა
✓შევინარჩუნოთ ცინცხალი გონება 36
✓როგორ გავირუჯოთ სწორად?! 38
■ ქურნალი ქურნალში 39-70
✓ცხოვრება 39
✓გზავნილები 55
■ არაჩვეულებრივი გამოფენა
„ტიკჭორა“, „ღომი“ და...
გურამ რჩეულიშვილის ბედისწერა 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓მამაკაცთა შიშის ცხელი ათეული 80
✓სტრესებთან ბრძოლის
კომფორტული მეთოდები 81
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა
ის ჯვარი (გაგრძელება) 82
■ ქართველი მილიონერები
უმდიდრესი ემიგრანტები 86
■ ვარსკვლავები
✓ჯენიფერ ენისტონი კვლავ შეყვარებულია 88
✓სრულმეტრაჟიანი „მეგობრები“ 89
■ წმინდანები
აურაცხელი იყო ღვთივსულიერი საქმენი
გიორგი მთაწმინდელისა 90
■ კრიმინალი
საბედისწერო გარჩევა და სისხლის
ღვრით დასრულებული ოჯახური ბიზნესი 92
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (დასასრული) 96
■ ლაურეატი
„სიტყვებისგან ვთლი „ქანდაკებას“ 98
■ ფესტივალი
ქობულეთი 2008 — სცენაზე მებრძოლი ბავშვები,
ბუზღუნა ქიური და სხვადასხვა დიალექტზე
წარმოთქმული სადღეგრძელოები 99
■ სექტები
თავისუფლების ხაფანგი 101
■ ავტო 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ პროგნოზი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ქალიან ლამაზი სხეულები აქვთ...“

„რამდენიმე მართლა ძალიან ლამაზია. ამჯერად ისეთი ნაკადია, რომ სახეც კარგი აქვთ და ტანიც. ძალიან ლამაზი სხეულები აქვთ. სულ ვფიქრობ, ნეტავ, რომელი გაიმარჯვებს-მეთქი?“

22

აურაცხელი იყო ღვთივსულიერი საქმენი გიორგი მთაწმინდელისა

იაკობი ჭაბუკობიდანვე მსახურობდა საქართველოს მეფის, გიორგი პირველის კარზე. გიორგი, მესამე შვილი იყო. მშობლებს ჯერ კიდევ მის შობამდე დაუდვიათ აღთქმა ღვთის წინაშე, თუ კვლავ ძე მოგვეცემა (პირველი, ასული შეეძინათ — თეკლა, მეორე კი ვაჟი — თევდორე), უფალს შევწირავთო...

90

შევინარჩუნოთ ცინცხალი გონება

ნოოტროპული ჯგუფის პრეპარატები აუმჯობესებენ ნერვული უჯრედების ენერგეტიკას და ამგვარად დადებითად მოქმედებენ მახსოვრობაზე. მათი მიღების შემდეგ ხდება ჟანგბადისა და გლუკოზის ეკონომიური ხარჯვა.

36

მორიელის ნიშანი

— იცი, რისი მეშინია? — ჩუმად თქვა გოგონამ. ჩემგან ზედმეტი ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში, არ გაბრაზდე და გულმოსული არ გამეპარო.

— ტყუილად გეშინია.

— მართლა? ესე იგი...

— სწორად ვერ გამიგე. მე გაპარვა არ მჩვევია. როცა მივდივარ, ვაფრთხილებ ხოლმე.

— და სად არის იმის გარანტია, რომ ასე იქნება?

— არსად.

— მაშინ... მაშინ არ გავთამამდები.

74

„ბაიკერკლუბი" შინაგან საქმეთა სამინისტროში

ანუ „რეფორმის ანტირეფორმა-2008"

ჩვენი რეფორმატორი ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს შორის ერთადერთი, რაც არ მომწონს, ჰოლანდიური ავტობუსებია, ჰოლანდიური ჯიშისავე ძროხებივით რომ დაიზლაზნებიან ქალაქის ვიწრო ქუჩებში და მწვანე გაზონებისკენაც გაურბით თვალი. კიდევ კარგი, ფუნას არ ტოვებენ ასფალტზე, თორემ ძროხობამდე არაფერი უკლიათ. შედეგად გაუვალი საცობები მივიღეთ და სამსახურსა თუ სკოლა-ინსტიტუტში დაგვიანებას ვინ დაეძებს, სახანძრო და „სასწრაფო" და სამედიცინო სამსახურის ეკიპაჟი ვერ მისულა დროულად გამოძახების ადგილამდე.

ლამის გადმოვიდეს ავადმყოფი საცობში გაკვეხებული მანქანიდან და ფეხით განაგრძოს გზა საავადმყოფომდე. ან კიდევ, ცეცხლმოდებულ როიალს ან კარადას თუ მიიტან სახანძროში, თორემ სანამ სახანძრო მოვა, წვიმა მოვა და ჩაგიქრობს...

ამას ჩემზე კარგად თვითონ მთავრობა ხედავს — „ზემოდან" ხომ უფრო კარგად ჩანს ყველაფერი! ამიტომ, ჯერ „03"-ის შვილობილი „033" შექმნეს და მცირეგაბარიტიანი „ჰიუნდაის" მარკის ავტომობილებიც იყიდეს, ან ნისიად გამოიყვანეს. ამ მანქანით შედარებით იოლია სხვა მანქანებს შორის გაძრომა და შანსიც, შესაბამისად, მეტია — ბინაში მისვლისას ცოცხალს მიუსწრო და არა უკვე „ზალაში" ყვავილებით გაწყობილს...

ერთი სიტყვით, „სასწრაფოს" რეფორმას შედეგი აშკარად მოჰყვა, მაგრამ ჯერ სად ხართ, შედეგი პატრულის მუშაობაში ნახეთ სულ მალე. იგივე პრობლემა საპატრულო პოლიციის „ფოლკსვაგენებსაც" აწუხებდა: ყველას გაგიგონიათ სირენის კივილი და პატრულის „გამატარე", მაგრამ როგორ უნდა გაგეტარებინა, როცა ვერც წინ მიდიოდი და ვერც უკან, კედელზე ატუზვა კიდევ, არ შეუძლია მანქანას, გამოსავალი მაინც გამოჩნდა და შს სამინისტრომ მოპედები — ე.წ. „სკუტერები" შეიძინა, რომლებიც საცობშიც იოლად გაძვრება, ტროტუარზეც გაივლის, ხიდის მოაჯირზეც და თუ საჭირო იქნება, სადარბაზოსა და ლიფტშიც შეჰყვება დამნაშავეს. ამას მოფიქრება არ უნდა? ჩვენებმა მოიფიქრეს-მეთქი, ვერ დავაბრალებ, სხვა ქვეყნებში კარგა ხანია ასეა, მაგრამ ამას გადმოღება არ უნდა?!

ერთი სიტყვით, საპატრულო პოლიციაში ოფიციალური „ბაიკერკლუბის" პრეზენტაცია ზარ-ზეიმით გაიმართა და თვითონ მინისტრმაც მოსინჯა ბაიკერობა. აწი ნახეთ თქვენ ტატუირებული სხეულით, ბენდენით, სათვალით და რკინა-ჯაჭვეულით გადალამაზებული პოლიციელები, ყალყზე რომ დააყენებენ ბაიკებს და ყველა გასაქცევ გზას მოგიჭრიან. მოკლედ, დამნაშავე წამლად რომ დაგჭირდეს, მალე ვეღარ იპოვი.

აი, რეფორმაც ამას ჰქვია! ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე დავინახე უკვე დამდგარი სკუტერი, ირგვლივ ბავშვები შემოხვეოდნენ და სკაფანდრიან პოლიციელს ეკითხებოდნენ, უცხოპლანეტელო ბიძია, ერთი „კრუგი" რა ღირსო?!. კარგია, ბავშვებს რომ უყვარხარ! ნეტავ აქამდე მოგვეფიქრებინა! აბა, „პიცა გამოძახებით" პოლიციაზე მალე რომ მოვა, ქვეყანაა ეს?! ახლა ყველაფერი წესრიგშია და ნატოშიც მალე შევალთ და ევროკავშირშიც, თუ ვერ შევალთ, სკუტერებით მაინც შევძვრებით სათითაოდ...

საბოლოო შედეგს და პრობლემის სამუდამოდ მოგვარებას ეს მაინც ვერ მოგვიტანს, რადგან ასობით მანქანა ემატება ყოველდღიურად თბილისის ქუჩებს და მალე ვერც სკუტერით გაძვრება პოლიციელი. ამიტომ კიდევ უფრო უნდა შევამციროთ საპატრულო ტრანსპორტის გაბარიტები და ველოსიპედები შემოვიღოთ. თუ ვინმემ ტარება არ იცის, უკან დამატებით პატარა ბორბლებსაც მივუმაგრებთ. ველოპატრული ბევრად მოქნილი ვარიანტია, მაგრამ ჯერ შევინახოთ.

ისე, არც ცხენოსანი პოლიციაა ურიგო, მაგრამ ჩვენში რატომღაც ვერ პოვა განვითარება. ჩვენში ცხენი ძეხვის სახით უფრო უყვარს მშიერ ხალხს. თანაც, კარგი და სწრაფი ცხენი ძვირი ღირს და ჯაგლაგი და სამანიშვილის ცხენი ვის რად უნდა?! მოკლედ, ჯერ მოპედებით გავიხაროთ, სანამ დამნაშავეებს, ყაჩაღებს და ბანდიტებს არ გაუგიათ, რომ სულ 1.200 ლარი ღირს ეგეთი მოპედი და რა თქმა უნდა, განვადებაც „მოსულა"... მერე კი მართლა სხვა ხერხები უნდა მოვძებნოთ კრიმინალურ სამყაროსთან საბრძოლველად. მაგალითად, მფრინავი პოლიცია, დელტაპლანით რომ დაეშვება მთაწმინდიდან და ზემოდან პატრულირებს, იმას ხომ ვერავინ გამოაპარებს რამეს და თუ იხულიგნებს ან კანონს დაარღვევს, კოლხური ქორივით დააცხრება ლეიტენანტი კაპანაძე და გააუვნებელყოფს. ამასობაში ცოტა ეკონომიკურადაც მოვძლიერდებით და ამაზონის წყალუხვი ჯუნგლებიდან ანაკონდებს შევიძენთ, თავზე „მიგალკას" დავუყენებთ და საცობებსა თუ მანქანების ქვეშ გაძრომ-გამოძრომა მერე ნახეთ თქვენ. ა, არ იქნება კარგი, საპატრულო გველები რომ ისრიალებენ ქალაქის ქუჩებში?! ბოროტმოქმედებსაც მოვგუდავთ, ვირთხებისგან და მაწანწალა ძაღლებისგანაც გავწმენდთ თბილისს და ამდენ ანაკონდას რომ ვიყიდით ლათინურ ამერიკაში, სერიალებსაც უფრო იაფად დავითრევთ. მეტი რა გვინდა ქართველებს — გარეთ წესრიგი და სახლში სერიალი!..

P.S. პოლიციის ოფიცერი:

— რიგითო კაპანაძე, კარგი მუშაობისთვის დაგაწინაურეთ და სამუშაოდ გადაგიყვანეთ მოპედზე, გილოცავთ!

— ბატონო მაიორო, მე არ ვიმსახურებ ასეთ დიდ პატივს — მოპედით სიარულს, მტვერს, სიცხესა თუ ყინვას. გთხოვთ, დამსაჯოთ და ისევ „ფოლკსვაგენ პასატში" დამაბრუნოთ; დაე, ბოლომდე შევიგნო, რომ პოლიციელმა კლიმატკონტროლისა და ელექტროშუშების აუტანელ პირობებშიც კარგად უნდა იმუშაოს...

პროვოკატორი

ზაფხული, აზარტი და თბილისური უიკ-ენდი

რამდენიმე წლის წინ ფასანაურში, ე.წ. ჰოშპიტლისკენ (მოგეხსენებათ, ასე ჰქვია დასახლებას ფასანაურში) გადასასვლელი ხიდის ქვეშ, გასაბერი ნავის შემხედვარე ადგილობრივებსა და დამსვენებლებს გაოცებისგან ენა უვარდებოდათ; უკვე არაგვზე დაცურებული ნავის ნიჩბებისგან ამღვრეულ წყალში კი მეთევზეებს თევზები ემალებოდნენ. თავად რაფტერებისთვის, უფრო ზუსტად, ჯომარდელებისთვის კი ემოცია იმდენად დაუვიწყარია, რომ ერთმა მეორე მოიყვანა, მეორემ — მესამე და... საკმარისია, თბილისში მზემ ოდნავ დააცხუნოს და შაბათ-კვირას, მამუკა ბურდულისა და მიშა მინდიაშვილის ჯომარდ-ჯგუფებში ტევა აღარაა. საჯომარდოდ მიდიან მეგობრები, თანამშრომლები ან უბრალოდ, უცნობები, რომლებიც საათნახევრიანი დაშვებისა და განცდილის შემდეგ, ახლობელი ადამიანები ხდებიან...

თამარ ჯიმკარიანი

შაბათი — ჯოუმარდოს!

5 ივლისს, საჯომარდოდ წასვლის სურვილი ქართული მედიის 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა გამოთქვა, მაგრამ შეკრების ადგილას მხოლოდ რადიოების: „ფორტუნას“, „ფორტუნა +“-ის, „ავტორადიოსა“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები გამოჩნდნენ. ექსტრემალური შეგრძნების მაძიებელთა 15-კაციანი ჯგუფის მოგზაურობა ექსტრემალურად დაიწყო: თბილისის გასასვლელთან საბურავი დაგვეშვა, მაგრამ გამოცდილმა მძღოლმა ეს პრობლემა მალევე მოაგვარა და გზა განაგრძო... ფინიშის ადგილას, სადაც უკვე ნაჯომარდევი მოპიკნიკეები დაგვხვდნენ, ჩვენს მიკროავტობუსს ნავებით დატვირთული მისაბმელი ჩააბეს და გზა სტარტისკენ განვაგრძეთ. ფშავის არაგვზე, ვიდრე ჩარგლის გზას დაადგები, ხიდია. ჰოდა, სწორედ ამ ხიდთან შევჩერდით. ჯოუმარდოს, — ღიმილით ვესალმები (ასე ესალმებიან რაფტერები ერთმანეთს) დიდი ხნის ნაცნობებსა და ინსტრუქტორებს...

ბიჭებმა ნავები ნაპირთან ჩაიტანეს, სამაშველო ჟილეტი, ჩაფხუტი მოირგეს, ნიჩბები მოიმარჯვეს და ჯგუფური ფოტო გადაიღეს. შემდეგ მათ მოკლე ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და თავგადასავლიც დაიწყო... ჯომარდელები პირველსავე მოსახვევში დიდმა ტალღებმა დაასველა (თითოეულ ნავში 6 ადამიანი იჯდა), რასაც ხალისიანი შეძახილები მოჰყვა და ექსტრემს დანატრებულები ისე გათამამდნენ, რომ ნავს ტალღებზე ტრიალი დააწყებინეს. მდინარეზე „გადმოკიდებული“ ხის ტოტები მათ ნავებს საშიშროებას უქმნიდა, მაგრამ მედიის წარმომადგენლები არც ამ წინააღმდეგობას შეუშინდნენ და ფინიშის ადგილას დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ მივიდნენ.

— კიდევ ერთხელ გამოვცადე თავი და კმაყოფილი ვარ. თითქოს, მთელი გზა ერთი დიდი ამოსუნთქვაა. ბევრი ადრენალინი და ლამაზი პეიზაჟი, სხვა რა გინდა?!. ამ ნავში ერთხელ ჩაჯდომაც კი საკმარისია იმისათვის, რომ რაფტინგი შეგიყვარდეს. — მეუბნება ნავიდან გადმოსული სოსო კაციტაძე.

— ჰო, ძალიან მაგარი იყო! — ემოციას ვერც ნათია ხუროშვილი ფარავს.

— შემდეგ უიკ-ენდზეც წამოვიდეთ? — უკვე გეგმები დააწყო რომელიღაც ჟურნალისტმა...

ჯომარდელთა ნაწილი მზეს მიეფიცხა, ნაწილი კი საპიკნიკე სუფრის გაშლას შეუდგა. მალე მზე ჩავიდა და ცივმა ნიავმა დაუბერა. რადგანაც კოცონის დანთების სურვილი არავის გამოუთქვამს, ყველანი არაყს მივეძალეთ.

ამასობაში, თბილისში დაბრუნების დროც მოვიდა და ფშავის არაგვს დავემშვიდობეთ. სხვების არ ვიცი, მაგრამ მომავალ კვირას იქ აუცილებლად დავბრუნდები. სანამ წყალი დაშრება, მინდა, სპორტის ამ სახეობაში ცოტა წავივარჯიშო, შემდეგ კი ალბათ, რაჭაში გადავინაცვლებ.

მდინარეზე „გადმოკიდებული“ ხის ტოტები მათ ნავებს საშიშროებას უქმნიდა

კვირა — თაკარა მზეზე აორთქლებული ადრენალინი

მაოს, იგივე მაია გოშაძის მანქანა ფინიშს უახლოვდება. ოფროუდელი მანდილოსნის შემხედვარე გულშემატკივარი მამაკაცი ალალად აღიარებს:

— ამის შემხედვარე აღარასდროს ვიტყვი, რომ ქალი საჭესთან არ უნდა მიუშვა...

— ქალსაც გააჩნია, — პასუხობს გვერდით მდგომი, რომელსაც როგორც ჩანს, არ უნდა დაიჯეროს, რომ ქალმა და ისიც „ნივით“, იაპონურ ჯიპებში მჯდომ მამაკაცებს გადაუსწრო.

— აი, როცა მივდივარ, „ტორმუზს“ ფეხს ველარ ვაჭერ... იმდენად გითრევს, რომ... — ჯერ კიდევ ემოციებშია მაო. ის ერთადერთი ქალბატონია, ვინც მეორე შეჯიბრებაა, რაც თავისი მოხატული, თეთრი „ნივით“ გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტია. თუმცა, ახლა მაოს მანქანას საბურავი აქვს მოხსნილი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები მის შეკეთებას ცდილობენ.

— ზედმეტად ავხტი და ნაზად დავეშვი... მანქანას რაღაც ნაწილი მოსძვრა, მაგრამ რა, არ ვიცი. ბიჭებმა მითხრეს, — მთავარია, ნაწილი ვიშოვოთ და 10 წუთში შევაკეთებთო. მინდა, კიდევ გამოვიდე და დრო გავაუმჯობესო. კარგი დრო ვაჩვენე, მაგრამ საჯარიმო ქულების გამო ჩამოვრჩი, — მაო ცდილობს, გული არ გაიტეხ-

ორგანიზაგორების მიერ დაგებული ყველაზე დიდი მახე

ოს და არც შვილზე გაბრაზდეს, რომელიც ტრასის ერთ-ერთ პერიმეტრზე მსაჯის მოვალეობას ასრულებდა და სხვათა შორის, ის ყველაზე მკაცრი იყო...

მომავალი ასპარეზობის ადგილის შერჩევა ორგანიზატორებმა კარგა ხნის წინ დაიწყეს. ამისთვის გორაკებიანი, ხრიოკი ადგილი შეარჩიეს და ტრასაც სახელდახელოდ დანიშნეს. მსაჯების მიერ მარკირებული ტერიტორია, ფერად-ფერადი ბუშტებით გაფორმებული სტარტი და ფინიში შორიდანვე კარგად ჩანდა. ასევე ადვილად შეამჩნევდით გამარჯვებულების მოლოდინში ეულად მდგარ კვარცხლბეკს...

...ოფროუდ-შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველას, ვინც საორგანიზაციო კომიტეტის ძირითადი მოთხოვნები დააკმაყოფილა ანუ ჰქონდა B კატეგორიის მართვის მოწმობა, ჰყავდა 4X4 ტიპის ავტომობილი, გადაიხადა დადგენილი თანხა (კლუბის წევრების გარდა). სტარტის დღეს ასეთი 40 ეკიპაჟი შეიკრიბა...

ცხელ და მზიან კვირადღეს, დიდ დიღომში, სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებასთან უჩვეულო ხალხმრავლობა და შესაბამისად, ჯიპმრავლობა შეიმჩნეოდა. მონაწილეთა რეგისტრაცია დაახლოებით 10 საათისთვის დასრულდა, შემდეგ კი ორგანიზატორებმა მონაწილეებს ტრასის საგულდაგულოდ დათვალიერების უფლება მისცეს... დაღმართი, მოსახვევი, აღმართი და... აქ ნებისმიერ შემთხვევაში, ავტომობილი ჰაერში აიწევა, შენ კი, საკუთარი ოსტატობის წყალობით, ისე უნდა მოახერხო, რომ არც თავად დაზიანდე და არც — მანქანა დაზიანო.

ტრასაზე რამდენიმე ისეთი მონაკვეთია, სადაც პატარა მოცულობის ავტომობილი თავისუფლად გავა, მაგრამ გრძელი მანქანის პილოტს მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა მოუწევს იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გადალახოს. თანაც, როცა შეჯიბრების მონაწილეებს ჰგონიათ, რომ ყველა წინაღობა გადალახეს და ფინიშამდე ერთი აღმართიღა აშორებთ, სწორედ იქ აწყდებიან ორგანიზატორების მიერ დაგებულ ყველაზე დიდ მახეს — უზარმაზარ გუბეს, რომელიც დღის დასაწყისში წყლით იყო სავსე, მაგრამ მოგვიანებით, შუადღის თაკარა მზემ აორთქლა და თითქმის გაუვალი ტალახი და ჭუჭყიანი წუმპე დატოვა...

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეჯიბრების ყველა მონაწილეს უნდა გაეთვალისწინებინა — თითოეულს ტრასა ისე უნდა გაევლო, რომ არც ერთ ე.წ. „შეზღუდვას“ არ შეხებოდა, მსაჯების მიერ გაჭიმული ჭრელი ლენტი არ გაეწყვიტა და რაც ყველაზე მთავარია, ტრასიდან არც ერთი სანტიმეტრით არ უნდა გადასულიყო. მსაჯები რამდენიმე პერიმეტრზე იყვნენ გადანაწილებულნი და თითოეული მონაწილის ამოსუნთქვასაც კი აფიქსირებდნენ...

— სტარტზეა მაია გოშაძე, იგივე მაო... მიესალმეთ ქალბატონს, — აცხადებს მსაჯი-ინფორმატორი და გულშემატკივარიც არ იშურებს ოვაციებს.

მაო ცდილობს, გული არ გაიტეხოს და არც შვილზე გაბრაზდეს

— აი, ქალიიი! — აღტაცებას ვერ ფარავს თავზე ცხვირსახოცწაკრული მამაკაცი...

— მიდი, მაო, მიდი, ჩვენ ვამაყობთ შენით! — მთელი ხმით გაჰყვირის ცისფერ მაისურში გამოწყობილი მამაკაცი (მოგვიანებით გავიგე, რომ ის შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი, ვახტანგ სახოკია გახლდათ) და გვერდზე მდგომ გოგონებს ეუბნება: — როცა მე დავდგები სტარტზე, ჩემ გვერდით იყავით. იცოდეთ, როცა ფინიშის ხაზს გადავკვეთ, მთელი ხმით იყვირეთ...

მაო ფინიშის ადგილას 3 წუთსა და 16 წამში მოვიდა, მაგრამ ერთ-ერთი პერიმეტრის მსაჯები მას საჯარიმო ქულების შესახებ აცნობებენ და მაოს დრო 3 წამით იმატებს. სხვათა შორის, იმ პერიმეტრზე მსაჯად მისი ქალიშვილი იდგა.

ვახოს ჯერიც დადგა. სტარტზე მყოფი, გოგონებმა გაამხნევეს. მან ტრასა საუკეთესო დროში დაფარა, მაგრამ მსაჯებმა განაცხადეს, რომ ერთ-ერთ პერიმეტრზე ის ტრასიდან გადავიდა და მანქანა შეჯიბრებიდან მოხსნილიაო... მაო მეგობრის გამხნევებას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის და ამიტომაც, მას ჩაცივებული მინერალური წყლით აგრილებს...

ინტერბიზნესაკადემია
AiB
INTERBUSINESSACADEMY

ინტერბიზნესის აკადემია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული ინტერბიზნესის აკადემია აცხადებს მიღებას 2008-2009 სასწავლო წლისათვის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრისა და მაგისტრატურის I ეტაპზე.

აკადემია ფუნქციონირებს 1992 წლიდან და მასში გაერთიანებულია ბიზნესის, ეკონომიკის, სამართლის, მედიცინის, ხელოვნებისა და სხვა ფაკულტეტები.

ინტერბიზნესის აკადემიის დიპლომი აღიარებულია განათლებისა და მსოფლიოს 102 სახელმწიფოს მიერ.

მის: თბილისი, გურამიშვილის გამზ: 66 დ

ტელ: 605 423, 615 423

სრული ინფორმაციისათვის მიგრძანდით აღგილზე

მაო ფინიშის ადგილას 3 წუთსა და 16 წამში მოვიდა

აქ ნებისმიერ შემთხვევაში, ავტომობილი ჰაერში აიწევა

ამასობაში, ტრასაზე „მერსედესის“ ჯიპით ირაკლი კორძახია, შტურმან ბაჩა აფხაზავასთან ერთად გავიდა. თითქოს, ყველაფერი რიგზეა. ხალხი აღტაცებული გაიძახის, — „მერსედესი“ მაინც „მერსედესიაო“, მაგრამ პერიმეტრის მსაჯი ახლა ამ ავტომობილის დარღვევას აფიქსირებს: „მანქანა შეჯიბრებიდან მოხსნილია, რადგან ტრასიდან გადავიდა!..“

თეთრი ფერის „დეფენდერმა“ უპრობლემოდ გადალახა ყველა წინაღობა, ერთის გარდა — მანქანის სიგრძის გამო, პილოტს უხერხულ მოსახვევებში მთელი თავისი ოსტატობის გამომჟღავნება უხდებოდა, რამაც ბევრი დრო წაიღო და ეკიპაჟი საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

სტარტზე მორიგი მონაწილეა.

— ასეთ მანქანას რუსები „კატლეტს“ ეძახიან, — მეუბნება მაო და „გადაჭრილ“ ავტომობილზე მიმითითებს, რომელიც ერთ დროს ჩვეულებრივი Ford Bronco იყო. სხვათა შორის, იმავე ღამით, Ford Bronco ოფროუდელების ფორუმის განხილვის თემაც გახდა.

— III-992 რაიმე თვითნაკეთია? — იკითხა ერთმა.

— კი, რაღაც უჯიშო იყო, მაგრამ კარგად იარა, — გამოეხმაურა მეორე.

— გადაჭრილი Ford Bronco იყო. რაც შეეხება შეჯიბრებას, ძალიან კმაყოფილი ვარ. — ამბობს მესამე.

— ეს Ford Bronco იყო, უბრალოდ, უკანა ნაწილი მოჭრილი ჰქონდა. ძალიან მაგრად იყო გაკეთებული. კარგი შეჯიბრება გამოვიდა. ის „პაჯერო“ რომ დაიქოქა, ძალიან გამიკვირდა. „გრანდ ჩეროკმაც“ მაგრად იარა. პილოტმა მანქანა არ დაინდო. ერთ რამეს მივხვდი: ოფროუდზე „რადნოი“ „შიტოკი“ ზედმეტია და მანქანას ჯალამბარი დაბლა არ უნდა დაუყენო. მოკლედ, ამ შეჯიბრებით მაგრად ვისიამოვნე, — გამოთქვა თავისი მოსაზრება ერთ-ერთმა ოფროუდელმა.

თავისი სტარტით კმაყოფილი იყო შეჯიბრების კიდევ ერთი მონაწილე ქალბატონი — თამარ ალფაიძე (რომელსაც შტურმანად გიორგი ურუშაძე ჰყავდა):

— შაბათ ღამეს მანქანა „მოკვდა“ და შეჯიბრებაზე გამოსვლას აღარ ვაპირებდი, მაგრამ გულმა არ მომითმინა და დილის 7 საათზე „ელიავას“ დირექტორს დავადექი თავზე, რამდენიმე მაღაზია გავაღებინე და მანქანის „გამოსაცოცხლებლად“ საჭირო ნაწილი ვიშოვე... ვინაიდან შეჯიბრებაზე დაგვიანებით მოვედით, ეგრევე სტარტზე გაგვაგდეს. მართალია, ცოტა დაბნეულმა ვიარე, მაგრამ მითხრეს, — ყველაზე სუფთა სვლა იყო, არც ერთი ჯარიმა არ დაგიმსახურებიაო. უბრალოდ, ცუდი ის არის, რომ ფინიშამდე მისვლას ბევრი დრო მოვანდომე.

მსაჯებმა ქულები დააჯამეს და გაირკვა, რომ ე.წ. „მომზადებულებში“ მესამე ადგილის ორ პრეტენდენტს ერთნაირი შედეგი ჰქონდა. მათ შორის საუკეთესოს გამოსავლენად ჯერ ომარ ფხაკაძისა და ვალერიან გელაშვილის ეკიპაჟი გაუშვეს, შემდეგ კი სტარტი ლევან კინწურაშვილმა აიღო და ფინიშზე მოსულმაც უკეთესი დრო უჩვენა, მაგრამ... ისევ ავბედითი პერიმეტრი და მკაცრი მსაჯის სიტყვამ, — ლევანის მანქანა ტრასიდან გადავიდაო, საბოლოოდ, გამარჯვება ომარ ფხაკაძეს (Mitsubishi Pajero II) მოუტანა.

„მომზადებულებში“ I-II ადგილებიც Mitsubishi Pajero II-ის კიდევ ორმა ეკიპაჟმა დაიკავა: მეორეზე — დავით ახობაძე და გურამ მაჭავარიანი, ხოლო პირველზე, ოჯახური ეკიპაჟი — გიორგი და თამარ ჭეიშვილები გავიდნენ.

„სტანდარტებში“ საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: პირველი ადგილი გიორგი კუხალეიშვილს (TLC-72) ხვდა წილად, მეორე — დავით ნიკოლაშვილისა და ვლადიმერ ხაჩიძის (Jeep Grand Cherokee 2.5 TD) წყვილს, მესამე ადგილი კი დავით მჭედლიშვილმა დაიკავა, თავისი „ნივით“, რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ჩვენი „ნივა“ ყველგან მივა“ და იაპონურ მანქანებს არაფრით ჩამოუვარდება...

— წეღან ვამბობდი, შეჯიბრების შემდეგ ჩემს „ნივას“ აქვე, აუქციონზე გავყიდი-მეთქი და შვილმა აქაც არ გამახარა. მითხრა, — თუ გინდა, 5 ლარს ახლავე მოგცემო, — მეუბნება მაო და უკვე შეკეთებულ ავტომობილში ჯდება. სურს, ამ ტრასაზე კიდევ ერთხელ გაიაროს მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარ თავს დაუმტკიცოს — ამ მანძილის დაფარვა შეცდომების დაშვების გარეშეც შეეძლო...

P.S. ოფროუდ-კლუბი წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე საინტერესო შეჯიბრების გამართვას გეგმავს. ■

სიცხისგან გათანგული გულშემატკივარი

„მწიფდება პროტესტის სხვადასხვა ფორმა“

სატელევიზიო სფეროში ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები საზოგადოებაში ათასგვარ მითქმა-მოთქმას უწყობს ხელს. ის ფაქტი, რომ დროის მცირე მონაკვეთში, ერთიმეორის მიყოლებით, იხურება საინფორმაციო გადაცემები, პოლიტიკური ტოქშოუები და იცვლებიან ამ თუ იმ სამაუწყებლო სუბიექტის ხელმძღვანელები, თავად ჟურნალისტებსაც საგონებელში აგდებს, მაგრამ მათი უმრავლესობა ამ თემაზე დაუფარავად ლაპარაკს თავს არიდებს. არსებული პრობლემის შესახებ იმ მცირე ნაწილის აზრს გაგაცნობთ, ვინც არც ზეწოლას უფრთხის და არც სამსახურის დაკარგვას.

„სიტუაცია არც ისე საგანგაშოა, როგორც ეს გარედან ჩანს“

ხათუნა ბახტურიძე

ია ანთაძე:

— ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად გააკონტროლოს მედიასივრცე. ეს პროცესი ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში დაიწყო. ალბათ გახსოვთ, რომ რევოლუციის პირველსავე დღეებში დაიწყეს ტელეკომპანიების მფლობელებისა და გენერალური დირექტორების სასურველი პირებით შეცვლა. ამ სქემით მოქმედების ბოლო აკორდი — „ტელეიმედი“ იყო. ხელისუფლებას მშვენივრად ესმის, რომ საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების ყველაზე ძლიერი ბერკეტი — ტელევიზიაა. იცის, რომ მასმედიის კონტროლის შედეგად, საშუალება მიეცემა, დაბლოკოს ყველანაირი ალტერნატიული ან კრიტიკული აზრი და შექმნას ილუზიური საქართველოს პორტრეტი. ასე გაცილებით მარტივად მოატყუებს ხალხს და დაარწმუნებს, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს აღმშენებლობა, იმატებს პენსიები და იქმნება სამუშაო ადგილები.

— ტელეკომპანია „მზეზე“ არათუ ხელისუფლების კრიტიკის, არამედ ალტერნატიული აზრის მოსმენაც კი იშვიათად გვიხდებოდა. თქვენი აზრით, რატომ გახდა აუცილებელი ამ არხზე საინფორმაციო ბლოკის დახურვა?

— იმიტომ, რომ ეს ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული პირებისათვის ზედმეტი ხარჯი იყო. სულ არ გამიკვირდება, თუ ძალიან მალე „მზე“ საერთოდ, გაქრება ქართული ტელესივრციდან. შესაძლოა, მოგვიანებით იგივე ბედი ეწიოს „იმედსაც“. არ გამოვრიცხავ, რომ ერთი წლის შემდეგ მხოლოდ ორი ტელევიზია — საზოგადოებრივი მაუწყებელი და „რუსთავი 2“ დაგვრჩეს...

— როგორ ფიქრობთ — არსებულ ვითარებას ჟურნალისტთა კორპუსის მხრიდან პროტესტი რატომ არ მოჰყვება?

— ჟურნალისტების წრეში თანდათან მწიფდება პროტესტის სხვადასხვა ფორმა. ამჟამად იქმნება ორი მედიაორგანიზაცია: ერთი ორიენტირებული იქნება უფლებების დაცვაზე, მეორე კი — სტანდარტის შექმნაზე. ამ ყველაფრისთვის ბევრი მუშაობა და ერთმანეთის მხარდაჭერაა საჭირო. თუ გვინდა, რომ საზოგადოება გვენდობოდეს, უფრო მეტად უნდა გავიაზროთ ის პასუხისმგებლობა, რომელიც გვაკისრია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მიმართ, სრულიად სამართლიანად, აგრესია გაიზრდება.

— ფიქრობთ, რომ ჟურნალისტების კონსოლიდირება შესაძლებელია?

— ამ მხრივ პრობლემები მართლაც არსებობს და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ჟურნალისტებს, რომლებსაც უფლებებს ულახავენ, თავად არ სურთ საჯაროდ ლაპარაკი. გარდა ამისა, არც სხვისი პრობლემის გაზიარება ეხერხებათ მაინცდამაინც. როდესაც სტუდია „მაესტროს“ გაუჭირდა, მამუკა ღლონტმა კოლეგებისგან თანადგომა ითხოვა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი გაჭირვება ძალიან ცოტამ თუ გაიზიარა.

ამ ცოტა ხნის წინ, გადაცემა „ახალი შვიდი დღე“ დაიხურა. საინტერესოა, შემოქმედებითი ჯგუფის მიმართ კოლეგებმა მხარდაჭერა თუ გამოხატეს?

დაჩი გრძელიშვილი:

— თანადგომა ვიგრძენი, მაგრამ — მხოლოდ მეგობრულ და პირად ასპექტებში... საქართველოში მასმედია ცოტა უცნაურ მდგომარეობაშია: ჩვენ არ გვაქვს პროფკავშირი ან სხვა, ოფიციალური სოლიდარობის გამომხატველი ორგანიზაციები. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ ჟურნალისტებს შორის, სოლიდარობა არ არსებობს.

— მაინც, რა იყო თქვენი გადაცემის დახურვის მიზეზი?

— ფინანსური პრობლემები.

— ეს მიზეზი სარწმუნოდ მიგაჩნიათ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ეს მიზეზი ჩემთვის მაინცდამაინც დამაჯერებელი არ იყო. თავს ვერ დავდებ და ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ „ახალი შვიდი დღე“ მიხეილ სააკაშვილს ან რომელიმე სხვა ხელისუფალს არ მოსწონდა, მაგრამ ეჭვები არსებობს, ვინაიდან გადაცემაში კრიტიკულ მოსაზრებებს ხშირად გამოვთქვამთ. შეიძლება ითქვას, რომ უკან არასოდეს დაგვიხევია.

— თქვენ მიერ მომზადებულ კრიტიკულ სიუჟეტებს არხის ხელძღვანელობა როგორ ხვდებოდა?

— მათი რეაქცია მათივე გემოვნებიდან გამომდინარეობდა და ამაზე საჯაროდ ლაპარაკი არ მინდა. ისე, საეთეროში არავინ ჩამომვარდნია და არც იმპერატიულად მოუთხოვიათ, რომ რომელიმე სიუჟეტი არ გამეშვა. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე საუბარი ძნელია. ფაქტია, რომ მავანნი, საინფორმაციო საშუალებების გამსხვილებას ცდილობენ, რათა ინფორმაციის ნაკადის კონტროლი გაუადვილდეთ. შეიძლება, მართლაც დამეჯერებინა, რომ ჩვენი გადაცემა რეორგანიზაციის მიზეზით დაიხურა, მაგრამ უცნაურია, რომ ყველას ერთდროულად მოუნდა რეორგანიზაციის ჩატარება და ყველას ერთდროულად შეექმნა ფინანსური პრობლემა.

— თქვენი აზრით, ინფორმაციის კონტროლით, ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შეძლებს?

— გამორიცხულია. როდის იყო, თივაში ცეცხლი იმალებოდა?!. თუ ხელისუფლება ამ ყველაფერს მართლაც, არსებული პრობლემების დაფარვის მიზნით აკეთებს, დიდ შეცდომას უშვებს. ეს, ქვეყნისათვის ძალზე სავალალო შედეგს მოიტანს. აპოლიტიკურად

განწყობილი საზოგადოება ცუდი არ არის; ევროპაში, ამერიკასა ან ნებისმიერ სხვა განვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობამ საკუთარი მთავრობის შემადგენლობაც კი არ იცის. იქ საინფორმაციო გამოშვებაში შეიძლება, ასეთი ტექსტიც მოისმინოთ: „დღეს დილით კატა ავიდა ხეზე და ცოცხალი თავით აღარ ჩამოდის“; შემდეგ შეიძლება, ამ კატის პატრონთან ინტერვიუც შემოგთავაზონ, მაგრამ ეს ყველაფერი იმით არის გამოწვეული, რომ მათ სერიოზული პრობლემები არ აქვთ. თუ ჩვენი ხელისუფლება საინფორმაციო ნაკადის ხელოვნურად შეზღუდვას შეეცდება და კატაზე დაგვიწყებს ლაპარაკს, ჩვენი სოციალური და სამართლებრივი პრობლემები თავისით მოგვარდება?..

კოზა ლიკლიკაძე:

— ინფორმაციის დამალვა შეუძლებელია, იმიტომ, რომ არსებობს ტელეკომპანია „კავკასია“, მასმედიის სხვა საშუალებები და თავისუფალი გამოცემები, რომელთა ტირაჟები ბოლო დროს (ტელევიზიაზე მომხდარი ზეწოლის შემდეგ) საგრძნობლად გაიზარდა. არსებობს აგრეთვე, ძალინ კარგი ინტერნეტსაშუალებები. მეტსაც გეტყვით: საკმაოდ მომძლავრდა და რეზისტენტული გახდა რეგიონული მასმედია. ასე რომ, სიტუაცია არც ისე საგანგაშოა, როგორც ეს გარედან ჩანს.

— მოსახლეობის უმრავლესობისათვის ელექტრონული მედია მიუწვდომელია. ბევრი მათგანი კი, სილარიბის გამო, ჟურნალ-გაზეთებსაც ვერ ყიდულობს.

— ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ, რომ ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი აშკარად იზრდება. ტელევიზია ერთადერთი საინფორმაციო საშუალება არ არის. რადიო „თავისუფლება“ იყო, არის და რჩება ობიექტურ მაუწყებლად. იმედი მაქვს, „ტელეიმედიც“ მალე „დაბრუნდება“ და საინტერესო პროექტებს შემოგვთავაზებს. პირადად მე, განგაში ნაადრევად მიმაჩნია, თუმცა ცალკეული უარყოფითი ტენდენცია — საყურადღებო, საგანგაშოც კია, მაგრამ ვფიქრობ, ქართულ მედიას იმუნიტეტი აქვს და ნებისმიერ ზეწოლას გაუძლებს.

არის თუ არა საგანგაშო, ქართულ მასმედიაში შექმნილი ვითარება? ამ კითხვით კიდევ ერთ ჩვენს კოლეგას მივმართე.

რეზო გეთიაშვილი:

— გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ გვყავს დემაგოგი ხელისუფლება, რომელიც ცდილობს, საზოგადოებას საკუთარი აზრი მოახვიოს თავს. მის ინტერესებში ალტერნატიული აზრის არსებობა არ შედის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ დღეს მასმედიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა მიმდინარეობს და საფრთხეშია არა მარტო ტელევიზია, არამედ პრესაც.

— პრესაზე ზეწოლის კონკრეტული ფაქტები თუ გაქვთ?

— ფიზიკური ზეწოლის ფაქტებზეც შემიძლია ლაპარაკი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გადაბირებაც ერთგვარი ზეწოლაა: ბოლო დროს ჩვენი კოლეგები ხშირად ხვდებიან სახელმწიფო უწყებებსა და კერძო კომპანიებში. ჟურნალისტები, რომლებიც თავის დროზე, ხმალამოღებული იბრძოდნენ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ახლა თავად ხდებიან ინფორმაციის შეზღუდვის მონაწილენი.

— მათ გადასაბირებლად, ხელისუფლებას რა ბერკეტები აქვს?

— ტელევიზიას, განსაკუთრებით კი პრესას, არ შეუძლია მატერიალურად ისე უზრუნველყოს ჟურნალისტი, რომ მისგან ერთგულება მოითხოვოს. ჩვენი კოლეგების უმრავლესობა ენთუზიაზმზე მუშაობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დამოუკიდებელ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობას კერძო კომპანიები თავს არიდებენ.

— რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთი ზეწოლის მიუხედავად ჟურნალისტებს შორის კონსოლიდირება მაინც არ ხდება?

— მედიასაშუალებები ერთმანეთს კონკურენტებად მიიჩნევენ, აქედან გამომდინარე, მათ შორის კონსოლიდირება ძნელია. ამ ფაქტით ძალიან კარგად სარგებლობს ხელისუფლება...

როგორც ხედავთ, ჩვენი რესპონდენტი ჟურნალისტები საკმაოდ ფხიზლად აფასებენ შექმნილ მდგომარეობას, არც აზვიადებენ არსებულ პრობლემებს და არც მათ მიჩუმათებას ცდილობენ. აი, ის კი სამწუხაროა, რომ ჩვენი სხვა კოლეგები, რომლებიც უშუალოდ, არასასურველი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ, მწვავე საკითხებზე საჯაროდ ლაპარაკს თავს არიდებენ. იმედი გვაქვს, ისინი უფრო ღრმად ჩაუფიქრდებიან შექმნილ მდგომარეობას, შესაძლო შედეგებს და მეტად იზრუნებენ საზოგადოების რეალური დემოკრატიზაციისთვის ისეთ უმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სიტყვის და აზრის გამოთქმის თავისუფლება.

ინტერნეტი და ტელეფონი აგარაკზე

რამდენიმე დღეა თბილისის ახლოს არსებულ აგარაკებზე „გაერთიანებული ტელეკომის“ მობილური სერვისჯგუფები გამოჩნდნენ, რომლებიც უკაბელო ტელეფონებს სთავაზობენ მომხმარებლებს. მასშტაბური აქცია წყნეთის, კოჯრის, წავკისის, ოქროყანის, ტაბახმელის, საგურამოსა და მცხეთის მცხოვრებლებსა და დამსვენებლებს დააინტერესებთ. ამიერიდან 2 თვის განმავლობაში „გაერთიანებული ტელეკომი“ თავად მივა მომხმარებელთან — მობილური სერვისჯგუფები სამკაციანი შემადგენლობით უკაბელო ტელეფონს ერთდროულად 20-მდე უბანზე შესთავაზებენ დედაქალაქის მცხოვრებლებს.

გარდა იმ 9 სააბონენტო პუნქტისა, რომელიც თბილისშია განთავსებული, „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ შექმნა მობილური სერვისჯგუფები, რომლებიც როგორც თბილისელებს, ისე მის ახლოს მდებარე აგარაკების მცხოვრებლებს შესთავაზებენ სახლის უკაბელო ტელეფონს თბილისის ნომრებით (ჩართული ტელეფონი აპარატთან ერთად — 150 ლ); ლიბერალური ტარიფებით, უფასო საუბრებით „გაერთიანებული ტელეკომის“ ნახევარმილიონ მომხმარებელთან და გადახდის მოქნილი სქემით — ჯერ ისაუბრეთ, შემდეგ გადაიხადეთ.

უკაბელო ტელეფონის დადგმა შესაძლებელი იქნება ისეთ უბნებშიც, სადაც დღემდე ტელეფონის ხაზიც კი არ შესულა. მსურველებს შეეძლებათ, მობილური სერვისჯგუფების მეშვეობით ტელეფონი დაიდგან 1 დღეში.

ზაფხულის განმავლობაში „გაერთიანებული ტელეკომის“ სრულყოფილად აღჭურვილი მობილური სერვისჯგუფები თავად მივლენ თითოეულ მოსახლესთან, გააცნობენ ახალ სერვისს და მოაგვარებენ ტელეფონის დადგმასთან დაკავშირებულ ყველა ფორმალობას. ეს აქცია ყველაზე მეტად დააინტერესებთ ახალაშენებული სახლების ბინადართ და თბილისის ახლომდებარე აგარაკზე დასასვენებლად მყოფ თბილისელებს. სურვილის შემთხვევაში, უკაბელო ტელეფონი შესაძლებელია მომხმარებელმა ინტერნეტში ჩართოს (2 თეთრი წუთი) — ჩართვის ერთჯერადი გადასახადი 30 ლარია (100 კბწმ სიჩქარე).

კომპანია სთავაზობს 3 სხვადასხვა აპარატს: ტელეფონ-ტერმინალს, ტერმინალს, რომელიც ყველა ტელეფონს უერთდება და მობილური ტელეფონის მსგავს აპარატს.

სხვა კომპანიების ანალოგიურ სერვისებთან შედარებით, „გაერთიანებული ტელეკომის“ უკაბელო ტელეფონს რამდენიმე უპირატესობა აქვს:

აბონენტები საუბრობენ და შემდგომ ახორციელებენ ანგარიშსწორებას (ყოველთვიური სააბონენტო 5 ლარი);

ხდება სწრაფი აკრეფა 6-ციფრიანი კომბინაციით (ქალაქის ნომრით);

აბონენტი ნახევარმილიონ მოსახლესთან უფასო კავშირს ამყარებს;

აქვს გადახდის მოქნილი სისტემა — „გაერთიანებული ტელეკომის“ ნებისმიერ სააბონენტო პუნქტში;

ქსელი ფარავს თბილისსა და მის შემოგარენს სრულად.

როგორც ქალაქის ტელეფონზე, ამ შემთხვევაშიც, ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი — 5 ლარია, ხოლო კავშირი „გაერთიანებული ტელეკომის“ აბონენტებს შორის — უფასო. ასევე უფასოა საქალაქთაშორისო საუბრები „გაერთიანებული ტელეკომის“ 400 ათას აბონენტთან. ტელეფონის, ტერმინალის დადგმის ღირებულებაა — 150 ლარი. არსებობს ფასდაკლების ჯგუფური პაკეტი. კერძოდ, 4 აბონენტის გაერთიანების შემთხვევაში (მეზობლები, მეგობრები და ა.შ.), მომხმარებლები ფასდაკლებით ისარგებლებენ — დადგმის ღირებულება ერთი აბონენტისთვის — 120 ლარია.

სურვილის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია, შეიძინოს მხოლოდ ტერმინალი, რომელსაც ნებისმიერი ტელეფონის აპარატს (ერთი ან რამდენიმე პარალელური) მიუერთებს.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ უკაბელო ტელეფონის დადგმის პროცესი გაამარტივა. მსურველს შესაძლებლობა აქვს, ცხელი ხაზის მეშვეობით სახლიდან გაუსვლელადაც დარეგისტრირდეს ნომერზე 100-100 და დაიდგას ტელეფონი. ყველა მსურველს, მათ შორის სხვა კომპანიის აბონენტებსაც, შესაძლებლობა აქვთ, ჩაერთონ „გაერთიანებული ტელეკომის“ უკაბელო ქსელში ერთი დღის ვადაში. მათ შესთავაზებენ უკაბელო ტელეფონს, რომელსაც ჩართულს მიიღებს შეძენისთანავე, გადაიტანს ნებისმიერ ადგილას სურვილისამებრ (რეგიონის მასშტაბით, სახლში, აგარაკზე და ა.შ.), ჩართავს ინტერნეტქსელში. ამ ტელეფონს გააჩნია კავშირის მაღალი ხარისხი და გარდა ინტერნეტის შესაძლებლობისა, აქვს მრავალი დამატებითი მომსახურება — ტელეფონის ნომრების წიგნი, დარეკილი, მიღებული და გამოტოვებული ზარების დამახსოვრება, შემოკლებული აკრეფა, მაღვიძარა და კალკულატორი.

„გაერთიანებული ტელეკომი“ მომხმარებელს კავშირგაბმულობის ბაზარზე ყველაზე მრავალფეროვან მომსახურებას სთავაზობს. ყველაზე ლიბერალური ტარიფებით, აბონენტთა სიმრავლითა და თანამედროვე სერვისებით „გაერთიანებული ტელეკომი“ ამ ბაზარზე უპირობო ლიდერია. მომხმარებელს უკვე შეუძლია ისარგებლოს „გაერთიანებული ტელეკომის“ სერვისებით: ინტერნეტ-მომსახურებით (DSL), უფასო საინფორმაციო ცნობარით (900), ქალაქის უკაბელო ტელეფონით (CDMA) და სხვა თანამედროვე მომსახურებებით, რომლის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ, მიიღოთ ცხელ ხაზზე — 100-100. „გაერთიანებული ტელეკომის“ აბონენტობა ნიშნავს, რომ საქართველოს მასშტაბით 400 ათას აბონენტთან უფასოდ საუბრობთ და ამასთანავე გაქვთ სწრაფი ინტერნეტი შეღავათიანი სატარიფო პაკეტით.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ უკაბელო (CDMA) ტექნოლოგიის დანერგვა 2007 წლის ნოემბრიდან დაიწყო. ამ სისტემით საქართველოს მთელი ტერიტორია უკვე დაფარულია. ამჟამად, „გაერთიანებული ტელეკომის“ უკაბელო ტელეფონით 10 ათასი აბონენტი სარგებლობს. ■

გაერთიანებული ტელეკომი

სპეციფიკური აქცია „გაერთიანებული ტელეკომისგან“

ნათია ქივიძე

ჟურნალისტი – თიკო ნატროშვილი
რესპონდენტი – ლევან სუხიტაშვილი

სწავლით დაღლილი მოდელი, სიკვდილის წინ გასამხელი საიდუმლო

რამდენიმე თვის წინ, კინოთეატრებში ახალი ქართული ფილმის — „კვენტინის სათვალის“ პრემიერა გაიმართა, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ყოფილი „ამტანი“, ლევან სუხიტაშვილი ასრულებს. მას ეპიზოდურ პარტნიორობას მოდელი და ჟურნალისტი თიკო ნატროშვილი უწევს. რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ სწორედ ეს ორი ადამიანი მოვიწვიეთ. ისინი სხვა საინტერესო თემებთან ერთად, ამ ფილმზეც გვესაუბრებიან.

და „პოლიუმიდან“ გაღაგდებული „ტრუსიკი“

— მოდი, საუბარი შენი ნამუშევრით დავიწყოთ. მოგვიყევი ამ ფილმისა და შენი როლის შესახებ...

— როდესაც ამ ფილმის გადაღება დაიწყეს, მაშინ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. ფილმის რეჟისორი, გიორგი გერსამია კი ჩემი მეგობრების მეგობარია. მანამდე თავის საკურსო პიესაში მომცა პატარა როლი, სადაც მოვეწონე და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ ახალ ფილმში ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი როლი შემოეთავაზებინა. ფილმს ჰქვია „კვენტინის სათვალე“. სიმართლე რომ გითხრა, ზუსტად არც კი ვიცი, რატომ აქვს ასეთი უცნაური სახელწოდება. სიუჟეტი ძალიან მომწონს, რადგან ისეთი ჟანრისაა, რომ ქართულ კინემატოგრაფში ახალ სიტყვას იტყვის. ამ სურათის ჟანრი გაი რიჩის ფილმებს მაგონებს, თუმცა კონკრეტულად რა ჟანრისაა, ვერ გეტყვით. მასში ყველაფერია თავმოყრილი: დრამაც, კომედიაც და ა.შ. „კვენტინის სათვალეში“ კოკოს როლს ვასრულებ. ის ერთი თბილისელი, აფერისტი ბიჭია. უყვარს, ხალხს რომ ატყუებს და „აგდებს“. მიუხედავად ამისა, ჩემი გმირი ძალიან მიყვარდა, რადგან მასში ნაწილობრივ, ჩემს ხასიათსაც ვხედავდი (აფერისტობას არ ვგულისხმობ). ფილმი კინოთეატრებში უკვე უჩვენეს და როგორც ჩემთვის ცნობილია, მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. ტელეეკრანზე როდის უჩვენებენ, ეს ნამდვილად არ ვიცი...

— სხვათა შორის, თავად ფილმის რეჟისორიც ამბობდა, — ჩვენი სურათი გაურკვეველი ჟანრისაა...

— მთლად გაურკვეველი ჟანრის ნამდვილად არ არის. რაღაც, უცნაური ტრილერია, თუმცა, როგორც ვთქვი, მასში სხვა ჟანრებიც არის. ბევრი ამბავია მოთხრობილი და თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად არის გადმოცემული. მიმაჩნია, რომ „კვენტინის სათვალე“ სწორედ ასეთი გაურკვევლობის გამოა უფრო საინტერესო.

— ძალიან მაინტერესებს, გადაღებებიდან რომელი დღე ან რომელი პარტნიორი დაგამახსოვრდა?

— რა გინდა, რომ მათქმევინო? შენ რომ იყავი ჩემი პარტნიორი?..

— როგორ გეკადრება?! ამ ფილმში მე მხოლოდ ეპიზოდური როლი შევასრულე. უბრალოდ, კურიოზები მინდა, რომ გაიხსენო.

— გადაღებებისას ერთი გამორჩეული დღე იყო და დღემდე ვერ გამირკვევია, რა მოხდა მაშინ. სმაში სუსტი ნამდვილად არა ვარ. საკმაოდ კარგად ვსვამ. ერთ-ერთი სცენა მცხეთაში გადავიღეთ. სიუჟეტის მიხედვით, ერთ-ერთ პერსონაჟთან სტუმრად ვიყავი სახლში, სუფრასთან ვისხედით და შავ ღვინოს ვსვამდით. სულ ორი, შამპანურის ბოკალი დავლიე, მაგრამ ისე დავთვერი, რომ იქიდან დაბრუნებისას, გზაში მანქანა გავაჩერე და რესტორანში შევედი, ვიფიქრე, — იქნებ, ჭამაში „გამოვიდე“-მეთქი, მაგრამ არ მიშველა. მერე ავტოგასამართ სადგურზე „გავაპათოლოგე“ — ვიღაცებს ვეჩხუბე. ყანწებით რომ მისვამს და უამრავი ღვინო დამილევია, მაშინ არ მოვქცეულვარ ასე. იმ დღეს რა დამემართა, არ ვიცი. მერე ვიფიქრე, — ყლუპ-ყლუპით ვსვამდი და ალბათ ამის ბრალი იყო-მეთქი. უცხოელები ორ ჭიქაში ხომ უგონოდ მთვრალები არიან ხოლმე. მოკლედ, ყლუპობანამ დამღუპა... გადაღებებიდან კიდევ შენ გამოგარჩევდი, რადგან ყელში მკბენდი...

— გადაღებების დროს ხომ არ გიცნობდი. როცა მითხრეს, — ყელში უნდა ეცე და უკბინოო, — შევწუხდი: წარმოიდგინე, რა უხერხულია, ადამიანს რომ არ იცნობ და იმას კბენ. ამიტომაც გიხდიდი ბოდიშს ყველა კბენაზე, მაგრამ რამდენჯერ გიკბინე, აღარც კი მახსოვს...

— ამის გამო ცოლმა კინაღამ სახლიდან გამომაგდო. ახლავე მიდი და აუხსენი, შინ დაკბენილი რატომ დავბრუნდი (*იცინიან*). გადაღებაზე კიდევ ერთი ისეთი რაღაც დამემართა, რომ სიკვდილამდე არ გავამხელ. არავისთვის მითქვამს.

— მე მომიყევი, რა!

— არა. სიკვდილის წინ დაგირეკავ და მხოლოდ მაშინ გაგიმხელ...

— როგორც ყველასთვის ცნობილია, შენ პროექტ „ამტანის“ გამარჯვებული ხარ. ძალიან მაინტერესებს, ამ პროექტმა რა შეცვალა შენს ცხოვრებაში?

— შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ „ამტანმა“ ჩემი ცხოვრება აბსოლუტურად შეცვალა, რასაკვირველია — კარგი კუთხით. ნებისმიერი წარმატება ადამიანზე ან კარგად მოქმედებს, ან — ცუდად. ამ წარმატებამ ჩემზე ნამდვილად დადებითად იმოქმედა. ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა შემძინა. გარდა ამისა, „ამტანი“ რომ არ ყოფილიყო, ალბათ დღესაც დასაოჯახებელი ვიქნებოდი: როგორც იცი, ჩემი მეუღლე სწორედ ამ პროექტში გავიცანი.

— შენ მეუღლის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგვიყევი...

— ჩემი მეუღლეა მაკა ვასაძე, რომელიც „ამტანში“ ჩემთან ერთად იყო. იქ გავიცანით ერთმანეთი. სიყვარულიც იქვე გვწვია. პროექტის დამთავრებიდან ორ თვეში კი დავქორწინდით.

— ამ ბოლო დროს სრულიად ვეთანხმები გამოთქმას: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო... მაინტერესებს, ამჟამად რას საქმიანობ?

— ჩემი ძირითადი პროფესია, მსახიობობა ცოტა ხნით გვერდზე მაქვს გადადებული, რადგან დღეს საქართველოში მსახიობობით ოჯახს ვერ შეინახავ. სიმართლე რომ გითხრა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მსახიობობის გაგრძელება არც მიცდია, თორემ შეიძლებოდა, გამმართლებოდა კიდეც. მე და ჩემმა მეგობარმა ბავშვთა გასართობი ცენტრი გავხსენით. ჩემი მეუღლეც იქ მუშაობს და ჩვენი შემოსავლის წყაროც ეს არის. ჩემს პროფესიას კი ცოტა ხანში მივხედავ. თეატრალურ კარიერას ვგულისხმობ, თორემ

MK

რომელიმე ფილმში თუ კიდევ მიმიწვევენ, უარს ნამდვილად არ ვიტყვი. კინოსთვის ყოველთვის მცალია.

— აბსოლუტურად გეთანხმები. თეატრი მსახიობს სულიერად უფრო ავსებს, ვიდრე მატერიალურად. ძალიან კარგია, სულიერად რომ გავსებს, მაგრამ მატერიალური მოთხოვნილებებიც ხომ გვაქვს?! ბოლოს, მაინტერესებს, კიდევ რომელიმე რეალითი-შოუში თუ მიიღებდი მონაწილეობას?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. საქართველოში ისეთი ტენდენცია დამკვიდრდა, რომ ხალხი რაღაცას ახალს აიტაცებს, გარკვეული პერიოდი, ამით დაინტერესებულია, მერე კი ეს ინტერესი ქრება. ახლა არც ერთი რეალითი-შოუ ისეთი პოპულარული აღარ არის, როგორც ადრე იყო. ამიტომ, რომელიმე შოუში მონაწილეობის მიღება, ნაკლებად საინტერესოა. მაყურებლისთვის საინტერესო რეალითი-შოუ დღეს მხოლოდ პარლამენტშია.

ჟურნალისტი – ლევან სუხიტაშვილი
რესპონდენტი – თიკო ნატროშვილი

— პირველ რიგში, მაინტერესებს — ამ ეტაპზე რას საქმიანობ?

— ძალიან ბევრს ვსაქმიანობ: ვსწავლობ „ჯიპაში“, მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტის ფაკულტეტზე, ვმუშაობ რადიო „ფორტუნაში“, სადაც კორესპონდენტობის გარდა, კიდევ უამრავი საქმით ვარ დაკავებული. ბევრი საორგანიზაციო საკითხიც ჩემი გადასაწყვეტია. გარდა ამისა, ერთ-ერთი ჟურნალის კორესპონდენტიც ვარ და ბევრ საინტერესო მასალას ვწერ. სამოდელო საქმიანობასაც თავს არ ვანებებ და მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში ეს ბიზნესი არც ისე კარგად ფუნქციონირებს, რაღაცები მაინც არის გასაკეთებელი. იშვიათად, მაგრამ ჩვენებებიც იმართება და გადაღებებიც გვაქვს ხოლმე.

— სამოდელო სფეროში კარგა ხანია, აღარ მინახავხარ, უფრო პრესკონფერენციებზე გხედავ ხოლმე...

— ამას ძალიან ბევრი ადამიანი მეუბნება. ჟურნალიტიკა ჩემი ძირითადი პროფესიაა და ძალიან მიხარია, თუ ამ სფეროში უფრო ვჩანვარ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოდელობას თავს დავანებებ და მხოლოდ ჟურნალისტიკას გავყვები.


ძალიან ბევრს ვსაქმიანობ

— ამდენი რაღაცის გაკეთებას როგორ ასწრებ?

— სიმართლე რომ გითხრა, ამდენი რაღაცის კეთება მართლა ძალიან მიჭირს, ბევრჯერ მქონია კრიზისული პერიოდი. ღამის 11 საათზე გამოვსულვარ ინსტიტუტიდან. ერთხელ ვფიქრობდი კიდეც, — ახლა ნაცნობი რომ შემხვდეს და ვუთხრა, ინსტიტუტიდან მოვდივარ, ნეტავ თუ დამიჯერებსმეთქი? მაგისტრატურის ერთი წელი გადავაგორე, კიდევ ერთი წელი დამრჩა. მიმაჩნია, რომ ადამიანი თუ ყველაფერს სწორად დაგეგმავს, აღარ გაუჭირდება...

— გამოდის რომ, 5-10 წლის შემდეგ მოდელად ვეღარ გიხილავთ?

— საქართველოში მოდელის კარიერაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია. საერთოდ, მოდელი დაახლოებით 30 წლამდე საქმიანობს, მერე მომდევნო თაობას უთმობს ასპარეზს და თვითონ სხვა რამეს ჰკიდებს ხელს.

— „ჟესტიანშჩიკობას“ იწყებს?

— არც ეგ არის გამორიცხული. მე მსახიობობა გამომივიდა და ფილმში ვითამაშე. არ არის გამორიცხული, რომ ხვალ „ჟესტიანშჩიკობაც“ მოვსინჯო.

— პირადი ცხოვრების შესახებაც მომიყევი რამე...

— პირადი ცხოვრება რა არის-მეთქი? — ვკითხულობ ხოლმე, რადგან ჩემი პირადი ცხოვრება დღესდღეობით, მხოლოდ სამსახური და სწავლაა. ამჟამად არავინ არის ჩემ გვერდით ისეთი, ვისზეც შეიძლება, რომ ვიფიქრო...

— აი, რა ცუდია ბევრი სწავლა! ღამის სამ საათზე ინსტიტუტიდან რომ მოდიხარ, ვინ უნდა შეგიყვარდეს?! საუკეთესო შემთხვევაში, თუ ინსტიტუტიდან გამოსულს მანქანა დაგეჯახება და წამოდგომაში ვიღაც ყმაწვილი დაგეხმარება... ისე, მეც ძალიან მაინტერესებს, როგორ მოხვდი „ვენტინის სათვალის“ გადაღებებზე?

— მსახიობობასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. რეჟისორი გია გერსამია და სცენარისტი გურამ რჩეულიშვილი გოგონების ასარჩევად, სააგენტო „ნატალიში“ მოვიდნენ და რამდენიმე გოგონა შეარჩიეს კიდეც. მე კასტინგზე დავაგვიანე. გიამ რომ დამინახა, მაშინვე თქვა, ერთი გოგონა კიდევ უნდა დავამატოთო. მაშინ გადაწყვიტეს, რომ ამ ფილმისთვის მეც ვჭირდებოდი.

— მიმაჩნია, რომ გიამ სწორი არჩევანი გააკეთა. იმ როლს შენსავით ვერავინ შეასრულებდა. მე რომ მნახო სამოდელო სფეროში, პოდიუმზე შენ წინ ბიკინით რომ გავიარო, რა რეაქცია გექნება?

— არ გამიკვირდება, რადგან საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი ხარ და პოდიუმს მოუხდები. თუ გაქვს სურვილი, გავითვალისწინებ და რომელიმე მსგავს ჩვენებაზე მიგიწვევთ.

— აუცილებლად შემატყობინე. თეატრალიზებულად ჩავატარებ ამ გამოსვლას. ისე კი, ტრუსების ჩვენება ერთხელ უკვე მოვაწყვე. „ამტანი“ რომ დამთავრდა, სადაც ვცხოვრობდით, იმ სახლის სახურავზე იყო ის ჩვენება. „ტრუსიკით“ გამოვედი და ის ტრუსი გავიხადე კიდეც, მაგრამ შიგნით მეორეც მეცვა. სხვათა შორის, საკმაოდ ბევრი მაყურებელი მყავდა.

— ალბათ ამ ჩვენებით მოხიბლე მომავალი მეუღლე.

— ჰო, მანამდე არ ვუყვარდი... ვიცი, რომ წესით, ახლა შენ უნდა საუბრობდე, მაგრამ მაგარი ამბავი უნდა მოგიყვე. ის „ტრუსიკი“, რომელიც გავიხადე, მაყურებლისკენ გადავაგდე. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, დილის 6 საათზე გაგარინზე ჩავიარე. გაჩერებაზე ვილაც კაცი იდგა და შემეცოდა; გავუჩერე და მანქანაში ჩავისვი. ცოტა ხანში მკითხა, — შენ ის ლევანი არ ხარო? რომ დავუდასტურე, ერთი გემრიელად შეიგინა და მითხრა: შენ „ტრუსიკი“ ჩემმა გოგოებმა სახლში მომიტანესო. წარმოიდგინე, ერთი ტრუსი გადავაგდე და ისიც უკან დამიბრუნდა (იცინის)... ძალიან მაინტერესებს, ეროტიკულ ფილმში თუ მიიღებდი მონაწილეობას?

რომელიმე შოუში მონაწილეობის მიღება, ნაკლებად საინტერესოა

— ასეთ ფილმებს საქართველოში არ ილებენ, მაგრამ რომც ილებდნენ, მასში მონაწილეობას მაინც არ მივიღებდი. ისე კი მსახიობობა ძალიან მომეწონა. გიაც კმაყოფილი დარჩა ჩემი მუშაობით და დამპირდა, რომ სხვა ფილმში კიდევ მომცემს როლს, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდები. „თამამ“ როლზე კი უარს ვიტყვი. ეს ჩემთვის პრინციპული საკითხია. არც პოდიუმზე და არც კამერის წინ არასოდეს გავიხდი...

— პირადად მე, პოდიუმზე გავიხდი...

— კი, ბატონო, მობრძანდი „ნატალიში“ და ამაზე უარს ნამდვილად არ გეტყვიან. სანაცვლოდ კი ძალიან დიდ გასამრჯელოს მიიღებ. ■

„ჩვენს ქვეყანაში ომია დაწყებული...“

საზოგადოების დიდ ნაწილს მნიშვნელოვან მოვლენად ცხინვალსა და აფხაზეთში მიმდინარე აფეთქებები მიაჩნია. ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ საქართველო ომის საფრთხის წინაშე დგას და ბუნებრივია, ყველაფერზე მეტად მათ სწორედ ეს საკითხი აღელვებთ. ახალგაზრდებს კი პოლიტიკაზე ფიქრისთვის არ სცალიათ, რადგან ისინი ეროვნული გამოცდებით არიან დაკავებულნი.

„ვერ ვხედავ, რომ ამ საკითხზე რომელიმე პოლიტიკოსი ღელავდეს“

ლალი პაპასკირი

ლანა ხარებაძე, *დიასახლისი, 63 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე მიმდინარე არეულობა მიმაჩნია. ცხინვალში ოთხი ქართველი ოსებს მძევლად აუყვანიათ. ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანაში ომია დაწყებული, მაგრამ ამას ხმამაღლა არ აცხადებენ. ძალიან მიკვირს, პრეზიდენტი სააკაშვილი ამ ყველაფერზე რეაგირებას რომ არ ახდენს. ქართველები ისედაც ცოტანი ვართ და აფხაზებმა და ოსებმა ორივე მხრიდან რომ შემოგვიტიონ, ჩვენგან კიდევ დარჩება ვინმე? მოკლედ, ეს საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. მინდა, ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები გაერთიანდნენ და ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთობლივი ძალებით იბრძოლონ...

ჩვენი პრობლემები ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ და არა ვიღაც უცხოელმა...

ლუიზა აფციაური, *ექთანი, 52 წლის:*

— ძალიან მაღელვებს ცხინვალში მიმდინარე მოვლენები, სადაც გამუდმებით სროლის ხმა ისმის. გუშინ ოსებს ოთხი ქართველი ახალგაზრდა დაუპატიმრებიათ. თან, ის საცოდავები საშინლად უცემიათ... ნათესავები მყავს ერედვში და მათგან ვიცი, თუ როგორი გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებია იქ. ახლა კიდევ, თურმე, საქონელს ციმბირის წყლული დაემართა, რაც ადამიანების ჯანმრთელობისთვისაც საშიში ყოფილა. მოკლედ, ცხინვალის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები ძალიან ცუდ დღეში არიან და მათ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების დახმარება სჭირდებათ. მედვედევი და სააკაშვილი ერთმანეთს ბევრჯერ შეხვდნენ, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტის მოგვარებას მაინც არაფერი ეშველა. საინტერესოა, რაზე საუბრობენ და საერთოდ, რისთვის აწყობენ ამ შეხვედრებს, თუ ამით რაღაც პრობლემა არ მოგვარდება?..

ამირან გეგეჭკორი, *ინჟინერი, 47 წლის:*

— იმაზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, რაც ახლა ცხინვალსა და აფხაზეთში ხდება? ამბობენ, — თბილისში კონდოლიზა რაისი ჩამოდის და მისი ერთ-ერთი განსახილველი თემა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარება იქნებაო. კონდოლიზა რაისის მიერ განხილული თემა უშველის საქართველოს? რატომ ელოდებიან მის ჩამოსვლას? რატომღაც ვერ ვხედავ, რომ რომელიმე პოლიტიკოსი, თუნდაც ოპოზიციონერი, ამ საკითხზე ღელავდეს და რაიმე გამოსავალს ეძებდეს. ჩვენი პრეზიდენტი მხოლოდ ამერიკელებზეა დამოკიდებული და ისინი საითაც მიუთითებენ, იქით იხრება. ჩვენი პრობლემები ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ და არა ვიღაც უცხოელმა...

სხვა წლებთან შედარებით, გამოცდებზე საკმაოდ ცოტა აბიტურიენტია

ლუკა აბესაძე, *აბიტურიენტი, 19 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა ეროვნული გამოცდებია. შარშან სათანადო ქულები ვერ დავაგროვე და შესაბამისად, სასურველ ფაკულტეტზე ვერ ჩავირიცხე. იმედი მაქვს, რომ წელს მაინც გამიმართლებს. კარგია, რომ სხვა წლებთან შედარებით, გამოცდებზე საკმაოდ ცოტა აბიტურიენტია. ასე ხომ ჩარიცხვის უფრო მეტი შანსი მაქვს...

ნათია ელგაჯიძე, *აბიტურიენტი, 18 წლის:*

— სკოლაში ისედაც გვიან შევედი და არ მინდოდა, წლევანდელი წელიც გამეცდინა. ამიტომ, დედაჩემმა ყარაჯალის სკოლაში გადამიყვანა, სადაც სწავლა ჩვეულებრივად, 11-წლიანია. შესაბამისად, ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის საშუალება მომეცა. ქართული ენა და ლიტერატურა ძალიან კარგად ჩავაბარე — 95 ქულა დავაგროვე. მგონია, რომ უნარ-ჩვევებიც კარგად დავწერე. ინგლისურ ენაში ცოტა მოვიკოჭლებ და ამ საგნის ჩაბარების ყველაზე მეტად მეშინია. ეკონომიკურზე ვაბარებ და დიდი იმედი მაქვს, რომ გამიმართლებს. საქართველოში გამოცდები ხომ ობიექტურად ტარდება...

პეტრე მამრაძე:

– „გზა“ ის ჟურნალია, რომელიც პირველი გვერდიდან ბოლო გვერდის ჩათვლით, დიდ ინტერესს იწვევს. ხელში თუ ჩაგივარდა, წაუკითხავს ნამდვილად ვერ დატოვებ. ეს ჟურნალი თითქოს, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. აი, ასეთი მოსაზების ვარ „გზის“ შესახებ. კიდევ უფრო ბევრ საინტერესო სტატიას და წარმატებებს გისურვებთ!

„რაც მეტი რუსული ფული შემოდის, მით უფრო ფუჭდება აქაურობა“

მეთექვსმეტე წელია, აფხაზეთში ზღვის სეზონს შიშით ელოდებიან. მართალია, ეს პერიოდი მათთვის ერთადერთ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, მაგრამ ამ დროს კონფლიქტურ ზონაში ვითარება უკიდურესად იძაბება. ადმინისტრაციულ საზღვართან და აფხაზეთის ქალაქებში განხორციელებულმა აფეთქებებმა ადგილობრივების შეშფოთება გამოიწვია. საკურორტო სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ რუსი ტურისტების რიცხვი უკვე მკვეთრად შემცირდა. ჩვენი ინფორმაციით, არასტაბილური ვითარების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ ის ახალბედა რუსი ბიზნესმენები, ვინც აფხაზეთში ინვესტიციის ჩადება წლეულს დაიწყო. ცენტრალური ადგილების გადანაწილებას „ძველ“ და „ახალ“ ბიზნესმენებში დაპირისპირება მოჰყვა. მოსყიდვა, ძალადობა, შანტაჟი, შეიარაღებული დაპირისპირება, ადგილობრივი ბიზნესისთვის დიდი ხანია, სიახლეს არ წარმოადგენს.

„სოხუმის ცენტრში ყოველდამე რომ „პერესტრელკებია“, ამაზე არავინ არაფერს ამბობს“...

ლალი პაპასკირი

იმას, რასაც სეპარატისტული ხელისუფლება ტერაქტს უწოდებს, ადგილობრივი მოსახლეობა „სეზონური შეხლა-შემოხლით“ მოიხსენიებს. მათ ყველაზე კარგად იციან, თუ რა ხდება სინამდვილეში აფხაზეთში. ქართული მხარე აფეთქებებში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს, რუსეთი კი ოფიციალური განცხადებების გაკეთებას თავს არიდებს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მისი დუმილის ფასი იცის. „რუსი რაც ნაკლებს ლაპარაკობს, მით მეტს მუშაობს“, — აღნიშნეს აფხაზებმა ჩემთან საუბრისას...

მარინა აბირბა, *გაგრელი:*

— მეუღლე ქართველი მყავდა. ის ქართულ-აფხაზურ ომში დაიღუპა და ამის შემდეგ, შვილებთან ერთად, საცხოვრებლად მის ოჯახში წამოვედი. დევნილობაში რა პირობებში გვიწევდა ცხოვრება და რა დღეები გამოვიარეთ, ამაზე არ ვილაპარაკებ, რადგან ყველა დევნილს თითქმის ერთნაირი ამბავი აქვს მოსაყოლი და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. აფხაზეთში, ჩემს მშობლებთან პირველად 1994 წელს დავრეკე. მითხრეს, — შენი მეუღლის ცხედარი ვიპოვეთ და თქვენი სახლის სარდაფში დავმარხეთო. გამიხარდა. ვიფიქრე: იქნებ, ოდესმე მეღირსოს იქ დაბრუნება და მისი საფლავის ადგილსამყოფელი მაინც მეცოდინება-მეთქი... მოგვიანებით, როცა სიტუაცია ოდნავ დაწყნარდა, იქ ჩასვლაც გავბედე, მერე კი შვილებიც ჩავიყვანე და ჩემს მშობლებს ვანახვე. ჩემი ბიჭი სკოლას რომ ამთავრებდა, იმ წელს მითხრა: სწავლა სოხუმში უნდა გავაგრძელო და თან, მამაჩემის სახლსაც მივხედავო... მამაჩემმა არ მირჩია, — ქართველებისგან ამ ხალხს ბევრი ცუდი ახსოვს და ნუ გარისკავო. დავუჯერე. თან, ისიც გავითვალისწინე, რომ სოხუმის უნივერსიტეტში მიღებული განათლება პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავდა და ისედაც ნახევრად დაკარგულ სახლს, შვილის მომავალზე ზრუნვა ვარჩიე. მიუხედავად ამისა, სახლში მაინც ხშირად ჩავდიოდი. ჩემი შვილები იქაურ ბავშვებს შეეჩვივნენ, ახლობლები და ნათესავები იქ მყავდა, ეს კი ჩემს ხალხთან ურთიერთობის აღდგენაში მეხმარებოდა. მერე, ერთი-ორჯერ იქაურებსაც დასჭირდათ თბილისში ჩამოსვლა: ხან ექიმთან ჩამოვიდნენ, ხანაც უბრალოდ, საყიდლებზე. ჩვენც ხელი მოვუმართეთ, ვუმასპინძლეთ. ერთხელაც მითხრეს, — რაღას დადიხარ წინ და უკან? ჩამოდი და იცხოვრე შენს სახლში, ვინ რას დაგიშავებსო?! როგორც კი ზაფხული დადგებოდა, მე და ჩემი შვილები გაგრას მივაშურებდით ხოლმე. ასე მოხდა წელსაც, მაგრამ დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, მეზობლებმა მირჩიეს, — ბავშვებს ცოტა ხანი ნუ ჩამოიყვანო.

— ეი. დაძაბულობა უბრალო ხალხშიც იგრძნობა?

— დიახ... ბუნდოვნად მახსოვს, ქართულ-აფხაზურ ომამდე როგორი ვითარება იყო აფხაზეთში, ჩემს მშობლებს კი იმ პერიოდის გახსენებაც არ უნდათ. ამბობენ, — ყველა აფხაზურ ოჯახს, საწევროსავით, ყოველთვიურად იარაღისა და პროკლამაციებისთვის გარკვეულ თანხას ახდევინებდნენო... მაშინ სხვა განწყობილება იყო, ხალხს რაღაცის იმედი ჰქონდა, ახლა კი სხვანაირი სიტუაციაა. ხალხმა არ იცის, ვის ენდოს, ვის დაუჯეროს და ვის გაჰყვეს. ადრე ხელმძღვანელობის იმედი ჰქონდათ, ახლა კი დაინახეს, რომ ხელისუფლებასაც, ისევე, როგორც რუს ბიზნესმენებს, ისინი არაფერში სჭირდებათ. გაგრაში პანსიონატ „ოეკვარას“ გაყიდვაზე ლაპარაკობდნენ. ორმა აფხაზმა, რომლებსაც რუსეთში ბიზნესი ჰქონდათ, მოილაპარაკეს, — სხვა რატომ შემოვიყვანოთ? რამდენიმეწლიანი იჯარით ჩვენ ავიღოთ და ხალხი ვამუშაოთო. ადგილობრივმა მერიამ უარი უთხრა, — ხელისუფლებასთან უნდა შეევათანხმოთო, მერე კი უთქვამთ, — ტყუილად ნუ წვალობთ, ის პარკი რუს ბიზნესმენებს უნდა აჩუქონო... მართლაც, ცოტა ხანში სხვამ აამუშავა. ახლა ამბობენ, ვიღაც სომხის არისო, მაგრამ იქ სინამდვილეში, ვინ რას აკეთებს, ძნელი დასადგენია. ასეთმა დამოკიდებულებამ ხალხი უარყოფითად განაწყო. როგორც ვიცი, ერთი უბნის მილიციის განყოფილებას მეზობელი უბნის კოლეგებთან ცუდი დამოკიდებულება აქვს, რადგან სხვადასხვა ბიზნესში (ან სულაც, ერთ სფეროში) არიან და რაღაც ვერ გაიყვეს. ასე ხდება უშიშროებასა და მილიციას შორისაც. ერთმანეთთან ცუდი დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკურ პარტიებსაც. რაც უფრო მეტად იკიდებენ რუსები და სომხები აფხაზურ ბიზნესში ფეხს, მით ნაკლები თავისუფალი ადგილი რჩება ქალაქის ცენტრში. რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა იქაურ აფხაზებს შესთავაზეს, სახლი მოგვყიდეთ და დიდ თანხას გადაგიხდიდითო.

— როგორც ვიცი, ფული თქვენც შემოგთავაზეს...

— ახლობელმა აფხაზმა დამირეკა და მითხრა, — შენთან რაღაც საქმე მაქვს და ცოტა ხანში მანქანით გამოგივლიო. ეს ამბავი არ გამკვირვებია, რადგან ის ჩემი კლასელი იყო, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. ჭიშკართან რომ მოვიდა, შემოვიპატიჟე. იუარა, — 5 წუთის საქმეა, უცებ დავილაპარაკოთ და მერე ვიჭორაოთო. მეორე ქუჩაზე ვიღაცები ჩაგვისხდნენ. არ მესიამოვნა და ვკითხე: ნინა, რა ხდება-მეთქი? აფხაზურად მითხრა, — რა განერვიულებს, არაფერიც არ ხდებაო.

ლესელიძისკენ წავედით, რომელსაც ახლა უკვე ცაგრიფში ჰქვია. გზაში ნინამ შეპარვით დაიწყო: ისე, შენს სახლს რამდენად გაყიდიო?.. ვუპასუხე, — რას ამბობ, ხომ იცი, რის ფასად შევინარჩუნე ეს სახლი და ჩემთვის რასაც ნიშნავს-მეთქი?! მომიბრუნდა და მეუბნება: მარინა, ჩვენს ქვეყანაში მოვლენები ისე ვითარდება, აქ ქართველებს აღარ დაედგომებათო.

— **კი, მაგრამ თქვენ ხომ აფხაზი ხართ?!**

— მეუღლე ქართველი იყო, ქართველების დედა ვარ და დედაც ქართველი მყავს. ეს არასდროს დამიმალავს. ჩემი „ახლობელი“ მეუბნებოდა: — ადრე თუ გვიან ყველა ქართველს გაყრიან. ვინც ომის დროს არ წავიდა, ის კი არა, ვისაც „კრიშა“ არ ჰყავს, იმ აფხაზებსაც მოუწევთ საცხოვრებლის დატოვება, რადგან სოხუმისა და გაგრის სანაპიროზე „აფხაზური სამოთხე“ უნდა აშენდეს; ეს სოჭის ოლიმპიადასთანაა კავშირში, პროექტი უკვე არსებობს, „ზევით“ დაიწერა და ჩვენნაირი ხალხი მის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლისო. კანკალმა ამიტანა. ნინა, პირდაპირ მითხარი, რა გინდა-მეთქი?! — სახლი უნდა მომყიდო. ისეთ ფასს გადაგიხდი, რომ თბილისში ოროთახიანი ბინა მაინც იყიდო. თავიდან უარზე ვიყავი, მაგრამ ის მუქარაზე გადავიდა. სადღაც მიტოვებულ სახლში შემიყვანეს, სადაც ნოტარიუსი დამხვდა. როგორც გავიგე, ის და ვიღაც რუსი სამხედრო ჩემს სახლში სასტუმროს მოწყობას აპირებდნენ. საბუთებზე ხელი მომაწერინეს და იმ ტანსაცმლით, რაც მეცვა, ენგურის ხიდამდე მიმიყვანეს.

— **თანხა არ გადაგიხადეს?**

— ნაწილი მომცეს, მეორე ნაწილს კი, როგორც ნინამ მითხრა, დედაჩემს მეორე დღესვე გაუგზავნიდა. მან გამაფრთხილა, — ჩემ შესახებ კრინტი არ დაძრა, თორემ შენს მშობლებსაც პრობლემები შეექმნებათო... ეს იყო მარტის შუა რიცხვებში, ახლახან კი დამირეკეს და მითხრეს: თქვენი სახლის გადაფორმებასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა; ეჭვი გვაქვს, რომ გადაფორმება ზეწოლის ქვეშ მოხდა და თქვენც უნდა დაგკითხოთო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რეაქცია მექნებოდა? აფხაზეთში მილიციისა და სამართლის ვის სჯერა, იქ ხომ აშკარა რეკეტია და მათი არც მე დავიჯერე, მაგრამ მალე დედაჩემმაც დამირეკა. მითხრა: შვილო, რაღაცები მართლა ირკვევა; იმ დღეს სახლში რომ არ მოხვედი, მეზობლის გოგოს მილიციაში დაურეკავს და მათთვის მანქანის ფერი და ნომერი უთქვამსო. გულმა არ მომითმინა



სოხუმისა და გაგრის სანაპიროზე „აფხაზური სამოთხე“ უნდა აშენდეს

და შვილების წინააღმდეგობის მიუხედავად, წავედი... ახლაც ცრემლები მადგება, ჩემი მეზობლების თანადგომა რომ მახსენდება. ეს ხალხი ან იმას მიხვდა, რომ ქართველი მათი მტერი არ არის, ან საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსს აფხაზეთში თავისი ინტერესები აქვს. ერთი სიტყვით, გაგრის მილიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩემი სიმართლე დაემტკიცებინა.

— **სახლი დაგიბრუნეს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახლის გამო ლამის მეორე ომი დაიწყო, რადგან ნინას ის რუს სამხედრო პირზე ჰქონდა გადაფორმებული, მაინც დამიბრუნეს და მეც, რა თქმა უნდა, ნინას ფული უკან გავუგზავნე... იცით, რას ნიშნავს ეს ამბავი ჩემთვის და იქაური ქართველებისთვის?! ყველაფერს ვიფიქრებდი და ამას ვერაფრით წარმოვიდგენდი, თავი დღემდე სიზმარში მგონია.

— **ქალბატონო მარინა, ადგილობრივ სამართალდამცველებს ხომ არ შეჰქმნიათ პრობლემები?**

— იქ პრობლემები ყველას აქვს, მშვიდად და უზრუნველად არავინ ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში, ასეა ქალაქში, სადაც რუსული კაპიტალი ტრიალებს. ქუჩაში გაივლით თუ არა, ეგრევე მიხვდებით, რა დღეშია ხალხი...

ალიბარი, *33 წლის, სოხუმელი აფხაზი:*

— აფხაზეთში კარგი რომ არაფერი ხდება, ეს შორიდანაც აშკარად ჩანს. კურორტი, დასვენება და ტანკი ერთად — ვის გაუგონია?!. ამდენი იარაღი შემოზიდეს და აფეთქებები მოხდება, აბა, რა იქნება?! ვინ და რა ჯიშის ხალხი შემოიყვანეს და შემოჰყავთ, კაციშვილი ვერ გაიგებს. აფეთქებების შესახებ იმიტომ გაიგეთ, რომ ხალხი დაიხოცა, თორემ ქალაქის ცენტრში თითქმის ყოველღამე რომ „პერესტრელკებია“, ამაზე არავინ არაფერს ამბობს. ეს ჩვენი მთავრობა თუ ქართულ მხარეს დააბრალებს ყველაფერს, ამით საქმე მოგვარებული ჰგონია. ხალხის ცხოვრების პირობები ყოველდღიურად უარესდება. ადრე ზღვის სეზონზე აღებული ფული შუა ზამთრამდე მაინც მყოფნიდა, ახლა სამხედროების ოჯახის წევრები შემომისახლეს და დამსვენებლების მიღება კი არა, მე სად წავიდე, ის არ ვიცი. ქალაქის ხელმძღვანელებს რომ შევჩივლე, — რას გვიკეთებთ, ბატონო, რა უბედურებაა ეს ამდენი ჯავშან-ტექნიკა ან რა ხმაურია, როგორ უნდა ვიცხოვროთ-მეთქი? მიპასუხეს: თუ აქაურობა არ მოგწონს, სადაც გინდა, იქ წადიო. — სად უნდა წავიდე-მეთქი? — სოფელში, სადაც სიწყნარეაო... სოფელში ცხოვრება სამარცხვინო კი არაა, მაგრამ რატომ უნდა წავიდე, მასახლეებენ? ადრე გვეუბნებოდნენ, — ცოტა ხანი მოითმინეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო, ახლა სიტყვითაც არაფერს გვპირდებიან. ვიღაც რუსი გამოდის და მეუბნება, — ჩვენ თქვენზე ვზრუნავთო და თან, ულვაშებში ეღიმება. მეორე დღეს კი მოდის, სახლკარს მართმევს და მთისკენ იშვერს თითს, — იქ უკეთესად იცხოვრებო. ზოგჯერ ვფიქრობ, ახია ჩემზე-მეთქი...

— **დაპირისპირება ახსენეთ. ძირითადად, ვის შორის ხდება უთანხმოება?**

— ძნელი გასარკვევია, მაგრამ ქვეყანაში, სადაც პროკურატურა, მილიცია და უშიშროება ერთმანეთს არის გადაკიდებული, რა სამართლის პოვნაზეა ლაპარაკი?! მილიცია და რუსი სამხედროები შეთანხმებულად მუშაობდნენ, უშიშროება კი ერთი პერიოდი თავისთვის იყო, მაგრამ სახელმწიფომ იარაღი თუ არ მიაწოდა და ხელფასი არ გადაუხადა, რა უნდა გააკეთონ?.. რუსებმა ბოლო დროს ყველაფერი აურ-დაურიეს, ერთმანეთშიც კი ვერ თანხმდებიან. ვინ ვისი მომხრეა, ვერ გაიგებ. სამშვიდობოების რიცხვი ყოველდღე იზრდება და ამბობენ, — წესრიგი უნდა დამყარდესო, მაგრამ პირიქით ხდება. ყველას ფულის შოვნა უნდა. თან იციან, რომ აქ ყველაფერი მისაღებია და უკან არაფერზე იხევენ. ხელისუფლება ამბობს, — ესენი აქ თქვენი უსაფრთხოებისა და კარგად ყოფნისთვის არიანო, — მაგრამ უკვე ყველა ხედავს, რომ ქვეყანაში საქმე ჩვენი კარგად ყოფნისკენ არ მიდის. ყველანაირად ცდილობენ, შეგვავიწროონ და აქედან გასაქცევად გაგვიხადონ საქმე. აფხაზეთი ყოველდღიურად ცოცხლდებაო, რომ ამბობენ, რას ნიშნავს — ცოცხლდება? ყოველდღიურად ვლატაკდებით! თუ კრიმინალი არ ხარ, პერსპექტივა არ გაქვს. აფხაზეთში პატიოსანი კაცი აღარ დარჩა. ისეთი ხალხი იქცა რუსების დაკვეთის შემსრულებლად, რომ თავი სიზმარში მგონია. რაც მეტი რუსული ფული შემოდის, უფრო ფუჭდება აქაურობა. ერთმანეთს აფეთქებენ და ქართველ სპეცსამსახურებს აბრალებენ. ქართველისგან მტრის ხატის შექმნა დიდხანს ვერ გაჭრის და ერთხელაც იქნება, ხალხში ეს უკმაყოფილება ამოხეთქავს და მერე, ვერც სომხისა და ვერც რუსის ფული ვეღარ გაგვაჩუმებს. ერთი მერცხალი რომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს, კი ვიცი, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ■

გაამხელილი „საიდუმლო"

ანუ „ჩვენ სულ თავლობის თვე გვექნება"

ბოლო პერიოდში, მოდელ ანუკა არეშიძისა და ფეხბურთელ კახა კალაძის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ არაერთი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა დაიბეჭდა, თავად წყვილი კი ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებდა. რამდენიმე დღის წინ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ანუკამ და კახამ ოჯახი შექმნეს და ინფორმაციის გადასამოწმებლად, მოდელის დედას — ქალბატონ ნინოს დავუკავშირდით, მოგვიანებით კი კომენტარი თავად პატარძალს ვთხოვეთ.

ქალბატონი ნინო

თამუნა პეტრიაშვილი

— ქალბატონო ნინო, როგორც ვიცით, ანუკა და კახა მილანში დამეგობრდნენ...

— დიახ, მათ ერთმანეთი საზღვარგარეთ გაიცნეს. ანუკას მილანის სამოდელო სააგენტოდან მიწვევა მოუვიდა, სადაც 10 იანვარს გაემგზავრა კიდეც. იქ სამი თვის განმავლობაში უნდა ემუშავა. მე და ჩემი მეუღლე — ბადრი ძალიან ვნერვიულობდით. ჩვენსა და კახას ოჯახს ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ბადრიმ ერთ-ერთ მათგანს სთხოვა, — იქნებ, კახას უთხრა, რომ ჩვენს გოგონას ყურადღება მიაქციოსო. ანუკამ მილანიდან პირველად რომ დამირეკა, დათრგუნვილი მომეჩვენა. მითხრა, — პარიზის შემდეგ, აქაური გარემო ძალიან ცივად მეჩვენებაო (*ვიდრე მილანში წავიდოდა, ანუკა რამდენიმე ხნით პარიზში იყო ჩასული, სადაც ძალიან თბილად მიიღეს. — ავტ.*). თურმე აგენტი, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა, ყველაფერს (თქვენ წარმოიდგინეთ, ტელეფონით ლაპარაკს და ინტერნეტით სარგებლობასაც კი) უკონტროლებდა. გარდა ამისა, მას ენობრივი ბარიერიც უშლიდა ხელს და იმისთვის, რომ ქალაქს გასცნობოდა, მხოლოდ ერთი კვირა ჰქონდა... ანუკის მილანში გამგზავრებამდე ვთხოვეთ, — ჩასვლისთანავე კახასთვის დაერეკა, მაგრამ სასტიკი უარი გვითხრა, — კალაძეს ყველა გოგო კისერზე ეკიდება, „კალთას ახევს" და მას ნამდვილად არ ვათქმევინებ, რომ ანუკა არეშიძეც ასეთი გოგონების რიცხვს მიეკუთვნებაო.

— მიუხედავად ამისა, მათ ერთმანეთი მაინც გაიცნეს...

— ანუკამ 2 დღის მერე დამირეკა და მითხრა, — კახა გავიცანი, კალაძე. იცი, ცივ გარემოში მოვხვდი და ვინმესთან ლაპარაკი ძალიან მჭირდებოდა. აქ კი მის გარდა ვერავის დაველაპარაკებოდიო. თურმე, მესიჯი გაუგზავნა: ანუკა ვარ, არეშიძე და მილანში ვიმყოფებიო. კახას მისთვის მალევე გადმოურეკავს და კაფეში დაუპატიჟებია. მოგვიანებით, მან ანუკი ბიზნესშეხვედრაზეც წაიყვანა, მეორე დღეს კი თამაში ჰქონდა, რომელიც მისმა გუნდმა მოიგო და ანუკა აღმოჩნდა ბანკეტზე, სადაც გაიცნო კაკა, გატუზო, ბერლუსკონი (*შეგახსენებთ, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრი ბერლუსკონი საფეხბურთო კლუბ „მილანის" მფლობელიცაა. — ავტ.*). იმ დღეს ანუკა შინ გვიან დაბრუნებულა, რის გამოც მისთვის სააგენტოში საყვედური უთქვამთ. თურმე, დასჯასაც უპირებდნენ. ჩემს შვილს სააგენტოს წარმომადგენლისთვის აუხნია, რომ იყო ქვეყნიდან, სადაც ყველა ყველას იცნობს, რომ კახა მისი მეგობარია და მიპატიჟებაზე უარს ვერაფრით ეტყოდა.

კახა მისი მეგობარია და მიპატიჟებაზე უარს ვერაფრით ეტყოდა



იმ დღეს ანუკა შინ გვიან დაბრუნებულა, რის გამოც მისთვის სააგენტოში საყვედური უთქვამთ

— თქვენ თუ ხვდებოდით, რომ ანუკა შეყვარებული იყო?

— თავიდან მათი ურთიერთობა მხოლოდ მეგობრობით შემოიფარგლებოდა. გაცნობიდან დაახლოებით ერთიორი თვის შემდეგ კი ანუკას ხმაზე შევატყვე, რომ ძალიან ბედნიერი იყო. ვკითხე, — თქვენ შორის რამე ხომ არ ხდება-მეთქი? მიპასუხა, — არაფერი. უბრალოდ, მეგობრები ვართო, მაგრამ შვილი დედას ვერაფერს გამოაპარებს. მივხვდი, ის „არა" „ჰო"-ს ნიშნავდა.

— როდის გამოგიტყდათ, რომ შეყვარებული იყო?

— ეს ამბავი მაშინ გამიმხილა, როცა თბილისში, კონტრაქტის გასაგრძელებლად ჩამოვიდა. ანუკას არ ეძინა, არ ჭამდა. ვხვდებოდი, კახა ენატრებოდა. ანალოგიურ სიტუაციაში ყოფილა კახაც. ერთმანეთს ტელეფონით საათობით ელაპარაკებოდნენ... ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდა მილანში, რადგან ერთმანეთის გარეშე ძალიან იტანჯებოდნენ და ჩემთვის ამის ყურება ძნელი იყო.

— პირველად როდის შეხვდით კახას?

— აპრილში კახას არდადეგები დაეწყო და ანუკამ დამირეკა, — კახა აქ არ მტოვებს და მოვდივართ, აეროპორტში დაგვხვდითო. აეროპორტიდან პირდაპირ კალაძეების ოჯახში წავედით, სადაც სუფრა დაგვხვდა გაშლილი... იმ დღეს ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და ორ დღეში ნიშნობაც ჰქონდათ. შემდეგ წყვილი უკრაინაში, მერე კი დუბაიში გაემგზავრა.

— კახამ ქალიშვილის ხელი როგორ გთხოვათ?

— სპეციალური ტექსტი არ მოუმზადებია, ყველაფერი ბუნებრივად მოხდა.

— სიძე როგორ მოგმართავთ?

— სახელით... ის უაღრესად კეთილშობილი და კარგად აღზრდილი ყმაწვილია.

— ქალბატონო ნინო, თქვენი შვილისა და სიძის ურთიერთობის

26014

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ ათასნაირი ჭორი გავრცელდა. მართალია, რომ ანუკა მოდელობას თავს ანებებს და მილანში სამოდელო სააგენტოს ხსნის?

— კახას მოთხოვნით, მოდელობას მართლაც ანებებს თავს. რაც შეეხება სააგენტოს გახსნას, მეუღლემ ეს ნამდვილად შესთავაზა, მაგრამ ანუკას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. მითხრა, — თუ ფსიქოლოგიურად მოვემზადე იმისთვის, რომ პოდიუმს „შორიდან" ვუყურო, მაშინ კახას წინადადებას დავთანხმდები და ქართველ მოდელებს გზის გაკვლევაში დავეხმარებიო.

— როგორც ვიცი, სანამ კახას მეუღლე გახდებოდა, ანუკას დაცვა დაჰყვებოდა...

— ეს იმიტომ, რომ მოტაცებით ემუქრებოდნენ. ამქვეყნად ბოროტ ადამიანს რა გამოლევს? ანუკასა და კახას შესახებ უამრავი სისაძაგლე თქვეს და თქვენ წარმოიდგინეთ, მათ რამდენჯერმე „სკაიპიც" „გაუტეხეს". რას ეძებდნენ, არ ვიცი.

— კონტრაქტის მიხედვით, ანუკას გათხოვება არ ეკრძალებოდა?

— სამოდელო სააგენტოსთან 1-წლიანი კონტრაქტი გვქონდა გაფორმებული. ამ დროის განმავლობაში ანუკას გათხოვება მართლაც ეკრძალებოდა (სხვათა შორის, კონტრაქტზე ხელი მშობლებსაც მოგვაწერინეს). ეს დრო ამოიწურა და შესაბამისად, ამ ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა...

ქალბატონ ნინოსთან საუბრის შემდეგ, ტელეფონით თავად ანუკას დავუკავშირდით...

— ანუკა, გილოცავ! გათხოვილი ქალის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— გმადლობ. ძალიან ბედნიერი ვარ.

ძალიან მინდა, ოთხი შვილი მყავდეს: ორი ბიჭი და ორი — გოგო

ახლა ქობულეთში ვართ (*ინტერვიუ ჩაწერილია 7 ივლისს. — ავტ.*), ხვალ კი კიევში მივფრინავთ და არ ვიცი, როდის დავბრუნდებით.

— თქვენს ურთიერთობას რატომ ასაიდუმლოებდით?

— ხომ გაგიგონია, — სიყვარულსა მალვა უნდაო (*იცინის*)!

— ქორწილს როდისთვის გეგმავთ და თუ გაქვს გადაწყვეტილი, საქორწინო კაბა ვის უნდა შეაკერინო?

— კახა ეკლესიას აშენებს. მშენებლობა მალე დასრულდება და ჯვარს სწორედ იქ დავიწერთ. სავარაუდოდ, ეს სექტემბრის ბოლოს მოხდება. რაც შეეხება საქორწინო კაბას, მას ალბათ, საზღვარგარეთ შევიკერავ.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— ძალიან მინდა, ოთხი შვილი მყავდეს: ორი ბიჭი და ორი — გოგო.

— რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც კახას გაჰყევი ცოლად?

— ახლა ერთმანეთი უფრო შეგვიყვარდა.

— შენი მეუღლე ეჭვიანია?

— ცოტათი (*იცინის*).

— კახას ოჯახმა როგორ მიგიღო?

— ძალიან კარგად. მისი მშობლები უსაყვარლესი ადამიანები არიან. სხვათა შორის, როცა ვინმე მაბრაზებს, მას ჩემი მამამთილით ვემუქრები (*იცინის*).

— მეჯვარეები თუ გყავთ არჩეული და ქორწილის გადახდას სად გეგმავთ?

— იმას, თუ ვინ იქნებიან ჩვენი მეჯვარეები, საიდუმლოდ დავტოვებ. ამას ყველა იბრალებს, მაგრამ ვინც ნამდვილად ჩვენი მეჯვარე იქნება, ხმას არ იღებს. ქორწილს ალბათ, თბილისში გადავიხდით.

— თაფლობის თვის გატარებას სად აპირებთ?

— ჩვენ სულ თაფლობის თვე გვექნება...

როცა ვინმე მაბრაზებს, მას ჩემი მამამთილით ვემუქრები

ლაშა თაბაგარი

ანუკა არეშიძისგან განსხვავებით, კახა კალაძე პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით საუბრისას, უკიდურესად სიტყვაძუნწია და საკუთარ საქმიანობაზე ლაპარაკს ამჯობინებს. და ამ ინტერვიუშიც, რომელიც მის მიერ „კალა ფონდის" პრეზენტაციის დღეს ჩავწერეთ, დაოჯახებასთან დაკავშირებით, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გამოიმეტა...

კახა კალაძის განცხადებით, „კალა ფონდის" მიზანი — მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების თანადგომაა. ფონდი ძირითადად, 3 მიმართულებით იმუშავებს: სპორტის განვითარება, განათლების ხელშეწყობა და სოციალური პროგრამები;

სპორტის ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური სკოლების დაარსებასა და მათი განვითარების ხელშეწყობას გეგმავს.

საქველმოქმედო საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებს „პროგრესბანკი". გარდა ამისა, ფონდის სტრატეგიული პარტნიორი იქნება ფონდი „მილანი", რომელიც 2003 წელს საფეხბურთო კლუბმა „მილანმა" დააფუძნა და სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეხმარება.

„კალა ფონდის" ეგიდით დაგეგმილია 21 წლამდე ასაკის საფეხბურთო გუნდების ტურნირი, რომელშიც იტალიელი, უკრაინელი და ქართველი ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას. განხორციელდება ერთობლივი პროექტები, მილანის მუნიციპალიტეტთან და ისეთ ფონდებთან ერთად, როგორებიცაა: „ბავშვები კრიზისში", იტალიური ბანკის „ინტეზას" ფონდი „კარიპლო", „დონ ნოქის" ფონდი.

„ამ ფონდის დაარსების იდეა კახა კალაძეს ეკუთვნის, დიდი გულის მქონე ქართველს, რომელსაც სურს, გაჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროს. ფონდის შექმნის თაობაზე აზრი ერთი წლის წინ წარმოიშვა. ჩვენი ძირითადი მიზანი — ბავშვთა სახლების დახმარება და მოზარდებისთვის სპორტში წარმატებების მისაღწევად ხელშეწყობაა. ფონდმა მოამზადა პროექტი, რომელსაც „საქართველოს პროექტი" ეწოდება", — განაცხადა პრეზენტაციაზე „კალა ფონდის" აღმასრულებელმა დირექტორმა ლორენცო ჩიპრიანიმ.

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთ მნიშვნელოვან პროექტში ვმონაწილეობ. ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა, ჩემი და კახას მეგობრობის გაგრძელებაა. ამიტომ, ბედნიერი ვარ, რომ ფონდს საკუთარი გამოცდილება შემიძლია მოვახმარო. უკვე დავიწყეთ იმ პროექტებზე მუშაობა, რომლებიდან შემოსული თანხაც „კალა ფონდში" ჩაირიცხება. ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, კალაძის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემაა, რომლის გაყიდვიდან შემოსული თანხაც საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. ჩვენ აგრეთვე მივაღწიეთ შეთანხმებას ფილმების მწარმოებელ კომპანიასთან, რომელიც საჭირო სახსრების შეგროვებაში დაგვეხმარება — სხვადასხვა

ქვეყნოქმედება ფეხბურთისა და ახალგაზრდობის სასიკეთოდ

მალე ჯახა ჯალაძის ავტობიოგრაფიულ წიგნს ვიხილავთ

ღონისძიებას გამართავს და თანხებს ისე შეაგროვებს“, — *აღნიშნა ფონდის წევრმა ლუკა სერაფინიმ.*

პრეზენტაციის შემდეგ თავად ***ჯახა ჯალაძეს*** *ვთხოვეთ ინტერვიუ და ბუნებრივია, ეს შესაძლებლობა ქართული ფეხბურთისთვის აქტუალურ თემებზე სასაუბროდ გამოვიყენეთ.*

— საქართველოს ნაკრებში მიმდინარე პროცესების შესახებ რა აზრის ხართ?

— ამჟამად გუნდის მთავარი მწვრთნელის მოძიების პროცესი მიმდინარეობს. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ეროვნულ ნაკრებს თავკაცი ეყოლება. მე პირადად, გუნდში ლონდონის „ჩელსის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის, აბრაამ გრანტის დანიშვნის მომხრე ვარ. მაგრამ ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია.

— გრანტის კანდიდატურას რატომ ანიჭებთ უპირატესობას?

— ამ მწვრთნელმა ბევრი ტალანტი აღმოაჩინა...

— 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სექტემბერში იწყება და რამდენად მისაღებია ის ფაქტი, რომ ნაკრებს ჯერჯერობით მწვრთნელი არ ჰყავს?

— ალბათ, როდესაც დიდი არჩევანია, საბოლოო არჩევანის გაკეთება ძნელია.

— მომავალ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენს ეროვნულ გუნდს წარმატების შანსი თუ აქვს?

— ერთია — რას წარმოადგენს მეტოქე „ფურცელზე“ და სულ სხვაა — რა თამაშს უჩვენებს მოედანზე. ჩემი აზრით, ჯგუფში იოლი არც ერთი მატჩი არ იქნება. საქართველოს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოდის, რასაც მივესალმები.

— შოთა არველაძემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა და ნაკრები მაღალი დონის თავდამსხმელის გარეშე დარჩა... განვლილი სეზონის მიწურულს მუხლის ტრავმამ შეგაწუხათ, რის გამოც, ნაკრების მიერ ესტონეთთან და პორტუგალიასთან ჩატარებული ამხანაგური მატჩები გამოტოვეთ...

— ჯერჯერობით, ოპერაცია არ მჭირდება და ნემსებით ვმკურნალობ. უკვე ორი ინიექცია გავიკეთე და იტალიაში რომ ჩავალ, კიდევ ერთს გავიკეთებ. დეკემბრამდე სრულფასოვნად ვარჯიში და თამაში შემეძლება.

— წინა სეზონში „მილანის“ წარუმატებელ გამოსვლას რით ახსნით?

— ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს და მსგავსი რამ მოუვიდა „მილანსაც“, რომელმაც ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. საერთოდ, არა მარტო ფეხბურთში, არამედ ცხოვრებაშიც ასეა — სულ წარმატებული ვერ იქნები. საწყენია, რომ საუკეთესო ოთხეულში ვერ მოვხვდით და ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშებთ. ვეცდებით, უეფას თასი და იტალიის ჩემპიონტი მოვიგოთ. „მილანმა“ ესპანეთის „ბარსელონიდან“ ჯანლუკა ძამბროტა, ხოლო ინგლისის „არსენალიდან“ — მეთიუ ფლამინი დაიმატა. მიმდინარეობს მოლაპარაკება რონალდინიოსა და ადებაიორთანაც.

— ევროპის ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრების გამარჯვება რამდენად ლოგიკური იყო?

— ესპანელებს მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავთ და ლამაზ ფეხბურთს უჩვენებდნენ. ფინალი გერმანიამ კარგად დაიწყო, მაგრამ ესპანეთმა საუცხოოდ ითამაშა და მეტოქეს გამარჯვების შანსი არ დაუტოვა.

— ახლა ნება მომეცით, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებითაც დაგისვათ კითხვა: როგორც ცნობილი გახდა, მილანის სამოდელო სახლ „ელიტის“ მოდელ ანუკი არეშიძეზე დაქორწინებას აპირებთ...

— ნამდვილად ასეა. მე და ანუკი ერთად ვართ, მაგრამ არ შეესაბამება სიმართლეს, რომ ანუკი „ელიტის“ ჩვენებებზე გავიცანი და დუბაიში დასასვენებლად ერთად ვიყავით. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით...

ჯემალ ჭკუასელი:

– „გზა“ ძალიან მომწონს და შესაბამისად, მას ხშირად ვეცნობი. თქვენი ფორმატის სხვა ჟურნალებისგან სერიოზულობით გამოირჩევით. კარგი იქნება, თუ მეტ ყურადღებას დაუთმობთ ხელოვნებას, კულტურას. „გზის“ ჟურნალისტებისთვის ინტერვიუს მიცემის არასდროს მეშინია, რადგან ვიცი, ზუსტად ის დაიბეჭდება, რასაც ვილაპარაკებ, ეს კი თქვენს პროფესიონალიზმზე მეტყველებს. კარგი იქნება, თუ ბეჭდვის ხარისხს გააუმჯობესებთ. ტირაჟის მატებასა და წარმატებებს გისურვებთ! აქვე, ერთ პატარა რჩევასაც მოგცემთ: პერიოდულად მაინც წადით რეგიონებში და ინტერვიუები გლეხებთან ჩაწერეთ. მერწმუნეთ, ისინი არანაკლებ საინტერესო რესპონდენტები იქნებიან. სოფლად ბრძენი ხალხი ცხოვრობს!..

„ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა განიხილება"

პაატა დავითაიას სუსტი წერტილი

მან სკოლა თურმე 5-ებზე დაამთავრა. დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა ყოველთვის იზიდავდა. ალბათ, ამ ინტერესმა განსაზღვრა მისი შემდგომი პროფესიაც. ის ახლაც იურიდიულ ლიტერატურას კითხულობს (საერთაშორისო სამართალი, ხელშეკრულებები, კონვენციები — ეს მისთვის ყველაზე ნაცნობი თემებია). პოეზია არასდროს ჰყვარებია, რის გამოც მასწავლებელი ხშირად შენიშვნას აძლევდა. აღიარებს, რომ წიგნი მაღაზიიდან ან ახლობლის ოჯახიდან არა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ერთ-ერთი ბიბლიოთეკიდან მოიპარა. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მოხევე ლელთღუნიასთან (ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები"), ურთიერთობის სურვილს გამოთქვამს. აცხადებს, რომ დიდი სამეგობრო წრე ჰყავს, მათ შორის პოლიტიკოსებიც არიან. გულღია ადამიანი ვარ, ყოველთვის ღია თამაშს ვთამაშობ, რაც პოლიტიკაში წამგებიანია, — ამბობს და იქვე დასძენს, — ასე იმიტომ, ვიქცევი, რომ ღამე მშვიდად დავიძინოო. მაშ ასე, „ერუდიტის" სტუმარია პოლიტიკური გაერთიანების — „ჩვენ თვითონ" ლიდერი, პარლამენტარი პაატა დავითაია.

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო პაატა, ეს თქვენი ახალი კაბინეტია, როგორ გრძნობთ თავს საკანონმდებლო ორგანოში?

— პასუხისმგებლობის გრძნობა გაიზარდა. პირველ დღეს ძალიან ვინერვიულე. ძირითადი მიზეზი, რის გამოც მე პარლამენტში შევედი, აფხაზეთის საკითხი იყო. ცუდია, რომ ბევრმა ძლიერმა ოპოზიციონერმა მანდატზე უარი თქვა.

— ამჟამად პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბრძანდებით. ამავე დროს ვრცელდება ხმები, ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე თქვენი შესაძლო არჩევის შესახებ. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

— იმ კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, რომელიც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს, ფრაქცია შეუძლია, 6-მა დეპუტატმაც ჩამოაყალიბოს. ის ოპოზიციური ფრაქცია, რომელიც დღეს პარლამენტშია — „ძლიერი საქართველო — ქრისტიან-დემოკრატები" 12 წევრისგან შედგება. სავარაუდოდ, სექტემბრისთვის ეს ფრაქცია დაიშლება. „ქრისტიან-დემოკრატები" ცალკე დარჩებიან, ხოლო „ჩვენ თვითონ" და 4 უპარტიო დეპუტატი ახალ ფრაქციას ჩამოვაყალიბებთ. დღეს საპარლამენტო ოპოზიციიდან ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე ბატონი ლევან ვეფხვაძეა წარდგენილი. ფრაქციის დაშლის შემდეგ, ბუნებრივია, ის თანამდებობას შეინარჩუნებს, ხოლო ახალი ფრაქციიდან ჩემი კანდიდატურა განიხილება.

— თქვენს ახალ ფრაქციას ვინ უხელმძღვანელებს?

— „ქრისტიან-დემოკრატები" ფრაქციის თავმჯდომარეს თავად აირჩევენ, ხოლო „ძლიერი საქართველოს" ფრაქციას გია თორთლაძე უხელმძღვანელებს.

— ახლა კი, დროა, ჩემ მიერ მომზადებულ კითხვარზე გადავიდეთ.

— ეს რუბრიკა ვიცი; სიმართლე გითხრათ, ცოტა დაძაბული ვარ, არ ვიცი, თავს როგორ გავართმევ.

— ცნობილი ქართველი მწერლის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით, რომელი დიდებული ადამიანი დაიკარგა უძეგლოდ?

— ვერ გეტყვით.

— მიგანიშნებთ, ის ნიკო ლორთქიფანიძის ერთ-ერთი ნოველის პერსონაჟია. ეს ნოველა შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან".

— მაინც ვერ გიპასუხებთ.

— თავსაფრიანი დედაკაცი... გიორგი ბრწყინვალეს ბრძანებით და მონაწილეობით შეიქმნა სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის მთიან რეგიონებში მცხოვრებთათვის იყო განკუთვნილი. რა ერქვა კანონთა ამ კრებულს?

— სამართალი — ჩემი სფეროა. ამ კრებულს „ძეგლის დადება" ერქვა.

— ფოთოლცვენისას ტოტების წვერზე განლაგებული ფოთლები ხეს ყველაზე გვიან სცვივა. რატომ?

— იმიტომ, რომ... (*ფიქრობს*) ტოტების წვერზე „ახალგაზრდა ფოთლებია". ასეა?

— გამოიცანით. დედამიწაზე ხარობს ხე, რომელსაც ხანძრის არ ეშინია. რომელია ეს ხე?

— ვიცი, მას მსხვილი ღერო აქვს და აფრიკაში ხარობს. წვიმიან ამინდში ხე წყალს ღეროში ინახავს.

— ამდენი ილაპარაკეთ და იმ ხის სახელი მაინც არ მითხარით. არ გახსოვთ?

— გავიხსენებ (*ფიქრობს*) მგონი, ბაობაბი ჰქვია.

— დიახ, რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი?

— (*ფიქრობს*).

— ჰელსინკის გარდა ამ ზღვის სანაპიროზე მდებარეობს — ტალინი, სტოკჰოლმი, კოპენჰაგენი...

— ბალტიის ზღვის.

— რა ჰქვია ქალაქის მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირს გერმანიაში?

— ბურგომისტრი.

— სად მდებარეობს ტიბეტის მთიანეთი?

— ცენტალურ აზიაში, მისი უმეტესი ნაწილი ჩინეთის ტერიტორიაზეა.

— ფართობის მიხედვით, რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანა?

— რუსეთი.

— რომელი ტაძარია ნახსენები გალაკტიონის ცნობილ ლექსში — „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში"?

— პოეზია — ეს ჩემი სუსტი წერტილია.

— „...შეიმოიჭრება სიონში სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს...“ აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?

— „გამზრდელის“.

— სულხან-საბა ორბელიანი 1725 წელს გარდაიცვალა. სად არის იგი დაკრძალული — ტანძიაში, მთაწმინდაზე, მირგოროდში თუ ვსესვიატსკოეში?

— ვსესვიატსკოეში.

— რომელი ტომების თავდასხმისგან დასაცავად ააგეს ჩინელებმა დიდი კედელი?

— მონღოლებისგან თავის დასაცავად.

— საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს ზედაზნის მონასტერი?

— ქართლში.

— რა ტიტულს ატარებდა ლამაისტური ეკლესიის მეთაური ტიბეტში?

— დალაი-ლამა.

— თურქეთის რომელი ქალაქის ძველი სახელწოდებაა სმირნა?

— არ მახსოვს.

— იზმირის. რომელ წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირი?

— 1922 წელს.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელ ოკეანეში მდებარეობს კუნძული მადაგასკარი?

— წყნარ ოკეანეში.

— ცდებით. ინდოეთის ოკეანეში. ჩამოთვალეთ ქრონოლოგიურად რომის იმპერატორები: კალიგულა, ტიბერიუსი, კლავდიუსი, ნერონი.

— რომის ისტორია კარგად ვიცი. ჯერ იყო ტიბერიუსი, შემდეგ კალიგულა, კლავდიუსი და ნერონი.

— ყოჩაღ! რამდენქიმიანია თურქეთის დროშაზე გამოსახული ვარსკვლავი?

— 5-ქიმიანი.

— რა ერქვა 20-ფრანკიან ოქროს მონეტას, რომელსაც ნაპოლეონ I-ის დროს, საფრანგეთში ჭრიდნენ?

— მისი სახელწოდება ნაპოლეონთან კავშირში იყო, ზუსტად არ მახსოვს.

— ნაპოლეონდორი. რა ერქვა მაუგლის მეგობარ მგელს?

— (*იცინის*) აკელა.

— რომელი სახელმწიფოს დროშას არ აქვს ჰორიზონტალური ზოლები: გერმანიის, პოლონეთის, იტალიის თუ ლიტვის?

— იტალიის, მას სამი ვერტიკალური ზოლი აქვს.

— დაასახელეთ ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი.

— ფხენიანი.

— რას მივიღებთ, თუ 1-იანს 12 ნულს მივუწერთ?

— ციფრს, რომელსაც ვერ დაგისახელებთ.

— ტრილიონს. რამდენი წლით უფროსი იყო დარეჯანი ლუარსაბზე?

— არ ვიცი. ალბათ 20 წლით.

— ცდებით. 1 წლით უფროსი იყო. ტელეფონის გამომგონებელ ალეგზანდერ ბელს არასდროს ულაპარაკია დედასთან. რატომ?

— ვერ გეტყვით.

— დედამისი ყრუ იყო. ამ ქვეყანას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. მას 2 ოკეანე ესაზღვრება, ამასთანავე, მისი სახმელეთო საზღვარი ორ კონტინენტზე გადის. რომელია ეს ქვეყანა — რუსეთი, ინდონეზია თუ პანამა?

— რუსეთი და ინდონეზია უნდა გამოვრიცხოთ. ე.ი. სწორი პასუხია — პანამა.

— დიახ. სად მდებარეობს ულამაზესი მავზოლეუმი ტაჯ-მაჰალი?

— ინდოეთში.

— რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?

— უშბა არ არის, რომელია? (*ფიქრობს*) გია მაინც იყოს ჩემთან, დამეხმარებოდა. ზარი ახლობელთან შეიძლება?

— არა, თქვენ თვითონ უნდა უპასუხოთ.

— სამწუხაროა. ჩემი პარტიის დასახელებაზე გააკეთე მინიშნება?

— გეხუმრეთ. დარეკვის უფლებას მოგცემთ, ვეჭვობ, გია თორთლაძესთან ფიქრობთ დაკავშირებას.

— (*იცინის*) გამოიცანით (*ამ დროს მობილურით გია თორთლაძეს უკავშირდება და ჩემ მიერ დასმულ კითხვას უსვამს. მისგან კი პასუხს იმწამსვე იღებს, რის შემდეგაც მეუბნება*). შხარა ზღვის დონიდან 5068 მეტრზე მდებარეობს.

— მამის, მირდატის გარდაცვალებისას იგი 7 წლის იყო. 10 წლის გახლდათ, როცა ალანებმა და მოსტაცეს, 16 წლისამ კი ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ლაშქრობა მოაწყო. დაასახელეთ, ვინ იყო იგი? (ფიქრობს) მიგანიშნებთ. ის საქართველოს მეფე იყო. მემატიანის ცნობით, მისი სიმაღლე 12 მტკაველი (2 მეტრზე მეტი) იყო.

— ვერ გიპასუხებთ.

— ვახტანგ გორგასალი.

— ვაიმე! ეს როგორ ვერ გამოვიცანი?!.

— როდის დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ვინ იყო მისი პირველი რექტორი?

— უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა. მისი პირველი რექტორი კი ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

— უნივერსიტეტის დაარსების თარიღი გახსოვთ, მაგრამ მისი პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი იყო. დაასრულეთ შტუიცნერის ცნობილი გამონათქვამი: „სახელმწიფო კანონების ისტორია კაცობრიობის ჭკუა-გონების ისტორიაა, ბრძოლისა და არმიების ისტორიის აღწერა კი...“

— ვერ დავასრულებ. ეს ციტატა არ მახსოვს.

— „...ისტორია კაცობრიობის უგუნურებისა“.

■

ერუდიტი +

მსოფლიოს ულამაზეს ქალაქს — *პარიზს რამდენიმე სეხნია ჰყავს. მისი ყველაზე ძველი სეხნია უზბეკეთში, სამარყანდის მახლობლად მდებარეობს. ამ პატარა ქალაქს სახელი თემურ-ლენგმა უწოდა. მეორე პარიზი ლიტვაშია, ქალაქ დაუგავპილსთან. მესამე — ურალშია, ჩელიაბინსკის ოლქში. იგი XIX საუკუნის 40-იან წლებში, კაზაკთა იმ ჯგუფმა დააარსა, რომელიც პარიზის სახელობის ლეგიონში იბრძოდა და 1814 წელს საფრანგეთის დედაქალაქში პირველი შევიდა.*

ინდონეზია 13677 **კუნძულზე მდებარეობს.** *აქედან 6000 კუნძული დასახლებულია.*

ეკვატორზე მთვარე მუდმივად ჰორიზონტალურ, ნავისებურ (წვეტებით ზემოთ) მდგომარეობაშია.

მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივად ინგლისელმა თომას კარმა (207 **წელი) იცოცხლა.** *სიცოცხლის მანძილზე მან საკუთარ ქვეყანაში 12 მეფე გამოიცვალა. ქალებს შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდსმენი ოსი ეროვნების ტეპსე აბზიეა. მან 180 წელი იცოცხლა.*

მათ ჯერ რეგისტრაცია გაიარეს, შემდეგ ჯასტინგი, სადაც თითოეული მათგანი მაყურებლებით შეირჩა. ახლა რეპეტიციებს გადიან. პარალელურად ფოტოსესიები და დიზაინერთან ჯაბების მოსინჯვის ეტაპი აქვთ. 24 გოგონადან ერთ-ერთი „მის ბიკინის" გვირგვინს დაიდგამს. სამეინლო შოუ 11 ივლისს „ქორთიარდ მარიოტში" დაგეგმილი. მანამდე კი მათ სწორედ იმ დროს ვეწვიე, როდესაც აუზზე („ტალინ სქაი") საკურო ტოსტიუმებით რეპეტიციას გადიოდნენ.

„ამჯერად ისეთი ხაჯდია, რომ სახეც კარგი აქვთ და ძალიან ლამაზი სხეულებიც აქვთ...“

ლალი ფაცია

მაია ზაალიშვილი, *სამოდელო სააგენტო „ფავორიტის" ხელმძღვანელი, კონკურს „მის ბიკინის" ორგანიზატორი:*

— წელს სამ კონკურსში ვმონაწილეობთ ანუ „მის დედამიწას" დაემატა ძალიან კარგი კონკურსები — „მის ევროპა" და „მსოფლიო თინეიჯერებში". ერთი ხმელთაშუა ზღვის კრუიზია, მეორე — ჩეხეთში (პრაღა) გაიმართება. ასე რომ, ჩვენს სამ გოგონას სხვადასხვა კონკურსზე მოუწევს უცხოეთში გამგზავრება.

— ჟიურის შემადგენლობა უკვე ცნობილია?

— კი, მაგრამ მხოლოდ ჩვენთვის, არ ვახმაურებთ. ის 7-8 წევრისგან დაკომპლექტდება. მის შემადგენლობაში იქნებიან: პროფესიონალი ფოტოგრაფი, მოდელი, დიზაინერი, რეჟისორი. ჟიურიში საპატიო წევრებად შევლენ ჩვენი სპონსორებიც, ვინც კონკურსის ჩატარებაში გვეხმარებიან და მათ ხმის მიცემის უფლებაც ექნებათ. ხოლო მაყურებელთა იმ ნაწილს, ვისაც მოსაწვევი ექნება, ხმის მიცემის ბარათებიც დაურიგდება. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მონაწილე მასში თავისი სიმპათიის ნომერს ჩაწერს. ამრიგად, ყველას ვაძლევთ საშუალებას, რომ საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.

— ეს იმოქმედებს კონკურსის შედეგებზე?

— კი, ამით გამოვლინდება მაყურებლის სიმპათია, მაგრამ ყველაფერს მაინც პროფესიონალი ჟიური გადაწყვეტს.

— ამ კონკურსის ორგანიზატორები ხართ თქვენ — სამოდელო სააგენტო „ფავორიტი." როგორ მიაღწიეთ იმას, რომ კონკურსი „მის ბიკინი" (უკვე მესამედ) ყოველგვარი მითქმა-მოთქმის, სკანდალისა და ხმაურის გარეშე ტარდება?

— ძალიან ბევრს ვშრომობთ...

— დავიჯერო, „მის საქართველოს" კონკურსის ორგანიზატორები ბევრს არ შრომობენ?

— კი, როგორ არა, მაგრამ მთავარი მაინც ყოველთვის მიზანია. ძალიან მიჭირს სხვის კონკურსზე რაიმის თქმა... როდესაც „მის ბიკინის" ჩატარება გადავწყვიტეთ, ჩვენი უმთავრესი მიზანი მაქსიმალური ობიექტურობა გახლდათ. გვსურდა, ყველაფერი ზედმიწევნით გამჭვირვალე ყოფილიყო, ყოველივე წესების დაცვით გაგვეკეთებინა. ჩვენი საბოლოო მიზანი იყო და არის საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვება და ამისკენ ვისწრაფვით. აქამდე ყველა კონკურსიდან, ფაქტობრივად, ნომინაციით დაბრუნდნენ ჩვენი დელეგატები.

— გოგონებს თბილისის მასშტაბით თითქმის ყველა სამოდელო სააგენტოდან ირჩევთ. ისინი ხომ თქვენი კონკურენტები არიან. სააგენტოს ხელმძღვანელები ადვილად გთანხმდებიან, თავიანთი წარმომადგენელი გამოუშვან თქვენ მიერ მოწყობილ კონკურსზე?

— არავინ მინახავს გაბრაზებული, ყველას მოსწონს და სიამოვნებით გვთანხმდება თანამშრომლობაზე. მათი მანეკენები და მოდელები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენს კონკურსებში. სამი წელია, კონკურსს ვაწყობთ და ჯერ ჩვენი სტუდიის მოდელს არ გაუმარჯვია.

— მაინც რომელი სააგენტოები მონაწილეობენ ხოლმე?

— „ვიაიპი", „ჯეიემი", „შარმი," „ლიკა ყაზბეგის სტუდია", „ნატალი", აგრეთვე არიან თავისუფალი მოდელებიც. ამრიგად, წელს მათგან სულ 24 გოგონა შევარჩიეთ.

— იმის გამო, რომ საქართველოში ვცხოვრობთ, გოგონებისთვის იდეალური პარამეტრები მაინც იშვიათობაა. ძნელი არ არის ხოლმე „მის ბიკინისთვის" კონკურსანტების შერჩევა?

— ძნელია, სამწუხაროდ, მასა არ არის ისეთი, რომ კონკურსზე გაიყვანო, მაგრამ შერჩევა შეიძლება.

— **„მის ბიკინის“ როგორი ტანი უნდა ჰქონდეს?**

— მაღალი ფეხები, კარგი თეძოები...

— **სახე არ სჭირდება?**

— როგორ არა?! თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტად, მას ტვინი სჭირდება, რაც ხანდახან ყველაზე დეფიციტურია. ვფიქრობ, რომ სილამაზე მაინც ტვინიდან მოდის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად კარგად უჭრის გოგონას გონება. თუ ჭკვიანია, ეს პოდიუმზე მოძრაობის დროსაც ეტყობა, ისე წარმოადგენს საკუთარ თავს, რომ ყველა ნაკლს ფარავს. ყოფილა შემთხვევა, რომ გოგონა ძალიან ლამაზი ყოფილა, მაგრამ სცენაზე აბსოლუტურად დაკარგულა. თუმცა პირიქითაც ხდება.

— **გვირგვინი კვლავ გარდამავალია?**

— კი, ასეა. სხვა პრიზებიც იქნება, მაგრამ ძირითადი პრიზი არის ის, რომ მიემგზავრებიან კონკურსზე.

ამის შემდეგ ჩვენს საუბარში ჩართვა ვთხოვე „მის ბიკინი-2007“-ს — **ნანკა მამასახლისს**, *რომელიც გოგონებს სტიმულსა და მეგობრულ რჩევებს აძლევდა.*

— **ნანკა, შენი გვირგვინი რამდენიმე დღეში ახალ „მის ბიკინის“ უნდა გადაეცეს. გული არ გწყდება?**

— რა საინტერესო კითხვაა? მართალია, ჩემთვის ეს ერთი წელი საკმაოდ საპატიო იყო — „მის ბიკინის“ გვირგვინს ვატარებდი, მაგრამ ისე არ არის საქმე, რომ მისი გადაცემა ახალი გოგონასთვის მენანებოდეს. ეს ერთი წელი ჩემთვის არაჩვეულებრივი გახლდათ. მაიასთან ერთად მუშაობამ ბევრი საინტერესო რამ მანახვა და შემძინა. ეს იყო ჩვენებები, გადაღებები... ვფიქრობ, რომ ჯერ მაინც არაფერი დამთავრებულა, ყველაფერი გრძელდება და წინ მაქვს. მე ხომ „მის ბიკინი-2007“ ვარ.

— **კი, რაკი ერთხელ „მის ბიკინი“ გახდი, მერე ეს ტიტული მთელი ცხოვრება გრჩება. გოგონები კონკურსისთვის „მის ბიკინი-2008“ უკვე შერჩეულია. თუ გყავს არჩეული შენი ფავორიტი?**

— არის რამდენიმე, რომელიც მომეწონა, მაგრამ ჯერ ასე კონკრეტულად არავინ გამომირჩევია. ვნახოთ. საკმაოდ კარგი ჯგუფია შერჩეული.

— **მაია, შენ თუ გყავს შენი ფავორიტი?**

— ამას ჩემს თავსაც არ ვუმხელ. რამდენიმე მართლა ძალიან ლამაზია. ამჯერად ისეთი ნაკადია, რომ სახეც კარგი აქვთ და ტანიც. ძალიან ლამაზი სხეულები აქვთ. სულ ვფიქრობ, ნეტავ, რომელი გაიმარჯვებს-მეთქი? ვნახოთ, ჟიური რას გადაწყვეტს და თვითონ გოგონები რას იზამენ სცენაზე.

ნანკა მამასახლისი:

— მხოლოდ სილამაზეც არ არის მთავარი, როგორ წარმოაჩენ საკუთარ თავს პოდიუმზე, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მერე უკვე კონკურსანტ გოგონებს მივუახლოვდი და რამდენიმე მათგანსაც გავესაუბრე.

— **დიდი ხანია, რაც მოდელი ხარ?**

ნონა დიაკონიძე:

— უკვე 4 წელია სააგენტო „ნიუ სტარ“-ის მოდელი ვარ.

— **ამ კონკურსზე როგორ მოხვდი?**

— სააგენტოს ხელმძღვანელმა შემომთავაზა, — „მის ბიკინის“ კონკურსში ხომ არ მიიღებდი მონაწილეობასო? მეც დავთანხმდი, რადგანაც მინდა, ბედი ვცადო... იქნებ გამიმართლოს?

— **მოდელობის გარდა, რას საქმიანობ?**

— სკოლა შარშან დავამთავრე, მაგრამ უმაღლესში ჩაბარება არ მიცდია. უცხო ენების სპეციალობით მინდა სწავლის გაგრძელება. მომავალში ბიზნესლედობას ვაპირებ.

— **მგონი, ცუდი გარეგნობა არ გაქვს...**

— იდეალური პარამეტრებით არ გამოვირჩევი, თან ფორმები ცოტა შევიცვალე, წონაშიც დავიკელი. ჩემი სიმაღლე — 177 სმ-ია; წონა — 56 კილოგრამი.

— **ძალიან გინდა, რომ „მის ბიკინი“ გახდე?**

— დიახ, როგორც ყველა გოგონას, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობს, მეც მინდა პირველი ადგილი დავიკავო. მინდა, რომ „მის ბიკინის“ ტიტულს დავეუფლო.

ვფიქრობ, რომ სილამაზე მაინც ტვინიდან მოდის

ნონა დიაკონიძე და თათია ხურცილავა

— **ოჯახის წევრები მხარს გიჭერენ?**

— კი. შეეჩვივნენ ჩემს მოდელობას და იმასაც, რომ სურვილი მაქვს, გავხდე „მის ბიკინი“ (*იცინის*). მათთვის ეს ტრაგედიას არ წარმოადგენს.

თათია ხურცილავა:

— მე „შარმის“ მოდელი ვარ. ასეთ კონკურსში არასდროს მიმიღია მონაწილეობა და ძალიან მაინტერესებს ჩემი თავის გამოცდა. მინდა, „მის ბიკინი“ გავხდე, თუმცა არა მგონია... თუ პირველი ადგილი ვერ დავიკავე, არა უშავს, გული არ დამწყდება. ამ კონკურსში მონაწილეობაც საკმარისია.

— **მოდელობის გარდა, რას**

„მის ბიკინი-2007“

საქმიანობ?

— ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ.

— **შეყვარებული ხარ?**

— არა (*იცინის*).

— **რატომ გელიმება?**

— იმიტომ, რომ შეყვარებული ვარ.

— **შეყვარებულმა იცის, რომ ამ კონკურსში მონაწილეობ?**

— კი და არ მიშლის. მენდობა, რადგანაც ცუდს არაფერს ვაკეთებ.

P.S. *კონკურსის მონაწილეებსა და თავად ორგანიზატორებს წარმატებას ვუსურვებ. ვნახოთ, მართლაც — ვის გაუმართლებს და ვინ გახდება საქართველოში ტიტულის — „მის ბიკინი“ მესამე მფლობელი.* ■

„...ფოტოაპარატით ხელში დავიბადე“...

ალბათ ბევრს შეუმჩნევია რუსთაველის პროსპექტის №14-ში მდებარე ფოტოატელიე. იყო დრო, როდესაც იქ უამრავი ხალხი მიდიოდა, მათ შორის, ცნობილი პიროვნებები. ეს თბილისში პირველი ფოტოატელიე იყო, რომელიც ცნობილმა ფოტოგრაფმა — ევტიხი ჟვანიამ დააარსა, შემდეგ კი მისი საქმე მისმა ვაჟმა, მურად ჟვანიამ გააგრძელა. ბატონი მურადი 74 წლისაა. მას ინტერვიუს ჩასაწერად შინ ვესტუმრე. ჟურნალისტებს ყოველთვის ფოტოატელიეში ვეპატიჟებოდი, იქ ინახება ყველა სურათი და მშვენიერი გარემოა სასაუბროდ. ეჰ, ამ სიბერეს რა ვუყო, თან ცოტა ავადმყოფობაც შემომეჩვია, თორემ თქვენც იქ გიმასპინძლებდითო, — მითხრა ბატონმა მურადმა. ძველმა თბილისელმა, კოლორიტულმა პიროვნებამ და თბილისზე უზომოდ შეყვარებულმა ადამიანმა ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა.

მარეხ ჭონიშვილი

— მამაჩემმა ფოტოგრაფობა ბათუმში ისწავლა, 1912 წელს კი თბილისში საკუთარი სალონი გახსნა. ძალიან მეამაყება მამის დამსახურება, მისმა ფოტოებმა შემოინახა სცენები მარჯანიშვილის სპექტაკლებიდან, მუშაობდა სამხედრო ფოტოგრაფად. მამამ ფირზე უამრავი მნიშვნელოვანი მოვლენა და სათაყვანებელი ქართველები აღბეჭდა: გალაკტიონ ტაბიძე, ნოე ჟორდანია, კონსტანტინე გამსახურდია, ლადო მესხიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ფოტო ლაზარეთში. იოსებ იმედაშვილი მოსულა მამასთან და უთქვამს: ვაჟა-ფშაველა ძალიან ცუდადაა, — უკანასკნელ წუთებს ითვლის და სურათი უნდა გადაუღოო. მამა იმ წუთში წასულა.

მამა მასწავლიდა და მაკეთებინებდა ფოტოებს, ჩემი ყოველი წარმატება უსაროდა (მურად ჟვანია, 1980-იანი წლები)

სურათის გადაღებიდან მეორე დღეს გარდაცვლილა დიდი მგოსანი.

— **ფოტოგრაფიით თქვენ როდის დაინტერესდით?**

— მგონი, ფოტოაპარატით ხელში დავიბადე. სკოლაში მაინცდამაინც კარგად ვერ ვსწავლობდი. ერთი ფრანგული ლექსი ვისწავლე და დღემდე მახსოვს (*იცინის*). აი, ფოტოგრაფია მაინტერესებდა და კარგადაც შევისწავლე. რა თქმა უნდა, მამა მასწავლიდა და მაკეთებინებდა ფოტოებს, ჩემი ყოველი წარმატება უხაროდა. გვიანობამდე ვმუშაობდით, ზოგჯერ გათენებაც კი გვიწევდა. ერთხელ, ირაკლი აბაშიძემ შოთა რუსთაველის ფრესკის ფოტოსურათი მოიტანა და მამას სთხოვა: ხვალ დილისთვის მჭირდება და იქნებ გადაიღოო. საღამოს 6 საათი იყო, მაშინვე დავიწყეთ, მთელი ღამე ვიმუშავეთ და დილით, როცა ბატონი ირაკლი მოვიდა და ფოტო მზად დახვდა, გაოცებული დარჩა. სახელოსნოში უამრავი ხალხი მოდიოდა, ხანდახან ხალხის ისეთი რაოდენობა ყოფილა, რომ სახელოსნო დაგვიკეტავს. ჩვენი ფოტოატელიე მწერლების საყვარელი თავშეყრის ადგილი იყო, მამა მათთან მეგობრობდა, სამწუხაროდ, შემდეგ ხალხმა თანდათან იკლო, ფოტოსურათის გადასაღებად იშვიათად მოდიოდა ვინმე, მხოლოდ ათვალიერებდნენ.

— **ფოტოგამოფენა არასოდეს მოგიწყვიათ?**

— ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რომ ფოტოარქივი გამოფენაზე გამეტანა, მაგრამ ამის სურვილი არასოდეს გამჩენია. სალონში ათასამდე ფოტომასალაა დაცული და გამოფენაც იქაა, იმ სალონში.

— **ბატონო მურად, როგორი იყო თბილისი თქვენს ახალგაზრდობაში?**

— საოცრად მხიარული ქალაქი იყო, შესანიშნავი ტრადიციებით, მოღიმარი ხალხ-

ით და განსაკუთრებული ურთიერთობებით. მთელი თბილისი ერთმანეთს ვიცნობდით, ქეიფიც და ჩხუბიც კი სხვანაირი ვიცოდით.

— ხშირად ქეიფობდით?

— მეგობრები შევიკრიბებოდით და კარგად მოვულხენდით ხოლმე. ქართველ კაცს თუ ქეიფი არ უყვარს, აბა, ის რა ქართველია. ხშირად თამადობაც მიწევდა. თბილისს ბევრი კარგი ტრადიცია ჰქონდა, ახლაც აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, იშლება. აი, ეს საათი (მაჯის საათს მიჩვენებს. — ავტ.) მინისტრმა ვარლამ შადურმა, 50 წლის იუბილეზე მაჩუქა. ეჰ, ნეტავ, იმ დროს.

— თქვენ თუ გიჩხუბიათ?

— ვჩხუბობდი, მაგრამ უმიზეზოდ არასოდეს. რუსთაველის პროსპექტზე სისუფთავის დაცვა თითოეული ჩვენგანის ვალი იყო, სიგარეტის ნამწვავსაც კი ქუჩაში არავინ აგდებდა, თუ მაინც გაბედავდა და დავინახავდი, ვეტყოდი, — აიღე და ურნაში ჩააგდე-მეთქი. თუ არ დამიჯერებდა, გაილახებოდა. ერთხელ „ლაღიძის წყლებთან“ ვიდექი. ვხედავ, გოგოს ორი ბიჭი ავიწროებს, მივედი იმ ბიჭებთან და ვუთხარი: ბიჭებო, შეეშვით გოგოს, ხომ ხედავთ, რომ თქვენთან ლაპარაკი არ უნდა-მეთქი. უხეშად მიპასუხეს, — რა შენი საქმეაო. ვერ მოვითმინე და ჩხუბი დავიწყე. თავს არ ვიქებ, მაგრამ მაშინ ახალგაზრ-



მამამ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან გამგზავნა, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი

დაც ვიყავი და ღონეც მერჩოდა. თურმე ცოტა მოშორებით დოდო აბაშიძე იდგა და მიყურებდა. როცა დაინახა, თუ როგორ ვცემდი იმ ბიჭებს, მოვიდა, ხელი მომკიდა და ჩემი გვერდზე გაწევა სცადა. არ გინდათ-მეთქი, — ცოტა უხეშად ვუთხარი, მაგრამ შემდეგ როცა მივხვდი, ვინც იყო, ძალიან შევწუხდი, ბოდიში მოვუხადე. მან კი მითხრა: საპატიებელი არაფერი გაქვს, ბიჭებს აპატიე, აღარ სცემოო.

— რას იტყვით თქვენი თაობის ხალხზე?

— ძალიან კულტურული ხალხი იყო, ნებისმიერი ასაკის ადამიანს პატივისცემით მიმართავდნენ, დღეს კი სამწუხაროდ, ახლანდელი ახალგაზრდები ერთმანეთს ხომ არ სცემენ პატივს და თავისზე უფროს ადამიანსაც არაფრად აგდებენ. თუმცა, ბევრი კარგი ახალგაზრდაცაა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველა ცუდი იყოს. რომ იცოდეთ, ჩემს სალონში შემოსულს ყველას როდი ვუღებდი ფოტოსურათს.

— მაინც რა შემთხვევაში ეუბნებოდით უარს?

— უზრდელი ადამიანი არ მიყვარს. ჩემს სალონში ბევრჯერ შემოსულან პატარა ბიჭები და უხეშად უთქვამთ: შენ ხარ ფოტოგრაფი? მოდი, ერთი სურათი გადამიღეო. ასეთი თავხედი გარეთ გამიგდია და მითქვამს: ფოტოგრაფი ვარ, მაგრამ შენ სურათს არ გადაგიღებ-მეთქი. ერთხელ ერთი ლამაზი ქალბატონი მოვიდა და სურათის გადასაღებად ამერიკელი კაცი მოიყვანა. ეს კაცი შემოვიდა თუ არა, იმის მაგივრად, რომ მომსალმებოდა და სკამზე დამჯდარიყო, მაგიდაზე დაჯდა. ძალიან გავბრაზდი და იმ ქალბატონს ვუთხარი: დიდი ბოდიში, თქვენნაირ ლამაზ ქალს უარს რომ ვეუბნები, მაგრამ ასეთ უზრდელ კაცს სურათს ვერ გადავუღებ; ჯობია, თქვენი სტუმარი წაიყვანოთ-მეთქი. ორივეს კარისაკენ მივუთითე. ჩემს სალონში შემოსული დიდი თუ პატარა, ცნობილი თუ უცნობი ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა. ერთხელ, სურათის გადასაღებად ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. მაშინ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. იმ დროს დაკავებული ვიყავი, სურათს სხვას ვუღებდი და ბატონ ედუარდს დალოდება ვთხოვე. მოვიდა ერთი და მეუბნება: რას აკეთებ, სირცხვილია, შევარდნაძეს როგორ ალოდინებო?!. მე კი ვუპასუხე: ჩემს სალონში ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს-მეთქი. ბატონმა ედუარდმა ჩემი პასუხი გაიგონა და მითხრა, — მართალი ხარო.

— ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?

— გალაკტიონი ჩემთვის ბიძასავით იყო. როცა მამა მუშაობას დაამთავრებდა, ის და გალაკტიონი დასხდებოდნენ, ღვინოს სვამდნენ და საუბრობდნენ. ჩვენს ეზოში ცნობილი მწერალი, ნინო ნაკაშიძე ცხოვრობდა. გალაკტიონი მაგიდასთან რომ დაჯდებოდა, ქალბატონ ნინოზე მეტყოდა: წადი, ჩემს ნაშას დაუძახეო. მეც გავიქცეოდი და გალაკტიონის დანაბარებს სიტყვასიტყვით გადავცემდი. — ქალბატონი ნინო კი ჩაიცინებდა და დასძენდა: მაგი მოისპოს, მაგიო... ერთმანეთთან შეხვედრებულები იყვნენ. ერთხელ მამამ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან გამგზავნა, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და დიდი მოკრძალებით ვუთხარი: მამამ გამომგზავნა, უნდა, რომ თქვენი სურათი გვქონდეს-მეთქი. იმავე საღამოს მოვიდა, ძალიან გამიხარდა, დიდმა მწერალმა რომ არ გამაწბილა. ასევე ძალიან კარგად მახსოვს ნინა ჟვანია. ის ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო.

— დღევანდელ ფოტოგრაფებზე რას იტყვით?

— ტელევიზიით ვადევნებ თვალს, ბევრი ფოტოგამოფენა იმართება. მიხარია, ბოლოს და ბოლოს, ფოტოგრაფიაზე რომ ალაპარაკდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საინტერესო ფოტოს იღებენ, მიმაჩნია, რომ ისინი მაინც ფოტომოყვარულები არიან. რადგან სურათის დამზადების ტექნიკაში ნაკლებად ერკვევიან. კარგმა ფოტოგრაფმა გადაღება, წამლის დამზადება, გამჟღავნება, დაბეჭდვა და რეტუშის (სურათის ტუშით დამუშავება) გაკეთება უნდა იცოდეს.

უჩა დადიანი

მარჯვნივ ევტიხი ჟვანია

— ბატონო მურად, როგორც ვიცი, თბილისიდან ფეხი არსად გაგიდგამთ.

— როდესაც ვამბობ — თბილისიდან არ გავსულვარ-მეთქი, ძალიან უკვირთ, მე კი ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. თბილისი ძალიან მიყვარს. ამ ქალაქის გარდა არსად მიცხოვრია, სხვაგან ერთი ღამეც კი არ გამითევია. მხოლოდ ორჯერ გავედი თბილისიდან: ერთხელ მცხეთაში, ერთხელ — თელავში. ისიც, გამგზავნეს და რომ არ წავსულიყავი, არ შეიძლებოდა. მიჭირდა თუ მილხინდა, ჩემს ქალაქში ვიყავი. 1956 წლის 9 მარტს დამიჭირეს და სამი თვე ციხეში ვიჯექი. 1989 წლის 9 აპრილსაც რუსთაველზე ვიყავი. ყოველი მხრიდან ისროდნენ, მე კი ვიდექი დამწუხრებული და სიმწრის ცრემლები მდიოდა. იმ დღეს მოვიწამლე და საავადმყოფოში აღმოვჩნდი. ჩემთვის ასევე ძალიან მტკივნეული იყო პირველი სკოლის დაწვა თბილისის ომის დროს, მე ხომ იმ სკოლაში ვსწავლობდი. როცა სკოლის აღდგენა დაიწყეს, სახლში ვერ გავჩერდი, მუშებს მშენებლობაში ვეხმარებოდი.

— დღევანდელ თბილისზე რას იტყვით?

— ბევრი რამ კეთდება, ეს კარგია და ძალიან მიხარია, მაგრამ მწყინს, რომ ხალხმა ღიმილი დაკარგა. ყველა დადარდიანებული და მოწყენილი დადის, მინდა, ჩემს თბილისს ძველებური სილაღე დაუბრუნდეს.

■

შეუჩიჩვებელი ანა

დაბრუნება

ნაწილი მეორე

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-27

ინგა ჯაყელი

ვაჟამ პარიზის საუკეთესო სასტუმროს რესტორანში მიგვიყვანა:

— აქ კაბარეც არის. მხიარული წარმოდგენის ნახვა გირჩევნიათ თუ მყუდრო დარბაზში კლასიკური მუსიკის ფონზე ვახშამი?! — არჩევანის უფლება ქალებს დაგვიტოვა.

— სიმყუდროვე გვირჩევნია! — დამასწრო დალიმ და ვეღარ შევეკამათე.

სუფრასთან კიდევ ერთხელ ამიტყდა სიცილი, როცა ჩემი თეფშის ირგვლივ დაწყობილ უამრავ ჩანგალს, დანას, კოვზს და ჭიქას დავხედე:

— არ მშია! — ვთქვი კატეგორიულად.

ვაჟა უცებ მიხვდა, რამაც დამიკარგა მადა და ხელი აიქნია:

— მოგცლია ერთი! — მერე შემწვარ წიწილას ფრთა ააგლიჯა და პირთან მიიტანა: რა დანა და რის ჩანგალი...

— ვინ დამიჯერებს, რას ვეღირსე?! ერთი-ორი სურათი მაინც გადამეღო! — დავიწუწუნე, როცა იქაურობას ვტოვებდით.

— მთავარია, შენს გულსა და მახსოვრობაში რა დარჩება! — მითხრა ვაჟამ და ხელკავი გამომდო...

...მეორე დღეს სიქა გამაძრო ირაკლიმ, იმდენ ადგილას მიმიყვანა და იმდენ საბუთზე მომაწერინა ხელი. რამდენიმე სურათიც კი გადამიღეს პროფილში თუ ანფასში, როგორც კრიმინალს: ირაკლი შეეცადა, ჩემთვის აეხსნა, რისთვის იყო ყოველივე ეს საჭირო, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიგე და რომც ვიცოდე, ბუნებრივია, ჟურნალის ფურცლებზე ამაზე მსჯელობა, ზედმეტად მიმაჩნია...

ვაჟა ისე გაემგზავრა, რომ არც დამმშვიდობებია და ამაზე ვინერვიულე:

— რაიმე ხომ არ ვაწყენინე?! მისმა ცოლმა მაინც არ ინდომა ჩემი ნახვა? — შევწუწუნე ირაკლის.

— რა სისულელეა! ვაჟას ასეთი ხასიათი აქვს, არ უყვარს ემოციური განშორებები, როცა არც რამის დაპირება შეუძლია, არც ახსნა-განმარტება, მით უმეტეს... აი, ეს დაგიტოვა სამახსოვროდ! — წითელი კოლოფი დამანახვა ირაკლიმ, რომელშიც ჯვრის ფორმის ორნამენტებიანი, საოცრად ლამაზი ოქროს სამაჯური აღმოჩნდა.

საჩუქარს აღფრთოვანებული დავცქეროდი:

— მადლობა როგორ ვუთხრა?!

— შენი მადლობა დუმილია, ხვდები, ალბათ...

ალექსი

— იცი, საფრანგეთში თაყვანისმცემელიც გავიჩინე. მას ალექსი ჰქვია. გინეკოლოგია და პარიზის ელიტურ სამშობიაროში მუშაობს. ძალიან უცნაური ვინმეა. მართალია, მან ქართული არ იცის, მაგრამ ბებიამისი (დედის მხრიდან) ქართველი ყოფილა და ამით ძალიან ამაყობს. ალექსი უკვე ორ ცოლს გაშორდა და ახლა ისეთ ქალს ეძებს, რომელსაც მოზრდილი შვილები ეყოლება და მეტის გაჩენას აღარ აპირებს... ხომ იცი, საფრანგეთში ჩემი ხანგრძლივად დარჩენის მიზეზი, სხვა რაღაცების გარდა, გარკვეული ცოდნის მიღების სურვილიც იყო. ყოველდღე, კვირის გარდა, ენის შემსწავლელ კუსებზე, პარალელურად კი ბიზნესისა და მენეჯმენტის კერძო სკოლაში დავდიოდი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთდღიან თეორიულ კურსს ორდღიანი პრაქტიკა მოსდევდა და ფაქტობრივად, ამ სკოლაში სწავლისას, დამატებით რამდენიმე ახალ პროფესიას იძენ. რომ გითხრა, — ნამდვილი გინეკოლოგი ვარ-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ სამშობიაროში პრაქტიკაზე იმდენჯერ ვიყავი, რომ უკვე, ექსტრემალურ პირობებში, საკეისრო კვეთის გარდა, მშობიარეს ყველანაირ დახმარებას გავუწევ და მშვიდობით მოვალოგინებ. მოკლედ, ბებიაქალი ვარ. ახალი სიცოცხლის დაბადება საოცრად ამაღელვებელი მომენტია. ვნანობ, პროფესიად ექიმობა რომ არ ავირჩიე... ალექსი საავადმყოფოში, პრაქტიკაზე მისულმა გავიცანი. სამი დღის განმავლობაში ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ჯგუფში ხუთნი ვიყავით: ორი კაცი და სამი ქალი. ქალებიდან ერთი ჩინელი იყო, მეორე — ბრაზილიელი ზანგი. საოცრად განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან. ალექსის რომ ქართული სისხლი ურევია, ეს მის გამოხედვაშიც იგრძნობოდა — სამივე მუშტრის თვალით აგვწონდაგვწონა და საბოლოოდ, მისი სიმპათია აშკარად, ბრაზილიელის მხარეს გადაიხარა... სხვათა შორის, საფრანგეთში ზანგები დიდ პატივში არიან. ფრანგი ქალების უმრავლესობას ზანგი შვილი ჰყავს. ირაკლიმ მითხრა:

— ფრანგი მამაკაცების დიდი ნაწილი ნარკოტიკზე ზის, ბევრიც — გაღლოთებულია და ქალი ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. ამიტომაც, ფრანგი ქალები თავიანთ სექსუალურ სუპერმოთხოვნილებას სწორედ ზანგებთან იკმაყოფილებენ და შედეგიც სახეზეა — ამდენი შავკანიანი ფრანგი...

არ მწყენია, ალექსიმ ზანგს რომ დაადგა თვალი. მეორე დღეს გინეკოლოგი ჩვენი წარმომავლობით დაინტერესდა და როცა გაიგო, რომ ქართველი ვიყავი, გაიხარა. სწორედ მაშინ მითხრა, რომ ბებიამისი ქართველი გახლდათ:

— სულ საქართველოზე ლაპარაკობდა და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სხვათა შორის, საქართველოში მოგზაურობის სურ-

ვილი მეც მაქვს. სამწუხაროდ, ეს აქამდე ვერ მოვახერხე.

— იმედია, დავმეგობრდებით და მე მიგიწვევთ, — ვუთხარი და გავუღიმე.

ალექსიმ საღამოს რესტორანში დამპატიჟა სავახშმოდ. მაშინ მიამბო თავის შესახებ: ის მარტო ცხოვრობს, ხოლო ორივე ცოლყოფილთან თითო შვილი ჰყავს. მათ შორის, ერთი ფერადკანიანი, რომელიც მექსიკელი დედის გენებზე წავიდა. ალექსი 39 წლისაა და მარტო დაბერებას არ აპირებს, მაგრამ როგორც გითხარი, ჩვილის ხსენება არ უნდა და ამიტომაც, შვილიან ქალს ეძებს. როცა გაიგო, რომ ქვრივი ვიყავი და მოზრდილი გოგონა მყავდა, მთხოვა, ჩემი კოორდინატები მიმეცა. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. როგორც ექიმი, ალექსი ძალიან ძლიერია და სხვათა შორის, საქართველოში მის მოწვევას მართლა ვაპირებ — ჩვენს ექიმებს ბევრ რამეს ასწავლის... ალექსიმ მე და ანა-მარია მშობლების სახლში მიგვიწვია. განსაკუთრებით, დედამისმა გაიხარა ჩემი ნახვით. სხვათა შორის, მას ქართული სახელი — თინათინი ჰქვია, მაგრამ ახლობლები ტინოს ეძახიან. ალექსის დედა თან გადაგვყვა, ხაჭაპურის გამოცხობაც კი სცადა. ის ანა-მარიას ხელს არ უშვებდა და გაიძახოდა, — ნეტავ, ასეთი შვილიშვილის ღირსი გავმხდარიყავიო!.. არ ვიცი, ჩვენი წამოსვლის შემდეგ შვილს ასეთი რა ურჩია, მაგრამ მომდევნო დღეს ალექსიმ მითხრა:

— თუ ოდესმე დაქორწინებაზე ისევ ვიფიქრებ, მხოლოდ შენზე დავქორწინდები.

იცი, ალექსი ცუდი ტიპი ნამდვილად არაა, მის გარეგნობაში რაღაც ქართული ნამდვილად არის, მაგრამ მასთან ურთიერთობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ქართველი კაცი სულ სხვა ფენომენია და მას კონკურენციას ვერავინ გაუწევს... სხვათა შორის, ირაკლის ლამის შემოელახა — შეამჩნია, რომ მისი ჩემდამი დამოკიდებულება მეგობრობას აშკარად გასცდა და ეს არ ესიამოვნა, მაგრამ არც იმისი უფლება მისცა თავს, რომ ჩემს ცხოვრებაში უხეშად ჩარეულიყო და შორიდან მომიარა.

— ალექსისთან დაახლოების სურვილი შენც გაქვს? — მკითხა და ეტყობოდა, პასუხს მოუთმენლად ელოდა, ნერვიულობდა.

— თუ სამუდამოდ არა, კარგა ხანს მაინც, დათოს ვერავინ შემიცვლის, — დავამშვიდე და ისიც, მადლიერი გადამეხვია.

ირაკლი იმავე საღამოს შეხვედრია ჩემს თაყვანისმცემელს და კიდევ კარგი, მათ ლაპარაკში ვიღაცები დროულად ჩარეულან, თორემ ირაკლის ბდღვნად არ ეყოფოდა არისტოკრატი ფრანგი, რომლის შეშინება, არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ალექსი მეორე დღესვე შემხვდა და მითხრა:

— მხოლოდ შენი აზრი მაინტერესებს და სხვა სიკვდილითაც რომ დამემუქროს, შენზე უარს მაინც არ ვიტყვი... სანამ გაუთხოვარი იქნები, სულ მექნება იმედი, რომ ადრე თუ გვიან, არჩევანს ჩემზე გააკეთებ. იცოდე, მოთმინებით დაგელოდები!..

ირაკლის ვუსაყვედურე იმის გამო, რომ ჩემს ცხოვრებაში არასასურველი ფორმით ჩაერია და ვაგრძნობინე, რომ ვერავის მივცემდი უფლებას, ვემართე. მერე კი ჩემ შესახებ ბევრი რამ ვუამბე.

— სხვანაირი ქალის შეყვარებას ჩემი ძმა ვერც შეძლებდა! — დაასკვნა ირაკლიმ და პირობა მომცა, რომ ისეთს მიმიღებდა, როგორიც ვარ და ჩემს ნებისმიერ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდებოდა. მართლაც, ამ ამბის შემდეგ ის აღარც ალექსისთან შეხვედრას მიშლიდა და მალე დარწმუნდა, რომ ამით მისი ძმის სახელს ნამდვილად არ შეურაცხყოფდი...

ალექსიმ მთელი პარიზი ფეხდაფეხ შემომატარა. სამი დღით კურშაველშიც, საფრანგეთის საუკეთესო



ზამთრის კურორტზეც კი წაგვიყვანა მე და ანა-მარია. მართალია, იქაურობა ძალიან მომეწონა, მაგრამ მე მაინც, ჩვენი გუდაური და ბაკურიანი მირჩევნია... ჩვენი საფრანგეთიდან წამოსვლა ალექსიმ ძალიან განიცადა. აღიარა:

— საკუთარი ცოლ-შვილი რომ გავაცილე იტალიაში, მაშინ არ მინერვიულია ასე!

ალექსი თითქმის ყოველდღე მირეკავს. როგორც კი ჩვენი კლინიკა მთელი სიმძლავრით ამუშავდება, მას მაშინვე მოვიწვევ. ესეც არ იყოს, თავადაც აღარ მოიცდის ბევრს — ზაფხულში ნებისმიერ შემთხვევაში ეწვევა საქართველოს... ბებიამისი წარმოშობით კახეთიდან ყოფილა. არ ვიცი, ზუსტად რომელი რაიონიდან, მაგრამ ალექსის უნდა, თავისი წინაპრის მიწა-წყალზე პატარა სახლი იყიდოს...

P.S. *ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99).71.89.39.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხათუნა ჟორდანია:

– „გზა“ ერთადერთი ჟურნალია, რომელთანაც პრეტენზია არასდროს მქონია. მართალია, სულ ერთსა და იმავე ადამიანებთან ჩაწერილი ინტერვიუების წაკითხვა მოსაბეზრებელია, მაგრამ ეს თქვენ ყველაზე ნაკლებად გეხებათ. თბილისში უამრავი საინტერესო ადამიანი ცხოვრობს, რომლებზედაც არასდროს არაფერი დაწერილა. თანაც, ადამიანებს პოპულარულებად ხომ თქვენ, ჟურნალისტები ხდით. მართალია, „გზას“ საინტერესო სტატიები არც ახლა აკლია, მაგრამ ვისურვებდი, რომ თქვენი ჟურნალი მომავალში უფრო ინტელექტუალური გახდეს. წარმატებებს გისურვებთ! ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. პირველი თოჯინა „ბარბი“ შავგვრემანი იყო.

2. ლადო გუდიაშვილმა თავის ქალიშვილს ჩუქურთმა დაარქვა.

3. ხორუნჟი დაბალი ჩინის ოფიცერი იყო, პოლონეთის არმიაში.

4. კანიბალიზმი ღორთა, თაგვთა და კურდღელთა შორისაცაა შემჩნეული.

5. ხუაციაო — ასე ეძახიან უცხო ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებულ ჩინელებს.

6. ბილ გეიტსს აფრიკაში, შიდსით დაავადებულთათვის ცალკე ფონდი აქვს გამოყოფილი.

7. რამდენიმე ხმით ერთი მუსიკალური თემის თანამიმდევრულ გამეორებას ფუგა ეწოდება.

8. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ბომბდამშენებში ტუალეტის როლს უბრალო ვედრო ასრულებდა.

9. დიდ ბრიტანეთში ყველა კარუსელი საათის ისრის მიმართულებით ტრიალებს, ამერიკაში — საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

10. „ძველი რომი შვიდ ბორცვზე იდგა, შოტლანდია კი ვისკის შვიდ ქარხანაზე დგას“, — ამბობენ შოტლანდიელები.

11. „რებიატა, ს ვამი ხარაშო, ნო ბეზ ვას ეშჩო ლუჩშე!“ — ერთ-ერთ კონცერტზე კოლეგებს გამოუცხადა ევგენი პეტროსიანმა.

12. ლადო ასათიანს არ მოსწონდა, როცა მის ლექსებში რაიმე შესწორება შეჰქონდათ. „უჩემოდ ლექსს არ შეეხოთ“, — ეხვეწებოდა პოეტი რედაქტორებს.

13. ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი — რენე დეკარტი ავადმყოფი მეგობრის მოვლისას პნევმონიით დაავადდა და 53 წლის ასაკში გარდაიცვალა.

14. „რუსკი რუბლ სამაია კრეპკაია ვალიუტა ვ მირე. ვოკრუგ პტიჩია გრიბ, ა არლუ პო ფიგუ — ონ დვუხგლავი“, — ამბობენ რუსები.

15. ჰიტლერს ევა ბრაუნისათვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, — როგორც კი ომში გავიმარჯვებთ, ჰოლივუდში გაემგზავრები, სადაც ჩვენს ცხოვრებაზე გადაღებულ ფილმში მიიღებ მონაწილეობასო.

16. სოჭში, ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდა, ბობსლეისთვის განკუთვნილი ტრასა სხვაგან გადაეტანა, რადგან იგი დათვების მიგრაციულ ბილიკებს კვეთდა.

17. შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორი, ტომას ჯეფერსონი 4 ივლისს, ამავე დეკლარაციის გამოცხადების დღეს გარდაიცვალა.

სულის მკურნალები

ანუ ცნობილი მსახიობი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებს ეხმარება

ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ მსახიობი ია ფარულავა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში პაციენტებთან მუშაობს, მათ ფსიქოლოგიურ სეანსებს უტარებს და გარკვეულ შედეგებსაც აღწევსო. რა თქმა უნდა, მაშინვე დავინტერესდი თუ როგორ მოხვდა ია სულიერად დაავადებულ ადამიანებთან და შევეხმიანე. მისგან კი ასეთი პასუხი მივიღე: ამ საქმეში მე მხარი ფსიქიატრებმა დამიჭირეს და მათ გარეშე არც ერთ კითხვაზე არ გიპასუხებო. ამის შემდეგ ფსიქიკური ჯანმრთელობის იმ ცენტრს („სონოკურმედი“) ვეწვიე, რომელშიც ია მუშაობს.

ლალი ფაცია

საუბარი აღნიშნული კლინიკის ფსიქიატრ-პროფესორებთან — გიორგი ნანეიშვილთან (კლინიკის ხელმძღვანელი), ვაჟა კენჭაძესთან და ნინო ოკრიბელაშვილთან წარიმართა. იმის გამო, რომ ასეთი საინტერესო პროფესიის ადამიანებს შევხვდი, ჩვენი საუბარიც ცოტა შორიდან დაიწყო.

— სანამ საერთოდ კონკრეტულად იმ საკითხს შევეხებოდეთ, რომელიც ჩემი თქვენთან მოსვლის მიზეზი გახდა, გეტყვით, რომ ფსიქიატრებთან არასდროს მისაუბრია. ამიტომ, სულ თავიდან მინდა გკითხოთ, რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

გიორგი ნანეიშვილი:

— ფსიქიატრების ოჯახში დავიბადე და სხვა პროფესიის არჩევა ვერც კი წარმომედგინა. ასე რომ, ოჯახური ტრადიცია გავაგრძელე.

ნინო ოკრიბელაშვილი:

— საზოგადოებაში გარკვეული კლიშე არსებობს: თითქოს ფსიქიატრიაში მიდის ის ადამიანი, რომელსაც გარკვეული ფსიქიკური პრობლემები თვითონ აქვს და შემდგომ არჩეული პროფესიის მეშვეობით საკუთარ გასაჭირს უღრმავდება. ჩემს შემთხვევაში ასე ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ, ძალიან მიყვარს მოგზაურობა და განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს „მოგზაურობა“ სხვათა ფსიქიკაში. ეს „მოგზაურობა“ კი ჩემთვის დაუსრულებელი პროცესი აღმოჩნდა. ნებისმიერ პაციენტზე, ვინც ჩემთან, 25 წლის განმავლობაში ყოფილა, შეიძლება ცალკე ტომის დაწერა.

— ნუთუ, არავჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანების ფსიქიკაში „მოგზაურობა“ კომფორტული პროცესია? ჩემი წარმოდგენით ძალზე დამღლელი უნდა იყოს...

— მართალია, არის საკმაოდ მძიმე შემთხვევები, მაგრამ ისინი მაინც არ სცდება ჩვეულებრივი ადამიანური გამოცდილების ჩარჩოებს, რაც თითოეული ფსიქიატრისთვის ძალზე საინტერესოა.

გიორგი ნანეიშვილი:

— არსებობს ასეთი სენტენცია, რომ ნებისმიერი ფსიქიკური დაავადება ამა თუ იმ ადამიანისთვის არსებობის ფორმაა. ერთი ასე ცხოვრობს, მეორე — ისე და ნებისმიერი გამოცდილება საინტერესოა. რაც შეეხება იმას, ეს პროფესია დამღლელია თუ არა, გეტყვით: განა, ქირურგისთვის დამღლელი არ არის დაუსრულებლად ოპერაციის კეთება, სისხლის ყურება?! ან პათანატომისთვის გაუთავებლად გვამების გაკვეთა?! მაგრამ ეს ჩვენი პროფესიული დამოკიდებულებაა ამა თუ იმ სიტუაციის მიმართ. თუ ყველაფერს, როგორც საშინელებას, ისე უყურებ, უარყოფითად იტვირთები, მაგრამ როდესაც მას, როგორც იმ საქმიანობას ისე აღიქვამ, რომლითაც ადამიანს პრობლემის დაძლევაში ეხმარები, მაშინ არ შეიძლება, დაიღალო.

ვაჟა კენჭაძე:

— თქვენ იკითხეთ, ფსიქიატრობა რატომ აირჩიეთო? მეც გიპასუხებთ: ბავშვობაში ვცხოვრობდი მარჯანიშვილის ქუჩის №18-ში. პატარაობისას აღმოვაჩინე, რომ იმ სახლში თურმე ერთხანს დიდ ფსიქიატრს, ნევროლოგს — ბეხტერევს უცხოვრია. მეზობელი მასზე უამრავ ამბავსა თუ ლეგენდას მიყვებოდა ხოლმე. ეტყობა, ეს ინფორმაცია ჩემს გონებაში დაილექა და პროფესიის არჩევისას გარკვეული ზემოქმედება მოახდინა. არადა, მთელი ბავშვობა მინდოდა, არქეოლოგი გავმხდარიყავი, მაგრამ ნინოსი არ იყოს, მეც ხატოვნად ვიტყვი: ადამიანების სულის „არქეოლოგი“ გამოვედი.

— გასაგებია, რომ თქვენი პრო-

ფესია გიყვართ, სიამოვნებას განიჭებთ ამ სფეროში მოღვაწეობა, მაგრამ რამდენად უძლებთ იმ დატვირთვას, რომელიც ფსიქიატრობას ახლავს?

ვაჟა კენჭაძე:

— ჩვენი საქმე დამღლელი და მძიმე კერძოდ იმითაა, რომ მოდის პაციენტი, თავისი უმწვავესი პრობლემით და შენ ხარ მისი ბოლო იმედი. ამ დროს არ გაქვს უფლება, მას იგნორირება გაუკეთო, ან რამეში შეცდე. დიდ პასუხისმგებლობას იღებ საკუთარ თავზე.

ნინო ოკრიბელაშვილი:

— ჩვენი პროფილის ავადმყოფების მშობლებს, ახლობლებს მაინც უჭირთ, გააცნობიერონ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათი ავადმყოფების გზა მიდის ასათიანის 10 ნომრისკენ ანუ ფსიქიატრიის ინსტიტუტისკენ. ამიტომ, სანამ ამას დაიჯერებენ, ავადმყოფს მანამდე ყველა სპეციალისტს მოატარებენ. ხოლო როცა უკვე ჩვენთან მოდიან, სამწუხაროდ, საკმაოდ გვიან არის, რადგანაც ღრმადაა ხოლმე წასული პრობლემები, რომლებიც მოსავლელად საკმაოდ რთულია.

— რა პროფილაქტიკური სამუშაო უნდა ჩატარდეს, პირველ ეტაპზე, რომ ავადმყოფობა ღრმად არ წავიდეს?

— ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ის ექიმები, ვისაც პაციენტები მიმართავენ, დროზე მოვიდნენ გონზე, მიხვდნენ და დიაგნოზი სწორად დასვან.

ვაჟა კენჭაძე:

— ყველაზე მთავარია, საზოგადოებამ გაიგოს, რომ ჩვენ ვართ სულის მკურნალები და არა „გიჟების“ ექიმები!

— ხომ არ გაიხსენებთ რაიმე კონკრეტულ შემთხვევას თქვენი პრაქტიკიდან?

ნინო ოკრიბელაშვილი:

— შემიძლია, ერთი ასეთი შემთხვევა მოგიყვეთ: გოგონა სასწავლებლად გაგზავნეს უცხოეთში, მაგრამ თბილისიდან გამგზავრების მომენტში ყურადღება არავინ მიაქცია მის უცნაურ გამონათქვამებს და შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მისი ტრანსპორტირება გახდა საჭირო. ძალიან კარგია უცხოეთში წასვლა, განათლების მიღება, მუშაობაც, მაგრამ გამგზავრებისას ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანის ფსიქოემოციური მდგომარეობა. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი საპროფილაქტიკო სამუშაო, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. ის უმძიმესი პარანოიით დასნეულებული ჩამოიყვანეს იქიდან. არადა, გოგონა სკოლიდან ერთ-ერთი პროგრამით გაგზავნეს. უცხო ქვეყნის ნახვისას კი კულტურული შოკი დაემართა, ვინაიდან მას თავისი სოფლის იქით არაფერი ჰქონდა ნანახი.

ვაჟა კენჭაძე: ია საკუთარ თავში ალქიმიურ ოქროს ანუ სინათლეს ეძებს

ვაჟა კენჭაძე:

— ჩემმა ერთმა პაციენტმა ცხვირის ფორმა შეიცვალა, ოპერაცია გაიკეთა. იმის შემდეგ 15 წელი გავიდა და ის დღემდე თავის დაკარგულ სახეს ეძებს. ცდილობს, რომ აღიდგინოს თავისი პირვანდელი ჰაბიტუსი. ის განცდა, რომ ცხვირის ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი, მისთვის მანამდე თურმე ავადმყოფური იყო. როცა მდგომარეობიდან გამოვიდა, მან საკუთარი თავი ველარ იცნო...

ნინო ოკრიბელაშვილი:

— ამიტომ, კოსმეტოლოგები, პლასტიკური თუ ყბა-სახის ქირურგები უნდა გაფრთხილდნენ — ამა თუ იმ დიაგნოზის დასმისას, სწორი შეფასება გააკეთონ. ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთი ოპერაციების შემდეგ, ადამიანები ფსიქიატრიული კლინიკის ბინადარნი გამხდარან. გასჩენიათ აზრი, რომ ოპერაციის დროს მათ რაღაც სპეციალურად დაუზიანეს და დაამახინჯეს.

— თქვენს კლინიკაში მუშაობს მსახიობი ია ფარულავა, რომელიც არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანებს განსხვავებული მეთოდით სეანსებს უტარებს. როგორ მოხვდა ის თქვენთან?

გიორგი ნანეიშვილი:

— ქალბატონმა იამ ფსიქოთერაპიისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის ძალიან საინტერესო მეთოდი შემოგვთავაზა და თან გვკითხა: შეიძლებოდა თუ არა ჩვენს პაციენტებთან მისი გამოყენება. იმდენად საინტერესო მეთოდია, რომ ის ბევრი ფსიქიატრისთვისაც კი უცხო და უჩვეულოა. ეს გახლავთ XX საუკუნის გამოჩენილი რუსი მსახიობის, მიხაილ ჩეხოვის მეთოდი მსახიობებისთვის, რომელიც რელაქსაციისთვის, ემოციური განტვირთვისთვის არის გამიზნული. ის სტრესების მოხსნის ერთ-ერთი საშუალებაა. ოღონდ, სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ თავიდანვე მსახიობებისთვის იყო შექმნილი და განკუთვნილი. ამიტომ, ჩვენ საკ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეთრა დვალი

უბის წიგნაკიდან:

18. სამამულო ომის დროს ფრონტზე დაჭრილ ანატოლი პაპანოვს ტერფის ნახევარი და ორი თითი მოჰკვეთეს, რის გამოც მსახიობი მთელი ცხოვრება კოჭლობდა.

19. მუსოლინის უკანასკნელ მომენტამდე არ სჯეროდა, რომ გერმანია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას გაბედავდა. უღმერთო კომუნისტების წინააღმდეგ წამოწყებული ომი ვატიკანის მიერ გახლდათ კურთხეული.

20. ვლადიმირ პუტინის ოპონენტებს დღესაც პირზე აკერიათ მისი სიტყვები: ტერორისტებს ტუალეტებშიც დავხოცავთო. მაგდენი ტუალეტის აშენება გაგიჭირდებათ, — დასცინიან რუსებს უცხოელები.

21. საფრანგეთში გერმანელები მასობრივად ხოცავდნენ საფოსტო მტრედებს, რათა მათი დახმარებით, პარტიზანებს ადგილობრივი რუკები ინგლისელთათვის არ მიეწოდებინათ.

22. რუსების მიერ შექმნილი მხატვრული ფილმის — „დონ კიხოტის“ გადაღებისას საგანგებოდ გამოძებნეს 28 წლის ცხენი, რომლისგანაც ძვალი და ტყავიღა იყო დარჩენილი. უბადრუკი პირუტყვის გამოკვებას უკლებლივ ყველამ მიჰყო ხელი. ცოტა ხანში ცხენი ისე მოასუქეს, რომ მხატვარი იძულებული გახდა, სიგამხდრის წარმოსაჩენად, მისთვის ფერდებზე ნეკნები მიეხატა.

23. საპროტესტო მიტინგების დროს ლონდონელები მოედნებზე ბურთულასაკისრებს, ე.წ. „შარიკოპოდშიპნიკებს“ ყრიდნენ, რათა ცხენებს, რომელზეც პოლიცია იყო ამხედრებული, ქვეფენილზე ფეხი დასცურებოდათ.

24. ბოლშევიკებმა ლევან რაზიკაშვილს სიკვდილი (1922 წლის 7 დეკემბერს) მიუსაჯეს. მოგვიანებით, მათ სერგო ორჯონიკიძისთვის უთხოვიათ, — ვაჟა-ფშაველას შვილს სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებო, მას კი უპასუხია: ვაჟა-ფშაველას შვილს კი არა, საჭიროების შემთხვევაში, თავად ვაჟა-ფშაველასაც დავხვრეტდიო. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმადნაფიცი 1923 წლის 16 თებერვალს, ღამის ორ საათზე დახვრიტეს.

25. საბერძნეთში მოგზაურობისას ნერონი სისტემატურად მართავდა სპექტაკლებს, რომლებშიც მთავარ როლებს თავად ასრულებდა. კეთილგონიერი ბერძნები მქუხარე ოვაციებით ხვდებოდნენ დამპყრობელს და მის აქტიორულ ნიჭს მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ. ამის გამო ნერონმა საბერძნეთს თავისუფლება მიანიჭა, რომელიც მოგვიანებით, იმპერატორმა ვესპასიანემ გააუქმა.

მაოდ ბევრი ვიშრომეთ, ვიკამათეთ, ვიმსჯელეთ, ვარჩიეთ, ექსპერიმენტები ჩავატარეთ და მივედით დასკვნამდე, რომ ამ მეთოდის ჩვენს კლინიკაში დანერგვა შეიძლებოდა. ამის მერე იას აქ მუშაობაც შევთავაზეთ. მეთოდი აშკარად ეფექტურია, დეპრესიულ და ნევროზულ პაციენტებთან.

ნინო ოკრიბელაშვილი:

— ადამიანებს ყოველდღე სხვადასხვა ფუნქციის შესრულება გვიხდება. მაგალითად, დილით თუ ვარ დედა, შუადღეს ვარ პედაგოგი, საღამოს ვხდები დიასახლისი. მერე შეიძლება, მეგობრების წრეში აღმოვჩნდე და მეგობრის როლი მოვირგო. როდესაც ადამიანს აქვს რაღაც ფსიქიკური პრობლემა — დაძაბულია, ამ სტრესებით გაჯერებულ ცხოვრებაში ადაპტაცია უჭირს, ერთი როლიდან მეორეზე გადასვლა სრულფასოვნად არ გამოსდის. იას მიერ შემოთავაზებული მეთოდით გადართვა შედარებით მარტივად ხდება. თუ ადამიანს ეს ადაპტაციური სისტემა დარღვეული აქვს, დეპრესიის, პოსტტრავმული, სტრესული, შფოთვითი აშლილობების თუ სხვა დარღვევების გამო, ამ მეთოდის ათვისების შემდეგ, შეუძლია სწრაფად გახდეს ფუნქციონირებადი.

ია ფსიქიატრებთან ერთად (მარჯვნივ ნინო ოკრიბელაშვილი, გიორგი ნანეიშვილი)

ვაჟა კენჭაძე:

— ამ მეთოდს იმაგოთერაპია ეწოდება, რომელიც მხოლოდ წარმოსახვაზე არ არის აგებული. ეს არის ის თანამედროვე მეთოდი, რომელიც ეხმარება არა მარტო პაციენტებს, არამედ ჯანმრთელ ადამიანებსაც.

ია ფარულავა:

— საერთოდ, იმაგოთერაპიისა და ჩეხოვის მეთოდის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია — არ გააანალიზო არაფერი. ამიტომ, არაფერს ვაანალიზებ. მოვდივარ ამ ადამიანებთან, ვმუშაობ, ეს ურთიერთობა მსიამოვნებს, მადლობელი ვარ მათი, რომ ჩემში დაინახეს ის მარცვალი, რომელიც სხვამ ვერ შეამჩნია. მიხარია, რომ ეს ჩემ მიერ ამერიკაში ნასწავლი მეთოდი საჭირო აღმოჩნდა არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ სპეციფიკური პაციენტებისთვის. რაც აქ მოვედი, მას მერე გავიგე, რომ თურმე არსებობს ბევრნაირი დეპრესია და ნევროზის ფორმა. ვნახე, თუ რა არის და რას ნიშნავს ნამდვილი დეპრესია. ეს უმაღლესი დონის ფსიქოდიაგნოსტიკური ცენტრი პაციენტებს პრობლემებს უგვარებს... მსოფლიოში არსებობს ფსიქოთერაპიული მკურნალობის 3500 მეთოდი და შეიძლება, ეს 3501-ე მეთოდია. ფსიქიკური აშლილობა ღმერთისგან გამოგზავნილი ნიჭიც კი მგონია, რომელსაც მოვლა სჭირდება. ყველა ნიჭიერი ადამიანი, რომელიც ქმნის რაღაც დიდებულს, ვფიქრობ, ცოტათი შეშლილია...

ვაჟა კენჭაძე:

— მაგრამ ნებისმიერი უცნაური გამოვლინება ადამიანში არ ნიშნავს დაავადებას. სწორედ ამაშია ადამიანის სილამაზე. ღმერთმა ყველანი ჩვენ-ჩვენი უნიკალური თვისებებით გაგვაჩინა.

ნინო ოკრიბელაშვილი:

— სტატისტიკის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ მეექვსე ადამიანს, აქვს საშიშროება, რომ ჩვენი დიაგნოსტიკური კრიტერიუმებიდან ფსიქიკური აშლილობების თვალსაზრისით, რაღაც მაინც შეეფარდოს. ეს სტატისტიკაა, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ამაში მძიმე ავადმყოფობა იგულისხმება. ყველა ადამიანს აქვს რაღაც მერყეობა, შფოთვა, მაგრამ ეს შფოთვა რომ არ არსებობდეს, ქუჩაზე ვერ გადავალთ. ეს დამცავი მექანიზმია. მთავარია, ეს შფოთვა არ ავიდეს ისეთ რეგისტრში, რომ ცხოვრების რეჟიმი შეაცვლევინოს ადამიანს, ხელი შეუშალოს სრულფასოვან ცხოვრებაში.

— ია, პაციენტები გცნობენ როგორც მსახიობს?

— კი, ზოგიერთი მცნობს, ზოგიერთი — ვერა...

ნინო ოკრიბელაშვილი:

— არ დაუჯეროთ, ყველა ცნობს. — ერთმა სურათებიც კი გადაიღო მასთან.

ია ფარულავა:

— მათთან მუშაობით ერთგვარი თერაპიის კურსს გავდივარ. აქედან განტვირთული მივდივარ. მსიამოვნებს, რომ იმ დღეს რაღაც კარგი გავაკეთე. გარკვეული წვლილი შევიტანე სხვა ადამიანების კეთილდღეობაში.

ვაჟა კენჭაძე:

— ია საკუთარ თავში ალქიმიურ ოქროს ანუ სინათლეს (ჭეშმარიტებას) ეძებს. აქვე ვიტყვი, რომ ამ საქმეში არავითარი მატერიალური დაინტერესება არა აქვს.

გიორგი ნანეიშვილი:

— როდესაც ამ მუშაობის შესახებ საკმარისი მასალა დაგროვდება, სამეცნიერო ნაშრომს დავწერთ.

— ია, იქნებ ის გაიხსენო, თუ როგორ დაეუფლე ამერიკაში მიხაილ ჩეხოვის ამ მეთოდს?

— ეს მეთოდი რუსეთში, 30-იან წლებში ცნობილმა მსახიობმა მიხაილ ჩეხოვმა შემოიღო. მერე ის უკვე ამერიკასა და ევროპაში გავრცელდა მისი მეგობრის, გიორგი ჟდანოვის მიერ. ამ მეთოდს ჩეხოვმა წიგნი — „მსახიობის ტექნიკა“ მიუძღვნა. გიორგი ჟდანოვი ლოს-ანჯელესში ყოფნისას ჩემი პედაგოგი გახლდათ. ის მაშინ უკვე საკმაოდ მხცოვანი იყო. სწორედ მისგან ვისწავლე ეს ტექნიკა, რომელიც რუსეთში კომუნისტების დროს იკრძალებოდა, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ის რაღაც მისტიკური ელემენტებისგან შედგებოდა. არადა, ეს მეთოდი ზეგავლენას ახდენს მსახიობის გუნებაგანწყობილებაზე და საშუალებას აძლევს მას როლზე მუშაობისას კონკრეტული ხერხები გამოიყენოს. ამ მეთოდს მსოფლიოს ყველა პრესტიჟულ უნივერსიტეტში ასწავლიან. ამერიკაში სწავლის დროს ჯერ ბატონი ჟდანოვის მოწაფე ვიყავი, მერე ასისტენტი. ბოლოს, რეჟისორიც გავხდი, მყავდა ჯგუფი, რომელსაც ვასწავლიდი კიდეც.

— მერე, საქართველოში რომ დაბრუნდი, მაშინვე რატომ არ დაიწყე ამ მიმართულებით მუშაობა?

— საქართველოში რომ ჩამოვედი, ეს ჩემი ცოდნა რაღაც ეტაპამდე გადავდე, რადგანაც მივხვდი, რომ აქ ჯერ ამ მეთოდის გამოყენების დრო და სიტუაცია არ იყო. მოგვიანებით, ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ მომცა უფლება, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩამეტარებინა კლასები სხვადასხვა ჯგუფისთვის (ერთი სემესტრი ვასწავლიდი). სხვათა შორის, მანანა ბერიკაშვილმაც კარგად აითვისა ეს მეთოდი, აქედან მეტყველების სავარჯიშოებისთვისაც რაღაც ვარჯიშებს დაესესხა. მერე გამოხდა ხანი და „თეატრში ათონელზე“ დამოუკიდებლად პატარა სტუდია გავხსენი, სადაც ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფთან ვმუშაობდი. ერთხელაც იქ ჩემი მეგობარი — ფსიქიატრი, ვაჟა კენჭაძე მოვიდა, რომელიც დაესწრო გაკვეთილს და მითხრა, რომ ეს მეთოდი ნევროტული, დეპრესიული და მწვავე პაციენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა და ყველაფერი ასე დაიწყო. დღეს კი როგორც უკვე ვთქვი, ჩემი საქმიანობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კლინიკაში შესანიშნავი ექიმები მოღვაწეობენ, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავენ და იქ შესანიშნავი პირობებია შექმნილი პაციენტების სამკურნალოდ და რეაბილიტაციისთვის, კლინიკა მაინც საკმაოდ დამძიმებულმა დავტოვე. რადგანაც პაციენტების ხილვის შემდეგ, მივხვდი, რომ დაძაბული ცხოვრების გამო, ზოგიერთისთვის სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ჩვეული გარემოდან ამ კლინიკამდე, სადაც მოხვედრას ნამდვილად არავის ვუსურვებ....

MK

გივის დიეტა...

ინგა ჯაყელი



გინახავთ სადმე ქართველი კაცი, მამაპაპური ქეიფი და ჭამა-სმა რომ არ უყვარდეს?! თუ ასეთი ვინმე იცით, შეგვატყობინეთ და მასზეც აუცილებლად დავწერთ სტატიას...

ჩვენი ამბის დღევანდელი გმირი კი ლამის უცოლოდ დატოვოს სმა-ჭამის სიყვარულმა. მას გივი ჰქვია და კარგა ხანია, „ჩაათავა“ 40 წელი. მაშინ უშლიდნენ დაბადების დღის აღნიშვნას — „40“-ს ცოცხლებს არ უხდიანო, — მაგრამ არც დაიშალა და ხელიც ჩაიქნია:

— შვილი მე არ მრჩება და ცოლი, შეიძლება, მკვდარს არც ვინმემ გადამიხადოს ორმოცი! — და მამა-პაპის დატოვებული სახლის ფართო აივანზე, ლამის ას კაცზე გაშალა სუფრა. სწორედ იმ დღეს ჩასჩურჩულა ყურში მამიდამ:

— ჩვენ რომ გოგო მოგვყვა, შენთვის წამოვიყვანეთ. კაი, ოჯახიშვილია, განათლებული და პატიოსანი. თუ მოგეწონება, მითხარი და დავტრიალდები სამაშვლოდ!..

გახედა გივიმ ქეთინოს (ასე ერქვა გოგოს!) და მოეწონა კი არა, მართლა შეუყვარდა იმ ერთი შეხედვით. ერთი-ორი ჭიქა რომ დალია, მამიდას ხელი მოხვია:

— თუ იზამს, დღესვე დავიტოვებ, სწორედ ასეთ ქალზე ვოცნებობდი, რაც თავი მახსოვს!

გივი კი იყო თანახმა, მაგრამ ქეთინომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— თქვენ მითხარით, — ცოტა პუტკუნაა, მე კი უსაშველო ღიპის მეტს ვერაფერს ვხედავ, ამის ნახევარიც რომ დარჩეს, მაინც არ იქნება იმისთვის საკმარისი, რომ კაცს დაემსგავსოს!

მთლად ასე მწარედ არ უთქვამთ ქეთინოს დანაბარები გივისთვის, მაგრამ მაინც ეტკინა გული დაწუნებულს:

— წონაში თუ დავიკელი, მერე მეც მაგაზე უკეთეს ქალს დავუწყებ ძებნას! — მაგრამ ისე ძალიან მოსწონდა ქეთინო, გადაწყვიტა, „გაეწირა“ თავიც, პრინციპებიც და ცნობილ დიეტოლოგს მიაკითხა, რომელმაც პირველი კვირის განმავლობაში უმი კომბოსტოსა და სტაფილოს ჭამა უბრძანა. თქვენ გგონიათ, ერთი დღე მაინც გაუძლო რეჟიმს? დილით რომ გაღრღნა სტაფილო, შუადღეზე გული წაუვიდა და გონს მოსული, ოთხზე დამდგარი მიფოფხდა მაცივართან, პირდაპირ ქვაბებიდან ჭამა, რაც ხელში მოხვდა და კუჭის ტკივილი რომ იგრძნო, მაშინ მოვიდა აზრზე. გული დასწყდა საკუთარ თავზე და ახლობლებს სთხოვა ოთახში ჩაეკეტათ, სტაფილოსთან და კომბოსტოსთან ერთად და არანაირ თხოვნა-მუდარაზე არ გაეღოთ მისთვის კარი...

მოკლედ გეტყვით, რომ საღამოს იმ მგელს ჰგავდა, რომელიც ხის ქერქს ღრღნის, მოშივებული, და თან, სიმწრის ცრემლს ყრიდა. აბრახუნა კარზე: მიშველეთ, თვალთ მიბნელდებაო! — მაგრამ არ გაუღეს და ფანჯრიდან სცადა გადასვლა. მართალია, პირველი სართული იყო, მაგრამ მისი წონის პატრონს იქიდან გადახტომაც ძვირი დაუჯდა: უხერხულად დავარდა და წვივში გადაიმტვრია ფეხი...

სწორედ მაშინ უნდა გენახათ მისი მგლობა და ყმუილი, სულ უკანასკნელ ხმაზე აგინა ქეთინოსაც და საერთოდ, ქალთა მოდგმასაც...

საავადმყოფოში თაბაშირი კი დაადეს მოტეხილ ფეხზე, მაგრამ სახლში იმავე დღეს გამოუშვეს. საჭმელიც მოითხოვა, მაგრამ ქალებმა თითქოს პირი შეკრეს, — სანამ, თავად არ შეუძლია მაცივრამდე მისვლა, ახლა თუ დავაგდებინებთ წონას, თორემ მერე არაფრის იმედი აღარააო! და ხან უმად მიაწოდეს სტაფილო და კომბოსტო, ხან გახეხილი, ხანაც — უმარილო, წყალში ჩაშუშული...

ჭამდა თუ არ ჭამდა, მაინც წამდაუწუმ მისდიოდა გული და მეორე დღეს საღამოსთვის სიცხემაც აუწია, რითაც ახლობლები გვარიანად დააფრთხო, მაგრამ საჭმელს მაინც არ მიაწოდებდნენ, პირჯვარი რომ არ გადაესახა და მწარე ფიცი არ ეთქვა: ღმერთს ვფიცავ, თუ ოდესმე ცოლი შევირთო! ასეთი წამების შემდეგ, გული ზიზღით მაქვს სავსე და შეიძლება, გამწარებულმა კაცი მოვკლა. რა სიყვარული, რის სიყვარულიო! — ჩაიქნიეს ხელი და მიუტანეს შემწვარ-მოხრაკული.

მწოლიარეს ორმაგად შეერგო ნასვამ-ნაჭამი და ისე ჩამრგვალდა, ბავშვების ნაკეთებ თოვლის კაცს დაემსგავსა, სამ ნაწილად (სამ „ბურთად“) ქცეული სხეულით...

ჰოდა, დადის დღემდე უცოლოდ.

...ქეთინოს უკვე ორი ბიჭი ჰყავს და სხვებმაც მოახერხეს გათხოვება. გივი კი დადის ქეიფიდან ქეიფში და თავგამოდებით მღერის: დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისასო!..

რა ქნას, აბა, სხვა რაღა დარჩენია?!. ■

ლონდონელმა დანტისტმა Sony BMG-სთან მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა

საოპერო სიმღერით გატაცებულმა ლონდონელმა დანტისტმა ენდრიუ ბეინმა ხმის ჩამწერ კომპანიასთან Sony BMG მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. 10-წლიანი საექიმო პრაქტიკის მქონე ბეინი სიმღერამ ბავშვობიდან გაიტაცა. 8 წლის ასაკიდან საეკლესიო გუნდში მღეროდა, მოგვიანებით კი — მშობლიური ლანკასტერის სამოყვარულო ოპერაში დაიწყო მუშაობა. ბეინი დიდი ხნის მანძილზე ორ საყვარელ საქმეს ერთმანეთს უთავსებდა, მაგრამ მუსიკალურ ასპარეზზე წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. ბოლოს, კომპანიას Sony BMG საკუთარი დემოჩანაწერი გაუგზავნა, რომელზეც პრინცის ჰიტის Purple Rain საოპერო ვერსია იყო ჩაწერილი. ხმის ჩამწერი ლეიბლის ხელმძღვანელობამ ენდრიუ ბეინის სიმღერის მანერა სათანადოდ შეაფასა — ჩათვალა, რომ მომღერალი პოპმუსიკის მოყვარულთა ყურადღებას მიიპყრობდა და 4 ალბომის გამოშვებაზე კონტრაქტი შესთავაზა. ენდრიუ ბეინის სადებიუტო ალბომში ისეთი პოპჰიტების საოპერო ვერსიები შევა, როგორიცაა: ჯგუფის — ABBA ჰიტი The Winner Takes It All, THe Smiths-ის და How Soon Is Now? პრინცის Purple Rain მსმენელი ალბომს 2008 წლის სექტემბერში მიიღებს. კონტრაქტის დადების შემდეგ დანაღვლიანებულმა დანტისტმა განაცხადა, რომ ამიერიდან საექიმო პრაქტიკას თავს ანებებს, თუმც ისიც აღნიშნა, რომ პაციენტები მოენატრება. ■

„ულეგელი ციხესიმაგრეები“ და „კალთებდასეული“ ბიჭები

ე.წ. „სვეტსკი“ მოზარდები ღამის კლუბებს, დისკოთეკებსა და მხოლოდ შარდენზე მდებარე ბარებს თუ სტუმრობენ და, როგორც თავად მიაჩნიათ, კარგადაც ერთობიან; შედარებით ნაკლებად, „სვეტსკები“ რესტორნებსა თუ ბარებში (ოღონდ, არა შარდენზე) სიარულით ირთობენ თავს; არის იმ მოზარდთა ჯგუფი, რომელთაც მხოლოდ სწავლა აინტერესებთ და მეგობართა თანხლებით, იშვიათად თუ მიდიან მსგავს დაწესებულებებში, ზოგიერთს კი „სვეტსკაობისა“ და ასეთი კარგი პონტების გაჩითვის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ამის საშუალებას მშობლების თხელი ჯიბე არ აძლევს და ამიტომაც, გართობის წყურვილს პარკში სეირნობით იკლავს.

ანუ „სექსუალურად ჩაცმულები შუალამისას პარკში რისთვის ჩამოდიან?“

ლიკა ქაჯაია

ლიკა, *15 წლის:*

— მე აქვე ვცხოვრობ და საღამოობით, მეზობლებთან ერთად, ამ პარკში ხშირად ჩამოვდივარ. სხვათა შორის, აქ გავიცანი ჩემი საქმრო, რომელიც ძალიან მიყვარს, ერთმანეთის გარეშე წუთითაც ვერ ვძლებთ და პაემნებსაც ტრადიციისამებრ, აქ ვუნიშნავთ ერთმანეთს.

— სხვაგან არსად გეპატიჟება?

— როგორ არა, მაგრამ ჯერ აქ ვხვდებით და გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოვიქცეთ ან გასართობად სად წავიდეთ, ერთად ვიღებთ. ხან ბარში მივდივართ, ხანაც — თეატრში ან კინოში...

— დისკოთეკები და ღამის კლუბები არც ერთს არ გხიბლავთ?

— როგორ არა?! ზოგჯერ ღამის კლუბშიც მივდივართ, თუ, რა თქმა უნდა, იქ საინტერესო რაღაც ხდება, მაგრამ მსგავსი რამ თბილისში — იშვიათობაა. ძირითადად, ასეთ კლუბებში ხალხს მოწყენილობა კლავს და იქ მყოფები სიგარეტის მოწევასა და ერთმანეთზე ჭორაობაში ატარებენ დროს.

— პარკში ყოფნის დროს განსხვავებულად ერთობი?

— ჯერ ერთი, სიგარეტს არ ვეწევი და საერთოდაც, მწეველი გოგონები მაღიზიანებენ. ხოლო რაც შეეხება ღამის კლუბს, ის პარკისგან აშკარად განსხვავდება. აქ სულ სხვა პონტია. პარკში დროს სატარებლად კი არა, დასასვენებლად და შეყვარებულთან სალაპარაკოდ მოვდივარ, ღამის კლუბში კი წესით, ისე უნდა გაერთო, რომ შინ დაღლილი წახვიდე. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქართველებმა გართობა არ ვიცით. ბევრი ტრაბახობს, — კლუბში ვიყავი და მაგარი პონტიც „გავაძვრე“, ირგვლივ მყოფები თავს მევლებოდნენო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქ მოწყენილობისგან თითებს დაიკვნეტდნენ (*იცინის*).

— იქ თუ ასეთი საშინელებაა, წესით, იშვიათადაც არ უნდა მიდიოდეთ.

— თუ ღამის კლუბში რაიმე საინტერესო ეწყობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივდივარ-მეთქი. იქ სანახაობას ვუყურებ, სიმღერებს ვუსმენ, ცოტას წავუცეკვებ და როცა პონტი აირევა, ეგრევე სახლში მივდივარ. ვიღაც აბეზრების ღლაბუცი სიამოვნებას ნამდვილად ვერ მომანიჭებს და არც მეწყვილის გარეშე მოსული გოგონების გაშტერებული, ნაღვლიანი სახეების ყურება მსიამოვნებს.

— ღამის კლუბში ყველაზე დიდხანს, რომელ საათამდე გაჩერებულხარ?

— დაახლოებით, პირველ საათამდე.

— და ამის გამო მშობლები არ გსაყვედურობდნენ?

— არა, პირიქით, ისინი ამაში ხელს მიწყობდნენ (*იცინის*). რა თქმა უნდა, ღამით ბორიალს ზოგჯერ მიკრძალავენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან ერთად და სად მივდივარ. ჩემი მშობლები მენდობიან, მაგრამ არსებობს შიშის მომენტი, რომ რაღაც ცუდი არ დამემართოს და მე მათი მესმის. დღეს ჩვენს ქალაქში გოგონას თავისუფლად ბორიალი კი არა (მით უმეტეს, საღამოს), ბიჭების ხეტიალიც საშიშია.

— რატომაა საშიში?

— რა ვიცი, ათასნაირი მანიაკი დაეხეტება. შეიძლება, ქურდი, ყაჩაღი და ნარკომანი დაგესხას თავს და არაფრის გამო, ყელი გამოგღადროს.

— მერე, ახლა ხომ გვიანია და თუ ასეთი საშიშროება გელის, ქუჩაში რატომ გამოხვედი?

— ხომ ხედავ, აქ მარტო არ ვარ, მეზობლებთან ერთად მოვედი. შინიდან მარტო გამოსვლას ნამდვილად ვერ გავბედავდი.

— მაგრამ როგორც ვხედავ, გოგონები კავალრების გარეშე წამოსულხართ და ხომ შეიძლება, ვიღაც მანიაკმა სამივე შეგაშინოთ?

— შეიძლება, მაგრამ მარტო გამოსვლა უფრო საშიშია, სამნი კი რაღაცას მაინც მოვიმოქმედებთ. აბა, პარკშიც რომ არ გამოვიდე, „დავობდები“ და „დავიჟანგები“. ზოგჯერ სუფთა ჰაერი მაინც ხომ უნდა გადავყლაპო?! სადმე გარეუბანში რომ ვცხოვრობდე და არა ვერაზე, შეიძლება, ამის სურვილი არ გამიჩნდეს, მაგრამ ჩვენთან ძალიან მძიმე ჰაერია, რადგან ბევრი ხალხი მოძრაობს და თან, ირგვლივ ყველაფერს არემონტებენ და გარშემო მტვრის ბუღი ტრიალებს. პარკი ის ერთადერთი ადგილია, სადაც სუფთა ჰაერის ყლაპვის შესაძლებლობა გეძლევა და ხმაურისგანაც ისვენებ. ამ სიამოვნებაზე უარს ვერავისა და ვერაფრის გამო ვერ ვიტყვი...

გიორგი, *17 წლის:*

— აქ კარგი ნაშები „ეძრობიან“ და ამიტომაც მოვდივარ. აბა, ალექსანდრეს ბაღში რამ უნდა მომხიბლოს?

— ნაშები სადმე სხვაგან, მაგალითად, ბარში ან ღამის კლუბში არ „ეძრობიან“?

— კი, მაგრამ ისინი ძირითადად, მეგობარ ბიჭებთან ან ვიღაც „მეთვალყურესთან“ ერთად მოდიან, რადგან მათ შინიდან მარტოებს არ უშვებენ, აქ კი თავისუფალი არჩევანის წინაშე ხარ — მიდი და ვისაც გინდა, დაელაპარაკე.

— შენთან ლაპარაკს არავინ გაურბის? ყველა სიამოვნებით გეცნობა?

— უარი რატომ უნდა მითხრან? ცუდი ბიჭი ვარ? ისე, ყოფილა მსგავსი შემთხვევა, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ გოგონებს თავპატიჟი უყვართ. ზოგიერთები თავიდან ინაზებიან, ცოტა ხანში კი ისე თამამდებიან, ახალგაცნობილთან „ზასაობაზეც“ არ ამბობენ უარს და თუ პარტნიორთან კოცნაობა მოეწონათ, მერე საწყალ ბიჭებს „კალთებს ახევენ“.

— **ეს ხშირად ხდება?**

— არც ისე იშვიათად. ერთი გოგო ძლივს მოვიშორე თავიდან. ახალგაცნობილს, სახლამდე გამომყვა და მეუბნებოდა, — შენთან უნდა ამოვიდეო.

— **ამით რისი თქმა გინდა, მაგარი ბიჭი ხარ?..**

— არა, მაგარი სულაც არ ვარ, მაგრამ ამქვეყნად ცოტა გადარეული ნამდვილად არაა, მე კი, შეიძლება ითქვას, ასეთებს მაგნიტივით ვიზიდავ...

— **როგორ მეცოდები...**

— ჰო, ზოგჯერ ბიჭები ცუდ სიტუაციაში ვცვივდებით და მართლაც საცოდავები ვართ... ზოგიერთი გოგონა „აუღებელი ციხესიმაგრეა“, მაგრემ ეს გარეგნულად ნამდვილად არ ეტყობა. არ მესმის — ასეთები, თანაც, სექსუალურად ჩაცმულები შუაღამისას პარკში რისთვის ჩამოდიან?..

— **დასასვენებლად, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად, ქალაქს ბუღისგან თავის დასაღწევად და გასაგრილებლად...**

— მაშინ, მშობლებთან ან ძმასთან ერთად ჩამოვიდნენ და მათ შეწუხებას ვერავინ გაბედავს! გოგონებმა კარგად იციან, რომ აქ, ყველა ვარიანტში, ვიღაც „აეკიდებათ“.

— **რატომ უნდა „აეკიდოთ“?**

— აბა, რისთვის ჩამოვდივართ პარკში?! ჩვენ გაგრილება ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ამას როგორმე, პარკში მოსვლის გარეშეც მოვახერხებთ (*იცინის*)...

— **ალბათ, ასეთი „აუღებელი ციხესიმაგრეები“ აბეზარ ბიჭებს საკადრის პასუხს გაგცემენ...**

— ჰო, მაგრამ ყველა, ჩემნაირი ლმობიერი არ იქნება და თუ გოგონა მართლაც, მხოლოდ გასაგრილებლადაა მოსული, ისიც უნდა იცოდეს, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ქალები თავს უნდა გაუფრთხილდნენ და იცოდნენ, რომ სეირნობასაც თავისი დრო აქვს.

— **ეი. თქვენი შიშით, ქუჩაშიც არ უნდა გამოვიდნენ?**

— ასე გამოდის (*იცინის*).

— **ვთქვათ, პარკში შენი და სეირნობს და არ იცის, რომ შენც იქვე ხარ. მას ვიღაც რომ „აეკიდოს“ და ისიც დაელაპარაკოს, როგორი რეაქცია გექნება?**

— ძალიან ცუდი. იმწუთასვე მასთან მივალ და სახლში წასვლას ვუბრძანებ. თუ არ დამემორჩილება ან ენას შემომიბრუნებს, შეიძლება, ხელიც გავარტყა და ამ დროს არც მისი მეგობრების მომერიდება და არც — უცხო ადამიანების...

— **მკაცრი ყოფილხარ. აქ გაცნობილ გოგონას ცოლად მოიყვან?**

— თუ ე.წ. „ციხესიმაგრე“ იქნა, მაგრამ მისი დამორჩილება მოვახერხე, მასზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთ გოგონას, რომელიც დალაპარაკებისთანავე შარვლის კალთაზე ჩამომეკიდება, სერიოზულად ვერ შევხედავ. ისე, რა ვიცი, შეიძლება, სიყვარულმა ტვინი გადამიბრუნოს და ცოლად ასეთიც შევირთო...

მაიკო, *16 წლის:*

— რა პონტია, შეყვარებულთან ერთად, პარკში ჯდომა და მზესუმზირას ჭამა?! რომელი საუკუნეა?!.

— **აბა, შეყვარებულთან ერთად, გასართობად სად მიდიხარ ხოლმე?**

— იცი, შეყვარებული არასდროს მყოლია და აქედან გამომდინარე, ვერ გეტყვი, მასთან ერთად სად წავიდოდი. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, რომ პარკში არ დავჯდებოდი. როცა ჩემი ოცნების პრინცი გამოჩნდება, ყოველ პაემანს გავთვლით და წინასწარ დავგეგმავთ. თუ საშუალება გვექნება, ერთსა და იმავე ადგილას არასდროს წავალთ.

— **რატომ?**

— ერთფეროვნება მოსაბეზრებელია და ამიტომაც. სულ ერთი და იმავე კაფეში შესვლა და ყავის სმა საშინელება იქნება და შეიძლება, არა მარტო ის ადგილი, არამედ ერთმანეთიც მოგვბეზრდეს.

— **ახლა სად და როგორ ერთობი?**

— გართობისთვის არ მცალია, რადგან აბიტურიენტი ვიქნები და მასწავლებლებთან უკვე ვემზადები. ზოგჯერ მეგობრებთან ერთად ბარში შევდივარ, ზოგჯერ — რომელიმეს სახლში ვიკრიბებით და ჩვენებურად ვქეიფობთ, ზოგჯერ კი შემოქმედებით და პოეზიის საღამოებს ვაწყობთ...

— **ღამის კლუბებში სიარული არ გხიბლავს?**

— ასეთ დაწესებულებებში არასდროს მივდივარ. რესტორანშიც მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ისიც, ნათესავის ქორწილში. ვერ ვიტან იქაურ სიტუაციას.

— **პარკში სასეირნოდ ჩამოსულს, ბიჭები არ გაწუხებენ?**

— ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით, რადგან აქ ვიღაცების გასაცნობად ნამდვილად არ მოვდივარ...

„ღმერთმა ნაკურთ საუკეთესო ადამიანის გადარჩენაში!“

„ის ნარკომანი, მომპარავი და თანაც, ჩემზე 4 წლით პატარაა...“

ფსიქოლოგა:

„გამარჯობა, ლიკა. ძალიან გთხოვ, ეს „ესემესი“ დამიბეჭდე და ვისაც არ დაეზარება, რჩევა მომცეს. გათხოვილი ვიყავი, შვილიც მყავს. ჩემი ქმარი გამოუსწორებელი მოთამაშე და ნარკომანი იყო. მას ძლივს დავშორდი. ახლა შემიყვარდა ადამიანი, რომელიც ნარკომანი, მომპარავი, ძებნილი და თანაც, ჩემზე 4 წლით პატარაა. ის უბრალოდ, ჩემთვის მიყვარს და მან ამის შესახებ არაფერი იცის. იცით, მისგანაც იმავეს ვგრძნობ — თვალებით, ქცევით. როგორც მისი ლაპარაკიდან დავასკვენი, ამ წუმპიდან ამოსასვლელად, დახმარება სჭირდება, მაგრამ დამხმარე არავინ ჰყავს (მისი მშობლები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ). სულელი, ჩერჩეტი გოგო არ გეგონოთ, რომელიც სიყვარულის გამო რაიმე სისულელეს ჩაიდენს. არა, მე არ მაქვს შეცდომის დაშვების უფლება, რადგან მყავს პატარა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს. ამ სიყვარულს გულში ჩავიკლავ, არც კი გავამჟღავნებ, მაგრამ ძალიან მინდა, ეს ადამიანი გადავარჩინო და ამაში თქვენი დახმარება მჭირდება. იქნებ, ვინმე ანალოგიურ სიტუაციაში ყოფილხართ და გამოსავალი გიპოვიათ. ლიკა, გთხოვ, ეს წერილი დამიბეჭდე. ისედაც სულ მარტო ვარ უცხო ქვეყანაში და შენც არ დამაღალატო. გამოსავალი თუ ვერ ვიპოვე, არ ვიცი, რას ვიზამ. ის არ მეუბნება, რომ ვუყვარვარ, რადგან არ უნდა, რომ დავიტანჯო (ეს მისმა ძმაკაცმა მითხრა და მეც მჯერა). მირჩიეთ, რა ვქნა? რით დავეხმარო ადამიანს, რომელიც უბრალოდ, ძალიან, ძალიან მიყვარს. გკოცნით და წინასწარ უდიდესი, უღრმესი მადლობა შენც და მგზავნელებსაც. თავად რომ არ ჰქონდეს ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი, მის საქმეში არ ჩავერეოდი, მაგრამ ყოველი შეხვედრისას ამბობს, რომ ყველაფრით დაიღალა (ნაცნობის ნაცნობია და შემთხვევით ვნახულობ ხოლმე). დამეხმარეთ საყვარელი ადამიანის გადარჩენაში“.

***P.S.** თუ ფსიქოლოგას წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ერთელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.*

ფეხქვეშ ცოლი და პატიმროპამისჯილი ქმარი

„გზის“ №27-ში დაიბეჭდა მომავალი დედის მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ აგვისტოში გოგონას ელოდება, მაგრამ არაფერი ახარებს, რადგან მისი მეუღლე დაიჭირეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გოგონა იმასაც წუხდა: „ამ ამბის გამო მეგობრებიც დავკარგე. მათ არ სჯერათ, რომ სულ ტყუილად დაიჭირეს...“

ანუ „გეგონა, სამოთხეში მოხვდებოდი?“

პატარა ლელა:

„ჩემო კარგო, 4 თვის გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემი მეუღლე დაიჭირეს და 7 წელი მიუსაჯეს. მაშინ მეც ფეხმძიმედ გახლდით. მას შემდეგ, რაც პატარა შემეძინა, მთელი ყურადღება მასზე გადავიტანე. ახლა სიტუაციას ცოტათი შევეგუე და ჩემი ქმრის ციხიდან გამოსვლას მოთმინებით ველოდები (4 წელი დარჩა). არაფერზე ინერვიულო. ხომ იცი, ეს შენი ანგელოზისთვის საზიანოა. როგორმე ყველაფერს გაუძელი და ნახავ, პატარა დარდს საოცრად შეგიმსუბუქებს. უფალი გფარავდეთ“.

ლიკა:

„მეც მსგავს სიტუაციაში ვარ, მაგრამ შენგან განსხვავებით, ბავშვს ყოველდღე ველოდები და კიდევ, ქმარი არ მყავს. ნუ გეშინია, 4 წელი მალე გავა. გამაგრდი და მეუღლეს დაელოდე. იმედი არ დაკარგო!“

9122:

„ვაიმე, გენაცვალე, ქმარს უნდა დაელოდო, სხვა გზა არაა. შენ მეუღლეც უნდა გაამხნევო და გოგონაც ღირსეულ ქართველად აღზარდო. ბედნიერებას გისურვებ. კარგი ხარ, გაიხარე“.

უცნობი:

„მეც შენს დღეში ვარ და ნერვიულობით ლამის ჭკუიდან გადავიდე. იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედოს და ჩვენი მეუღლეები მალე გაათავისუფლონ. 3 წლის შვილი მყავს, ჩემი მეუღლე კი სწორედ 3 წლის წინ დააკავეს. ბავშვზე იფიქრე და ეცადე, არაფერზე ინერვიულო. გკოცნი“.

იკუშკები:

„ჩემო პატარავ, მერე რა მოხდა, თუ ქმარი ციხეში გყავს? მთავარია, ერთმანეთი გიყვართ და მისი ოჯახი მხარში გიდგას. იცი, შენს მდგომარეობაში მყოფ რამდენ გოგოს აქცია ზურგი ქმრის ოჯახმა? შენ კი გაფასებენ, შენზე ზრუნავენ. მესმის, რომ ქმრის გარეშე ყოფნა ძნელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ ტკივილის სანაცვლოდ უფალი დიდ სიხარულს მოგივლენს. იქნებ, ნიკა მალე შეიწყალონ კიდეც. დიდ ბედნიერებას გისურვებ. P.S. ხალხის ანუ ბრბოს ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. შენი შვილის და ნიკას ხათრით, გამაგრდი!“

ლოგუა:

„ბოდიში, მაგრამ ჩვენ პროკურორები ვართ თუ ციხის ადმინისტრაცია? დაიკო, ჩვენ შენს მეუღლეს ვერ გავათავისუფლებთ, რჩევას კი ნამდვილად მოგცემთ. პირველ რიგში, გირჩევ, შენი ოჯახისთვის ილოცო. არ ვიცი, შენმა მეუღლემ რამე დააშავა თუ არა, მაგრამ ფაქტია, ციხეშია. 4 წელი მალე გაირბენს და საყვარელი მეუღლე დაგიბრუნდება, მანამდე კი ყოჩაღად იყავი და მთელი ყურადღება მომავალ პატარაზე გადაიტანე. ღმერთს შესთხოვე, შენს მეუღლეს ცოდვები მიუტევოს. დაიკო, უფალი მუდამ გახსოვდეს! ტირილით ვერაფერს შეცვლი, ლოცვით კი სასწაულებიც ხდება. პატარა გოგონავ, გახდი დედა და იცხოვრე საყვარელი მეუღლის მოლოდინში. მერე კი, როცა ყველანი ერთად იქნებით, იბედნიერეთ“.

ქეთი:

„ჩემო კარგო, „ოთარაანთ ქვრივი“ ხომ წაგიკითხავს? ჰოდა, ამ ქალმა მეუღლეც დაკარგა და შვილიც, მაგრამ ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, დადარდიანებული და „გატეხილი“ არავის უნახავს!“

ბათუმელი რუსკა, 15 წლის:

„ჩემო სიხარულო, ღმერთმა დედობის უფლება მოგანიჭა, ეს კი უდიდესი ბედნიერებაა. შენი ნიკუშა ციხიდან მალე გამოვა და ყველაზე ბედნიერი წყვილი იქნებით. გთხოვ, ტაძარში მიდი, მოძღვარს დაელაპარაკე და მერწმუნე, ყველაფერი კარგად იქნება. მე ვილოცებ თქვენი პატარა, ლამაზი ოჯახისთვის. შენი მეგობრების გამო გული არ დაგწყდეს, ისინი ნამდვილი მეგობრები არ ყოფილან...“

სატანას სისხლი:

„რაც მთავარია, შენ გჯერა მისი და გიყვარს. 4 წელი მალე გაივლის. შვილს გაუფრთხილდი, ამ მძიმე წუთებს ის გადაგატანინებს“.

უცნობი ქალი:

„ციხეში ჩემი შვილიც იჯდა, მაგრამ ახლა მას მშვენიერი ოჯახი აქვს. შენს მშობლებსა და დედამთილ-მამამთილს ვთხოვ, მხარში ამოგიდგნენ და ამ ტვირთის ზიდვაში დაგეხმარონ. ბედნიერ დედობას გისურვებ!“

თამარი:

„ყველა ტკივილის დამაყუჩებელი მალამო ეკლესიაა, ლოცვა ბედნიერების გასაღებია, ბედნიერება კი თავად უფალია. P.S. ნაზი ბებო, უცნობს მშვენიერი რჩევა მიეცით. თქვენნაირ ბებოზე ყოველთვის ვოცნებობდი. თუ ამას წაიკითხავთ, გთხოვთ, ჩემთვისაც ილოცეთ. ვგრძნობ, ეს სულიერ სიმშვიდეს მომიტანს. უფალი გფარავდეთ!“

ლელ-22:

„ჩემო კარგო, მეც აგვისტოში ველოდები ბაიას. მესმის, რომ ქმარი გენატრება, მისი ყურადღება გჭირდება, მაგრამ ახლა ბავშვზე უნდა იფიქრო. ის ხომ შენს თითოეულ განცდაზე რეაგირებს. პატარას დაბადება შენს ცხოვრებას შეცვლის და გაალამაზებს. შეეცადე, ნაკლებად ინერვიულო და ბავშვის ფსიქიკაზე აქედანვე იზრუნო“.

კამელია:

„შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ნიკა დამნაშავეა თუ არა? მთავარია, რომ გიყვარს და ამიტომაც, ლოდინი ნამდვილად ღირს. მერწმუნე, ქმარ-შვილთან ერთად წინ ბედნიერი ცხოვრება გელის და ტკბილი დღეები მწარე წარსულს დაგავიწყებს!“

იტა:

„ერთ ამბავს მოგიყვები: ჩემს კარის მეზობელს ცოლი 2 თვის მოყვანილი ჰყავდა, როცა დენმა დაარტყა და გარდაიცვალა. გიო ისე დაიღუპა, არ იცოდა, თუ მისი ცოლი მუცლით ბავშვს ატარებდა. ოჯახის წევრებს ეს ტკივილი პატარა ანგელოზმა გადაატანინა, რომელიც რამდენიმე დღის წინ 4 წლის გახდა. ის გოგო ახლაც ქმრის ოჯახში ცხოვრობს. ყველა ეუბნება, — გათხოვდიო, მაგრამ მას გიო ძალიან უყვარდა... გამაგრდი, ყველაფერი კარგად იქნება“.

„პატარის დაბადება შენს ცხოვრებას გაალამაზებს“

„მამამისი ციხეში რომ ჯდებოდა, რაზე ფიქრობდა?“

სეხ 444:

„ეჰ, ჩემო კარგო, აბა, რით გაგამხნევო?.. თუ მართლა უმიზეზოდ დაიჭირეს, ალბათ, სამართალი იზეიმებს და მას მალევე გამოუშვებენ. კარგია, რომ მისი ნათესავები არაფერს გაკლებენ. დაიმახსოვრე, სიკვდილის გარდა, ყველაფერს ეშველება. შენს პატარაზე იზრუნე და ამასობაში, ქმარიც დაგიბრუნდება. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამიკავშირდი“.

ტერეზა:

„გამაგრდი! ნიკას ხშირად უთხარი სასიყვარულო სიტყვები, ეს მას სტიმულს მისცემს. გკოცნი“.

მოსამართლე ლაშა:

„ჩემო კარგო, 4 წელი ძალიან მალე გაივლის. გაითვალისწინე, უმიზეზოდ არავის ვიჭერთ. თანაც, როცა მოგენატრება, პაემანზე ივლი და ერთმანეთს ჩაეხუტებით“.

ჟრიჭინა:

„ისღა დაგრჩენია, მეუღლეს დაელოდო და მომავლის იმედით იცხოვრო. 4 წელი მალე გაივლის, მანამდე კი ბაიას შენ უნდა გაუწიო დედობაც და მამობაც!“

ციცილა:

„ჩემო პატარავ, შენმა მესიჯმა დამთრგუნა. უფალს შესთხოვე და იქნებ, შენი ნიკუშა დროზე ადრე გამოუშვან. ისე, წარმოიდგინე, შენს მეგობრებს, რომლებმაც გაჭირვების ჟამს მიგატოვეს, შენი ბედნიერება როგორ შეშურდებოდათ. მათზე აღარ იფიქრო. მართალია, მე ქუთაისში ვცხოვრობ, მაგრამ თუ გინდა, „ესემესმეგობრები“ გავხდეთ. უფალს ებარებოდე“.

ბიბი, *13 წლის:*

„ქალბატონო, თანაგიგრძნობთ. მე პატარა ვარ საიმისოდ, რომ რაღაც გირჩიოთ, მაგრამ როცა თქვენი წერილი წავიკითხე, თქვენს მეგობრებზე ძალიან გავბრაზდი. მთავარია, ქმრის თავად გჯეროდეთ... ყველაფერს უნდა გაუმკლავდეთ, რადგან მალე პატარა გეყოლებათ და მას უმამობა არ უნდა აგრძნობინოთ“.

ნათ-ნათიკუნა:

„ნუ ინერვიულებ. უფალს მარტო შენ არ გაუწირიხარ. ჩემი მეგობრის შეყვარებულს 9 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ერთმანეთი იმდენად უყვარდათ, რომ ციხეში იქორწინეს. შენ ხომ ასეთი პრობლემა არ გაქვს და თავს ნუ იტანჯავ. პატარას გაუფრთხილდი, მას ძალიან სჭირდები. 4 წელიწადში კი ბედნიერება გელის“.

გრუზინკა:

„მოგონებებით იცხოვრე და დედობისთვის მოემზადე. ეს ხომ უფლის საჩუქარია. არაფერზე ინერვიულო. ღმერთს სთხოვე, შენი პატარა ანგელოზი ამქვეყნად ჯანმრთელი მოავლინოს“.

თაკლო, *20 წლის:*

„პატარა ქალბატონო, შენი ამბავი ძალიან განვიცადე. სწორედ ახლა გმართებს გამძლეობა. ამ 4 წელს შვილის სიყვარული გადაგატანინებს. რაც შეეხება შენს მეგობრებს, მათ დაკარგვაზე დიდად არ ინერვიულო. რაც მთავარია, შენ გჯერა მეუღლის და გიყვარს იგი. გამაგრდი!“

ბარტყი:

„შენი მესიჯის წაკითხვისას თვალზე ცრემლი მომადგა. ჩემი სიძეც უდანაშაულოდ ზის ციხეში, და კი უზომოდ იტანჯება. ერთს გირჩევ, ყურადღებას ნურავის მიაქცევ. ახლა პატარაზე უნდა იზრუნო. სასოწარკვეთის უფლება არ გაქვს. შენი ოჯახისთვის ილოცე“.

ინა:

„საყვარელო, ალბათ, ამას არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ნუთუ, არასდროს გიფიქრია იმაზე, რომ კარიერა შეგექმნა და წარმატებული ქალი ყოფილიყავი? 17 წლის ასაკში რომ თხოვდებოდი, გეგონა, სამოთხეში მოხვდებოდი? ახლა შეცდომებზე ფიქრის დრო არაა. შენ ბავშვს ელოდები და იმისთვის უნდა იბრძოლო, რომ მან უმამობა არ იგრძნოს. ისე, საინტერესოა, მამამისი ციხეში რომ ჯდებოდა, რაზე ფიქრობდა? მიუხედავად ყველაფრისა, უდიდეს ბედნიერებას გისურვებ, ქმართან და შვილთან ერთად“.

„თავს სხვისი განსჯის უფლებას რატომ აძლევთ?“

აზიელი:

„ქრისტემ თქვა: ვინც ყველაზე უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა ცოდვილსო. ამის გაკეთება ფარისევლებმაც ვერ გაბედეს. ეს დღეს რომ ეთქვა, ნებისმიერი თქვენგანი ქვას პირველი დასწვდებოდა ცოდვილის ჩასაქოლავად, იმიტომ, რომ მხოლოდ სხვისი დანაშაულის დანახვა შეგიძლიათ. რა ხართ ასეთი უცოდველები, თავს სხვისი განსჯის უფლებას რომ აძლევთ?! აქ ხომ ყველა დახმარებისთვის მიმართავს ლიკას. რა უფლება გვაქვს, ისინი ცუდი სიტყვებით შევამკოთ? ამბობენ, — გამოსავალი ყოველთვის მოიძებნებაო და ჩვენც, თანატოლებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დავეხმაროთ ანუ ნურავის განვსჯით, მხოლოდ ვურჩიოთ. ჩემი სიტყვები ყველას არ ეხება, უმეტესობა მართლაც, კარგ რჩევას იძლევა. P.S. ლიკ, გთხოვ, დამიბეჭდე, თორემ რჩევის მაგივრად, ხალხის ლანძღვაზე გადავიდნენ. აქ კარგი ახალგაზრდები ამესიჯებენ. განსაკუთრებით დიდ პატივს განძის მაძიებელს ვცემ. ის კარგ რაღაცებს წერს. გაიხარეთ, ქართველებო!“

„რატომ ცდილობთ, ახალგაზრდები ამდენ სიბილწეს აზიაროთ?“

რამდენიმე დღის წინ მკითხველმა მომწერა მესიჯი, რომელსაც უპასუხოდ ვერ დავტოვებ. უცნობმა, რომლის არც სქესი ვიცი და არც — პროფესია, პროფესიონალიზმი დამიწუნა და მითხრა, რომ ჯობია, საკუთარ საქმეს დავუბრუნდე და სხვის საქმეში არ ჩავერიო. მინდა, ამ მესიჯთან დაკავშირებით თქვენც დააფიქსიროთ საკუთარი მოსაზრება. იქნებ, ჩვენდა უნებურად მართლაც, ცუდ საქმეს ვაკეთებთ და იმის მაგივრად, რომ დაგეხმაროთ, რაღაც საშინელებას გაზიარებთ?..

„მე მაკვირვებს თქვენი საქციელი! ნუთუ, შეიძლება, ამდენი უგუნურება ფურცელზე გადმოიტანოთ? ჩვენს ქვეყანაში არსებობენ ფსიქოლოგები და მე მიკვირს თქვენი, რატომ ითავსებთ სხვის საქმეს? რატომ ცდილობთ, ახალგაზრდები ამდენ სიბილწეს და საშინელებას აზიაროთ? რასაც თქვენ აკეთებთ, ეს ფსიქოლოგების საქმეა. კარგი იქნება, თუ თქვენს ნამდვილ პროფესიას დაუბრუნდებით და ამ გვერდს (ალბათ, რუბრიკას — „თინეიჯერული პოსტები“ — გულისხმობს. — ავტ.) საერთოდ გააუქმებთ. ჩვენს ახალგაზრდებს ჯანსაღი გარემო სჭირდებათ და არა ამდენი სიბილწე“.

— არა მგონია, ჟურნალისტიკაში კარგად ერკვეოდეთ. შეგახსენებთ, ჩვენ არა მარტო კარგ რაღაცებზე, არამედ პრობლემებზეც გვიწევს ყურადღების გამახვილება. სხვათა შორის, ამ რუბრიკის წყალობით, პრობლემის სწორად გადაწყვეტაში ბევრ თინეიჯერს დავეხმარეთ და მათ რჩევებს არა მარტო თანატოლები, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგებიც აძლევდნენ. რატომ გგონიათ, რომ სხვების პრობლემების წაკითხვით ახალგაზრდები მხოლოდ სიბილწეს ეზიარებიან? რატომ არ ფიქრობთ, რომ პირიქით, ამით ისინი სხვების შეცდომებს დაინახავენ და იმავეს არ გაიმეორებენ?.. ამასთან, ისიც მაინტერესებს — თავად თუ ხვდებით, რომ უაპელაციოდ, ჩემს პროფესიულ საქმიანობაში ერევით (არა მგონია, სწორ რჩევას მაძლევდეთ, თორემ არ შეგედავებოდით და თქვენს თხოვნას თუ მოთხოვნას აუცილებლად გავითვალისწინებდი) და (მერწმუნეთ, სრულიად უსაფუძვლოდ) ჭკუასაც მასწავლით?!. იქნებ აჯობებდა, საკუთარ საქმეზე გეფიქრათ, რადგან დარწმუნებული ვარ, თქვენი მესიჯი ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნაში ნამდვილად ვერ დაგვეხმარება. პირიქით, ის ბევრ მკითხველს გააღიზიანებს... ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

შევინარჩუნოთ ცინცხალი გონება

ადამიანები ხშირად მახსოვრობის დაქვეითებას ასაკს ანუ სიბერეს აბრალებენ, თანაც მიიჩნევენ, რომ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია და ურიგდებიან ბედს. ჯერ ერთი, მახსოვრობის ფუნქციის დაქვეითებას, ასაკის გარდა, სხვა მიზეზიც შეიძლება ჰქონდეს, მეორეც – რაც უფრო ადრე დავიწყებთ მკურნალობას, მდგომარეობის სტაბილიზების მით უფრო მეტი შანსი გვექნება და მესამე – რეგულარული ვარჯიშებითა და სათანადო წამლების დამატებით ღრმა მოხუცებულობამდე შეიძლება ვიცხოვროთ ნათელი გონებითა და ჯარგი მეხსიერებით.

მეხსიერება რთული რამაა...

არსებობს ხედვითი, ლოგიკური და მექანიკური მეხსიერება. ექიმები მისი დაქვეითების 3 ძირითად მიზეზს ასახელებენ:

1. ჰიპერტენზია ანუ სისხლის არტერიული წნევის მაღალი ციფრები.

2. ალცჰაიმერის დაავადება (ხალხში, რატომღაც, სკლეროზის სახელითაა ცნობილი), რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- მახსოვრობის და ყურადღების კონცენტრირების დაქვეითება;
- აზროვნების უნარის მოშლა;
- დროსა და სივრცეში დეზორიენტირება;
- პიროვნების შეცვლა;
- გონებასუსტობა, რომელიც იმდენად პროგრესირებს, რომ ადამიანი ელემენტარული საყოფაცხოვრებო საქმის კეთებასაც კი ვერ ახერხებს.

3. ალკოჰოლიზმი. ამ მიზეზით გამოწეული მეხსიერების გაუარესების დროს, ავადმყოფი ფხიზელ მდგომარეობაშიც კი ივიწყებს ორი წუთის წინ მომხდარ ამბავს, მაგრამ ინტელექტი შენარჩუნებული აქვს.

თუ გვინდა, რომ კარგი მეხსიერება დიდხანს შევინარჩუნოთ, არ უნდა მივცეთ ტვინს „გაზარმაცების უფლება“. ისინი, ვინც გამუდმებით კითხულობენ, ეცნობიან სიახლეებს, ეწევიან შემოქმედებით საქმიანობას, იშვიათად უჩივიან მახსოვრობის დაქვეითებას. აღსანიშნავია, რომ ალცჰაიმერის დაავადების საწყის სტადიაში ავადმყოფს შენარჩუნებული აქვს პროფესიონალური მახსოვრობა და პროფესიონალური ინტელექტი. ამიტომ, ადამიანმა პენსიაში გასვლის შემდეგაც უნდა გააგრძელოს აქტიური ცხოვრება; რასაკვირველია, უნდა გაითვალისწინოს თავისი შესაძლებლობები და არ გადაიტვირთოს. არ შეიძლება პენსიონერები მხოლოდ ტელევიზორის ცქერით შემოიფარგლონ, რადგან „ცისფერი ეკრანიდან“ ინფორმაციის მიღების დროს, ტვინს დიდი მუშაობის შესრულება არ უწევს. აუცილებელია ახალი ინფორმაციის გაანალიზება და ახლობლებთან დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების განხილვა. ასაკოვანი ადამიანის ტვინს მეტად არგებს თუ ,ჰობის გაიჩენს. მაგალითად, დაიწყებს ყვავილების მოვლას, მემუარების წერას და ა.შ.

ყველაფერი, რაც არ მოძრაობს ანუ არ მუშაობს — კვდება და გამონაკლისს არც ტვინი წარმოადგენს. ამიტომ, მას მუდმივი „შრომა და გარჯა“ სჭირდება. ტვინის გავარჯიშების მრავალი მეთოდი არსებობს. თუ რაიმის დამახსოვრებას ვერ ახერხებთ, მაშინ ასოციაციას მიმართეთ. მეხსიერების გავარჯიშების საუკეთესო საშუალებაა ლექსების დაზეპირება. თავდაპირველად, პატარა, შემდეგ კი უფრო მეტად დიდი და დიდი ლექსი უნდა დაიმახსოვროთ. კარგია, თუ დიქტოფონში ჩაიწერთ თქვენ მიერ ზეპირად ნათქვამ ლექსს და შემდეგ მოუსმენთ, რადგან ასე უფრო ადვილად გამოასწორებთ შეცდომებს.

მხოლოდ ტაბლეტები საკმარისი არ არის

ნოოტროპული ჯგუფის პრეპარატები აუმჯობესებენ ნერვული უჯრედების ენერგეტიკას და ამგვარად დადებითად მოქმედებენ მახსოვრობაზე. მათი მიღების შემდეგ ხდება ჟანგბადისა და გლუკოზის ეკონომიური ხარჯვა და შესაბამისად, იზრდება ნერვული უჯრედების ენერგეტიკა. არსებობს მეხსიერების გასაუმჯობესებელი უამრავი პრეპარატი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ქმნიან მხოლოდ და მხოლოდ ბაზას იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს მეხსიერების გავარჯიშება.

გახსოვდეთ, მხოლოდ ტაბლეტების მიღებით მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ასე რომ, არ დაივიწყოთ ტვინის ვარჯიშები.

მახსოვრობის გასაუმჯობესებელი დიეტა

მახსოვრობის გაუმჯობესების მიზნით კარგია ხილით, ბოსტნეულითა და თევზით მდიდარი დიეტა. სასარგებლოა ზეითუნის ზეთი და ორგანული მარილებიც. საკვებში უნდა იყოს C, E,B ვიტამინები და იოდი. აღსანიშნავია, რომ მახსოვრობის დაქვეითების საწყის სტადიაში დიდი რაოდენობით მარწყვის, მოცვისა და ისპანახის რეგულარულად მიღებისას ავადმყოფებს უუმჯობესდებათ მდგომარეობა.

„ნათელი გონების“ შესანარჩუნებლად სხვა, რაიმე განსხვავებული დიეტა არ არსებობს. სპეციალისტები გვირჩევენ, თავი ავარიდოთ ისეთი პროდუქტების მიღებას, რომელიც ცხიმოვან ცვლას დაარღვევს და სისხლძარღვებში ლიპიდების ჩალაგებას გამოიწვევს. ■

როგორ გავირუჯოთ სწორად?!

სუსტი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა კანის ლამაზი შეფერილობის მისაღწევ საუკეთესო საშუალებად მზის სხივებს მიიჩნევს. ამიტომ, ზაფხულობით ხშირად ვწვებით ხოლმე მცხუნვარე მზის ქვეშ და ყურადღებას არც კი ვაქცევთ, დღის რომელ მონაკვეთში ვაკეთებთ ამას; მაგრამ თუ არ გვსურს, ზეციური სინათლის სახით მტერი შევიძინოთ, სწორად უნდა მივიღოთ მზის აბაზანები.

ნუ მოინდომებთ სწრაფად გარუჯვას

კანს უნდა მისცეთ დრო, რომ გამოიმუშაოს პიგმენტები და შექმნას მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან დამცველი შრე. ამასთან, უნდა გაითვალისწინოთ კანის ტიპიც, რადგან მზის სხივები სხვადასხვა ტიპის კანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს.

მზის აბაზანები სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თანდათანობით იღებთ. თავდაპირველად, გაირუჯეთ მხოლოდ 2-5 წუთი (კანის ტიპის გათვალისწინებით), ეს სასიამოვნო პროცესი ყოველდღიურად 2-5 წუთით გაახანგრძლივეთ და ასე ადით 2 საათამდე. ამასთან არ დაგავიწყდეთ ყოველ 30-40 წუთში ერთხელ წყალში შესვლა.

პირველ დღეს მზის აბაზანა მხოლოდ ფეხებზე მიიღეთ. მეორე დღიდან კი შეგიძლიათ შეუდგეთ მთელი სხეულის გარუჯვას. მოძრაობის დროს კანი მზის სხივების მოქმედებაზე უკეთ ადაპტირებს. სასარგებლოცაა და სასიამოვნოც მზის ქვეშ ბადმინტონის, ფრენბურთის თუ ხელბურთის თამაში, აგრეთვე ცურვა, ტანვარჯიში და ა.შ. ეს დაეხმარება თქვენს კანს შეეგუოს მზის მწველ სხივებს.

არ არის რეკომენდებული გარუჯვის წინ სხეულის გასუფთავება საპნით, ლოსიონით ან ოდეკოლონით. საპონი არღვევს კანის დამცველ შრეს და აშრობს მას. გახსოვდეთ, რომ ლოსიონი და ოდეკოლონი კანს მგრძნობიარეს ხდის ულტრაიისფერი სხივებისადმი და ამ რჩევის უგულებელყოფის შემთხვევაში, შესაძლოა, მოყავისფრო ლაქები გაგიჩნდეთ.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ელვა
პრესის გავრცელების საგენტო
ქ. თბილისი
ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com
აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რჩევები გარუჯვის მსურველებს:

1. არ მიიღოთ მზის აბაზანა უზმოზე ან საკვების მიღებისთანავე. უმჯობესია, ეს გააკეთოთ ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.

2. გარუჯვისათვის საუკეთესო დროა 9-დან 11 საათამდე. არ არის რეკომენდებული მზის აბაზანების მიღება სადილობის დროს (12-დან 16 საათის ჩათვლით), რადგან ამ პერიოდში მზის სხივები განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედებს კანზე.

3. მზის სხივების ქვეშ ყოფნისას აუცილებლად დაიფარეთ თავი და თვალები.

4. გარუჯვისას არ მოიკლათ წყურვილი ცივი წყლით ან ალკოჰოლით.

5. მზის აბაზანის მიღების შემდეგ სასარგებლოა ოდნავ მლაშე საკვების მიღება და ცივი ჩაის დალევა.

6. სასურველია, შეძლებისდაგვარად ფეხშიშველმა იაროთ.

7. თუ თქვენ ირუჯებით მწოლიარე მდგომარეობაში, თავი ოდნავ წამოსწიეთ.

8. მზის აბაზანის მიღების დროს არ შეიძლება ძილი და არ არის რეკომენდებული კითხვა.

9. კანის მზის სხივებისგან დაცვისა და დარბილების მიზნით, არ შეიძლება მინერალური ცხიმის (ვაზელინის, გლიცერინის) გამოყენება, რადგან ამ დროს კანზე ჩნდება წვეთები, რომლებიც პატარა შემკრები ლინზის როლს ასრულებენ. ამას კი შეიძლება, დამწვრობა მოჰყვეს.

10. გარუჯვის წინ ტუჩებზე წაისვით ჰიგიენური პომადა.

11. ფრჩხილებზე ლაქის წასმა არ არის სასურველი.

12. ძალიან არ გაგიტაცოთ გარუჯვის პროცესმა: მზეზე დიდხანს ყოფნა, გარდა იმისა, რომ მავნეა ჯანმრთელობისთვის, კანის დაბერებისაც აჩქარებს.

როგორ დავიცვათ კანი გარუჯვის დროს

მზის სხივების მოქმედებით და ზღვის მარილიანი ჰავის გავლენით, კანის და თმის ძლიერი გამოშრობა ხდება. ჩვენი კანი ამ დროს კარგავს არა მარტო ცხიმოვან საფარველს, არამედ სინოტივესაც. გამოშრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დამარბილებელი კოსმეტიკური

საშუალებების ხმარება.

ზოგი მიიჩნევს, რომ თუ კანზე ცხიმიან კრემს წაისვამს, ის სწრაფად და ინტენსიურად გაირუჯება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს — პირიქით, ნებისმიერი ცხიმიანი საცხი (ცხიმიანი კრემი თუ ზეთი) რამდენადმე აჩერებს სხივების სითბურ მოქმედებას, იცავს კანს გაცხელებისა თუ დამწვრობისაგან და შესაბამისად, აფერხებს გარუჯვის პროცესს. გარდა ამისა, ცხიმიანი საცხი იცავს კანს გამოშრობისაგან და იმ დაავადებებისგან, რომელსაც იწვევს სითბური და ულტრაიისფერი სხივების ხანგრძლივი მოქმედება.

ასე რომ, ზეთი და სპეციალური კრემი თქვენ დამწვრობებისგან დაგიცავთ. თუმცა ზედმეტის წასმა არ არის საჭირო, რადგან ცხიმის სქელი ფენა გაცხელდება და დაწვავს კანს. გაითვალისწინეთ, რომ მკვებავი კრემი გარუჯვის დროს არ გამოდგება, უნდა გამოიყენოთ სპეციალური ზეთები. ისინი ადვილად ისმება კანზე, იცავს ორგანიზმს გადახურებისა და გამოსხივებისგან.

მზის სხივების მოქმედების გასაძლიერებლად არსებობს სპეციალური „გასარუჯი კრემები". აღსანიშნავია, რომ ზეითუნის ზეთიც უწყობს ხელს თანაბრად გარუჯვას.

კრემი და ზეთი უნდა წაისვათ სხეულის დაუფარავ ნაწილებზე. სასურველია, თუ კრემის წასმის მომენტს მასაჟისთვისაც გამოიყენებთ. მოძრაობები უნდა იყოს ენერგიული — „ღრმა და დამწოლი". ცხიმი კანიდან სწრაფად ორთქლდება, განსაკუთრებით მარილიან წყალში ბანაობისას. კანის ელასტიკურობის შესანარჩუნებლად კი მისი მეორედ წასმაა საჭირო.

თმის დაცვის მიზნით მლაშე წყალში ბანაობისას დაიხურეთ საბანაო ქუდი, პლაჟზე კი — ქსოვილის თავსაბურავი. გარუჯვის წინ კარგია თავის კანში აბუსალათინის ან ნებისმიერი მცენარეული ზეთის შეზელა, ეს თმას გამოშრობისგან დაიცავს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშრალი, მტვრევადი და შეღებილი თმისთვის. ■

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

„ჩემი იმედის გაბაფხული“

ანუ „ვერ მოვისვენებ, სანამ მათ ერთად არ ვნახავ“...

მარინა ბაბუნაშვილი

ეს ამბავი ორ მეგობარს ეხება, მათ მეგობრობასა და სიყვარულს. მაშინ ქეთიმ მთხოვა, რომ მისი ვინაობა არ გამემჟღავნებინა. ასეც მოვიქეცი. ქეთიმ დიდი სინანულით მიამბო, რაც თავს გადახდათ მასა და მის ბავშვობის მეგობარს, თაიას. ისინი ერთად იზრდებოდნენ; მათ შორის მცირედი უსიამოვნებაც არასოდეს მომხდარა. მაგრამ გავიდა წლები, გამოჩნდა გიო და ბზარიც გაჩნდა...

ქეთი მალევე მიხვდა, რომ შურმა ცოდვა ჩაადენინა, ეცადა ამ ცოდვის მონანიებას, შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე მე მომმართა, საგაზეთო წერილითაც შეეხმიანა თაიასა და გიოს; კვლავ უშედეგოდ დამთავრდა მისი მცდელობა. წერილი 2002 წლის 6 იანვარს გამოქვეყნდა „კვირის პალიტრაში“, სათაურით — „შევცოდე მათ წინაშე, ახლა კი გულით მინდა, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ“. მას შემდეგ, 6 წელი გავიდა. ქეთის მოძებნა არ გამჭირვებია...

თავი პირველი

„მაშინ ეშმაკი შემიჩნდა“...

თაია და ქეთი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში გაიზარდნენ. საბავშვო ბაღშიც ერთად დადიოდნენ და სკოლაშიც. მერე, თაიამ უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩააბარა, ქეთიმ კი — ეკონომიკურზე. თაიაც და ქეთიც მოხდენილი, ლამაზი გოგონები იყვნენ, ამიტომ თაყვანისმცემლები არ აკლდათ. სტუდენტობაში თაიას დიდი სიყვარული ეწვია. ყველას ეგონა, რომ დღე-დღეზე იქორწინებდნენ, მაგრამ რაღაც მიზეზით, 3 წლის მერე ერთმანეთს დაშორდნენ. გოგონა კარგა ხანს დარდობდა. დრომ თავისი ქნა და ნელ-ნელა დაივიწყა ის ბიჭი.

2000 წლის ზაფხული მეგობრებმა ბათუმში გაატარეს. სწორედ იქ გაიცნეს ბათუმელი გიო, რომელსაც მალე დაუახლოვდნენ.

ამონარიდი წერილიდან: „...გიო ხან ბარში გვეპატიჟებოდა, ხან — კაფესა და რესტორანში. ჩვენი გამომგზავრების წინ შინაც მიგვიწვია და მშობლები გაგვაცნო. ძალიან კარგი და თბილი ოჯახი დაგვხვდა. თავდაპირველად, ვერ გავიგეთ, გიო მე მეპრანჭებოდა თუ თაიას, არადა, ორივეს მოგვწონდა“. მერე გიო საახალწლოდ თბილისში ჩამოვიდა და გაირკვა კიდეც, დაქალებიდან რომელი მოსწონდა: ვაუმა თაიას სთხოვა ხელი.

ამონარიდი წერილიდან: „შემიძლია დავიფიცო, რომ შურის გრძნობა არასოდეს მქონია, მით უმეტეს, თაიას მიმართ, მაგრამ მაშინ რაღაც მოხდა ჩემში, ალბათ ეშმაკი შემიჩნდა, რომელმაც ჩამჩურჩულა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჩემი სიყვარულისთვის მებრძოლა“.

გიოს დეიდა თბილისში ცხოვრობდა. ვაუიც მასთან დაბინავდა, თუმცა მთელი ორი კვირის მანძილზე მხოლოდ ღამის გასათევად თუ შედიოდა შინ, დილიდან გვიანობამდე გოგონას გვერდიდან არ შორდებოდა. ქეთიმ კი ასეთი რამ მოიფიქრა — დარეკა ბათუმში და გიოს დედას, მათი ოჯახის „გულშემატკივრის“ სახელით, „ცუდი ამბები“ ჩაუკაკლა: თქვენი სარძლო არ არის გიოსა და თქვენი ოჯახის შესაფერისი, მას ძალიან ცუდი წარსული აქვს; ერთ ბიჭთან დადიოდა, რომლისგანაც დაორსულდა და აბორტი გაიკეთა, მერეც არ დაუკლია დროს ტარება; ახლა კი ცდილობს, პატიოსან გოგოდ მოგაჩვენოთ თავი და რამენაირად გიოს ცოლობას გამოჰკრას ხელიო.

ამონარიდი წერილიდან: „...ყურმილი რომ დავკიდე, ვიგრძენი, მთელი სახე მიხურდა, თავი მიგუგუნებდა, ჰაერი არ მყოფნიდა... საშინელება ჩავიდინე, მეგობარს ცილი დავწამე და პატიოსანი გოგო ლამის მეძავად გამოვაცხადე“.

მოვლენები უცებ განვითარდა. გიოს დედა სასწრაფოდ ჩამოვიდა თბილისში და შვილს ყველაფერი უამბო. გიო ყველაზე ახლოს ქეთის იცნობდა და მას გამოჰკითხა თაიას წარსული. ქეთიმაც ნამუსზე ხელი აიღო და „დიდი გაჭირვებით“ დაუდასტურა ინკოგნიტო „კეთილისმყოფლის“ სიტყვები.

ამონარიდი წერილიდან: „...ისე, ზოგჯერ როგორი ბრიყვები არიან

კაცები. რა იოლად წამოეგებიან ხოლმე ანკესს და ერთი ხელის მოსმით ანადგურებენ ბედნიერებას... გიომ რაღაც დაწერა და მთხოვა, თაიას მიუტანეო. თვითონ კი დედამისთან ერთად, იმ საღამოსვე გაემგზავრა ბათუმში. ქაღალდზე გაკრული ხელით ეწერა: „არ მეგონა, თუ სიმართლეს დამიმალავდი. ჯობს, აღარ შევხვდეთ ერთმანეთს. ნუ დამირეკავ. მშვიდობით! გიო“.

ქეთიმ წერილი გადასცა თაიას. გაოგნდა გოგო, რა სიმართლეზე მელაპარაკება ან რაში მდებს ბრალსო? ქეთიმ კი მოკლედ მოუჭრა: გაიგო, რომ სტუდენტობის დროს ერთ ბიჭთან რომანი გქონდა და ამის გამო გაგინაწყენდაო. გული ეტკინა თაიას და გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა: სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია, 27 წლამდე ნუთუ არავისი სიყვარულის ან მოწონების უფლება არ მქონდაო?!. მერე კი დაამატა: ღმერთი სამართლიანია, ვინც წასასვლელია, კიდევაც უნდა წავიდესო.

თაიასა და გიოს დაშორებით გამოწვეული სიხარული მალევე გაუნელდა ქეთის. სინანულის გრძნობამ მოსვენება დააკარგვინა. მერე დიდი მარხვა დაიწყო და მოძღვარს თავისი დარდი გაუზიარა. მან ურჩია, მეგობრისთვის სიმართლე გაემხილა...

ამონარიდი წერილიდან: „...ჩემმა გულახდილობამ თავზარი დასცა თაიას. მას ასეთი რეაქცია არც სიყვარულის დაკარგვისას ჰქონია და არც გიოს წერილის წაკითხვისას. ასეც მითხრა: ქვეყნის დაქცევას ველოდი და შენგან ასეთ მზაკვრობას — არა; წადი და ამიერიდან ჩემი სახელი აღარ ახსენო; გიო სუსტი აღმოჩნდა, არც ვყვარებივარ, რადგან ასე იოლად დაიჯერა ბინძური ჭორი, ჩემთან კი არაფრის გარკვევას არ შეეცადა, ამიტომ გიხაროდეს, მას არასოდეს შევეხმიანებიო“.

თაიასგან ცოცხალმკვდარი წამოვიდა ქეთი. იმ დღიდან ცდილობდა, გიოს დაჰკავშირებოდა, მაგრამ — ამაოდ. შეიძლება, ვაუს გაფრთხილებულიც ჰყავდა თავისიანები, თუ თბილისიდან დამირეკეს, უთხარით, რომ არ მსურს არავისთან ლაპარაკიო. ქეთიმ მაინც ვერ მოისვენა და ბათუმშიც ჩავიდა. გიო შინ არ დახვდა. ქეთიმ დედამისს უამბო ყველაფერი, ეგონა, რამდენიმე დღეში ბიჭი თავად შეეხმიანებოდა, მაგრამ გიო აღარ გამოჩენილა.

ამის მერე ქეთი ჩემთან მოვიდა და როცა თხრობა დაასრულა, მთხოვა, ნება მომეცით, საგაზეთო

წერილში გიოსა და თაიას მივმართოო.

აი, ეს მიმართვაც:

„გიო! ახლა შენ უკვე ყველაფერი იცი. გემუდარები, ჩამოდი და ნახე თაია. მჯერა, რომ ორივეს ისევ ძალიან გიყვართ ერთმანეთი. მე კი, თუ საჭირო იქნება, საერთოდ არ დაგენახვებით, ოღონდ თქვენ იყავით ბედნიერები. მაპატიე და შემინდე!

ჩემო თაია, შენ ხომ ყოველთვის გულმოწყალე იყავი?! აპატიე შენს ბრიყვ და სულელ მეგობარს შეცდომა. ნათქვამია, სიკვდილის გარდა, ყველაფრის შველა შეიძლებაო. ჰოდა, მომეხმარე, გამოვასწორო ჩემი უგუნურება. მჯერა შენი კეთილი გულისა და იმედი მაქვს, შენთან მოსულ გიოს ხელს აღარ ჰკრავ. მე კი, როგორც გინდა, ისე დამსაჯე. მზად ვარ, ვიტვირთო ცოდვის სიმძიმე“.

თავი მეორე

„„ახლა უკვე „გზის“ იმედად ვარ“

როგორც ქეთი ვარაუდობდა, „კვირის პალიტრამ“ მართლაც შეასრულა კეთილი შუამავლის როლი და ცოტა ხანში მეგობრები შერიგდნენ...

ქეთი:

— მას შემდეგ, რაც „კვირის პალიტრაში“ გამოვაქვეყნე წერილი, ერთი კვირის მანძილზე არავინ შემხმიანებია. მეგონა, გიო მაშინვე დამირეკავდა, მაგრამ ის, თითქოს ცამ ჩაყლაპა, არ ჩანდა.

მერვე დღეს, დაღლილი დავბრუნდი სამსახურიდან, ტელეფონმა დარეკა. როგორც გიჟი, ისე მივვარდი და ყურმილი ავიღე. წინათგრძნობამ არ მიმტყუნა: თაია იყო. იგი ტიროდა, სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს. აქეთ მეც ავტირდი. ორივეს ისეთი მოთქმაგოდება გვქონდა ტელეფონში, ვინმეს რომ დავენახეთ, გული გაუსკდებოდა. შინ რაღა გამაჩერებდა?! მაშინვე თაიასთან გავქანდი. იმ ღამეს მასთან დავრჩი. მითხრა: დასავით მიყვარხარ, ამიტომაც გაპატიე ის შეცდომა, მაგრამ ერთს გთხოვ და ეს უნდა შემისრულოო: ამ წერილის მერე გიო თუ არ გამოგვეხმაურა, შენ არ დაურეკოო. დავპირდი, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა-მეთქი. ვერ დაგიმალავთ, გაოგნებული ვიყავი, რომ გიო არ გვეხმიანებოდა. როგორ შეიძლებოდა იმ გრძნობის დავიწყება?! გიოს ხომ თაია უზომოდ უყვარდა და არც მალავდა ამას! მე ხომ დედამისსაც გამოვუტყდი ყველაფერში და თქვენი გაზეთის საშუალებითაც მივმართე გიოს? რადგან თაიას დავპირდი, აღარ მინდოდა, სიტყვა გამეტეხა, მაგრამ მშვიდად ჯდომაც არ შემეძლო, ამიტომ გიოს დეიდაშვილის (დათოს) ნახვა გადავწყვიტე. მე და დათო ერთხელ შევხვდით ერთმანეთს, როცა გიომ მე, თაია და მისი ორი ახლობელი რესტორანში დაგვპატიჟა. სხვათა შორის, ცუდად არ შემხვდა. როცა გიოს შესახებ ვკითხე, მოკლედ მომიგო: ცოლი შეირთოო. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი, ვერაფრის თქმა ვეღარ მოვახერხე, გამოვბრუნდი და წამოვედი. მიჭირდა თქმა, მაგრამ დამალვას აზრი არ ჰქონდა. თაიას მიტკლისფერი დაედო სახეზე, მაგრამ თავს მოერია როგორღაც. იმ პერიოდში, ერთ გურჯაანელ ბიჭს მოსწონდა ძალიან. ბევრი აღარ უფიქრია, ადგა და ცოლად გაჰყვა. 2005 წლის ოქტომბერში გოგონა შეეძინათ, მაგრამ მათი ცოლქმრობა არ აღმოჩნდა ბედნიერი და ორი წლის შემდეგ, თაია ქმარს გაშორდა. ჩემზე ისე იმოქმედა ამ ამბავმა, რომ გადავწყვიტე, რაღაც დროით, ყველას გავრიდებოდი. იმ პერიოდში აღარც სამსახური მქონდა, თაიას წინაშე დანაშაულის გრძნობა კი უფრო გამიმძაფრდა. მას რომ პირად ცხოვრებაში გამართლებოდა, ისე ძალიან აღარ ვინერვიულებდი. მისმა განქორწინებამ კი ხელახლა გამახსენა ჩემი ცოდვა და სიცოცხლის ხალისიც კი დავკარგე. გადაკვრით მქონდა თაიასთვის ნათქვამი, რომ ეკლესიური ცხოვრება მიზიდავდა. შემომიტია, — ხომ არ გაგიჟდი, უსამსახუროდ არის საქართველოს უდიდესი ნაწილი, ყველა ხომ ეკლესიას არ შეაფარებს თავს?! გულს ნუ გაიტეხო. თვალებში ჩავხედე, გავიფიქრე, ნუთუ, მართლა ჰგონია, რომ სამსახურის გამო ვარ ასე-მეთქი?! მივხვდი, რომ გრძნობდა, რასაც განვიცდიდი და შეგნებულად

არიდებდა თავს მტკივნეულ საკითხზე ლაპარაკს. ერთხელაც, ნაცნობის შუამდგომლობით, ბოდბის დედათა მონასტერს მივადექი. მორჩილი ვიყავი. დილიდან საღამომდე სულ ვსაქმიანობდი, მაგრამ გამუდმებით ვფიქრობდი წარსულზე. ათი დღის შემდეგ თაიამ მომაკითხა. მითხრა, — თუ არ დაბრუნდები, მეც აქ წამოვალ და ჩემი შვილის ცოდვა შენს კისერზე იქნებაო. დავპირდი, ერთი თვე კიდევ დავრჩები და მერე წამოვალ-მეთქი. ზუსტად ერთი თვისთავზე თავისი ძმის მანქანით მომაკითხა და თბილისში წამომიყვანა...

ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა...

მე სამსახური გამომიჩნდა, თაიამაც სკოლაში დაიწყო მუშაობა. თავისუფალ დროს კვლავ ერთად ვიყავით. სამსახურში ჩემს თანამშრომელს შევუყვარდი, ცოლობა მთხოვა და მეც გავყევი. შარშან ზაფხულს, მე და ზაზა ბათუმში წავედით დასასვენებლად. თაია თავის შვილთან ერთად კოჯორში ისვენებდა. ერთ საღამოს, როცა ბულვარში, ერთ-ერთ ბუნგალოში ვისხედით მე, ჩემი ქმარი და მისი მეგობარი, ნაცნობ სილუეტს მოვკარი თვალი; გიო იყო. მანაც დამინახა და გამიღიმა. ვერ მოვითმინე, ავდექი და მასთან მივედი. ზაზამ ყველაფერი იცოდა და მიხვდა, ვისაც ველაპარაკებოდი. გიო ცოტა ნასვამი იყო. წარსულზე დავუწყე ლაპარაკი, უცებ ამყვა და გული გადამიშალა: თაიას რომ დავშორდი, ისე ვიყავი გამწარებული, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, მეგობრები ხან სად მეპატიჟებოდნენ, ხან — სად, ცდილობდნენ, რომ ჩემთვის დარდი გაექარვებინათ. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ჩემი სკოლელი გოგონა ვნახე, რომელსაც მოვწონდი. თაიას ჯიბრით, მოვკიდე ხელი და იმ ღამეს ცოლად მოვიყვანეო...

მაგრამ გიო მალევე მიხვდა, რომ ვერ იცხოვრებდა ცოლთან. რამდენიმე თვის შემდეგ გაშორდა და რადგან ბათუმში ყოფნა უჭირდა, გადაწყვიტა, დროებით, კიევში წასულიყო, სადაც მის ორ მეგობარს ბიზნესი საათივით ჰქონდა აწყობილი. გიოც ჩაერთო იმ საქმეში და ახლა ხან კიევშია, ხან ბათუმში. მითხრა, რომ თაია ძველებურად უყვარდა. ამის თქმა იყო და, ცრემლები წამომივიდა. პატიება ვთხოვე და თაიას ამბავიც მოვუყევი. ამასობაში, ზაზაც მოგვიახლოვდა. გიოს ჩემი მეუღლე გავაცანი და სანამ ბათუმს დავტოვებდით, ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ვიცი, რომ გიოს ძალიან უნდა თაიასთან ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ოჯახის გამო, თავს იკავებს: მის მშობლებს არ უნდათ შვილიანი და ქმარგაყრილი ქალი რძლად. ნუთუ, გიო ისეთი სუსტია, რომ თავის გრძნობას მშობლების ახირებას ანაცვალებს?

ისევ დადგა ზაფხული. მე და თაიას აგვისტოში გვიყვარდა ზღვაზე დასვენება. ვეხვეწები, რომ წამოვიდეს, ბავშვიც წამოიყვანოს და ერთად დავისვენოთ. ჯერ არ გადაუწყვეტია. ვიცი, რომ გიოც ბათუმში იქნება აგვისტოში. ის ბუნგალო კი, სადაც შევხვდით, მისი ძმაკაცისაა. თუ თაია წამომყვება, დარწმუნებული ვარ, იმ ბუნგალოში კვლავაც შევხვდებით. გულით მინდა, რომ თაია და გიო ერთად იყვნენ. სიცოცხლის ბოლომდე დავიტანჯები, თუ მათ ცალ-ცალკე გააგრძელეს ცხოვრება. 6 წლის წინ, „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულმა წერილმა მე და თაია შეგვარიგა. ახლა კი „გზის“ და თქვენი რუბრიკის — „ცხოვრების“ იმედად ვარ — თაია და გიო უნდა შერიგდნენ!

„თქვენს რესპონდენტებთან ერთად გასჭიკლდით მათ საქმეს“

გვეხმიანებიან მკითხველები საბერძნეთიდან

წერილმა — „გადაულახავი ბარიერი“ მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია. კვლავაც გვეხმიანებიან და წერილის მთავარ პერსონაჟს, ნუცას რჩევას აძლევენ; გვთხოვენ, უახლოეს ნომერში გავაგებინოთ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ნუციკომ. სასიამოვნოა, რომ ჩვენი თანამემამულენი საბერძნეთშიც „გზის“ ერთგული მკითხველები არიან და იქაური დამქანცველი სამუშაოს მიუხედავად, ყოველთვის პოულობენ დროს ჟურნალის წასაკითხად. საბერძნეთიდან იმდენი მკითხველი გამოგვეხმაურა, გადავწყვიტე, ყველა თუ არა, რამდენიმე მესიჯი მაინც დამებეჭდა — მით უმეტეს, რომ ნუციკოს ჯერ კიდევ არ გადაუდგამს ის ნაბიჯი, რომელსაც ჩვენი მკითხველი ელის.

„გამარჯობა, ნუციკო. შენი ამბავი ახლახან წავიკითხე ჟურნალში და სულით ხორცამდე შემძრა. მესმის, რატომაც იკავებ თავს გურამის ცოლობისგან: ბევრ მოლაყბეს მიეცემა საბაბი, რომ ათასი სისაძაგლე თქვას, მაგრამ ნურავის მიაქცევ ყურადღებას. თუკი დარწმუნებული ხარ გურამის სიყვარულში, გაჰყევი მას. რაც მთავარია, შენც წრფელი გრძნობით გიყვარს იგი. ვერც კი წარმოიდგენ, რამხელა ბედნიერებაა საყვარელი მამაკაცის გვერდით ყოფნა. გისურვებ, გაგმართლებოდეს და დაგფასებოდეს ეს დიდი გრძნობა. თამრიკო, 47 წლის, ათენი“.

„მინდა, ნუციკოს ვუთხრა, რომ ძლიერი ქალი ყოფილა. მართალია, გურამი ვაჟკაცურად არ მოიქცა, მაგრამ მაინც ერთად ყოფნას ვუსურვებ, რადგან ორივეს ძალიან უყვარს ერთმანეთი. ძლიერი და წმინდა გრძნობის უარყოფა კი არ შეიძლება. გურამმა შეცდომა რომ დაუშვა თავისი სიყვარულის წინაშე, ამიტომაც დაისაჯა. ახლა მეორედ მიეცათ შანსი და ნუ გაუშვებენ მას ხელიდან. ნატო, ათენი“.

„გამარჯობა“, „გზის“ რედაქციავ და რუბრიკა „ცხოვრების“ ავტორო! ძალიან მომწონს თქვენთან დაბეჭდილი ცხოვრებისეული ამბები და ყოველ ნომერს დიდი ინტერესით ვეცნობი. გეფიცებით, ნუციკოს ამბავს რომ ვკითხულობდი, ცრემლები ისე მდიოდა, ვერც ვგრძნობდი. წერილი ბოლომდე რომ ჩავიკითხე, მერეღა მივხვდი, რომ ვტიროდი, რადგანაც სახე სულ სველი მქონდა. ნუციკო! ძალიან ძლიერი ადამიანი ყოფილხარ,

ძნელია, უახლოესმა ადამიანმა გიღალატოს და მაინც არ გაბოროტდე. გისურვებ, ბოლომდე ასეთი დარჩე და კიდევ, აუცილებლად გვერდით უნდა დაუდგე გურამს. იგი ისედაც დაისაჯა თავისი სისუსტის გამო. ირა, ათენი“.

„აქ, ათენში, უპრობლემოდ არ ვცხოვრობ. მენატრება შვილები, მეუღლე, მშობლები და ახლობლები, უსაშველოდ მენატრება ჩემი ქვეყანაც. ამ მონატრებას კი ქართული ჟურნალ-გაზეთების კითხვით ცოტათი ვიქარწყლებ. ბანალურად ჟღერს, მაგრამ ასეა და რა ვქნა?! — „გზა“ ჩემი საყვარელი და რჩეული ჟურნალია. თუ არ ვცდები, მეოთხე ნომერია, რაც ახალი რუბრიკა „ცხოვრება“ დაემატა და კიდევ უფრო საინტერესო, მიმზიდველი გახადა იგი. ისეთი ცხოვრებისეული ამბები წერია, ასე მგონია, მეც ამ ამბავში ვარ ჩართული (თანაც საქართველოში) და იმ თქვენს რესპონდენტებთან ერთად, მეც განვიცდი მათ საწუხარსა და სიხარულს. ნუციკოსა და გურამის ამბავმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ მთელი ღამე ვერ დავიძინე. არ ვიცი, ასე რატომ განვიცადე — იმიტომ, რომ ძლიერი გრძნობა იყო გადმოცემული თუ იმიტომ, რომ ეს ამბავი ჩემს ქართველებს, ჩემს სისხლსა და ხორცს ეხებოდა? იმდენი რამ გამოვიარე ბოლო 15 წლის მანძილზე, ალბათ ამ მესიჯში ვერც ჩავტევ ჩემს თავგადასავალს. ეს ცალკე თემაა და ამის შესახებ, ცალკე მოგწერთ, მარინა! ნუციკოს კი მინდა ვურჩიო, ნუ დაკარგავს იმ გრძნობას, რომელიც აქვს. მართალია, გურამმა გული ატკინა, მაგრამ რახან დღემდე გურამზე ფიქრობს, ე.ი. ის კაცი მაინც იმსახურებს სიმპათიას. შეცდომა ვის არ მოსვლია. სანამ საბერძნეთში წამოვიდოდი, ჩემმა ქმარმა ისეთი რამ ჩაიდინა, სიკვდილს ვნატრობდი, მაგრამ სიყვარულითა და მიტევებით გადავლახე ის რთული ბარიერი. მე კიდევ ორი წელი ვიქნები აქ, მერე კი ჩამოვალ ჩემს სამშობლოში და ვეცდები, ვიყო ბედნიერი. წარსულზე, ცუდ მოგონებებზე გამუდმებული ფიქრი ჩვენც გვაზარალებს და ჩვენს ახლობლებსაც, ამიტომ, ნუციკო, თავი ასწიეთ, თქვენ დიდებული ქალი ხართ და შეძლებთ მიტევებას. ძალიან მინდა, „ცხოვრების“ ფურცლებზე ამოვიკითხო თქვენი ბედნიერების ამბავი. მიყვარხართ. ელენე, 43 წლის, ათენი“.

„ნუციკო, გენაცვალე, კი არ გირჩევ, გთხოვ, სიყვარულს ხელს ნუ ჰკრავ. ეს უდიდესი, გამოუსწორებელი შეცდომა იქნება! მესმის, რომ ძნელია შენთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, გურამს ხომ შენი დის ქმარი (თუნდაც ყოფილი) ჰქვია, მაგრამ იცოდე, ძალიან გვიან, როცა სიბერე მოგიკაკუნებს, მიხვდები, რომ ბედნიერება ხელიდან გაუშვი. შენმა დამ თავისი ეგოისტური გრძნობის გამო გული გატკინა, ბედნიერება წაგართვა, მერე კი მიხვდა, რომ გურამით მხოლოდ გატაცებული იყო. შენ უნდა შეხვდე გურამს, მიეცი მას უფლება, გესაუბროს და მოინანიოს თავისი შეცდომა. შენ ბედნიერებას იმსახურებ, თუმცა ჩემზე კარგად იცი, რომ გურამის გარეშე ბედნიერი ვერ იქნები. სულ ახალგაზრდა ხომ არ იქნები, წლები თვალის დახამხამებაში გაირბენს, შენ კი მწარედ ინანებ. ხალხს ნუ აქცევ ყურადღებას: დღეს იტყვიან, ხვალ დაავიწყდებათ. შენ კი ჭეშმარიტი სიყვარულის ღირსი ხარ — სწორედ ისეთის, როგორიც შენ და გურამს გაქვთ ერთმანეთის მიმართ. გისურვებ განუსაზღვრელ ბედნიერებას და ულევ სიყვარულს. მზია, 48 წლის, 4 შვილის დედა, ათენი“.

P.S. ამდენი გამოხმაურებისა და გულითადი რჩევის შემდეგ, ვერ მოვითმინე და სანამ ნუციკოს სახელზე შემოსულ წერილებს ჟურნალში დავბეჭდავდი, „გადაულახავი ბარიერის“ პერსონაჟს შევხვდი. ნუციკომ ცრემლი ვერ დაფარა, როცა მკითხველთა რჩევა-დარიგება, მათი აზრი წაიკითხა. თურმე ამას წინათ, გურამის გოგონა მოუნახულებია, თავად გურამი კი დროებით არ იმყოფება თბილისში. ამჟამად გერმანიაშია და ივლისის ბოლოს ჩამოდის, — მითხრა ნუციკომ, — ამდენი რჩევის შემდეგ, ველარ შევძლებ უმოქმედობას და ალბათ, გადავდგამ იმ ნაბიჯს, რომელსაც „გზის“ მკითხველები მირჩევენ და თავადაც მინდაო. იგი დამპირდა, რომ აუცილებლად გვაცნობებს მის ცხოვრებაში განვითარებული მოვლენების შესახებ. მანამდე კი ნუციკოს სახელით მადლობას ვუხდი ჩვენს მკითხველებს — თქვენმა გულშემატკივრობამ, ვფიქრობ, ჩემს რესპონდენტს სწორი გადაწყვეტილება მიაღებინა.

„ის, მართლაც გმირი ქალი ყოფილა“

„წავიკითხე მოსწავლისა და მასწავლებლის სიყვარულის ამბავი („ვიცი, ეს იმ 15 წლის კომპენსაციაა“) და გადავწყვიტე, გამოგხმაურებოდით. მსგავსი ამბავი ხშირად ხდება ცხოვრებაში და სამწუხაროდ, უმეტესწილად, ისე ლამაზად არ მთავრდება, როგორც ამ წერილშია მოთხრობილი. 52 წლის ქალი გახლავართ და ახლაც მახსოვს ის სიმწარე, რომელიც 35 წლის წინ, ჩემმა მეგობარმა გამოიარა. მეც ძალიან განვიცადე მისი ტკივილი. 17 წლისანი ვიყავით, როცა მას ჩვენი უბნელი, 9 წლით უფროსი ვაჟი, სოსო (სახელი შეცვლილია) შეუყვარდა. თითქოს სოსოც თანაუგრძნობდა, საჩუქრებით ანებივრებდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ატყუებდა. ერთხელ, ნინო ტირილით გამომიტყდა, ორსულად ვარ, სოსო კი ცოლად შერთვაზე უარს მეუბნება და მაძალებს, აბორტი გავიკეთოო. პატარები ვიყავით და არც ისეთი თამამები, როგორიც დღევანდელი ახალგაზრდობაა. მეც ძალიან შევწუხდი და შევშინდი. ნინოს ისეთი მკაცრი მშობლები ჰყავდა, ეს ამბავი რომ გაეგოთ, მოკლავდნენ. დავიწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ მივსულიყავით ექიმთან და როგორ გაგვემხილა სიმართლე. ბოლოს, ფულიც ვიშო-

ვეთ, გინეკოლოგთანაც მივედით, მაგრამ ნინომ ბოლო წუთში გადაიფიქრა ბავშვის მოცილება და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა იქიდან. რასაც ველოდით, ის მოხდა: დედამისმა თმით ითრია შვილი, მამამისმა კი სახლიდან გამოაგდო. ცოტა ხანს ჩემთან იყო, მერე სოფელში წავიდა, ბებიასთან. იქ გააჩინა გოგონა. ახლა ჩემი მეგობარი ცოცხალი აღარაა. იმ ერთი საბედისწერო შეცდომის მერე მის ცხოვრებაში სასიკეთო აღარაფერი მომხდარა. მისი გოგონა დღეს უკვე გათხოვილია და ჩემს შვილებთან მეგობრობს. იმ არაკაცს კი ერთხელაც არ უცდია, ენახა ქალიშვილი. არც ნინოს შვილს გასჩენია მამის ნახვის სურვილი. გული მტკივა, რომ ნინომ, რომელიც ძალიან კარგი ადამიანი იყო, ვერ გაიხარა ამ ცხოვრებაში. გამოუთქმელმა დარდმა დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას და საკმაოდ ახალგაზრდა — 48 წლის ასაკში გამოგვეცალა ხელიდან. რაც შეეხება თქვენი წერილის პერსონაჟებს, კარგია, რომ ასე ბედნიერად (თუმცა საკმაოდ გვიან) დასრულდა მათი ამბავი. ირმა სრულ სიმართლეს ამბობს: მამაკაცები დიდხანს რჩებიან პატარა ბავშვებად, რომლებსაც ახალ-ახალი გატაცებები, ბრჭყვიალა სათამაშოებივით სჭირდებათო. მართლაც ასეა. გვიანლა ხვდებიან, რომ ძვირფასს კარგავენ; თუმცა მსგავსი სინანული იმას ახასიათებს, ვისაც ადამიანობა აქვს შემორჩენილი, სოსასნაირ კაცებს კი მხოლოდ სახე აქვთ ადამიანისა, სულიერად დაცლილები და გამოუსადეგარნი არიან. პედაგოგი მაგული ბიწაძე, თბილისი".

„წავიკითხე თუ არა წერილი — „ვიცი, ეს იმ 15 წლის კომპენსაციაა" — უნებურად აღმომხდა: ყოჩაღ, ქალო, მართლა გმირი ყოფილხარ-მეთქი! როგორი საპატიებელია ტყუილი და სილაჩრე?! მაპატიეთ, მაგრამ რეზოსთვის სხვა სიტყვები ვერ გამოვძებნე. მან ჯერ მოატყუა 16 წლის ობოლი გოგონა, მერე სხვამ მოხიბლა და უკან აღარც გაიხედა, პასუხისმგებლობას თავი აარიდა. სამწუხაროდ, ეს ბევრ მამაკაცს ახასიათებს — საკმარისია, რომ კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, მაშინვე სირაქლემის პოზას მიიღებენ. რეზომ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ღირსეულ კაცს არ ეკადრება. ცხოვრებაში რომ არ გაუმართლა და ცოლს გაშორდა, ეს ირმას მიმართ ჩადენილი ცოდვის გამო მოხდა... საინტერესოა, იმ 15 წლის მანძილზე რატომ ერთხელ მაინც არ გაუჩნდა სურვილი, მოეძებნა ის გოგონა, რომელიც მას ასე მიენდო?! პირადად მე, ძალიან გამიჭირდებოდა ასეთი კაცისთვის მეპატიებინა რაიმე. კიდევ ერთხელ ვამბობ: ყოჩაღ, ირმა! მართლა გმირი ქალი ყოფილხარ. გისურვებ ბედნიერებას და ულევ სიხარულს. ნანა, 34 წლის, მცხეთა".

„8 წელი ბავშვისთვის დედაც შენ უნდა იყო და მამაც"

ალბათ, გახსოვთ, წინა ნომერში ჩვენი მკითხველი რესპონდენტად წარმოგვიდგა — და თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბო. წერილის („...დაველოდები... შვილს გავაჩენ, სწავლასაც გავაგრძელებ...") ბოლოს, გთხოვეთ კიდეც, მაკა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და თქვენი რჩევა ესაჭიროება-თქო. ჩვენმა მკითხველმა რჩევა-დარიგება არ დაიზარა მაკასთვის და „გზის" გამოსვლისთანავე გამოგვიგზავნა მესიჯები. მცირედი შემოკლებით ვბეჭდავთ ამ გამოხმაურებებს:

„მაკა, ჩემო დაიკო, გჯეროდეს, ყველაფერი კარგად იქნება. შენც და გოგაც დასძლევთ სირთულეებს და ბედნიერები იქნებით. არ შეუშინდეთ ამ დროებით პრობლემებს. ქეთი, თბილისი".

„მაკა, იბრძოლე შენი სიყვარულისთვის. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რას გეუბნება. რაც მთავარია, გოგას უყვარხარ. არ მიატოვო! დამიჯერე, თქვენი ამჟამინდელი ტანჯვა მომავალი ბედნიერების საწინდარი იქნება. სალო, 21 წლის".

„გზის" მკითხველი ვარ. ძალიან მომწონს რუბრიკა „ცხოვრება" და სხვები ნუ მიწყენენ, თუკი ჟურნალის კითხვას ამ რუბრიკით ვიწყებ. მაკას ამბავმა გული დამწვა. ვისაც პატიმარი არავინ ჰყოლია, ის ვერასდროს გაუგებს 18 წლის გოგონას, რომლის მეუღლე ახლა ციხეშია. მაკა, თანაგიგრძნობ, ჩემო კარგო. მინდა, ბედნიერება და უსაზღვრო სიყვარული გისურვო. იმედს ნუ გადაიწურავ, იფიქრე შენს პატარასა და უკეთეს მომავალზე. მარი".

„ვეხმაურები მაკას. ძალიან კარგი გოგო ჩანხარ. არ შეუშინდე ცხოვრებას. იბრძოლე შენი პატარა ოჯახის გადასარჩენად. შენს დედამთილს ნუ მიაქცევ ყურადღებას. ის მართლაც, განერვიულებულია და ვერ აცნობიერებს, რას ამბობს. ღმერთი გფარავდეთ შენ და შენს პატარას. ელე, 24 წლის".

„მაკა, შენი ამბავი გულთან მივიტანე. გამაგრდი! რაკი ამდენი რამ გადაიტანე და ყველაზე რთული პერიოდი უკან ჩამოიტოვე, დღევანდელ სირთულესაც გაუმკლავდები. გოგას უყვარხარ და ესაა მთავარი. სიმშვიდე შეინარჩუნე. შენს პატარას ახლა ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ანუკა, 16 წლის".

„გამარჯობა, მარინა! მაკას მონათხრობმა ძალიან ამაღელვა და მინდა მას მივმართო: მაკა! გთხოვ, ხელი არ ჰკრა გოგას, მას შენ ძალიან სჭირდები. შენი თანადგომით შეძლებს იმ სირთულის დაძლევას, რომელიც თავს დაატყდა. მეც თქვენი თანატოლი ვარ. გოგას ადგილას რომ ვიყო და ცოლმა ზურგი შემაქციოს, ალბათ, ვერ გადავიტანდი. მიკა, 20 წლის".

„გაზარდე, ძვირფასო, შენი ბაია და ჩაუნერგე მას ღვთის შიში და სიყვარული. შენც ეკლესიის გზას დაადექი. მოძღვარს გაანდე შენი წუხილი. მჯერა, ძალიან მალე შენი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება. შენ ბავშვი გყავს გასაზრდელი, რომელსაც მარტო გამოკვება კი არა, მშობლის სითბო, მფარველობა და დიდი სიყვარული ესაჭიროება. 8 წლის მანძილზე (გოგა თუ მანამდე არ გათავისუფლდა) ბავშვისთვის დედაც შენ უნდა იყო და მამაც. იმისთვის, რომ ეს შეძლო და ყველაფერს გაუძლო, ძლიერი ნებისყოფა გჭირდება. ღვთისმშობელი იყოს შენი ახალშექმნილი ოჯახის მფარველი. მარიამი".

„პატარა ხარ და უკვე ამდენი რამ გადაიტანე! ქმართან ერთად იმალებოდი, რისკზე წახვედი, რათა მარტო არ დაგეტოვებინა. ახლაც ნუ დაიხევ უკან, მით უმეტეს, რომ ქმრისგან ამხელა სიყვარულს გრძნობ. გამაგრდი, უფლება არ გაქვს, სხვის დაუფიქრებელ ლაპარაკს აჰყვე. არ დანებდე სირთულეებს. უფალი გფარავდეთ. ხატია, 21 წლის, ქუთაისი".

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899. 27.25.61. ან ელფოსტით: mbabunashvili@mail.ru

თითის წვრილი ღანძილი სიყვარული

ღარიბი ოჯახი, თითქმის ცარიელი სახლი, ნათალ ჭიქაში დასხმული ჩაი და დივანზე მწოლიარე, ბრმა და ყრუ ქალი — აი, რა მოგხვდება თვალში, როდესაც ნატაშასა და იურას სამყოფელში მოხვდები. მათი შემხედვარე, უცაბედად გაიფიქრებ — ნეტავ, ეს კაცი ნორმალურიაო? როცა მიხვდები, რომ ის აბსოლუტურად ნორმალურია, იმაშიც დარწმუნდები, რომ ის მძიმე ჯვარს საკუთარი ნებით ეზიდება და როცა გეუბნება, რომ ყველაფერი კარგადაა, გჯერა, რომ არ ტყუის.

იურა ამაყად ამბობს, რომ მათი ოჯახი ყველასგან განსხვავებულია და რომ გარშემო უამრავი ბოროტი, შურიანი და უნიჭო ადამიანია. ის ნამდვილი დონ კიხოტია და შეიძლება იფიქრო — ის, რასაც თითქოს მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძვის, მნიშვნელოვანი სულაც არ არის.

ნატაშა ქალაქ ნიკოლაევში ცხოვრობდა, გემთმშენებელი ქარხნის ზეინკლის შვილი იყო. მის გარდა ოჯახს 3 შვილი ჰყავდა და სამივე — ჯანმრთელი. ნატაშა ოდესაში, ბრმების სკოლაში სწავლობდა. შემდეგ მენინგიტით დაავადდა და დაყრუვდა კიდეც. ამის გამო სკოლაში სიარული ვეღარ შეძლო და 2 წლის განმავლობაში სრულ იზოლაციაში ცხოვრობდა.

— ღმერთმა აცხონოს ჩემი სიმამრი, — ამბობს იურა, — მან შვილის ხელში ბრმებისთვის განკუთვნილი, ბრაილის წიგნი შენიშნა. გოგონას თითები მეათასეჯერ გადარბოდა ერთსა და იმავე სტრიქონზე. ეს გახლდათ წიგნი ცხოველების შესახებ. მამამისი ოდესის ბრმების საზოგადოებაში მივიდა, წიგნებით რამდენიმე ტომარა გაავსო და შვილს მოუტანა. ნატაშასთვის სამყარო გაფართოვდა, მაგრამ მხოლოდ — წიგნების სამყარო.

ამასობაში, ნატაშას ბიძამ შეიტყო, რომ მოსკოველი პროფესორი სწორედ ასეთი ბავშვებით იყო დაინტერესებული. ნატაშას მშობლებმა მისი მოძებნა გადაწყვიტეს. პროფესორ მეშჩერიაკოვს მინი სკოლაინტერნატი ჰქონდა, სადაც 3 ბიჭუნა ცხოვრობდა, მეოთხე — ნატაშა იყო. ამ 4 ბავშვიდან ყველაზე ცნობილი ალექსანდრე სუვოროვი გახლდათ, რომელიც შემდეგ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, ცოლი შეირთო და არაერთხელ მონაწილეობდა სატელევიზიო გადაცემებში. მეშჩერიაკოვის ოთხივე აღზრდილი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

— ის, რომ მე შემიძლია წერა-კითხვა, ლაპარაკი და უმაღლესი განათლებაც მაქვს, ჩემი დამსახურება არ არის. მე, უბრალოდ, ვცდილობდი, დავხმარებოდი პროფესორს, — ამბობს ნატაშა, — მე თვითონ ცხოვრებაში მხოლოდ 2 რამ გავაკეთე — მივხვდი, რომ თვალხილულ მამაკაცსაც ისევე სჭირდება ყურადღება, როგორც მე. ეს იყო ჩემი სიბრმავე-სიყრუიდან გამოსვლის პირველი ნაბიჯი, მეორე — ბავშვების აღზრდა. 2 გოგონა მყავს და მათთან საუბარი ძალიან მსურდა. ამიტომ, სულ ჩვილებს, თითებით ვესაუბრებოდი.

მის ცხოვრებაში იურა ყველაზე დაუჯერებელი „მოვლენაა“. ის კრემენჩუგში მასწავლებლად მუშაობდა და ბრმა ბავშვებისთვის განკუთვნილი სკოლებითა და ბრაილის სისტემით იყო დაინტერესებული. ერთხელ გაზეთში ნატაშას ინტერვიუ წაუკითხავს, სადაც ის ადამიანებს სთხოვდა, ყურადღებით მოპყრობოდნენ მისნაირებს. იურამ ნატაშას წერილი მისწერა და მათ შორის მიმოწერა გაჩაღდა. შემდეგ გოგონას მოსანახულებლად მოსკოვში ჩავიდა. „ჩაი მივირთვით... გოგონა დაიბადა და ჰილდა დავარქვით“, — ღიმილით იხსენებს ის.

იურა და ნატაშა უკვე 20 წელია, ერთად ცხოვრობენ და ყველა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ნატაშას კი არა, იურასაც ძალზე გაუმართლა, ამ არაჩვეულებრივ ადამიანს რომ შეხვდა. იურა ხასიათით „ალტერნატივისტი“ და რევოლუციონერია. უარყოფს ყველაფერ ოფიციალურს, მაგალითად — სკოლას. უფროსი გოგონა პირველი კლასიდან გამოიყვანა და ამის მიზეზად, სხვებთან შედარებით ჰილდას უკეთეს მოსწრებას ასახელებს. ის დედას, 3 წლის ასაკიდან, ასოების საშუალებით ესაუბრებოდა და ამის გამო, გაცილებით ადრე ისწავლა წერა-

კითხვა. ნატაშა კი ამბობს, რომ იურამ ბავშვი სკოლიდან მას შემდეგ გამოიყვანა, რაც მას თხილამურები მოსთხოვეს, ოჯახს კი მისი შეძენის საშუალება არ ჰქონდა. ორივე გოგონამ სკოლა ექსტერნად დაამთავრა. ჰილდა სკოლის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „პირველ სექტემბერში“ მუშაობდა. ამჟამად ექთანია.

იურა თავის ცხოვრებას ისე აღწერს, როგორც ბრძოლას, სახელმწიფო, სოციალური, პედაგოგიური „დრაკონების“ წინააღმდეგ და საკუთარ გამარჯვებებზე ამაყად ლაპარაკობს.

მისი გადაწყვეტილება, რომ ნატაშაზე დაქორწინებულიყო, გმირობის ტოლფასია. არავინ იცის, ყოველთვის დროულად მოჰქონდა თუ არა პური მაღაზიიდან ან აჭედებდა თუ არა ლურსმანს საჭირო ადგილზე, მაგრამ დიდი ხანია, მძიმე ჯვარს ეზიდება და არც ერთხელ არ დაუწუწუნია. მას რომ ეწუწუნა, ამდენს ვერ გაუძლებდა.

— იურას ცოლად რომ არ გავყოლოდი, შესაძლოა, საკანდიდატო დისერტაცია დამეცვა, — ამბობს ნატაშა.

მას დაწყებული ჰქონდა მუშაობა თემაზე — „განათლების ფსიქოლოგია“, მაგრამ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის სტატუსს ჯერჯერობით ვერ გასცდა. მისი ხელფასი ძალიან დაბალია და ოჯახს თავის რჩენა უჭირს. იურა კი ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის ინტერვიუების ჩანაწერებს შიფრავს და ამით ოჯახს ეხმარება. თუმცა, მას განცხადებებითაც აკითხავენ. ერთხელ, ახალ კლიენტს ელოდნენ. ნატაშამ თქვა, რომ კლიენტი ტორტს მოიტანდა. მათი სტუმარი, სიმპათიური, ქართველი მამაკაცი აღმოჩნდა და დიასახლისს მართლაც ტორტი მიართვა.

მათ ნაცნობებს შორის ბევრი ცნობილი ადამიანია. ოჯახის ხშირი სტუმარი ლეონიდ უტიოსოვი იყო. ერთხელ, კრისტინა ორბაკაიტემაც დაურეკა. ის სპექტაკლში ბრმა-ყრუ-მუნჯ ელენა კილერს თამაშობდა. როდესაც იურასა და ნატაშაზე ფილმი გადაიღეს, მისი უდიდებულესობის, ბრიტანეთის დედოფლის დავალებით დაურეკეს და ჰკითხეს, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ რომელ წიგნებს ისურვებდნენ თავიანთი ბიბლიოთეკისთვის.

ნატაშას შემდეგნაირად უნდა ესაუბრო: შენს ხელს მისი ხელის ქვეშ შეაცურებ და ხელისგულზე თითით ასოების გამოყვანას შეუდგები. ის უცებ წაიკითხავს, რისი თქმა გინდა.

მას ყველაზე მეტად ამერიკული ლიტერატურის კითხვა უყვარს და მიაჩნია, რომ რუსეთი ძალიან ჰგავს ამერიკას. სურს, წაიკითხოს ყველა იმ მოვლენის შესახებ, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთში მოხდა. უნდა, დროს დაეწიოს, მაგრამ ჯერ 90-იან წლებში მიმდინარე მოვლენებიც არ წაუკითხავს.

— როცა იზოლაციაში ვიყავი, ძალიან რთული პერიოდი დამიდგა. დავფიქრდი — რისთვის უნდა მეცოცხლა? ვიცოდი, რომ ბევრ რამეს გავუძლებდი, მაგრამ რაში მჭირდებოდა ყოველივე ეს? მე ხომ არც მხედველობა მქონდა, არც სმენა და არც — არავითარი პერსპექტივა. არ მინდა, მისტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, რომ 20 წლამდე მეცოცხლა, შემდეგ კი თავი მომეკლა. ამის მერე დავმშვიდდი და ვცადე, გადამელახა ის, რისი გადალახვაც შეუძლებლად მიმაჩნდა, არ წავსულიყავი კომპრომისებზე, რომელიც სიცოცხლეს გამიიოლებდა, — ღიმილით ამბობს ნატაშა და ხელით ქმრის ხელის მოძებნას ცდილობს. მასთან ერთად გაცილებით თავდაჯერებულია. ●

არ გამოგრჩეს!
მეაგროვე!
ეფლირტავე თანატოლებს ოსკარ-ფლირტით!

შენ ხომ ყველაზე თანამედროვე ხარ!

მომაგარი "ოსკარი" მომაგარი სიურპრიზებით!

გადახატე სურათი ცარიელ ფურცელზე, შენებურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველს ყურები, კუდი, ცხვირი, ფეხები ჰიპასოსავით, სასურველ ადგილზე უნდა მიახატო. როცა ნახატს დაასრულებ, ცხოველს სახელიც დაარქვი და შეგიძლია, ფოტოტესტის ჰასუხები იხილო.



1. თუ ნახატი ფურცლის ზედა მხარესაა დახატული, საკმაოზე მაღალი თვითშეფასება გაქვს და დღევანდელი მდგომარეობით უკმაყოფილო ხარ. გეჩვენება, რომ არასაკმარისად გაფასებენ და შენი შურთ.

2. თუ ნახატი ფურცლის ქვედა მხარესაა დახატული, თავდაჯერება გაკლია, დაბალი თვითშეფასება გაქვს, დათრგუნვილი და გაუბედავი ხარ.

3. თუ ცხოველს თავი მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, ქმედუნარიანი ადამიანი ხარ და ყველა ჩანაფიქრს ელვისებური სისწრაფით ახორციელებ.

4. თუ — მარცხნივ, უმოქმედო ყოფილხარ და შენი გეგმების უმეტესობა განუხორციელებელი რჩება.

5. რაც უფრო დიდი ყურები აქვს შენ მიერ დახატულ ცხოველს, მით უფრო ცნობისმოყვარე ხარ და გარშემო მყოფთა აზრს მით მეტად იზიარებ.

6. გაღებული პირი და გამოყოფილი ენა იმას ნიშნავს, რომ მოლაყბე ადამიანი ხარ და ხშირად გიპყრობს შიში.

7. თუ ნახატს კბილები უჩანს, უხეში და თავხედი ხარ.

8. თუ ქუთუთოებზე წამწამები მიახატე, კეკლუცი ხარ და გიყვარს, როცა შენით აღფრთოვანდებიან. დიდ ყურადღებას აქცევ გარეგნობას, მანერებსა და ჩაცმის სტილს.

9. ტანთან შედარებით მოზრდილი თავი იმას ნიშნავს, რომ განათლებულ ადამიანებს დიდ პატივს სცემ.

10. თუ პატარა ფეხები მიახატე ან ფეხები საერთოდ არ მიგიხატავს, ზედაპირული აზროვნება გქონია და დასკვნების გამოტანა გიჭირს.

11. თუ ცხოველს კუდი აქვს და ის ზევითაა მიმართული, თავდაჯერებული ყოფილხარ; ხოლო თუ — ქვევით, საკუთარი თავით უკმაყოფილო ხარ.

11. თუ ირონიულ-იუმორისტული სახელი დაარქვი (ბასასუნა, ბუსუსუნა, კუკუნა), გარშემო მყოფების მიმართ ცინიკური და დამცინავი ხარ. მიგაჩნია, რომ ყველაზე საუკეთესო ხარ. ინფანტილური სახელი (ტრუ-ტრუ, სიუ-სიუ, ლაი-ლაი) იმას ნიშნავს, რომ დიდი ფანტაზიის უნარი გაქვს; ხოლო გრძელი, არაფრის მთქმელი სახელი (გულობარნიკლეტა, ატამარინოლა, მარატოლიუნა) იმის მაუწყებელია, რომ სირთულეების გადალახვა დიდ სიამოვნებას განიჭებს.

პროფილი



„ნეტავ, ანას მართლა არ დასწყდა გული, მისმა ყოფილმა ქმარმა ძიძა რომ შეიყვარა? მე მაგრად მეწყინებოდა. თუმცა, თუ მის მიმართ გრძნობა საერთოდ აღარ აქვს, მაშინ შეიძლება, სულაც არ მიაქციოს ამას ყურადღება“.

„მარ, ძალიან მაგრად წერ. მომწონს ანას საქციელი და შენი გადმოცემის სტილი. რეალურის მესამე გვერდს როცა ჩავიკითხავ ხოლმე, გული მწყდება, რომ მთავრდება და ერთი სული მაქვს, ხუთშაბათი როდის მოვა. ვიცი, გვერდები არ გყოფნის და მეტს ვერ დაბეჭდავ ან ბოლომდე მაინც ხომ ვერ დაწერ ერთბაშად? ამიტომ, სადაც არ უნდა გაწყვიტო ამბავი, მაინც გული დამწყდება. წარმატებებს გისურვებ, მარ. შენი გემრიელი გოგო“.

„გაბოს ასე მოუხდება. ნამდვილი თავხედი და ზედმეტად თავდაჯერებული ტიპია. გული მიგრძნობს, ეს კაცი ანას თბილისშიც არ მოასვენებს. მაგის დედაც, ჯეკ!“

ახლა კი ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როცა ალენამ ანას შეატყობინა, რომ კაბინეტში სიურპრიზი ელოდა, ქალს გულმა არ მოუთმინა და ღამის 11 საათზე სამსახურისკენ გაემართა.

დასაწყისი — „გზა“, №11-27

მარი ХაშარიძЕ

დაცვის ბიჭებს ჩემი დანახვა ისე გაუკვირდათ, თითქოს უცხოპლანეტელი დაენახოთ. ფეხზე წამოდგნენ და ღამის „ჩესტი“ ამიღეს. დახმარებაც შემომთავაზეს. თავაზიანად ვიუარე, ორიოდე წუთის საქმე მაქვს, შემოვირბინე და მალე წავალ-მეთქი, ვუთხარი და კიბეს ავუყევი. თან ვცდილობდი, ნათელმხილველის ნიჭი გამომეჩინა და წინასწარ მივმხვდარიყავი, რა სიურპრიზი მელოდა. კარს გასაღები მოვარგე, თვალები დავხუჭე და ისე შევაღე. რამდენიმე ნაბიჯი ასე თვალდახუჭულმა გადავდგი და რომ დავრწმუნდი, უკვე კაბინეტში ვიყავი, ჩამრთველი ხელის ცეცებით მოვძებნე, სინათლე ავანთე და თვალები გავახილე.

ოთახში ყველაფერი ისევ ისე დამხვდა, როგორც დატოვე. ყურადღებით მოვავლე თვალი, ყველა კუნჭულს დავაკვირდი, მაგრამ ვერავითარი სიურპრიზი ვერ აღმოვაჩინე. გაწბილებული შემოვბრუნდი, რათა შინ წავსულიყავი და უეცრად, შიშისგან შევხტი: კაბინეტის ღია კარში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ალენა იდგა, თავი გვერდზე გადაეხარა და იღიმებოდა. თავი გადავაქნიე, დოინჯი შემოვირტყი და ტუჩები უკმაყოფილოდ მოვპრუწე.

— სად არის, ვაუბატონო, სიურპრიზი?

— აგერ. ნუთუ ამხელა სიურპრიზს ვერ ამჩნევ? — ისე გაიღიმა, მე რომ მაგიუებს და ხელი გულზე დაიდო.

— ცუდი ბიჭი ხარ, — გავბუსხე ტუჩები.

— არა, ცუდი არ ვარ, დამიჯერე, ძალიან კარგი ბიჭი ვარ, — მომიახლოვდა, ორივე მკლავი გაშალა და გულში ჩამიკრა.

ვიგრძენი, როგორ ცდილობდა, რამდენიმე წამის განმავლობაში მთლიანად შეეგრძნო ჩემი სხეულის სიახლოვე და თმის სურნელი. ხელი უცებ გამიშვა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— ე.ი. მომატყუე, არა?

— კი არ მოგატყუე, ცოტა ვიეშმაკე. ამ რამდენიმე დღეში ძალიან მომენატრა ჩემი შეფი, მან კი შეხვედრაზე უარი მითხრა. ჰოდა, რადგანაც ვიცი ქალების ცნობისმოყვარეობის ამბავი, პატარა, უწყინარი ტყუილი გამოვიგონე, ყურმილი დავკიდე და ჩემს სამუშაო ოთახში მშვიდად დაველოდე მის გამოჩენას. მართალია, ჩემმა მკაცრმა უფროსმა რამდენიმე საათის განმავლობაში ცდუნებას ვაჟკაცურად გაუძლო, მაგრამ მე მოთმინებით აღვიჭურვე და იმედიანად განვეწყვე, რომ ადრე თუ გვიან, მასში აუცილებლად იმძლავრებდა ქალური სისუსტე და თავისი ლამაზი ფეხებით მეახლებოდა.

— მე შენ აღარასოდეს გენდობი, — შუბლი შევიკარი.

— მაშ ვის უნდა ენდო, თუ არა — მე? აა, ალბათ ჩვენს მთავარ შეფს, დათოს, რომლის მოხიბვლაც შენს გეგმებში შედის. ასეა? — დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ, ვის რაში სჭირდება დათო?

— თავადაც მშვენივრად მოგეხსენება, რომ სიმართლეს ვამბობ.

— აეროპორტში დაგინახე, — უცებ მოვუჭერი სიტყვა.

— როდის, როცა მიფრინავდი თუ როცა მოფრინავდი?

— შენ რა, როცა ჩამოვფრინდი, მაშინაც იქ იყავი? — მართლა ძალიან გამიკვირდა.

— დიახ, ქალბატონო ანა, მე შენ შესახებ ყველაფერი უნდა ვიცოდე. გულის ამაჩუყებელი იყო შენი და დათოს გამომშვიდობების სცენა. საინტერესოა, რატომ ინება შენი გაცილება? დაბრუნებისას კი სიმპათიური მამაკაცი გიმშვენებდა გვერდს. ალბათ საფრანგეთში ყოფნისას გაიცანი და პარიზის ცის ქვეშ რომანტიკულ გასეირნებებსაც აწყობდით.

— ის კაცი აქეთობისას, თვითმფრინავში გავიცანი, ჩემ გვერდით იჯდა, — ურცხვად ვიცრუე.

— მართლა? მაგას ვერ დავიჯერებ. მე იურისტი ვარ, სხვანაირი ყნოსვა მაქვს, ანა, თანაც, ქალებში იმაზე მეტად ვერკვევი, ვიდრე გგონია.

— და რა უფლება გაქვს, რომ პირველკლასელი მოწაფესავით დამაყენე და მტუქსავ? არავის საქმე არ არის, ვინ გამაცილებს და ვისთან ერთად მოვიწყობ რომანტიკულ საღამოებს პარიზში.

— ცდები, ანა, სასტიკად ცდები, ეგ სწორედაც რომ ჩემი საქმეა.

— ვინ გითხრა? — ხმამაღლა გავიცინე.

— მე გეუბნები.

— კარგი, გვეყო ხუმრობა, სიურპრიზი მართლაც გამოგივიდა, ახლა კი უნდა წავიდე.

— ხელი მომეცი, — თავისი მარჯვენა გამომიწოდა. მორჩილად გავუწოდე ხელი.

პატარა ბავშვივით ჩამავლო თითები, იქვე, კედელზე დაკიდებულ სარკესთან მიმიყვანა და დამაყენა. თვითონ გვერდით დამიდგა და გაჩუმდა. ერთმანეთს სარკეში ვუყურებდით და თვალით ვზომავდით.

— ხედავ? — მითხრა ორიოდე წუთის შემდეგ.

— რას უნდა ვხედავდე?

— იმას, რომ ერთმანეთს ძალიან ვუხდებით, — ხელი მხარზე მომხვია, გვერდზე მიმიკრა და თავი თავზე დამადო.

— მაგით რისი თქმა გინდა?

— იმის, რომ მე და შენ ერთმანეთს ვუხდებით.

— გავიგე, მერე? — მხარი, რომელზეც ალენას ხელისგულს ვგრძნობდი, საშინლად მეწვოდა.

თავისკენ შემაბრუნა, მეორე ხელი წელზე მომხვია, მკერდზე მიმიკრა და ცხვირი ყურის ძირში გამიხახუნა. გავიტრუნე და მთლიანად მივენდე. მის გულისცემას აშკარად ვგრძნობდი.

— ანა, ცხოვრებაში ერთხელ ვიყავი შეყვარებული და ახლა მეორედ შემიყვარდა. ამ სიყვარულს აღარ დავკარგავ, ვიბრძოლებ, რომ ჩემი გახდე, — ჩურჩულებდა ჩემს ყურთან. ტუჩებით ყურზე ოდნავ მეხებოდა, მისი სუნთქვა კისერზე მელამუნებოდა და მუხლი მეკვეთებოდა. თავი ხელში ავიყვანე და მისი მკლავებისგან გავთავისუფლდი.

— შენ რა, სიყვარულს მიხსნი? — გაკვირვებული სახე მივიღე.

— არა, უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორი რეაქცია გექნებოდა, — ხმამაღლა გაიცინა და უდარდელი სახე მიიღო.

— თუ იმის იმედი გაქვს, რომ ჩემი გულის მონადირებას შეძლებ და სამსახურებრივ კიბეზე წინ წაიწევ, არაფერი გამოგივა. ფსიქოლოგიაში გვასწავლიდნენ, რომ ხელქვეითთან რომანი არ უნდა გააბა. ასე რომ, მე კარგი მოსწავლე ვიყავი და რაც მასწავლეს, ყველაფერი მშვენივრად ავითვისე.

— გასაგებია, შენ ფიქრობ, რომ შეფთან ფლირტის გაბმა მინდა, რათა მერე ეს საკუთარი ინტერესებისთვის გამოვიყენო, არა?

— დიახ, ამაში დარწმუნებული ვარ, — რასაც ვფიქრობდი, იმის საპირისპიროს ვამბობდი, მაგრამ უკან დახევა უკვე გვიან იყო.

— ალბათ საკუთარი გამოცდილებიდან ამბობ, დათოს შებმა სწორედ მაგისთვის ჩაიფიქრე, არა?

— ატყობ, რომ ზღვარს გადახვედი? — შუბლი შევიჭმუხნე და გაბრაზებული სახე მივიღე.

— O.K. შენი ნებაა, რას იფიქრებ. კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ან-ნა!

ალენა ოთახიდან უკანმოუხედავად გავიდა. გული დამწყდა, უმიზეზოდ რომ გავანაწყენე და მინდოდა, უკან მომებრუნებინა, მაგრამ თავი შევიკავე.

კაბინეტის კარი ჩავკეტე და კიბეზე დავეშვი. როცა მანქანას ვქოქავდი, ის უკვე ეზოდან გადიოდა.

შინ რომ მივედი, უკვე ღამის პირველი საათი იყო. მახო დივანზე წამოწოლილი დამხვდა, ტელევიზორს უყურებდა.

— ვაა, ანა? როგორ ხარ? — წამოდგა და გადამკოცნა.

— კარგად, თავად როგორ ხარ?

— მეც კარგად.

— სალომეს სძინავს?

— კი, მზიაც დაწვა.

— სად? — თვალებმოჭუტულმა ვიკითხე.

— უცნაური კითხვაა, სად და — სალომეს ოთახში, — თვალი ამარიდა მახომ.

— კარგი, მეც დავიძინებ, დაღლილი ვარ. შენი საწოლის ჭრაჭუნმა და მზიას კვნესამ ძილი არ დამიფრთხოს, იცოდე, — გავაფრთხილე და ჩემი ოთახისკენ წავედი.

— ანა, — მომესმა ზურგს უკან მახოს ძახილი, მაგრამ ხელი ავუქნიე, თავი დამანებე-მეთქი და კარი მივხურე.

ის-ის იყო, ჩავწექი და თავი ფიქრებს მივეცი, რომ კარის ხმა გავიგონე. მივხვდი, მახო იქნებოდა.

საწოლზე ჩამომიჯდა და თავზე წაფარებული საზაფხულო საბანი გადამაძრო.

— შენ რა იცი, ჩემი და მზიას ამბავი?

— მე იურისტი ვარ, სხვანაირი ყნოსვა მაქვს, თანაც, კაცებში იმაზე მეტად ვერკვევი, ვიდრე გგონია, — ალენას სიტყვები გავიმეორე და ჩემდა უნებურად, გამეღიმა.

— არ გინდა, შენთან დავწვე? — მოულოდნელობისგან თვალები დავაჭყიტე.

— ჩემთან შენი ადგილი არ არის, — მოკლედ მოვუჭერი და ზურგი ვაქციე.

მახო ტანისამოსიანად მომიწვა, ჩემკენ გადმობრუნდა, წელზე ხელი მომხვია და გაისუსა. მისი ხელის მოშორება ვცადე.

— ნუ გამაგდებ, გეფიცები, მთელი ღამე ასე ვიქნები, არ შეგაწუხებ და ძილს არ დაგიფრთხობ. უბრალოდ, შენთან დავიძინებ.

ხელი ჩავიქნიე და აღარაფერი მითქვამს. რამდენიმე წუთის შემდეგ, უკვე ბავშვივით მშვიდად სუნთქავდა და მივხვდი, ჩაეძინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იაპონელების მიერ მითვისებული ქუთაისური უსარგებლო გამოგონება და კვლევის შედეგები



იაპონიაში არსებობს ერთი „მხიარული“ ორგანიზაცია — „უსარგებლო გამოგონებების ავტორების საზოგადოება“. საზოგადოების წევრები უსარგებლო, მაგრამ ტექნიკურად გამართულ საგნებს იგონებენ, რომელთა დაპატენტება და სერიული გამოშვება ნებადართული არ გახლავთ, მაგრამ ერთი, მუშა ეგზემპლარის შექმნა აუცილებელია. სიგარეტი, რომელიც არ იწვის და წყალგაუმტარი ქაღალდის ტომსიკა ჩაის პაკეტისთვის — მათი ყველაზე გენიალური გამოგონება არ გახლავთ.

1. მზის ენერგიაზე მომუშავე ფარანი, რომელიც დღისით, მზიან ამინდში მშვენივრად ანათებს, ყოველგვარი ელემენტისა და სხვა სახის აკუმულატორის გარეშე.

2. პორტატიული „ზებრა“, ფეხით მოსიარულეებისთვის, რომელთაც გზის გადაკვეთა აკრძალულ ადგილზე სურთ. ეს 1 მეტრი სიგრძის ზოლიანი ხალიჩაა, რომელიც მსუბუქი, პოლიმერიული მასალითაა დამზადებული. მას ფეხით მოსიარულე გრძლად დაახვევს და იღლიით ატარებს. საჭირო დროს კი საჭირო ადგილზე, გზაზე გაშლის და მშვიდად გადაკვეთს ქუჩას. „ზებრას“ თან ინსტრუქცია მოჰყვება, რომლის მიხედვითაც გადატვირთულ ავტომაგისტრალებზე ადამიანს გზის გადაკვეთა ეკრძალება.

3. კერძის გასაცივებელი კომპაქტური ვენტილატორი შეგიძლია როგორც იაპონურ ჩხირზე, ისე ევროპულ ჩანგალსა და კოვზზე დაამაგრო.

4. გასახდომი თეფში წარმოადგენს ნახევარწრეს, რომელსაც ცალ გვერდზე სარკე აქვს დამაგრებული და ისეთი ილუზია იქმნება, რომ თეფში მრგვალია და კერძით სავსე. თანაც, შთაბეჭდილება რჩება, რომ ულუფა 2-ჯერ უფრო მეტია.

5. ქუდს, რომელიც მეტროს ვაგონში ძილისთვის გამოიყენება, წინა ნაწილზე აწერია: „გთხოვთ, გამაღვიძოთ ამა და ამ გაჩერებაზე“. იქ, სადაც გაჩერების ადგილმდებარეობა უნდა ჩაიწეროს, ქუდს გამჭვირვალე „ფანჯარა“ აქვს და პატრონმა სპეციალური, შესაბამისწარწერიანი ქაღალდი უნდა შეაცუროს. ქუდის გამომგონებელი ირწმუნება, რომ ქუდი არა მარტო მათთვისაა სასარგებლო, ვისაც ძილი უნდა, არამედ მათთვისაც, ვისაც მეტროში ფეხზე დგომა უჭირს. ვაგონში გაისეირნებს, ამოირჩევს უახლოეს სადგურში ჩამსვლელ მგზავრს, გააღვიძებს და მის ადგილს თვითონ დაიკავებს.

6. საკოორდინაციო პერანგი — როდესაც ზურგი გეფხანებათ, გიძნელდებათ, ზუსტად მიუთითოთ ის ადგილი, სადაც მოფხანა გსურთ. ამ პერანგზე კი საკოორდინაციო ბადეა დახატული, ისევე, როგორც თამაშში — „საზღვაო ომი“. ახლა შეგიძლია თქვა — „მომფხანე, გეთაყვა, ბ-4-ზე“. სად იყვნენ იაპონელები, როდესაც საქართველოში ბიჭიკიაზე ასეთი ანეკდოტი დადიოდა: ჭიჭიკია ეკითხება ბიჭიკიას: — ბიჭო, რაია, სიმონ, „საროჩკაზე“ ჭადრაკის დაფა რომ გახატია? — ბევრს ნუ ლაპარაკობ და h-5-ზე მომფხანე, ერთი, — უპასუხა ბიჭიკიამ. ახლა კი ქუთაისელი ბიჭიკიას გამოგონება იაპონელებს მიუსაკუთრებიათ.

7. სარკისებური სარკე ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სამაგიეროდ, ძალზე სახალისოა. სინამდვილეში, ის სარკეების სისტემას წარმოადგენს, რომელშიც ისეთი ჩანხართ, როგორსაც გარშემო მყოფები გხედავენ (გვერდიდან, უკნიდან და ყველა სხვა რაკურსიდან).

8. შემდეგი გამოგონება შედარებით პრაქტიკულია. ის პორტატიულ საფეხურს წარმოადგენს და მისთვისაა ზედგამოჭრილი, ვისაც კიბის მაღალ საფეხურებზე ასვლა უჭირს. ეს გახლავთ ხისგან შეკრული დაბალი სკამი, რომელსაც კიბეზე ასვლისას ყოველ მომდევნო საფეხურზე დადგამთ და ასვლას გაგიიოლებთ.

9. კალამი, რომელიც თბება — მას მხოლოდ ნებისმიერ ტემპერატურაზე წერა კი არა, ხელების გათბობაც შეუძლია.

10. იაპონელებს ეკუთვნის გამოგონება, რომელსაც „მტვერსასრუტი — უკულმა“ ჰქვია. ეს საგანი მეზობლებს შორის შუღლის შედეგად წარმოიშვა. იმისათვის, რომ აბეზარი მეზობლისთვის ჭკუა ესწავლებინა, ტოკიოს მკვიდრმა ჩვეულებრივი მტვერსასრუტის მტვრის ტომსიკაში კომპაქტური მოწყობილობა ჩაამონტაჟა, რომელიც მტვერთან ერთად გარეთ გამოიტყორცნებოდა და ფეთქდებოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მას დაემატა წამმზომი და მიზანში ამოღების სისტემა. იდეის ავტორი (რომელიც რამდენჯერმე დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევითვის) დღემდე მიიჩნევს, რომ მისი გამოგონება ლოკალური ომებისთვის მისწრებაა.

ახლა კი უსარგებლო კვლევის შედეგებს გავეცნოთ

1. ქანთრის გავლენა თვითმკვლელობაზე

ამ გამოკვლევის ავტორებმა ქანთრის მუსიკალურ მიმართულებასა და თვითმკვლელობას შორის კავშირი აღმოაჩინეს. მათი ვარაუდით, ქანთრი წინ წამოსწევს ისეთ თემებს, როგორიცაა ოჯახური უთანხმოება, ძალადობა, უმუშევრობა და ალკოჰოლიზმი. სწორედ ამ თემების გავლენით მისი მსმენელი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას იღებს.



2. სიყვარული და სექსი რობოტთან

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წელს მასაჩუსეტსის შტატში რობოტთან ქორწინება კანონით იქნება დაშვებული. „რობოტთან სექსს თავდაპირველად გარყვნილებად მიიჩნევენ, მაგრამ როდესაც სხვადასხვა ჟურნალში მკითხველის წერილებს გამოაქვეყნებენ, სადაც მოთხრობილი იქნება იმის შესახებ — თუ რა მაგარია რობოტთან სექსი, ბევრი ადამიანი წარმოდგენას შეიცვლის. გარეგნობით რობოტები ისე დაემსგავსებიან ადამიანებს, რომ მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელი იქნება. ადამიანებს ისინი შეუყვარდებათ და დაქორწინდებიან კიდეც“, — წერს ამ თემაზე მომუშავე მკვლევარ მეცნიერთა ჯგუფი.

3. ქათმებს ლამაზი ადამიანები მოსწონთ

როდესაც წიწილებს ადამიანების სახეებს უჩვენებდნენ, გაირკვა, რომ მათ ის ქალები მოსწონდათ, რომლებიც ლამაზებად და სექსუალურებად მიიჩნეოდნენ. როგორ გამოხატავდნენ მოწონებას პატარა, ყვითელი არსებები, ეს საიდუმლოებითაა მოცული.

4. ულტრაბგერითი ტალღის გავრცელების სიჩქარე ყველა „ჩედარში“

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თურმე, ყველ „ჩედარში“ ულტრაბგერითი ტალღის გავრცელების სიჩქარე ტემპერატურაზე ყოფილა დამოკიდებული. ყველაზე დიდი სიჩქარით ტალღა 17 გრადუსზე ვრცელდება. მათ ასევე დაადგინეს ყველის დნობის ტემპერატურა. ვაშა!

5. ნესტიანი ქვედა საცვლის გავლენა ადამიანის თბორეგულაციაზე

ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თურმე, ნესტიანი ქვედა საცვლის ტარების შემთხვევაში, ადამიანი ყინვაში გათბობას ვერ მოახერხებს. ამიტომ, თბილ საცვალში ის გაცილებით კომფორტულად იგრძნობს თავს, ვიდრე თხელი ქსოვილით შეკერილ საცვალში. ●

ვგიჟდებიი ისეთ კაცებზე, რომლებიც ჯელს არ აქიცინებენ

„ამ რუბრიკას დასაწყისიდანვე ვადევნებ თვალყურს, მაგრამ მასში მონაწილეობაზე არ მიფიქრია. ახლა, როცა მაგდას პოზიცია ასე თუ ისე გამოიკვეთა, მინდა, ეს ქალი ორივე მამაკაცს „დავაწერო“ და დავისაკუთრო. მაგდა, შენ აუცილებლად ჩემი იქნები და მაგას წყალი არ გაუვა. ვგიჟდები, როცა ქალის გულის დასაპყრობად ვიბრძვი და ღირსეული მეტოქის ჩამოცილება მიწევს. ფრთხილად, „აპასნი“ ვარ და ნიკიც აპასნი მექნება. p.s. გუშინ თამადა ვიყავი, ახლა განგრეულ „პახმელიაზე“ ვარ და სიამოვნებით ჩაგეხუტებოდი“.

— აპასნი, ვფიქრობ, არაფერი გამოგივა. ჯობს, შენი დრო, ენერგია და მესიჯებიც სხვა, მნიშვნელოვან საქმეს მოახმარო. „პახმელიის“ გამო ალბათ,/ თავი გტკივა დილიდან,/ შენა ახლა მჟავე გინდა,/ მე კი ძალზე ტკბილი ვარ./ რა ვქნა, უნდა გაგაწბილო,/ ვერ გისწორებ „დილიხორს“,/ გინდა, „უმნი ვეშჩი“ გითხრა?/ ჩაეხუტე „პივის“ ბოთლს!

ბრძოლა, მშვენიერი მაგდას გულის მოსაპოვებლად, გრძელდება. ერთმანეთს მეტოქეობას 2, ჩემი აზრით, ღირსეული მამაკაცი უწევს — გინეკოლოგი და კაროლი, მაგრამ ამ კვირაში კიდევ ერთი, ახალი თაყვანისმცემელი გამოჩნდა, რომელმაც ორივე კანდიდატს ხელთათმანი ესროლა და მაგდას მესიჯი მოსწერა. სიტუაცია ნელ-ნელა იძაბება და ვნახოთ, ვისი გამარჯვებით დასრულდება. ახლა კი მკითხველთა გამამხნევებელ მესიჯებს გადავხედოთ.

„მარი, შენი „რეალითის“ გმირ მაგდას ქალურ სოლიდარობას ვუცხადებ და ვგულშემატკივრობ. ვურჩევ, გინეკოლოგზე შეაჩეროს არჩევანი. უფრო საინტერესო და ღრმა სულის პატრონი ჩანს. კაროლი კი ფიცხია და თანაც — ეგოისტი. უკვე უმიზეზო შენიშვნებს აძლევს მაგდას და მერე რაღას იზამს? ის საოცრად ლამაზი ლექსი კი მხოლოდ აპლოდისმენტებს იმსახურებდა. P.S. ისე, სიამოვნებით გავხდებოდი რეალურის გმირი. თაყვანისმცემლები მართლა არ მაკლია, მაგრამ ეს, ურთიერთობის რაღაც საოცრად საინტერესო და განსხვავებული ფორმაა. მარ, ჭირვეული ბავშვივით დაგქაჩავ მაისურზე და გაუჩერებლად ვიძახებ — მეც მინდაააა! :) ჩემი პიროვნებით კი სიურპრიზს მოგიწყობ. გკოცნი, ნატალი“.

„მეჩვენება, რომ მაგდა და გინეკოლოგი წვიმის ის ორი წვეთია, ბედის ტირილისას ერთმანეთი რომ დაკარგეს. ახლა მაინც გაუფრთხილდით ერთმანეთს. წინ, გინეკოლოგო! ეკალა-ტირიფი“.

„მაგდა, მინდა თავბრუ დაგახვიო, სიყვარულის ცეცხლში გაგახვიო, ხომ გსურს სიყვარული წრფელი? მაშ გამომიწოდე, ხელი; თუ გსურს, სიყვარული განიცადო, დიდხანს აღარ უნდა დაიცადო. მუკობაზიერი“.

„საოცარი იუმორი გქონია, მისის უცნობო. ჩემი მწერლობის პერსპექტივებზე რა გითხრა, მაგრამ ჩემს გულს უნდა მივუთითო ალბათ, თუ არ შეწუხდებით, შევიწროვდით, ბატონო მთის სიყვარულო, ქალბატონის სიყვარული მობრძანდება-მეთქი. მშვენიერია, არა? შენი არ იყოს, თითქმის მეც მომეწონა. შენი გულის „არქიტექტურაზეც“ მითხარი, რაღაც. არხიტექტორი“.

„აშკარაა, რომ მაგდას სიმპათია გინეკოლოგისკენ იხრება. ამ კაცმა იმით მოიგო მისი გული, რომ საკუთარ თავგადასავალს ასე გულღიად ჰყვება. მეც მომწონს გინეკოლოგი და მინდა, მაგდას ვთხოვო: თუ არჩევანს მის სასარგებლოდ არ გააკეთებს, მე დამითმოს. მარ, ხომ მომცემ გინეკოლოგის ნომერს? მაგარი კაცია. კატო“.

„მაგდა, გინეკოლოგი კარგი ტიპი ჩანს, მაგრამ არც კაროლია, ცუდი. რატომღაც მასში უფრო ვაჟკაცურ თვისებებს ვხედავ — მიმწოლია და პირდაპირი. ვგიჟდები ისეთ კაცებზე, კუდს რომ არ აქიცინებენ და მაგიდაზე მუშტის დარტყმაც შეუძლიათ. მე კაროლის მხარეს ვარ! ლინდა“.

„მაგდა, გპირდები, რომ ასე აღარ მოვიქცევი და დავმშვიდდები. თუმცა, ეჭვიანობას ვერ დამიშლი. გინეკოლოგი მძულს და ვიცი, არც მას ვეხატები გულზე. ნუ დამტანჯე და მაღირსე ამბის დასასრული. კაროლი“.

— ერთი სიტყვით, იმ საღამოს ვატოს შევხვდი. წყნარ კაფეში დავსხედით, მუსიკას მოვუსმინეთ და ერთმანეთის შესახებ უამრავი ინფორმაცია მოვიპოვეთ. ერთმანეთს რასაც ვეუბნებოდით, ის უნდა დაგვეჯერებინა, რადგან სხვა არავინ იყო, ვისგანაც სიმართლეს გავიგებდით. ჩვენი შეხვედრები გაგრძელდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ერთ-ერთი შეხვედრისას მითხრა: — მაგდა, პატარა ბავშვი აღარ ხარ და კარგად ხვდები, ჩვენი შეხვედრები რით დასრულდება. პოდა, თუ ერთ მშვენიერ დღეს გეტყვი, რომ მთელი ღამე ჩემთან უნდა დარჩე, 15 წლის გოგონასავით თვალები არ გააფართოო და არ გაიკვირვოო. — რას გულისხმობ მთელი ღამით დარჩენაში, სექსს მთავაზობ-მეთქი? — კი, სწორად მიხვდიო. — კი, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ჩემს ქალწულობას შენთან ერთი ღამის გამო დავთმობ-მეთქი? — ქალწული ხარო? — ისე გაიკვირვა, ღამის თვალები ბუდიდან ამოუცვივდა. ძალიან განერვიულდა, ბოდიში მომიხადა და მალე დამემშვიდობა. ამის შემდეგ მთელი კვირა არ გამოჩენილა. ძალიან ვნერვიულობდი და ბევრჯერ დავაპირე, დავურეკავ-მეთქი, მაგრამ თავს ვიკავებდი. ერთი კვირის შემდეგ ისევ გამოჩნდა.

კაროლ, ამის მეტს ვერ მოგწერ, რეგლამენტი მაქვს მარისგან დანიშნული. მომავალ შეხვედრამდე. მიხარია, რომ გონს მოეგე და საღად აზროვნება დაიწყე. გკოცნი და გემშვიდობები.

„მარი, ერთი, იმ კაროლის ტელეფონის ნომერი მომეცი და ვაჩვენებ მაგას, ვინ ვის დაჭრის და ახანჯლავს. ასეთი „ხოდები“ არ გვინდა, რა! მეც შემიძლია, დაგემუქრო და ჟურნალის ფურცლებიდან ჩემი ვაჟკაცობა გიმტკიცო, მაგრამ ასეთი საქციელი მართებული არ იქნება. ჩვენ ორივე თანაბარ პირობებში ვართ და მებრძოლე, თუ ბიჭი ხარ. ქალის გულის მონადირებას ჩხუბი და სისხლის ღვრა კი არა, ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ვაღიარებ, რომ ცოტას მეც ვეჭვიანობ, მაგრამ ამის გამო ქვეყანა არ დამიქცევია. მაგდა, დიდი მადლობა, რომ კოცნა ჩემთვისაც გამოიმეტე. თუმცა, ვირტუალურ კოცნას ნაღდი მირჩევნია. ერთი სული მაქვს, როდის ჩაგიგდებ ხელში. რაღაცნაირად, მიგეჩვიე და მენატრები კიდეც.

რაც შეეხება ამბავს, რომელსაც ვყვებოდი, დაგპირდი და მოგიყვები კიდეც. ერთი სიტყვით, იმ ქალის დახმარება მტკიცედ გადავწყვიტე. დავიბარე ძველი თანამშრომლები და ის შემთხვევა გავახსენე. თავიდან უარობდნენ, მერე დავემუქრე, სამსახურიდან დაგითხოვთ, თანაც, პასუხს არავის მოსთხოვენ, რადგან თქვენი ყოფილი მთავარი ექიმი, ვინც დამნაშავეა, ლოგინადაა ჩავრდნილი და დღეებს ითვლის; ჯობია, სიმართლე მითხრათ და იმ საწყალ ქალს დაეხმაროთ-მეთქი. ერთი დღე მივეცი მოსაფიქრებლად და შინ გავუშვი. როგორც ჩანს, მოილაპარაკეს და მეორე დღეს სამივე მომადგა. თურმე, გოგონა იქვე, რამდენიმე სოფლის იქით, ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში მცხოვრები, უშვილო ცოლ-ქმრისთვის მიუშვილებიათ. საწყალი, ღარიბი ოჯახი ყოფილა და ფულიც არ გადაუხდიათ. უბრალოდ, ბავშვს პატრონი მოუძებნეს.

მეორე დღესვე გავემგზავრე მითითებულ სოფელში, სადაც იმ ოჯახის მოძებნა არ გამჭირვებია. აღმოჩნდა, რომ კაცს ტყეში, ხის მორების დამზადების დროს, მოჭრილი ხე დასცემია და ხერხემალში გადამტვრეული, ინვალიდად ქცეულა. ქალს კი ოჯახის რჩენა ძალიან უჭირდა და ამიტომაც, უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. გოგონას ფეხზე ცალ-ცალი ფეხსაცმელი და ათასგან დაკემსილი ტანისამოსი ეცვა. დიასახლისს პირდაპირ ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი. ბოლომდე რომ მომისმინა, მომეჩვენა, გაუხარდა კიდეც, გოგონას დედა რომ გამოუჩნდა.

— ძალიან მიჭირს ბავშვის შენახვა, გული მიკვდება, ასეთ პირობებში რომ იზრდება. ხშირად მიფიქრია, რომ ასეთი მდიდარი მამის შვილი ასეთ გაჭირვებაში რატომ უნდა ცხოვრობდეს-მეთქი. ბავშვს ძალიან შევეჩვიე, საკუთარი შვილივით მიყვარს და სწორედ ამიტომ გავატან დედას, რომ კარგ პირობებში გაიზარდოს და ყველაფერი ჰქონდეს. ოღონდ, ერთი თხოვნა მექნება, ბავშვის ნახვას ნუ დამიშლის, მე თუ ვერ ჩავაკითხავ, თვითონ ჩამომიყვანოს ხოლმე. ზაფხულობით აქ დავასვენებ, გოგონამ იცის, რომ ჩემი შვილი არ არის. ნათქვამი მაქვს, რომ დედამისი ავადაა, მისი მოვლა არ შეუძლია და როცა გამოჯანმრთელდება, მის წასაყვანად აუცილებლად მოვა. ის ყოველდღე ელის დედას. ასე რომ, არ გაუჭირდება იმ ქალთან შეგუება.

ქალს მადლობა გადავუხადე და შევპირდი, რომ ბავშვს არ დაკარგავდა. იქიდან გახარებული წამოვედი და წინასწარ ვტკბებოდი იმის წარმოდგენით, როგორი იქნებოდა დედა-შვილის შეხვედრა.

თითები მეტკინა, კლავიატურაზე ამდენი წკაპუნით. მაგდა, დროებით. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. ძალიან მაინტერესებს, გარეგნულად როგორი ხარ. გკოცნი უამრავს. შენი გინეკოლოგი“.

— ჩემი გინეკოლოგი კი არა, უბრალოდ, გინეკოლოგი ხარ :)) და ძალიან მაგარი ადამიანი. დროებით, სიხარულო, და მეც ერთი სული მაქვს, როდის მოვისმენ ამბის დასასრულს და როდის გნახავ. ვკვდები ინტერესით, როგორი ხარ გარეგნულად. იქნებ, ცოტათი მაინც აღმიწერო შენი გარეგნობა?

მშობლების „ჯიგარა ბიჭები“ და „დიქტატორი“ შვილები



მოგეხსენებათ, „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“. საინტერესოა, არიან თუ არა დღევანდელი ახალგაზრდები მშობლების „გულის ვარდები“? როგორი ურთიერთობა აქვთ მოზარდებს მშობლებთან? ამის შესახებ ჩემი მეგობრები გულახდილად მესაუბრნენ და გამიმხილეს ის, რასაც მშობლებს საგულდაგულოდ უმალავენ. მათი გამოკითხვისას გავარკვიე, თუ რა მაცდურ ხერხს მიმართავენ უფროსები, რათა შვილების საიდუმლოებებს ფარდა ახადონ, რატომ გაურბიან ახალგაზრდები დედ-მამასთან გულახდილ საუბრებს, როგორ ინარჩუნებენ ოჯახში ძალაუფლებას „დიქტატორი“ თინეიჯერები...

ეთო ყორღანაშვილი

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობლებს შვილებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება სურთ, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. 19 წლის **ვიკას** *აზრით, ერთია სურვილი და მეორე — შესაძლებლობა. ის დედასთან მეგობრული ურთიერთობის არსებობის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს:*

— ჩემი მშობლები ერთად აღარ ცხოვრობენ. მამას მხოლოდ ტელეფონით ვეკონტაქტები ხოლმე, რადგან საქართველოში არ იმყოფება. დედასთან, შეიძლება ითქვას, რომ კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მეგობრულს მაინც ვერ ვუწოდებ. დედიკო უზომოდ მიყვარს. „ფისოს“, „ბასასუნას“ და რა ვიცი, რა მოფერებით სახელს არ ვეძახი. მიუხედავად ასეთი თბილი ურთიერთობისა, მასთან ბოლომდე გულახდილი არ ვარ, ჩემს პრობლემებზე არ ვესაუბრები. ჩემს ცხოვრებაში ისეთი რაღაცებიც არსებობს, რაც მშობელმა არ უნდა იცოდეს, რადგან მაინც ვერ გაგიგებს. დედაჩემმა ერთხელ სცადა, რომ დამმეგობრებოდა. მომიალერსა, მომელაქუცა, გულახდილობის ხასიათზე დამაყენა... მოკლედ, ყველაფერი „დამაფქვევინა“ და მერე ისეთ დღეში ჩამაგდო, გახსენებაც არ მინდა! ამის შემდეგ რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი? ქათამი ერთხელ ფუტკარს რომ გადაყლაპავს და ჩიჩახვი გაუსივდება, მეორედ იმავეს არ გააკეთებს. ქათამზე მეტი ჭკუა კი ნამდვილად მაქვს!

— მაინც, რა გაუმხილე დედას, ასეთი რეაქცია რომ ჰქონდა?

— ჩემს შეყვარებულზე ვეჭორავებოდი, მერე პირველი კოცნის ამბავიც მოვუყევი და ამის გამო გადაირია. სხვათა შორის, ძალიან წყნარად, მშვიდად მისმენდა, თანაგრძნობით აღსავსე მზერას არ მაცილებდა. აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, რომ „ვერაგული გეგმა“ ჰქონდა მოფიქრებული? ნამდვილი მაცდურია, ყველაფერი მათქმევინა. ვცოფდები, როცა მახსენდება, როგორ მოვტყუვდი. სამაგიეროდ, ახლა ზუსტად ვიცი — რაც არ უნდა მოხდეს, დედაჩემს არაფრით გავუმხელ, რომ შინ მისი არყოფნის დროს, ჩემი დაქალი და მისი შეყვარებული ჩვენს ბინაში სექსით კავდებიან. ეს რომ გაიგოს, ალბათ, ფანჯრიდან დაუნანებლად გადამაგდებს. ჩემი დაქალის ცხოვრების სტილი მისთვის მიუღებელია და ამის გამო შეიძლება, მეგობარს ჩამომაშოროს, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა ამიკრძალოს... არადა, დასაკარგავი გოგო მართლა არაა, მაგარი ჯიგარი ვინმეა. „პროსტა“, სექსი უყვარს და რა ქნას? თან ეროვნებით რუსია და უფრო თავისუფლად აზროვნებს.

რითი სჯობს მშობლებთან პირისპირ საუბარს წერილობითი ურთიერთობა, ამის შესახებ, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, 17 წლის **ზურა** *მესაუბრა:*

— მშობლებთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ზოგჯერ ნერვებს მიშლიან, უცნაური „ნიკები“ აქვთ. ეს იმის ბრალია, რომ დედაც და მამაც ჰოროსკოპით ტყუპი არიან და ხასიათი ხშირად ეცვლებათ. შვილებს ხან ძალიან მეგობრულად გვექცევიან, ხან კი ზედმეტად ხმის ამოღების საშუალებას არ გვაძლევენ. რასაც იტყვიან, კანონია! განსაკუთრებით, ჩემს დაიკოს, მაკუნას ავიწროებენ — მას მამაჩემი შარვლის ჩაცმას უკრძალავდა. წარმოიდგინე, XXI საუკუნე და ასეთი აკრძალვა?! თუ რამეა, ისევ დედა „გვიჯიგრებს“ ხოლმე, მაგრამ ხშირად ვერც ის გვიგებს. ამას წინათ, ერთი ჩემი კლასელი გოგონა გათხოვდა და ქორწილში ვამპატიჟა. ის გოგონა იეღოველია. დედამ და მამამ თავი გამოიდეს, იეღოველების ქორწილში ვერაფრით გაგიშვებთო! არადა, რომ არ წავსულიყავი, მაგრად „ტეხავდა“. როგორც კი წასვლასთან დაკავშირებით სიტყვას ჩამოვაგდებდი, მაშინვე ხმას უწევდნენ: — ხომ გითხარით, ფეხს ვერსად გადადგამ! მაკუნას რჩევით, ჩემი სათხოვარი თაბახის ფურცელზე დავწერე და გვიან ღამით, სამზარეულოში — დენის ჩამრთველთან ახლოს მივაკარი. როგორც ჩანს, დილით ჩემი ხვეწნა-მუდარით აღსავსე წერილი წაიკითხეს და მაგრადაც იხალისეს. ამან გაჭრა და ქორწილში წასვლის უფლება მომცეს.

— ესე იგი, წერის ნიჭი უფრო გქონია, ვიდრე ზეპირმეტყველების...

— არა, ასე თუ ვიმსჯელებთ, დიდად არც წერის ნიჭი მაქვს და მით უმეტეს — არც ზეპირმეტყველების: ლაპარაკით მშობლებს გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინე, წერილის ტექსტს კი ჩემი და მიკარნახებდა.. (*იცინის*). ზოგჯერ დედ-მამის საქციელი მაოცებს: ამდენი დავიდარაბა რა საჭირო იყო, ქორწილში ბოლოს ხომ მაინც გამიშვეს? ეჰ, ჩემს მშობლებს რთული ხასიათი აქვთ, რას ვიზამ? მაგრამ მაინც საყვარლები

არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისე გვეპყრობიან, თითქოს თვითონაც ჩვენი ასაკისანი არიან. სამწუხაროდ, ასე ხშირად არ იქცევიან.

ნონა, *20 წლის, სტუდენტი:*

— მშობლებთან ხშირად ვკამათობ. ძირითადად, მათი აკრძალვები მაღიზიანებს. დედაც და მამაც სიგარეტს ეწევიან, მე კი ამის უფლებას არ მაძლევენ. მიუხედავად ამისა, მაინც ვეწევი და ამას საგულდაგულოდ ვმალავ. ერთი-ორჯერ კინაღამ „გამომიჭირეს", მაგრამ თავი გამოვიდე: — იმას რატომ მაბრალებთ, რაც არ ჩამიდენია-მეთქი? იქით გადავედი შეტევაზე და ბრალი „შვილისთვის ცილისწამებაში" დავდე. თავდასხმა თავდაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა. რომ დავბნეულიყავი ან „დანაშაული" დაემტკიცებინათ, კარგად „გამძუყნიდნენ". განა არ ვიცი, რომ მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნეა და მშობლები ჩემზე ზრუნავენ? ვიცი, მაგრამ ვბრაზობ — რატომ მიკრძალავენ იმას, რასაც თვითონვე აკეთებენ? მეც მაქვს არჩევანის უფლება და ისე ვიცხოვრებ, როგორც მინდა. ბოლოს და ბოლოს, სრულწლოვანი ვარ.

ანო, *19 წლის, სტუდენტი:*

— მშობლები ყოველთვის მართლები არ არიან, ხანდახან ჩვენც უნდა მოგვისმინონ და ჩვენი აზრიც გაითვალისწინონ. შეცდომებისგან დაზღვეული არც მშობელია და არც — შვილი. ასე, ორი კვირის წინ, სახლში მაგრად ვიჩხუბე: მეგობრებმა ვიქეიფეთ და შინ გვიან დავბრუნდი, თან — მთვრალი. დედ-მამა ძალიან გამიბრაზდა. ვეღარ მოვითმინე და ავყვირდი: — შვილის გაზრდა არ იცით და რა პრეტენზიები გაქვთ-მეთქი?! ამის გამო დედაჩემი თმაში მწვდა, მამა სად მწვდა, აღარ მახსოვს.

— ასე რატომ უთხარი, მართლა ასე ფიქრობ?

— არა, რა სისულელეა. ასე ცხელ გულზე და ნასვამ მდგომარეობაში ვთქვი, თორემ დედასაც და მამასაც დიდ პატივს ვცემ, მაგათ შემოვევლე. შვილის გაზრდა არ იცით-მეთქი, მამის მისამართით ვთქვი, უფრო სწორად, წამომცდა. საქმე ისაა, რომ მამაჩემის დაუდევრობის წყალობით, შორეულ ბავშვობაში, წიგნების თაროზე „პლეიბოის" ანეკდოტების კრებულს მივაგენი. 7 წლის ლაწირკმა უხამსი ხუმრობები სულმოუთქმელად წავიკითხე და იმ დღიდან მოყოლებული, გაოცებისაგან ვეღარ განვიკურნე. მართალია, წაკითხულიდან ბევრი ვერაფერი გავიგე (მაგალითად, სექსი სქესი მეგონა, გაუპატიურება — დაპატიმრება და ა.შ.), მაგრამ უკვე ველარავინ „დამაგოიმებდა", ბავშვებს კომბოსტოში პოულობენო. ეს, ჩემთვის ახალი, ამბავი ძალიან განვიცადე: დედაც შემზიზღდა, მამაც, ბებოც, მეზობელიც... ეს გრძნობა ახლაც მეუფლება ხოლმე, ზოგჯერ მთელი სამყარო მძულს და პროტესტის გრძნობა მიჩნდება. ალბათ, ამიტომაა, რომ ვერც ერთ ბიჭთან ვერ ვაწყობდი ურთიერთობას... ოჯახში ნამდვილი „დიქტატორი" ვარ, სახლში ჩემი დროშა ფრიალებს. მშობლებს ვეხუმრები ხოლმე, ჩემი გაძლებისთვის ძეგლი უნდა დაგიდგან-მეთქი. ცდილობენ, არ გამანერვიულონ. ჩემი უამრავი მინუსის მიუხედავად, მაინც კარგ შვილად მიმიჩნევენ. შეიძლება იმიტომ, რომ უნივერსიტეტში კარგად ვსწავლობ და ამით ჩემს უსაქციელობას ვაბალანსებ. ჯერ-ჯერობით, მიძლებენ.

ნანი *41 წლის, დიასახლისი:*

— შვილებთან ურთიერთობისას მათი ტოლი ვხდები. ვცდილობ, ყველანაირად მხარში ამოვუდგე და პრობლემების გადალახვაში დავეხმარო, მაგრამ ჩემი გარჯა ამაოა. შვილებისგან მხოლოდ საყვედურებს ვისმენ... ღმერთს ვთხოვ, იმდენ ხანს მაცოცხლოს, რომ შვილიშვილებს მოვესწრო. მინდა, ვნახო, თუ როგორი ურთიერთობა ექნებათ ჩემს ქალიშვილებს საკუთარ შვილებთან. ვგრძნობ, ჩემთან ბოლომდე „გახსნილები" არ არიან, რაღაც-რაღაცებს მიმალავენ...

ქ-ნი ნანის ქალიშვილმა, 17 წლის **ნატო,** *ვეღარ მოითმინა და საუბარში ჩაგვერთო:*

— დედიკო, მაგას რატომ ამბობ? ტელეფონით რომ ბიჭი გავიცანი და შევხვდი, ხომ გითხარი? არაფერსაც არ გიმალავ!

მოგვიანებით, ნატო მშობლებისა და შვილების ურთიერთობის თემაზე ცალკე მესაუბრა:

— მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტის უმთავრესი მიზეზი მატერიალური მდგომარეობა მგონია. სანამ იმის საშუალება არ მექნება, რომ შვილს მატერიალური კეთილდღეობა შევუქმნა, ბავშვს არ გავაჩენ. პატარებმა „ფული არ მაქვს" არ იციან, რას ნიშნავს. მშობელი მისთვის სათამაშოს ყიდვას რომ ვერ ახერხებს, „იგრუზებიან", პატარა გულები სევდით ევსებათ... ასაკის მატებასთან ერთად მათი მოთხოვნებიც იზრდება და სურვილს რომ ვერ ისრულებენ, საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან, მძიმე ხასიათი უყალიბდებათ. ჩემს შვილს ან ყველაფერი ექნება, ან საერთოდ ვერ იხილავს დღის სინათლეს. ●

მოკლე ჩართვა

როგორია იდეალური მამაკაცი?

• როგორია იდეალური მამაკაცი? გრაფი თარხანის მსგავსი! კამელია.

• იდეალური მამაკაცი არის მამაცი, ჭკვიანი, ნიჭიერი და მარისთვის მოსაწონი, ანუ — მე. თოხიც.

• იდეალური მამაკაცი უნდა იყოს ბლუ, ბოთე, გონებაჩლუნგი, კუპრივით შავი, მახინჯი. ეჰ, მე უბედურს, ყამ-კარი მაქვს არეული და ეს ყველაფერი სიყვარულის ბრალია. გრუზინკა.

• ნამდვილ მამაკაცს გრძელი თმა უნდა ჰქონდეს მელირებით, მოტკეცილი, ჭრელი შარვალი უნდა ეცვას და საყურე ეკეთოს. სამწუხაროდ, ასეთი „ვაჟკაცები" ბევრნი არიან.

• იდეალური მამაკაცი ორიგინალური ბუნების, სიმპათიური, მდიდარი, ერთგული და ყურადღებიანია. ეგოისტკა.

• იდეალური მამაკაცი არ სვამს, არ ეწევა, არ იგინება, არ ჩხუბობს და... ბუნებაში არ არსებობს. სადღაც ხომ მაინც იქნება? ეკალა-ტირიფი.

>>>24

ავადმყოფობის ისტორია კურიოზების, ექიმების და სამთავრობო დაცვის თანხლებით

მარი ჯაფარიძე

მოკლედ, წინა კვირას, მე, ქალაქის სიამაყე და დედის იმედი, ავად გავხდი და ლამის წერილი (თუ მესიჯი) წავიღე ჩემს გმირ წინაპრებთან. ძალიან რომ არ ინერვიულოთ (თანაც, საქმეს ასე სჭირდება), დიაგნოზს წინასწარ გეტყვით — ნერვის ანთება. მარცხენა ბეჭი, მხარი და მკლავი ერთიანად გაშეშებული მქონდა და საშინელი ტკივილი მტანჯავდა. ტკივილმა პირველად, სამშაბათს შემომიტია. ეს დღე კი რედაქციაში ყველაზე მძიმე და დაძაბულია და შინ წასვლის შანსი არ მქონდა. მთავარ რედაქტორს შევეცოდე, თავისი მოადგილე, ლალი ფაცია მაახლა და პოლიკლინიკაში ძალისძალად გამიშვა. ვინაიდან დიაგნოზი წინასწარ ვივარაუდე, პირდაპირ ნევროპათოლოგს მივაკითხე.

— დაბრძანდით, — კეთილად გამიღიმა შუახნის, სასიამოვნო ქალბატონმა.

— ვერ ვჯდები, — დავიმანჭე მე.

— გვარი? — მოიმარჯვა საწერ-კალამი და ანკეტის შევსებას შეუდგა.

— ჯაფარიძე, — ლალი დამეხმარა, რადგან შემატყო, რომ პასუხის გაცემის თავი არ მქონდა.

— სვანი ხარ? — ისევ მომიბრუნდა ექიმი.

— დიახ, სვანი ვარ, სვანებს არ მკურნალობთ? — შემეშინდა.

— როგორ არა, უამრავი სვანი მეგობარი მყავს, — ისევ კეთილად გაიღიმა ექიმმა და მართლაც, უამრავი საერთო ნაცნობის სახელი ჩამომითვალა და ყველა თბილად მოიკითხა.

ტკივილისგან გატანჯული, ოთახში ბოლთას ვცემდი, მტკივანი ხელი თავზე მქონდა შემოდებული (ასე ცოტა შვებას ვგრძნობდი) და თავაზიანად ვპასუხობდი, რომ ანზორი კარგადაა, მისმა უფროსმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა და უკვე 2 შვილი ჰყავს; საწყალი რობერტი გარდაიცვალა; მირიანი დაჭერილია და როდის გამოვა, არავინ იცის; მესტიაში აეროპორტი გაარემონტეს, თვითმფრინავიც დანიშნეს და ახლა 45 წუთში შეიძლება სვანეთში ჩასვლა და ა.შ.

როგორც იქნა, „დადგა დრო, სანეტარო“ და ექიმმა ჩემი გასინჯვა გადაწყვიტა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მირახუნა და მირახუნა თავისი ჩაქუჩი და — კარგი რეფლექსი გაქვსო, მითხრა. აგაშენა ღმერთმა, მთლად განწირული არ ვყოფილვარ-მეთქი, გავიფიქრე.

— ახლა მითხარი, როგორ და სად გტკივა, — დასვა მთავარი შეკითხვა.

— ა, აქედან რომ მეწყება ტკივილი, — ხელი ბეჭზე დავიდე — მერე ასე მოდის და საშინლად ვიტანჯები, — ხელი მკლავს გავაყოლე და ვცადე, თავი შემეცოდებინა.

— ახლა კარდიოლოგთან წადი, კარდიოგრამა გადაიღე და აი, ეს წამალი მიიღე, — რეცეპტი გამომიწოდა.

— ქვითარი გამოგვიწერეთ, ვიზიტის ფული რომ გადავიხადოთ, — შეახსენა ლალიმ.

— სვანებს ფულს არ ვახდევინებთ, — უპასუხა ჩემი ცოდვით სავსე ექიმმა. ჩემი ცოდვით სავსე კი იმიტომაა, რომ მოგვიანებით, ლალიმ მთელ რედაქციას მოსდო, თურმე სვანებს ფულს არ ახდევინებენო და ჩემს კოლეგებს კიდევ ერთი სახუმარო თემა მიეცათ.

კარდიოლოგმა შესანიშნავი დიაგნოზი დამისვა — კოსმონავტის გული გაქვს და ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშიაო. როგორც იქნა, იქიდან წამოვედი და აფთიაქს მივაკითხე, რომ გამოწერილი წამალი მეყიდა. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში მის ანოტაციას გავეცანი. „ხსნის ნერვულ სტრესსა და აღგზნებადობას, ამშვიდებს ნერვებს“, — იუწყებოდა მედიკამენტის გამომშვები და ამაოდ ვეძებდი შვების მომგვრელ ფრაზას — აყუჩებს ტკივილს. რას ვიზამდი? ექიმის დანიშნული წამალი უნდა მიმეღო. ჰოდა, მართალია, ტკივილი არ გამიყუჩა, მაგრამ სამაგიეროდ, მშვიდად და აუღელვებლად ვიტანდი მტანჯველ შეგრძნებას.

ის ღამე თეთრად გავათენე და დილით სხვა ექიმს მივაკითხე.

— მიშველეთ, ექიმო, თორემ გავგიჟდები, — ვედრებითა და ცრემლით სავსე თვალებით შევყურებდი მხსნელს.

— სად მუშაობთ? — მივხვდი, მორიგი დაკითხვისთვის უნდა გამეძლო. ვუპასუხე, სადაც ვმუშაობ.

— უჰ, ვეღარ იმუშავებ, მეც თქვენი მკითხველი ვარ, ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი, მაგრამ ერთი კვირა ყველანი გავძლებთ, „გზის“ გარეშე. ახლა დანიშნულებას მოგცემთ, 1 კვირა იმკურნალებთ, მომავალ კვირაში კარგად იქნებით და „გზაც“ ისევ გამოვა.

მივხვდი, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა, დანიშნულება გამოვართვი და შინ იმ იმედით წამოვედი, იქნებ ტკივილი ცოტა მაინც გამყუჩებოდა. შედეგი არც მეორე ექიმის მიერ დანიშნულმა მედიკამენტებმა მომცა.

ისე მოხდა, რომ იმ ღამით შინ მარტო დავრჩი. საშინელი ტკივილით გატანჯულმა, შუაღამისას „სასწრაფო“ გამოვიძახე, იქნებ ტკივილგამაყუჩებელი მაინც გამიკეთონ და ცოტას დავისვენებ-მეთქი.

— საშინელი ტკივილი მტანჯავს, ბრიგადა გააფრთხილეთ, რომ ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი იქონიონ, ისე არ მოვიდნენ, — შევეხვეწე ოპერატორ გოგონას.

რაც მართალია, მართალია, „სასწრაფო დახმარების“ მანქანა ძალიან მალე მოვიდა (IV ქვესადგურის 412-ე ბრიგადა ყოფილა).

— ავადმყოფი სად არის? — მკითხა ექიმმა ქალბატონმა, კარი რომ გავუღე.

— ავადმყოფი მე ვარ.

— ოჰ, ძაან კი ჰგავხარ ავადმყოფს, ხომ იცი, — დამცინავად ამხედ-დამხედა და უხეშად მიპასუხა ქალბატონმა ეკატერინემ.

გაგრძელება იხ. გვ. 24

სიფიცხე

ძაღლებზე მონადირე და ბრძოლა „ჩანგლური“ ანუ „შემსსენი, თუ ძმა ხარ“...

თემასთან დაკავშირებით, მკითხველმა ლექსი გამომიგზავნა. კი ვიცოდი, რომ ცოლ-ქმრის ურთიერთობა მთლად იავარდით არ იყო მოფენილი და ქალსა და მამაკაცს შორის მუდმივი, ჩუმი და ფარული ბრძოლა მიმდინარეობს, ოჯახში ადგილის დასამკვიდრებლად, მაგრამ ასე ხელჩართული „ჩანგლური“ თუ მიღებული იყო, არ მეგონა. აგერ ლექსი, წაიკითხეთ, იქნებ ბედნიერებაზე წარმოდგენა შეგეცვალოთ: „ფიცხი კაცი მყავს, ქალებო, შთამომავალი სვანისა, ჩანგალი მკლავში გამირჭო, ძალა ჰქონდა მას ხარისა. საკაშვილის არ იყოს, ვეღარ მივართვი, ლანგრითო, მეც კარგი ფიცხი გამოვდექ, ვატარე ლურჯი თვალითო. არწივის ბრჭყალი მოვირგე და დავუკაწრე ბეჭიო, ახლა იარებს იშუშებს და ტირის, ვაი, ნეკნიო. მარი, დაბეჭდე, დაბეჭდე, არ გამაფიცხო ქალიო, თორემ სვანების მემკვიდრეს, კვლავ ჰქვია ჩემი ქმარიო. დასრულდა ჩემი ამბავი, მერე ვიცინე ბევრიო, ასეთი კაცის გვერდით ხომ ვდგავარ მე, ფიცხი ქალიო. ჩემი სვანი ქმრის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია. მარი“. — აი, ასე მხიარულად ცხოვრობენ სვანი და მისი ცოლი. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

მარი ჯაფარიძე

„მიჩმორებულები“

„ცნობილია, რომ ალკოჰოლი ხშირად იწვევს უმიზეზო სიფიცხეს. ჩემმა მეგობრებმაც, მისი მორიგი დიდი დოზით მიღების შემდეგ გადაწყვიტეს, ვიღაც უცნობები „მიეჩმორებინათ“ და რადგან ვერ მოახერხეს, ძალიან გაფიცხდნენ. დაიწყო ისეთი საშინელი ჩხუბი, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც ერთ-ერთ ჩემს მეგობარს მოწინააღმდეგემ დანა რამდენჯერმე დაარტყა და ამფსონებთან ერთად მიიმალა. მარცხენა თირკმელ და დუნდულადაჩხვლეტილი ჩემი ჩხუბისთავი ძმაკაცი კი საავადმყოფოში მოხვდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ბედოვლათმა პატრულმა, დამნაშავეები ვერ იპოვა და ძალიან გაბრაზდა. ჰოდა, ჯავრი დაზარალებულის მეგობრებზე იყარა და განყოფილებაში მიაბრძანა, ხულიგნობისა და დებოშის ატეხის ბრალდებით. მოკლედ, ეს

იყო „სიფიცხის ღამე“, რომლის შემდეგაც, იმედია, ჩემი გიჟი მეგობრები ჭკუას ისწავლიან. მის ანაკონდა“.

ყურით არგასაგონი კომპლიმენტი

„ეს თემა „კაკრაზ“, ჩემზეა. ვაღიარებ, მართლა ფიცხი ადამიანი ვარ. ენა მაქვს? უუუჰ, ნუღარ იკითხავთ! მეუბნებიან, რომ გათხოვდები, დედამთილი კინწისკვრით გამოგაგდებს სახლიდანო, მაგრამ ისეთი ენა მაქვს, მაგას თვითონ მოვწამლავ. ერთ დღეს, ჩემს სიფიცხეს ემსხვერპლა ჩემი დაქალის ახალი შეყვარებული, რომელიც მანამდე თვალითაც არ მენახა. ვზივარ „მარშრუტკაში“ და დაქალის „ლოვეც“ გაიჩითაააა... დაჯდა ჩემ წინ და არ დამიწყო გაპრანჭვა? თვალსაც კი მიკრავდა და ისე ინაზებოდა, „გალუბოი“ გეგონებოდა. ჯანდაბას-მეთქი, გავიფიქრე და ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ რომ ჩავდიოდი, ისეთი კომპლიმენტი მითხრა (ვერ ვიტყვი, ამას პატარა ბავშვებიც წაიკითხავენ), რომ მივუტრიალდი და ისეთი ვთხლიშე სახეში, ხუთივე თითი დაეტყო. გამოვლანძღე, მაგრამ რა გამოვლანძღე?! მერე „მარშრუტკის“ მგზავრი მოხუცი ქალები დაერივნენ და წავიდა წყევლა. საწყალი ბიჭი გაშრა, გაშავდა, გათეთრდა... ამ ამბიდან რამდენიმე დღეში, თურმე ჩემი დაქალი და ის ბიჭი ქუჩაში მისეირნობდნენ. ბიჭს დავუნახავვარ და უთქვამს — აუ, ეგერ გოგო რომ მიდის, მტრისას, ისეთი ქაჯია, ისეთი ენა აქვს, კაცს მოკლავს, ნაღდი ველური კატაა და კიდევ კარგი, მაგას არ ჰგავხარო. ჩემს დაქალს თურმე შერცხვა, მაგრამ ჩემი ლანძღვა არ შეარჩინა და სახეში ხია. ახლა კი გავიცანი ის ბიჭი, მაგრამ ვატყობ, ჩემგან თავს შორს იჭერს. აი, ამის შემდეგ შემარქვეს ველური კატა. P.S. სხვათა შორის, ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ. ველური კატა“.

თუშური სიფიცხე

„ერთხელ, თუშებში ვიყავი დაბადების დღეზე. ჰოდა, რომ დავთვერით, ყველა ამღერდა, მარტო მე ვიყავი ჩუმად. — ე, ბიჭო, მიდი, შენც იმღერეო. ჰოოდა, მეც შემოვძახე ომახიანად: რა ლამაზია თუშეთი, თუ ქალი გიზის ბუჩქებში, მოჰხვევ ხელს, „ჩაეზასები“, პომადაწასმულ ტუჩებში. იქ გამოვლინდა თუშების სიფიცხე, მაგრამ გაძუყვნას გადავრჩი. მას მერე მივხვდი, რომ დენთან, წყალთან, ცეცხლთან და აშხფოთებულ თუშთან ხუმრობა არ შეიძლება. აბა, სხვა რა გითხრათ? ჰოო, ამ მთავრობის ხელში ლენინივით ვარ. როგორ? არც მაჭმევენ, არც მასმევენ და არც მმარხავენ. 9717“.

„არგო წამალმა“

„ეს თემა ჩემთან პირდაპირ კავშირშია. ვისაც ჩემი სიფიცხის ამბავი ყურმოკვრით მაინც გაუგია, იცის, ვიდრე გამაბრაზებს, ჯერ უსაფრთხო მანძილზე უნდა დადგეს. ამ ქართლელ ქალს, საიდან ასეთი გურული სიფიცხე, თავადაც არ ვიცი. სამსახურში ხუმრობენ: მაგას მარცხენა წარბი რომ მაღლა წაუვა, კარი უნდა მოძებნო, თორემ ვეღარ გაასწრებო. ერთხელ, ჯგუფელებთან ერთად, კაფეში ვმხიარულობდი. ერთ-ერთი წამეთავხედა. შენიშვნა მივეცი, მაგრამ წამიყრუა. გავუმეორე, მაგრამ ისევ იმავე „დუხით“ გააგრძელა. უეცრად, მაგიდაზე მდგარ, სიგარეტის ნამწვებითა და მზესუმზირის ნარჩევებით სავსე საფერფლეს დავავლე ხელი და შევაყარე. მთელი კაფე, პერსონალ-კლიენტიანად, პირდაღებული მომაჩერდა, მე კი ყავის სმა მშვიდად განვაგრძე. — ეს რა ქენიო?! — გაცოფდა „დაზარალებული“. — არაფერი, მესამედ გაფრთხილება საჭიროდ არ ჩავთვალე-მეთქი. მოგვიანებით, თავად შემირიგდა. სიმართლე რომ ვთქვა, მეც ვინანე ჩემი საქციელი. P.S. ამ ამბის შემდეგ, მაგრად დავმეგობრდით (არგო წამალმა). ისე, წარწერა ხომ არ გავიკეთო — „ფეთქებადსაშიშია“! :)ფინტიკოზა“.

ფიცხების გარემოცვაში

„სიფიცხეო? სიფიცხე გამოავლინა ბებომ, როდესაც ყავაში არაყი ჩავუსხი და მარწყვზე პილპილი დავუყარე. სიფიცხე გამოავლინა პაპამ, როდესაც გასარეცხი წინდები ღამე ცხვირთან დავუკიდე. სიფიცხე გამოავლინა ქორწილში ნეფე-დედოფალმა, როდესაც ვუთხარი, მრავალს დაესწარით-მეთქი. სიფიცხე გამოავლინა ჩემმა ლექტორმა, როდესაც სიგარეტში ასაფეთქებელი ჩავუდე. სიფიცხე გამოავლინა ჩემმა მასწ-მა, რომელსაც სილის გარტყმაზე აპერკოტით ვუპასუხე. სიფიცხე გამოავლინა პატრულმა, რომელსაც არ ვიცნობდი და ვუთხარი: ავთო, როგორ ხარ, თქვენები რას შვრებიან-მეთქი? სიფიცხე გამოავლინეს თელავში გოგონებმა, რომლებსაც ვკითხე, საათი ხომ არ გაქვთ-მეთქი? — და რომ მიპასუხეს — კიო, დიდი ამბავი, მეც მაქვს-მეთქი. აპაა! 9717“.

მცველი

„უსამართლობას ვერ ვიტან და დაჩაგრულ მხარეს ყოველთვის ვიცავ. მოგვიანებით შეიძლება ვინანო კიდეც, ჩემი გულფიცხობა. ერთხელ, ჩემი ოპერატორი დავიცავი და შედეგად — ტელევიზია დავტოვე. არც ვნანობ, იქ დიდხანს მაინც არ ვყოფილვარ. ჩემი განრისხება მეტად ხანმოკლეა, წუთის შემდეგ განრისხების მიზეზი აღარც მახსოვს ხოლმე და „რისხვის ობიექტს“ გულღიად ვუღიმი. სამაგიეროდ, ღვარძლიანი არ ვარ, ბოღმას გულში არ ვატარებ და ყოველთვის მიკვირს იმ ხალხის, ვინც წყენის გულში

გამორჩენა

„ერთხელ მეზობლის დედა წაიყვანეს რენტგენის გადასაღებად, მამაჩემმა და მისმა შვილმა. ჰოდა, მამა რომ მიეშველა ავადმყოფს მაგიდაზე დაწოლაში, თავისი ცერა თითიც შეუცურებია რენტგენის ზონაში (თითი ბოლო დროს აწუხებდა ხოლმე). სურათი რომ დაუმზადებიათ, ეჭმი გაოცებულა, — ეს რაღაააო? მამას უკითხავს, — თითზე როგორი მდგომარეობაა? მე ეგ მაინტერესებსო. გამორჩენაც ამას ჰქვია. ელისო“.



ჩადება იცის. მის რაგბი“.

ყველაფერზე, თემის გარდა

უტილო და ფულიანი თათარი

„სულ რომ მატნელებზე და სვანებზე არ ვწერო სასაცილო ამბები, ახლა დედაჩემზე, ნაღდ ყარაჯალელ თათარზე დავწერ. მაგარი წუწუნა და შარიანი ქალია, ვერაფრით ასიამოვნებ, სულ მუშტებზე იყურება. ისეთი ყოჩაღია, რძლების კოლექციას აგროვებს. სხვა თემაა მათი გაგდების პროცესი. ამ დროს ავეჯის, ჭურჭლის და ლოგინების ბზრიალით გადმოყრას ვერავის დაანებებს. აი, მე ხომ მისი გოგო ვარ. მეტი არ უნდა, რასაც მეტყვის, ის არ გავაკეთო და თანაც ისე ზედმიწევნით, როგორც მეტყვის — მთელი დღე მშიერს მამყოფებს. ერთი მხრივ, კარგია, რადგან დიეტაზე ყოფნა ჩემთვის აუცილებელია. მეორე მხრივ, კვირაში 3-4 დღე შიმშილი, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩემს ჯანმრთელობას. ყველაზე მეტად კი ფულზე წუწუნი უყვარს. როცა ვინმე ფულის სასესხებლად მოდის, ეუბნება — ფული არ მაქვს, არსად ვმუშაობ, ჩემი ქმარი ძლივს მარჩენსო. კარგი რა, დედა! როგორც თათარს თავში — ტილი (კი არ ჰყავს, მაგრამ გამოთქმაა ასეთი), ისე შენს ქისას ფული არ გამოელევა. P.S. იმედია, ის მატნელი ახლა მაინც გაიხსნის კოპებით დამშვენებულ შუბლს. გრუზინკა“.

„შემხსენი, თუ ძმა ხარ“...

„გაქანებული გამოცდებია... ქართულის გამოცდაზე გამოაცხადეს, მობილურები, კალმები, „ნასკები“ და საათები — გარეთო. ეს უკანასკნელი ბოლოს გამოაცხადეს. ამას მოჰყვა: „უიმე, ვის გადავაწოდო?!“; „დედაააა“! „შემხსენი, თუ ძმა ხარ!“; „უი, თქვენ იბარებთ?“ ეს ბოლო ფრაზა ექოსავით მეორდებოდა, რადგან ერთი რიგითი მომლოდინე დაასაქმეს, ოცამდე საათი დაუგროვდა და მერე პოლიციელი გაურიგდა, რომ გაყიდი, იცოდე, ნახევარი ჩემიაო. ის კი თავბედს იწყევლიდა, ეს როგორ მომივიდაო? ეშტონი“.

ლოკოკინების თავდასხმა

„ჩამოვედი კუნძულ ეგინიდან და მოვიცალე, რომ მესიჯი გამოვუშვა. ერთი კურიოზი მინდა მოგიყვეთ, რომელიც ჩემი ქალბატონის წყალობით გადაგვხდა თავს. მის მეუღლეს ძალიან უყვარს ლოკოკინების ჭამა. ჰოდა, ცოლმა გადაწყვიტა, მოვუმზადებ და ვასიამოვნებო. დაახლოებით 500 ლოკოკინა იკლაკნებოდა ქვაბში. დაასხა სპეციალური სითხე, რომ დახოცილიყვნენ და რამდენიმე საათის შემდეგ მოემზადებინა. საღამო ხანი იყო. მე ბავშვები სასეირნოდ მყავდა წაყვანილი და სახლში ვბრუნდებოდით. მივუახლოვდით სახლს და მესმის საშინელი კივილი. არიქა, ვიღაც წავიდა მარილზე-მეთქი, — ვიფიქრე, შევარდი სახლში, შევედი სამზარეულოში და.... „აააა!“ — კივის ჩემი ქალბატონი, ვკივი მეც. ეს ერთი „კასრული“ ლოკოკინები ამომძვრალან და ყველა მათგანი კედლებზე დახოხავდა. თურმე დავიწყებია ქვაბისთვის თავის დახურვა, ჰოდა, ეს მისი თეთრი, ლამაზი სამზარეულო სულ ლოკოკინებმა დაიკავეს და გააშავეს. ასე ასიამოვნა ცოლმა ქმარს, მთელი ღამე ლოკოკინებს იჭერდა“.

თავდაუბანელი

„ჩემი ღრმა ფილოსოფიური აზრები უნდა გაგიზიაროთ. მრავალი წელია, ცოცხალი არსებების უნარ-ჩვევებს ვაკვირდები, განსაკუთრებით — ადამიანის შესაძლებლობებს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანი თავისი შესაძლებლობების 18%-ზე მეტს ვერ ამჟღავნებს. ჩემი დაკვირვების შედეგად კი ზოგის შესაძლებლობათა პროცენტი 2-ს არ აღემატება. მაგალითისთვის, ჩემი კურსელის, სოფიოს შესახებ გეტყვით ორიოდე სიტყვით. კურსმა გადავწყვიტეთ, ვალენტინობის დღე აღგვნიშნა და ფულის აკრება დავიწყე. სოფიოსაც ვუთხარი, საღამოს ვშარაფობთ-მეთქი და მითხრა — მე

არ მინდა წამოსვლაო. თავიდან ვიფიქრე, ალბათ „ლოვემ“ დაპატიჟა სადმე და „იასნია“, არ წამოვა-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად! თურმე უფრო „სერიოზული“ მიზეზი ჰქონია. დამიმარტოხელა და მითხრა — წამოსვლა კი მინდა, მაგრამ თავი მაქვს დასაბანი და ამიტომ ვერ მოვდივარო. ჯერ გაღიმებული ვუყურებდი, მერე, ასე ვთქვათ, აზრზე მოვედი და ვუთხარი — დაიბანე, საღამომდე მოასწრებ-მეთქი. ახლა უფრო საინტერესო პასუხი გამცა — აბანო გვაქვს გაფუჭებული და მარტო კვირაობით ვბანაობო. ეს ამბავი მეორე დღეს მთელმა კურსმა იცოდა. სოფიოსგან კი „საუკუნის დეგენერატის“ წოდება ავიკარი. კახელო-616“.

მოუხვიე!

„ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია, იცით, როდინდელი? მაშინ ჯერ კიდევ ბიჭები „ვკერავდით“ გოგონებს. საგარეჯოელი ცოლ-ქმარი წავიდა თბილისში, „მოსკვიჩით“. ჰოდა, ამ მანქანას „რული“ მოტყდა. ქმარი უმალავდა ცოლს, არ „აშხფოთდეს“, იქნებ როგორმე გავაჩეროო, მაგრამ ვერ გააჩერა. ცოლი უყვირის — მარჯვნივ მოუხვიეო. რამდენჯერმე რომ გაუმეორა, ამ კაცმა მოტეხილი „რული“ მიაწოდა და უთხრა — აჰა, შეჩემა „რული“ და გინდ მარჯვნივ აიღე, გინდ — მარცხნივო. მოკითხვა ყველა ჯიგარს. 9717. კარგი ნიკი შემირჩიეთ, არ გინდათ? არა და არც რა!“

ცხენის ქურდები

„სტუდენტობისას, აივნიან ბინაში ვცხოვრობდით. ერთხელ აივანზე ბოტასები დამრჩა, თეთრი, ახალი ნაყიდი და თან — 46 ზომა (ნუ, ჩემი სარგო). ჰოდა, ორშაბათს შინ დაბრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ მოუპარავთ. ჩვენმა ძმაკაცებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს ქურდის ვინაობა, კარგად მიუეეს და აიძულეს, ბოტასები დაებრუნებინა, მაგრამ ნუ იტყვით და, ეს ჩემი ბოტასები ზონაზე გაუგზავნია ბიჭს. ამ ქურდბაცაცამ და მისმა ძმამ მთელი სამეზობლო გააწამეს, „პადიეზდებიდან“ ფეხსაცმელებს იპარავდნენ და საერთოდ ყველაფერს, რაც „ცუდად“ იდო. მაგრამ ერთ გარიურაჟზე, ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩის ერთი კორპუსის მცხოვრებლები ცხენის ჭიხვინის ხმამ გამოაღვიძა. დაინტერესდნენ და V სართულზე, ქურდების ბინაში, არც მეტი, არც ნაკლები, ნაპარავი ცხენი აღმოაჩინეს. ელისო“.

სტუდენტი ბებია

„სუფთა სისხლის კახელი ვარ, სიდინჯეც ნაღდი კახური მაქვს. მხოლოდ ერთხელ გამოვიჩინე სიფიცხე. სადაც მივდივარ, ბიბლიოთეკაში, ბანკში და ა.შ., დაცვა სულ ღიმილით მხვდება, მაგრამ ამ ბოლო დროს „უნის“ დაცვის ბიჭმა გამიშრო სისხლი. ყველას ატარებს და მე მთხოვს სტუდბილეთს. უკვე სახელიც იცის და მაინც, — სტუდბილეთიო. აშკარად სიამოვნებს, სიბრაზეს რომ მატყობს. ჰოდა, მეც გავცხარდი და ერთ დღეს, როცა რიხით გამომიცხადა — სტუდბილეთი წარმოადგინეთო, ბებიაჩემის პენსიის მოწმობა ავუფრიალე ცხვირწინ, შავ-თეთრი სურათით. მაგრად დაიბნა, სიმწრისგან იცინა და აღარასდროს უხსენებია „დაკუმენტები“. :) აბა, რა ეგონა? ხომ დავტოვე, გაჩალიჩებული? ეშმაკუნა ვარ, რა! :) პარიჟანკა“.

მკვდარი მევალე

„ერთ დღეს, ჩვენი კორპუსის გვერდით, მარკეტში შედიოდა ერთი კაცი. ვერ მოასწრო შესვლა, დაეჯახა მანქანა და კაცი მოკვდა. მეორე დღეს, სამსახურში მივდიოდი, ნაცნობს შევხვდი და წინა დღის ამბავი მოვუყევი. რომ ვუთხარი, რაც მოხდა და ისიც — ვინ იყო ის კაცი, მკითხა: ხომ არ ცდები, მართლა ის იყოო? — კი-მეთქი, ვუპასუხე და წამოიძახა, — ეს რა მითხარიო?! მე მეგონა, ნათესავი იყო და ვინანე, რაღა მე „მივახარე“, პირველმა-მეთქი. ვკითხე, რა მოხდა-მეთქი? — რაღა რა მოხდა, ჩემი ოცი ლარი ემართა და ახლა ვინღა მომცემსო? კობრა“.

დასპირტული შინაბერა

„ჩემს სოფელში, პროვიზორად შინაბერა ქალი მუშაობდა. მაღალი, გარეგნულად კარგი ქალი იყო და იცით, რატომ დარჩა შინაბერა? როცა მამაკაცს ხელს ჩამოართმევდა, ხელებს სპირტით იწმენდდა, რა ვიცი, ხელი რაზე ჰქონდა მოკიდებულიო. ხოლო ჩემი ახლობელი შინაბერა მამაკაცებს „ნასკიდან“ ამოწმებდა და თუ ნეკზე დიდი ფრჩხილი ჰქონდა, მისკენ არც გაიხედავდა. დედაჩემის დაქალები კი დღემდე განიცდიან შინაბერობას. გერასიმე“.

არ გინდათ „ქალი ლამაზი“?

„ერთხელ დედაჩემის მოხუცმა დეიდამ თავის შინაბერა შვილზე თქვა, კარგი რომ

გონიერი

„ქუთაისში ბანკომატმა ბარათი ჩაუყლაპა ტიპს. ჰოდა, შევარდნილა ბანკში და დაუყვირია — აქანე, სიმონ, ბანკომატის მაყურებელი ვინააო?

ერთ ტაქსის მძღოლს დაზღვევა უნდოდა და განაცხადს რომ ავსებდა, შემდეგი კითხვები შეხვდა: სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი. ტაქსისტმა კი შემდეგნაირად შეავსო:

სამუშაო ადგილი — ტაქსის მძღოლი.

სამუშაო ადგილის მისამართი — ვმოძრაობ ქალაქში.

თქვენს პირადობის მოწმობას ვადა აქვს გასული და სანამ არ გამოცვლით, ვერაფრით დაგეხმარებითო, უთხრეს. ამას ხანგრძლივი, ჩაფიქრებული დუმილი მოჰყვა.

— იცით, ახლა გამახსენდა, სახლში მაქვს პირადობის მოწმობის ასლი, რომელიც მანამდე გადავიღე, სანამ ვადა გაუვიდოდა და ის ასლი არ გამოდგებაო? კიკო“.

„პრიკოლა“

„თელავში ერთი მაგარი, „პრიკოლა“ კაცია. ჰოდა, დგანან მოედანზე. ამ „პრიკოლამ“ დაინახა სამი გოლიათი ტიპი და ერთ მეგობარს სანაძლეო დაუდო — მაგ ტიპებს „ფანტანზე“ სამ „კრუგს“ დავარტყმევინებო. დადეს სანაძლეო ცხვარზე. მივიდა ეს „პრიკოლა“ და ეუბნება, — თქვენი დედაო. მათ ჰკითხეს, — ჩვენ გვაგინებო? — კიო, — უპასუხა, და გაიქცა, სამი „კრუგი“ დაარტყმევინა და ქვაფენილზე დაეშვა; თან ბიჭებს გამოსძახა, — ცხვარი ქვემოთ ჩამოიყვანეთო. მააშ! მოკითხვა ჩემს ძმას, სილვას. 9717“.

ყოფილიყო, გათხოვდებოდაო. არადა, ის ქალი (გოგო) ცუდი სულაც არ არის, უბრალოდ, ვერ გათხოვდა. რა ვიცი, ალბათ გათხოვებასაც თავისებური „ტეხნოლოგია“ უნდა. მაგალითად, ერთი მეგობარი მყავს, მალე 30 წელი შეუსრულდება. იცით, რა მაგარი ქალია? აი, კაცებს რომ მოსწონთ, ზუსტად ისეთი — „ჩამოსხმა“ ტანითა და იდეალური პარამეტრებით, მაგრამ რა ფასი აქვს? ვერც თხოვდება და ვერც საყვარელი გაუჩენია (ისე, საყვარლობაზე თანახმა არც არის). მოკლედ, ბედი უნდა ყველაფერს! ისე, მეც შინაბერობის კანდიდატი ვარ, თუმცა ჩემს მეგობარზე ოთხი წლით პატარა ვარ და ბუნებრივია, მასზე უფრო ვნერვიულობ. ხალხოოო, არ გინდათ, „ქალი ლამაზი“? გკოცნით ბევრს. მარის ნათლული“.

განაწყენებული კანიბალკა

„მარ, ყველა საფიცარს გეფიცები, ვზივარ და ტირილი მინდა, ისე ცუდად ვარ... აკი მითხარი, შენს ინტერვიუს როგორ არ დავბეჭდავ, რაც არ უნდა იყოსო? იცი, 100%-ით მჯეროდა, რომ ამ ნომერში ჩემი ინტერვიუ იქნებოდა... საშინელებაა იმედგაცრუება. რაღაც, საოცრად დამწყდა გული. ალბათ ჩემი ბრალიცაა, ბევრი მოვინდომე. მეგონა, თუ „გზაში“ დავბრუნდებოდი, ყველა ღიმილითა და ძველი სიყვარულით შემხვდებოდა, მაგრამ დაბრუნებულს, შენ კარი არც კი გამიღე. :(ვიცი, ჩემი ბრალია, ასე უმიზეზოდ რომ წავედი და დაგტოვეთ... თუმცა, არც ისე უმიზეზოდ... არ ვიბუტები, მარ, და შენი ბოლომდე მადლიერი ვიქნები. უბრალოდ, აღარ ვიცი, აწი თუ მექნება „გზაში“ დამესიჯების სურვილი... მაგრამ მე ხომ უშენოდ არ შემიძლია?! ისევ ისე მიყვარხართ მგზავნელები და შენ. ისევ ძველებურად დაგეკონტაქტები, მაგრამ მხოლოდ



პირადად... „გზაში“ აღარ... ძალიან მიყვარხარ, მარ, და გკოცნი უთვალავს. მაპატიე, თუ ზედმეტად ტრაგედიად ვაქციე ეს „პატარა ამბავი“. :) მუდამ შენი კანიბალკა“.

ახლა კი სხვა თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ჩემი დეიდაშვილის მეზობელ გოგოს ენა ებმის და როცა ლაპარაკობს, ზოგჯერ მაგარი „პრიკოლის“ გაჩითვაა შესაძლებელი. ერთხელ, დედამისმა მეზობელთან გაგზავნა, წითელი, მწარე წიწაკა გამოართვიო. მივიდა და ეუბნება — დედაჩემმა წითელი იტაკაო. კახელო-616“.

„ბავშობაში დამსაჯეს და კუთხეში, ცალ ფეხზე დამაყენეს. ამ დროს მოვიდა ჩემი ძმა და მომთხოვა, მეორე ფეხიც ამეწია და კუთხეში ისე ვმდგარიყავი. ვეღარ მოვითმინე და მივბეგვე ძამიკო. ამას ჩემი სასჯელის გახანგრძლივება მოჰყვა, მაგრამ დანარჩენი მგონი საინტერესო აღარაა. გკოცნით, ჩუპი“.

„ისა და... ახლა ზუსტად შინაბერების სეზონია, სანადიროდ დაიწყეს გამოსვლა, იქნებ გამოვკრათ ვინმეს კბილიო. :) ზღვაზე უნდა ნახოთ თქვენ, რომ გადმოყრიან ცელულიტიან უკანალებს და კიდევ, ვინ ვის ეპრანჭება, ვერ მიხვდები. მარ, მიყვარხარ, დამაბრუნე, რა?! :) ვერმახტი“.

„დღეს სამუდამოდ გაქრა ჩემი ოცნებები. თითქოს ფარდა დაეშვა და მე მის მილმა საუკუნო სიბნელეში დავრჩი. ის დაქორწინდა და სამუდამო ერთგულებას სხვას ეფიცება ალბათ, ზუსტად ისეთივე გამაბრუებელი სიტყვებით, როგორითაც მე მეფიცებოდა. ის ზეპოპულარული ადამიანია და არა მარტო საქართველოში. ყოველთვის მემახსოვრება და მილიონი პროცენტით ვარ დარწმუნებული, მოვენატრები. თაისი“.

„საბედისწერო ქალი ბიცოლაჩემის ბებიაა. 6-ჯერ იყო გათხოვილი და ექვსივე ქმარმა ფეხები აპლაკა. :) უნამუსო ვიყო, ახლა „გძეტა“ 70 წლისაა და მეშვიდედ თხოვდება. :) P.S. საწყალი სიძე. :) ოჩოპინტრე“.

ღიღეაბის ზღაპარი

ძუნწი მამა

„ეს ამბავი ცხონებულმა ბებიაჩემმა მომიყვა: ახალგაზრდობაში, ჩემმა დაქალმა, რომელსაც ძალიან მკაცრი მამა ჰყავდა, 1 კვირით თავისთან დამპატიჟა. მამამისს უჯრაში კანფეტები ჰქონდა ჩაკეტილი და ჩაის აყოლებდა ხოლმე. ერთხელ, უჯრის გასაღები მოვიპარეთ და 2 ცალი კანფეტი ავიღეთ. როცა მოვიდა, შავი დღე გვაყარა, 2 კანფეტი აკლიაო; შემდეგ, ვაშლით გადავწყვიტეთ პირის გასველება და ხეზე 1 ვაშლს ძლივს მივწვდით. მოვწყვიტეთ, ვჭამეთ და ამ დროს დაგვადგა ის კაცი. ხეს ახედა და თქვა — 1 ვაშლი აკლიაო. :) არ მეგონა, ხეზეც თუ ვინმე ითვლიდა ვაშლებს. ამ ხნის ქალი ვარ (მაშინ 72 წლის იყო) და მსგავსი არც გამიგონია და არც მინახავს. ამის მერე იქ რა გამაჩერებდა? ჩავალაგე ნივთები და ჩემს დასთან, თბილისში ჩამოვედიო. ASHLEY POD“.

აქაც თოხნა?

„ერთ სოფელში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა ქმარი ყანის სათოხნად გაუშვა. ნუ, ეს კაცი მაგარი ზარმაცი იყო, მაგრამ რას იზამდა? რომ არ წასულიყო, იცოდა, რაც ელოდა — ცოლი არ მოუთმენდა და ძალით გააგდებდა. ამიტომ, გაიდო თოხი მხარზე და გაუდგა ყანისკენ მიმავალ გზას. მივიდა დანიშნულების ადგილზე და დაიწყო თოხნა, მაგრამ მალევე მოჰბეზრდა და იქვე, ხის ძირას წამოწვა, დასაძინებლად. ცოლმა იფიქრა — საჭმელს წავუღებ ჩემს ქმარს, მოშივდებოდა ამდენ მუშაობაშიო. იქ მისულმა კი რა ნახა? მისი ქმარი წამოგორებულია ხის ძირას და სძინავს გემრიელად. ახლა უკვე ვეღარ მოითმინა ქალმა, ხეზე წკნელი მოტეხა და დასცხო და დასცხო მძინარე კაცს. საცოდავი, შეშინებული წამოხტა, მაგრამ უეცრად გონება დაკარგა და წაიქცა. ქალმა იფიქრა, მოვკალიო და მორთო კივილი. მთელი სოფელი იქ გაჩნდა და მათაც დაუსვეს დიაგნოზი — მკვდარია უკვეო. მერე ქალს ჰკითხეს, სად წავასვენოთ მიცვალებულიო? ცოლმა უპასუხა: ის ისეთი უსაქმური იყო, სახლში დატირების ღირსი არ არის, ამიტომ — პირდაპირ სასაფლაოზეო. წაასვენეს სასაფლაოზე. მეზობლებმა უთხრეს ცოლს: ახლა აქ იყოს და ხვალ დავასაფლავოთო. მათ შორის, ერთმა მოხუცმა კაცმა ჩაილაპარაკა: ახალმა მიცვალებულებმა აქ თოხნონ, ძველებმა — ცოცხლებთან ერთადო. ჰოდა, ამ დროს წამოყო თავი ვითომ მიცვალებულმა და წამოიყვირა — ე, კაცო, აქაც თოხნა? აქ თოხნას, იქ ვთოხნო, მირჩევნიაო და მოკურცხლა. P.S. ასე იყო აი ამბავი, რომელიც ახლახან მომიყვა ნათესავმა, თორემ მე პირადად არ მიხილავს ეს საინტერესო სანახაობა. :) გიო93“.

ისტერიჩკა

სიფიცხე ისეთი უნდა, მე რომ დეიდა მყავს — გამხდარი, გაჩხინკული და ისტერიჩკა. ბავშვობაში თურმე ის და დედაჩემი სულ ჩხუბობდნენ. ძუნწი ყოფილა დეიდა, ფულს როგორც კი ჩაიგდებდა ხელში, 5-კაპიკიან ბუშტს იყიდდა, გაბერავდა და იმაში მალავდა ხურდებს (მოფიქრება არ გინდა? სეიფად იყენებდა). შოკოლადი უყვარდა თურმე, ბევრს ყიდულობდა და მაცივარში მალავდა. შუაღამისას ადგებოდა დედაჩემი, ჩაიტკბარუნებდა პირს და კმაყოფილს, დილით დეიდაჩემის კივილი აღვიძებდა — სად არის ჩემი შოკოლადებიო? მერე იწყებოდა ნეწვა-გლეჯა, პუტავდნენ ერთმანეთს და გაგიჟებული ჰყავდათ ბებიაჩემი. არადა, ბებიაჩემიც კარგი ჩიტი იყო... ძაან უცნაური და მკაცრი. თურმე კანფეტებს „სერვანტში“ კეტავდა და შვილებს არ აჭმევდა. ჰოდა, ერთხელაც ასე ჩაკეტა შოკოლადი და თვითონ სტუმრად წავიდა. დეიდაჩემმა და დედაჩემმა უყურეს, უყურეს ამ შოკოლადებს და ცდუნებას რომ ვეღარ გაუძლეს, კარადის შუშა გატეხეს. ჭამა კარგი იყო, მაგრამ მაყვალა დედა რომ დაბრუნდა, ისე სცემა ორივეს, რომ ერთი კვირა სკოლაში ვერ დადიოდნენ. ამას დღემდე იხსენებენ. ეგოისტკა“.

„სპეცშემთხვევა“

„გურულების ქება-დიდებას არ მოვყვები, ყველამ იცით, რომ ნამეტნავად ორგინალური და ექსტრაორდინარული ხალხია, თუმცა მათ შორისაც მოიძებნებიან „სპეცშემთხვევები“. ერთ ულამაზეს და უმაგრეს ქალს ბევრი მამრი ეტრფოდა გურიაში, მაგრამ თავისი ვაჟკაცური და ძლიერი ხასიათის გამო ვერავინ უბედავდა თქმას. მხოლოდ მშობლებთან დადიოდნენ მთხოვნელები და ისიც — უშედეგოდ. თუმცა, ჩვენი „გმირიც“ ჩვეულებრივი ქალი იყო და თავისი ქალური სისუსტეები ჰქონდა. მეზობელი სოფლიდან ერთი გლახაკი და აბდალი გურული შეჰყვარებია ჩვენს ლამაზმანს, ის კი პატიოსანი, ცოლიანი კაცი ყოფილა და ყურადღებას არ აქცევდა „ბედაურივით“ ქალს. ყველანაირი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ქალი საყვარელი მამაკაცისგან სალამსაც ვერ ეღირსა. ჰოდა, ხელი რომ ჩაიქნია სასოწარკვეთილმა, სწორედ მაშინ მოხდა სასწაული: პაემანი ინკოგნიტოდ დაუნიშნეს. იქ მისულს კი კინაღამ ფეხები მოეკვეთა, თვალთ დაუბნელდა და ლამის გული წაუვიდა. წინ თავისი ოცნების პრინცი ედგა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მათი სასიყვარულო ტანდემი შედგა და ქორწილიც დაინიშნა. 300-კაციანი, გემრიელი ქორწილი სეფაში, უბედნიერესი წუთები და... რა ხდება, ამ დროს? პატარძლის წასაყვანად მოსულ მაყრიონს 2 „სიძე“ არ ამშვენებდა? ელდა ეცა ქალს, ტყუპი ძმის დანახვაზე. სიმშვიდე შეინარჩუნა და — „მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა ჩემი თავის გადალოცვა ერთი ძმიდან მეორეზეო“, — დაიქადნა. მერე სტუმრებს თვალი მოავლო და მზერა თავისი ბავშვობის მეგობარზე შეაჩერა, რომელიც 15 წელი იწვოდა მისი სიყვარულით. მალე ატყდა ქორწილში წიოკი და ვაი-უშველებელი. პატარძალი დაიკარგა. საძინებელში მხოლოდ საპატარძლო კაბა და წერილი დახვდათ: „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვი, ისე კი აბდალი აბდლად მოკვდება“. იმ დღეს ქორწილი შედგა. პატარძალი გათხოვდა და ახლა მალე ბებიაც გახდება. ნინუცა ბებო, მაპატიეთ, რა, თქვენი ამბავი რომ გავახმაურე. მარტო გურია ხომ არ უნდა იღიმებოდეს თქვენს სიფიცხეზე, რომელმაც ის ბედნიერება გაპოვნინათ, მთელი 10 წელი რომ გეჯდათ სკოლის მერხზე? იკუშკები“.

კვასია და ლამარა

„ჩემს სოფელში სამი ქალბატონი (თუ საქალბატონე) შინაბერა და ცხოვრობს — კვასია, ლამარა

და მესამე დის სახელი მე კი არა, უფროს თაობასაც აღარ ახსოვს, მგონი, რადგან საქმე ისაა, რომ საბრალო ქალს დღის სინათლეს არ აჩვენებენ და საწოლიდან არ აყენებენ იმის შიშით, რომ ვაი და, მეზობლებმა არ დაინახონ, რომ სიარული შეუძლია, თორემ მთავრობას შეატყობინებენ და პენსიას აღარ მისცემენო. რამდენიმე წლის წინ, საუკუნის ხნის მოყრილი დედა გარდაეცვალათ. როგორც ხდება ხოლმე, მიცვალებულს მეზობლის ქალმა პირი აუკრა — ყბა არ ჩამოუვარდესო და ეს საცოდავი ქალი, ლამის უკან მიაწიეს: პირი აუკრა და ამან გაგუდა დედაჩვენიო. გული დაგეთუთქებოდა, ისე მისტიროდნენ — რად დაგვაობლე, დედიო. მეზობლები ოჯახს ფულადი დახმარებით შეეწივნენ. ასმაგად გადაგვეხადოს თქვენთვისაცო, — ასე უხდიდნენ მადლობას მეზობლებს. სოფლის კოლორიტები არიან. არავის ვუსურვებ შინაბერობასა და ბერბიჭობას. გამრავლდით, ქართველებო! კეკე“.

„მსუბუქი“ ავადმყოფი

„ამას წინათ, საავადმყოფოში ვიწექი. ავადმყოფობის მიუხედავად, სულ ვხუმრობდი და ჩემს პალატაში დღედაღამ ხალხმრავლობა და სიცილ-კისკისი იყო. ერთ დღეს, მთავარმა ექიმმა გამაფრთხილა — ოლეგ, თქვენს მეზობელ პალატაში მძიმე ავადმყოფი გვყავს და ნუ იხმაურებ, ძალიან მძიმეა და შეიძლება ხმაური ვერ გადაიტანოსო. როცა ექიმი წავიდა, ავდექი და მეზობელ ოთახამდე მივედი. შევიხედე და რას ვხედავ? — ესაა მძიმე? საწოლიანად ორმოცი კილოგრამიც არ გამოვა-მეთქი. ოლეგარიო“.

ნელიჩკა

„გორის ინსტიტუტი დავამთავრე. სტუდენტობის დროს მე და ჩემი ჯგუფელი ერთად ვცხოვრობით, ქირით. ჩვენი „ხაზეიკა“ კვალიეთელი ჟორჟოლაძის ქალი იყო — უსაყვარლესი ადამიანი. თავიდანვე, დაგვინახა თუ არა, გამოგვიცხადა: ბოვშებო, წელიწადში 9 თვე არ ვარ აქანე, ჩემი გოგის დამკარგავი (მეუღლეზე თქვა) ველარ ვყურობ ამ კედლებს და როის მოვალ და როის წავალ, ეგ მეც არ ვიციო. ჰოდა, გავისტუმრეთ ჩვენი ნელიჩკა და ისე ჩავათავეთ სემესტრი, არც გამოჩენილა. გამოცდებისას შინ, საკუთარ სახლებში ვბრუნდებოდით და იქიდან დავდიოდით. რადგან გასაღებს მეზობელთან ვტოვებდით, ერთ-ერთი ვიზიტის დროს ნელიჩკას გასაღებიც ხელს გავაყოლეთ. ზუსტად ამ დროს ჩამოსულა ჩვენი ნელი, მაგრამ რად გინდა?! 4 დღე მეზობელთან ეძინა. ვერ შევიდა სახლში. ბოლოს, რომ მოჰბეზრდა, დაკრა ფეხი და გაქანდა ინსტიტუტში. გვიკითხა, მაგრამ არ ვიყავით. მერე მდივანს გადმოაღებინა უწყისები და ნიშნები ნახა. დეკანსაც გაესაუბრა და რომ გაიგო, კარგად სწავლობენო, სულ დაავიწყდა გასაღები. მდივანს უკითხავს, — რომლის მშობელი ხართო? — „ხაზეიკა“ ვარ, ჩემმა გოგოებმა ქუჩაში დამტიეს და აქანე გასაღებიზა მევედიო. იქ სიცილი ამტყდარა�ა... სხვათა შორის, ხუთიანებმა გადაგვარჩინა და გვაპატია ცელქებს ნელი დეიდამ. P.S. იმის მერეც ხშირად გაუქროლებდა ხოლმე ჩვენს ინსტიტუტს და ნიშნებს გვიმოწმებდა მე და მზიკოს. ეჰ, სტუდენტობის ნოსტალგია შამამაწვა... თქვენი მის კეხურა“.

რა დროა?

„ერთი პაპიდა მყავს, თელავის რაიონში. მაგარი „პრიკოლი“ ქალია. ამას წინათ, თავს გადახდენილი ამბავი ასე მოჰყვა: „ერთხელ ვარდისუბნის ავტობუსზე მაგვიანდებოდა. ხილის ყიდვა დამავიწყდა და ბაზარში ფეთიანივით შევვარდი, თან დრო მაინტერესებდა, ქაა... კიბეზე ქვემოდან ერთი კაცი ამოდიოდა და ორივე ხელში საზამთრო ეჭირა. უცებ, მაჯაზე საათი არ დავუნახე? ეგრევე ვეცი, — შვილო, რა დროა-მეთქი? იმ კაცმაც დაიწყო წვალება, რომ რამენაირად საათი დაენახა. გაუვარდა ორივე საზამთრო, დაუგორდა კიბეზე და ორივე გასკდა. ერთი ამომხედა ქვემოდან და კბილებში გამოცრა: რა დროა და შენი გაჟიმვის დროაო. მაშინვე ვდურთე თავი და ვიღას ახსოვდა ხილი... ავტობუსში ასულს კი მეცინებოდა, — რაი გედავეკიდე იმ კაცს, თან ის რა მითხრა, კაცოოო...“ :) იარმორკელი“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — უჩვეულო სიტუაცია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com კითხვა მოკლე ჩართვისთვის — რა უპირატესობა აქვს გასათხოვრობას?

ძაღლებზე მონადირე

„დუმბაძეს რომ არ დაეწერა ილარიონას ძაღლზე ნადირობის ამბავი, მას მე დავწერდი. როგორ? ა, ბატონო: ჩვენს რაჟიკუნას, სვანურ სიფიცხესთან ერთად, ბაჯაღლო ოქრო უდევს გულის მაგივრად, ბუნჩულა მკერდში. ნადირობა ცოლ-შვილსა და საკუთარ თავზე მეტად უყვარს და დაძვრება ტყე-ღრეში, ტურებზე სანადიროდ, თავისნაირ, გადარეულ მონადირეებთან ერთად. ერთხელ, მორიგი ნადირობისას, ძაღლები რაღაცას გაეკიდნენ, მონადირეები — ძაღლებს და ატყდა ბათქაბუთქი და — „შენ ზემოდან დაუარე, იმან ქვემოდან“ — ძახილი, მობილურებით (რა შორს წავიდა ტექნიკა, არა?). იქუხა რაჟიკუნას თოფმა და საეჭვოდ დადუმდნენ ძაღლები. არიქა, დავიღუპე, მგონი ძაღლი მოვკალი და არ გამამხილო, ჩემი მაინც იქნებოდესო, — დაურეკა „თანამონადირეს“. ძაღლი კი გადარჩა და ტურას მოეღო ბოლო, მაგრამ მას შემდეგ ვერ ამოდის ჩემი ყბიდან: ძაღლებზე სანადიროდ როის მიხვალ, არ გამომაპარო-თქვა. ეს კი ჩემი ბოლო „ბანაობა“ იქნება. ალბათ მომკლავს! სიფიცხე მერე ნახეთ. რაჟიკუნა, ცალი თვალის მოჭუტვა არ დაგავიწყდეს, ნადირობისას! თინეიჯერი შინაბერა“.

დასაწყისი იხ. გვ. 16

— როგორ მოვიქცე, ავადმყოფს რომ დავემსგავსო? — ვკითხე გაოცებულმა.

— რა გტკივა? — სიტყვა გამაწყვეტინა.

— აი, აქედან რომ მეწყება ტკივილი, — გაზეპირებულ ფრაზასა და მოძრაობას უკვე მერამდენედ ვიმეორებდი, ვინ იცის, — მერე მკლავზე გადმოდის და საშინლად მტანჯავს.

— რა გამაყუჩებელს იკეთებ?

ჩამოვთვალე, რაც წინა ექიმებმა დამინიშნეს.

— მერე, არ გიყუჩებს?

— არა, — საცოდავად დავიმანჭე.

— შენ ნარკოტიკი გნდომებია, — სახეზე დამცინავი ღიმილი გადაეფინა.

— თუ მიშველის და ტანჯვისგან გამათავისუფლებს, მაგაზეც თანახმა ვარ (ვიცი, რომ ძლიერ ტკივილს ნარკოტიკი აყუჩებს, ოღონდ ამ დროს ინიექციას კუნთში აკეთებენ და არა — ვენაში).

— მაშინ ჩვენ კი არა, სხვა ბრიგადა უნდა გამოგეძახებინა, — ისევ ირონიამ აუწია ტუჩის კუთხე.

— რომელი ბრიგადა, საპატრულო? — ძლივს შევიკავე თავი, რომ არ ავფეთქებულიყავი.

— არა, სპეციალური ბრიგადა, რომელიც „ლომკას“ ხსნის, — აი, თურმე რაში ყოფილა საქმე — ნარკომანი ვეგონე...

— თქვენ რაღაც გეშლებათ, ქალბატონო, ვინ გგონივართ? მე ესა და ეს ვარ, აქა და აქ ვმუშაობ და ცოტა ფრთხილად იყავით, თქვენი სიტყვები წინ არ დაგხვდეთ (აკი დახვდებათ კიდეც)! რა მეტყობა ნარკომანის? თუ შეგიძლიათ, ტკივილი მომიხსნათ, მიშველეთ, თუ არა და, დასკვნებისგან თავი შეიკავეთ, — საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი.

აბაა, დატრიალდა ორივე ექიმი (ახლა ბრიგადაში ექთანი და ექიმი კი არა, უფროსი ექიმი და ექიმი შედიან) და სასწრაფოდ მედიკამენტების ყუთში ქექვა დაიწყეს, დატკბნენ და ლამის თვითონაც მალამოდ დამედვნენ. ტკივილგამაყუჩებელიც გამიკეთეს და რჩევებიც მოწადინებით, გულუხვად მომცეს.

ის ღამე როგორც იქნა, გადავაგორე, მაგრამ მეორე დღეს ტკივილმა მიმატა. საღამომდე გავუძელი, მერე ჩემს კოლეგას, დევის დავურეკე, რომელიც პროფესიით ექიმია და „ოჯახის მკურნალში“ ჟურნალისტადაც მუშაობს. შევეხვეწე, — მიშველე, ნორმალური ნევროპათოლოგის ნომერი მომეცი, თორემ გავგიჟდები-მეთქი. ნომერი ჩამაწერინა — კარგი ექიმია, აჩიკო ჰქვიაო.

— გამარჯობათ, ბატონი აჩიკო ბრძანდებით? — მაშინვე დავრეკე მოცემულ ნომერზე.

— დიახ, აჩიკო ვარ.

— უნდა მიშველოთ, ბატონო აჩიკო, — შევევედრე იმის შიშით, რომ სამუშაო საათები უკვე დამთავრებული იყო და მიღებაზე უარი არ ეთქვა.

— რა მოხდა, რაშია საქმე? — ხმაში მასაც შეშფოთება დაეტყო.

— საშინელი ტკივილი მტანჯავს, ბეჭიდან რომ იწყება, მთელ ხელს გასდევს, რამდენიმე დღეა, 2 ექიმის დანიშნულებას ვასრულებ, ამა და ამ მედიკამენტებს ვიღებ (დაწვრილებით ჩამოვუთვალე), მაგრამ არ მშველის; უკვე თითების დაბუჟებაც დამეწყო, ძალიან გთხოვთ, მიღებაზე უარი არ მითხრათ, მითხარით, სად ხართ და რამდენიმე წუთში თქვენთან გავჩნდები, — ერთბაშად მივახალე და სიტყვის თქმის საშუალება მანამ არ მივეცი, ვიდრე სათქმელი ბოლომდე არ ვუთხარი.

— თქვენ რომელ აჩიკოსთან რეკავთ? — სიცილით ჩაბჟირდა.

— თქვენ ექიმი არ ხართ?

— აჩიკო კი ვარ, მაგრამ არა — ექიმი, არამედ — სამთავრობო დაცვის უფროსი, — ლამის გაიგუდა, იმდენი იცინა.

მერე გავიგე, რომ დევის შეცდომით თავისი ძმაკაცი აჩიკოს ნომერი მოუცია. ამის მერე გარეთ გავვარდი, სასწრაფოდ ტაქსი გავაჩერე და ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოში წავედი. იქ ჩემმა სვანობამ არ გაჭრა, 5-წუთიან ვიზიტში 25 ლარი გადამახდევინეს, ისეთი წამლები გამომიწერეს, რომელიც არსად იშოვება (მაგალითად — ტორადოლი) და თავაზიანი ღიმილით გამომისტუმრეს.

ამასობაში, ჩემს „ანთებულ“ ნერვს ჩემი ტანჯვა „მოსწყინდა“ და ტკივილმა მიკლო. სამაგიეროდ, სამახსოვროდ 3 ექიმის რეცეპტი, წამლებში მუქთად გადაყრილი 245 ლარი და „ტკბილი“ მოგონებები დამრჩა და კიდევ... იმედი, რომ ამის მერე ექიმი აღარასოდეს დამჭირდება.

გაუმარჯოს ქართველ, ყველაზე „ექიმურ“ ექიმებს!

●

მოკლე ჩართვა
<<< 15

როგორია იდეალური მამაკაცი?

• იდეალური მამაკაცი კასილასია. სიმპათიურია, მდიდარი და... ისეთ პენალტებს იღებს... ეს ხუმრობით, ისე კი იდეალური ადამიანი არ არსებობს... მის რეალი.

• სიტყვა „იდეალური“ მრავლისმომცველი და ამავე დროს, ყველასთვის სხვადასხვაგვარად გასაგებია. იდეალური დედამიწაზე არაფერია, მით უმეტეს — მამაკაცი. არადა, იდეალურობალა აკლიათ და, კი გამოგვიჭედავდნენ ყურებს, ტრაბახით. ღმერთმა დაგვიფაროს! იდეალური და სრულყოფილი მხოლოდ ჩვენი შემოქმედია. გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• იდეალურია მამაკაცი, რომელიც არის ქართველი, სიმპათიური, ინტელექტუალი, ტაქტიანი, აქვს იუმორის გრძნობა, არ აწუხებს უსაფუძვლო ეჭვები, მევალეები, იდეალურობის იდეფიქსით არაა შეპყრობილი და აუცილებლად კითხულობს „გზას“! :) p.s. ისე, თუ ასეთი არსებობს, გამომეხმაურეს! :)) ფინტიკოზა“.

• იდეალური მამაკაცი, პირველ რიგში, დიდი ვაჟკაცია, სამშობლოსთვის თავდადებული, მეგობრების დამხმარე და ცოლის ერთგული. ის არასდროს მარცხდება: ან იმარჯვებს, ან იღუპება! აზიელი.

• თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი, უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, უნდა შეეძლოს ყველა სიტუაციიდან თავის დაღწევა.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ჯრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

ბიჭები



1. ვარ 45 წლის მანდილოსანი, საშუალო სიმაღლის, გამხდარი. მინდა შევქმნა ლამაზი და ტკბილი ოჯახი. ვარ მშვიდი და წყნარი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით დამიმესიჯეთ.

2. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, ქვრივ მამაკაცს, რომელსაც ჰყავს გოგონა, არის თბილისელი ან რუსთაველი და ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი.

3. ვარ ახალგაზრდა, ქვრივი მანდილოსანი. მყავს 3 შვილი. 2 — დაოჯახებული. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, დასაქმებულ, ბინით უზრყნველყოფილ, სიმპათიურ მამაკაცს.

4. ვარ 40 წლის, ისეთი სოფლიდან, რომელიც რუკაზეც არ არის. ამიტომაც ვარ სახლში. გამათხოვე რა, მარი.

5. ვის უნდა, ჰქონდეს თბილი და მოსიყვარულე ოჯახი? ეს იშვიათობაა. მხოლოდ დიდი სიყვარულის მოლოდინით გელი. მარი 91.

6. ვეხმაურები 40 წლის, განქორწინებულ მამაკაცს, 27-ე ნომრიდან, მე-14 მესიჯის ავტორს. ვარ 35 წლის.

7. ვარ 32/174, ექიმი, ყოფილი მოცეკვავე, ძალიან თბილი, ალერსიანი, მხიარული, თბილისელი, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაურეთ მატერიალურად უზრუნველყოფილი მამაკაცები.

8. ვარ 35 წლის, სიმპათიური, ლამაზი, ჭკვიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

9. ვეხმაურები „გზა“ №27-დან, ლევანს. ლევან, თუ გაქვს სურვილი, გავიცნოთ ერთმანეთი, შემეხმიანე.

10. ვეხმაურები „გზა“ №27, მე-20 მესიჯის ავტორს. დამიმესიჯეთ.

11. მე 26 წლის გოგო ვარ, ჩვეულებრივი და ცოტა უცნაური. თბილი და ერთგული. ძალიან მინდა შეწირულის მეგობარი გავიცნო. შეწირულო, ჩემი ნომერი გადაეცი შენს მეგობარს. მეგი.

12. ვარ განათხოვარი, 27 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ კარგ ადამიანს. არასიმპათიურები ნუ შემეხმიანებით.

13. ვარ 32 წლის, მომხიბვლელი, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანი. გამომეხმაუროს მხოლოდ ის, ვისაც ტრადიციული ოჯახი სურს — 32-45 წლის მამაკაცი.

14. ვარ 38 წლის, სიმპათიური და სერიოზული ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 45 წლამდე ასაკის, დასაქმებული და სერიოზული მამაკაცი.

15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, ბინიან, სიმპათიურ მამაკაცს. ვარ 45 წლის, ახალგაზრდა ქვრივი. ვცხოვრობ შვილთან. გასართობად ნუ შემაწუხებთ.

გოგონები

16. ვარ 24 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ და ერთგულ მანდილოსანს. არ აქვს მნიშვნელობა, განათხოვარს თუ გასათხოვარს. მთავარია, გავუგო. ვარ ერთგული.

17. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო 30-40 წლამდე ასაკის, სუფთა წარსულის მქონე, ერთგული, წყნარი, მეოჯახე ქალი, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილი. დამიმესიჯეთ, გელით.

18. ვეხმაურები ქუთაისელ მანდილოსანს, „გზის“ 27-ე ნომრის პირველი მესიჯის ავტორს. ემზი.

19. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, თბილისელ მანდილოსანს, 40 წლამდე. ვმუშაობ თბილისში. მაღალი, სიმპათიური, განათლებული მამაკაცი.

20. გავიცნობ სიმპათიურ, წესიერ გოგოს, 30 წლამდე, დაოჯახების მიზნით. ვარ 39 წლის. პრეტენზიულმა სტერვებმა თავი შეიკავეთ!!!

21. ვეხმაურები მე-14 მესიჯის ავტორს. ვარ 33 წლის, ქუთაისიდან. დამირეკეთ.

22. ვარ 35/171/75, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი, განქორწინებული, მორწმუნე, პროფესიით — მუსიკოსი, თბილისელი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ 25-35 წლის მანდილოსანს. ნამდვილად არ ინანებთ, გელით.

23. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით ეკლესიური, სიმპათიური გოგო, 23 წლამდე.

ვარ 27/174/65. გელოდები, ჩემო ბედო.

24. ვარ 38 წლის. არ მყოლია მეუღლე. გავიცნობ პატიოსან და წესიერ ოჯახში აღზრდილ მანდილოსანს.

25. ვარ 35/165/63, მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით უკომპლექსო და ვნებიანი მანდილოსანი, 35 წლამდე, გამხდარი და მშვენიერი.

26. ვარ 31 წლის, ცოლს გაცილებული, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი. გავიცნობ 25-30 წლის, კარგი ოჯახის შვილს. ვარ დედისერთა, ულამაზესი ადამიანი. გასართობად ნუ შეწუხდებით.

27. ვარ 31 წლის, განქორწინებული, მაღალი, შავგვრემანი, ქუთაისელი მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ მაღალ, სიმპათიურ მანდილოსანს. შეიძლება — განქორწინებულიც.

28. გავიცნობ 25-30 წლის მანდილოსანს, მაღალს, სიმპათიურს, პატიოსანს და ზრდილობიანს. ვარ 30/185/75, მაღალი, დასაქმებული, სიმპათიური. დანარჩენი — პირადად. კობა, ქუთაისიდან.

29. ვარ 31 წლის, მაღალი, შავგვრემანი, ქუთაისელი მამაკაცი. გავიცნობ დაოჯახების მიზნით სლავური იერის, მაღალ, 25-32 წლის, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ მანდილოსანს.

30. გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, კეთილ მანდილოსანს.



31. რობერტ ზამბახიძე, 14 წელია, დაკარგული ხარ. თუ „გზის“ მკითხველი ხარ, გთხოვ, შემეხმიანე. არ გაინტერესებს, შენი შვილი როგორი გაიზარდა?

32. ვეძებ გეგუთელ ლაშა მამისეიშვილს. თუ ვინმემ იცით რამე მის შესახებ, გთხოვთ გამაგებინოთ.

33. ვეძებ დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, მაია, ეკა და ირინა სირჩვავებს.



• ეს რა ხდება „გზავნილებში“, თურმე ჩუმი ომია. თავად ნახეთ, მართალია, მე არ მომიგონია. ათენშია იქით ბუნტი, აქეთ კიდევ — თელავში და ხარჯავენ თანხას უხვად, ლანძღვა-თათხვის წერაში. აირია „გზავნილეთი“, ყველა მისთვის მღერისო, სად წავიდა ეს პატრული, ჩვენი მარჯვე ელისო? მაგრამ მარტო ერთი გოგო, რას აუვა რია-რიას, მე ვაცხადებ, „გზავნილებში“ პატრულების ვაკანსიას. კანიბალკა ადვოკატი, ანდა ბოხო სად არიან? სიმშვიდისკენ მოუწოდონ „გზავნილეთის“ მთელ არმიას. დედოფალო, პოლიტიკა, გთხოვ რომ ისე წარმართო, ცუდი სიტყვა დაბლოკო და იუმორი ამრავლო. დაუძახე ყველას, ვისაც, ღიმილი აქვს ჭარბადო, ოლეგარიოს უთხარი, დაგვიბრუნდეს სასწრაფოდ! მინდა გთხოვოთ ყველას, ვინც კი კარს გააღებთ „გზავნილეთის“, დაიფერთხეთ ნაკლი გარეთ და წალკოტში კარგად შედით. კვირაში ხომ მხოლოდ ერთ დღეს ვეფერებით ერთმანეთს და რაღაა, იმ დღესაც თუ ერთმანეთი შევჭამეთ? ყველამ წყენა დავივიწყოთ, ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით, თუ ერთურთს გავუფრთხილდებით, უფრო დიდხანს ვიქნებით! **p.s.** გთხოვთ მაპატიეთ, თუ ისე ვერ ვთქვი, როგორც მინდოდა და ამერია, ყველა მიყვარხართ, ზღვა სიყვარულით და მუდამ თქვენთან ვარ. კამელია.

• მარუშკი, როგორ ხარ, გენაცვალე? ქალ, შენი არ იყოს, მეც საშინლად „აშხფოთებული“ ვარ. რას ჰგავს მგზავნელების საქციელი? „გზა“ ბრძოლის ველს არ უნდა დაემსგავსოს! საქმეების გასარჩევად სხვა ადგილი არსებობს. მაგალითად — ქუჩა. მის რეალსა და კახელ სალომეს რა უფლებით ლანძღავენ? თუ არ მოსწონთ მატნელებზე ამბები, მაშინ ნუღარ კითხულობენ. რადგან მათი ამბები იბეჭდება, ე.ი. შენი, გამოცდილი ჟურნალისტისა და „გზავნილეთის უფროსის“ მოწონებას იმსახურებს და არავის არ აქვს შენი ნების გაპროტესტების უფლება. აი, ასე! მართლა ძალიან „ავშხფოთდი“! **ashley pcd.**

• ამბობენ, ვინც შეუმჩნევლად მოდის, მის წასვლასაც ვერ შეამჩნევენო. ჰოდა, ცოტა ხნით წასული ვიყავი. არავის შეუმჩნევია, ისევე, როგორც წლების წინ — მოსვლა, მაგრამ ჯიუტი ვარ და მაინც მოვედი. ვიცი, მარის კარგი მასპინძლობა შეუძლია და იმიტომ არ ვიხევ უკან. და კიდევ... აღარ დავიკარგები, სად ჰყავს მარის დასაკარგი მგზავნელები? თაისი.

• გამარჯობა. ძალიან მომენატრეთ, კიდევ ვცდი ბედს და დაგიბრუნდებით, თუ მარი დამაბრუნებს. მინდა გთხოვოთ, ერთმანეთის ლანძღვას თავი დაანებოთ და საკუთარ თავებს მიხედოთ. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ აპოლონს — ადამიანს, რომელიც მაგრად მიყვარს და გამოჯანმრთელებას ვუსურვებ მას და ბიძამისს. ასევე აბსურდას, ანის, სევდიან გოგოსა და აფხაზეთის პრინცესას. ხალხს, რომლებმაც თავი შემაყვარეს, თუმცა, მე დავეკარგე მათ და საერთოდ, ყველას. **ashley,** ჩორი, ჩუქჩა, დუჩი, უმაგრესი ხალხია, მაგრამ ყველა დამეკარგა საცხა და იქნებ, მაპოვნინოთ? ეშმაკუნა, მიხეილი, გიჟი პოეტი, **green girl,** გუ-ათენი, გველი16, ჰანიბალი, ბოა უსაყვარლესი ადამიანები არიან და მაგრად მიყვარს, ყველა. იკჩო, ილინი, ირინკა, ჟურნალისტკა, კაკუ, კანიბალკა, კახელი სალომე, კახელო16, კოხი, ლაშა, ლელუჩია, ლეო91, ლორელაი ჩასაყლაპი ხალხია. **lily19,** კიკო, ლიმონა, მაესტრო, მამაცი თოჯინა, მაზოხისტკა, მეგრელი მგელო, მგლის და, მგელო, მონასტრის ბიჭი ხომ „ჯიგაროსნები“ არიან. მის რეალი, მოხევე, მუკობაზიერი, მანაველი, ნელკა, ნიკოლი, ნინო-მილანი, ოლეგარიო, პარიჟანკა, პენსიონერი, პეტრუშკა, პუკი, სევდია, სევდიანი, შეწირული, ტუტუცი, უზნეო ანგელოზი, ვერმახტი, ზაზუნა, მაგრად მიყვარხართ და დაბრუნდით! შეწირულო, დუჩი, მიხეილ, მანაველ, თქვენი ნომრები არ მაქვს და შემეხმიანეთ. ძალიან მინდა გავიცნო ფელამუშა, განძის მაძიებელი, კარდიოლოგი, ელისო, აბლახანუმი, ოჩოპინტრე, ლუნა, ხულიგანკა, ვასასი, გერასიმე, ლუციფერი, გრუზინკა, მაფიოზა, მავნე და სხვებიც. იმედია, არავინ გამომრჩენია. მაარ, ამ მესიჯით დამაბრუნე, რაა... ეს ამდენი ნაწერი რომ არ დამიბეჭდო, გავგიჟდები, იცოდე. თითი აღარ მივარგა. მიყვარხართ. სესი.

• მარ, რუბრიკა — „მკითხველები გენიოსობენ“ ძაან მაგარია. უნიჭიერესი ხარ, ქალუკ, რას აღარ მოიფიქრებ ხოლმე. ასეთი ყოვლისშემძლე როგორ ხარ, მეც მასწავლე, რა... მიყვარხარ. ეგოისტკა“.

• „მარი, წინა „გზავნილების“ შესავალში რაც დაწერე, მართალია. მე „გზის“ რეიტინიგის დაკარგვაში მარტო

ჩემი მესიჯების დაბლოკვა არ მიგულისხმია. აი, ხედავთ, რა ხდება? ერთმანეთს ვებრძვით. არადა, უნდა ვეფერებოდეთ და გვერდით ვედგეთ. ზოგს თავის დამკვიდრება უნდა, ზოგიც შურიანია და ზოგს საერთოდ ვერ გაუგია, რა უნდა. ალბათ შევცდი, იმ მეგრელს საერთოდ, პასუხი რომ გავეცი. „გზა“ იმიტომ მიყვარს, რომ აქ გავიცანი ძალიან საყვარელი ადამიანები. აწი ჩემგან არც ერთი აგრესიული მესიჯი არ იქნება (არც აქამდე ჭარბობდა, მაგრამ...). გვეყო სიფიცხე და ვეცადოთ, რაც შეიძლება ბევრი ჯანსაღი იუმორი და სითბო ვაჩუქოთ, ერთმანეთს. სადაც არის კიკო, ლიმონა, ათენი23, აპოლონი, კახელო616, იქ სიფიცხე ვერ გაიმარჯვებს. მარი, ყველა მესიჯი რომ დამიბლოკო, ეს 1 დაბეჭდე. არ მინდა მტრობა/ არ მინდა შური/ მე მინდა თქვენში თავშესაფარი/ მე მინდა სითბო/ და იუმორი/ სხვა ყველაფერი არს წარმავალი... მიყვარხართ. მის რეალი.

• თქვენი ჟურნალიც ამ მთავრობისაა! რატომ მიიწვიეთ უსირცხვილო ჯონდი ინტერვიუზე? გიბრძანეს, ზევიდან? ასე იყიდება ყველა უნებისყოფო ქართველი და რა გასაკვირია? ანა.

• გაუმარჯოს კარგ ხალხს! რავა ხარათ, ათენელო მგზავნელებო? ორ კვირაზე მეტია, არ მინახავხართ, ჩემო კარგებო, და ცუდი ამბები მომივიდაა... მოკითხვები საქართველოში, ყველას! გუ-ათენი.

• ჰო, მართლა, რაის თქმა მინდოდა... მსოფლიოში არსებობს ორი გზა. ერთი მიდის ხონში, მეორე მიდის რომში... ასე რომ, ერთ ძალიან ლამაზ გოგოს ჯერ წავიყვან ხონში, მერე — რომში. გუ-ათენი.

• მარი, მადლობა რომ არ გითხრა, გავაფრენ. :) შენი წყალობით, ჩემი მაკუშა ისევ დამიბრუნდა. ასე რომ, უღრმესი მადლობა, პატ... უჰ, მარიკუშას! ძმები ვართ! :) ზმიზმი.

• ვა, პენსიონერი, ოლეგარიო, ზმიზმი, ნიკოლი, ლუციფერი დაბრუნდნენ! გაიხარეთ და არსად დაიკარგოთ. 13.07.

• განძის მაძიებლის გარშემო ატეხილი ხმაური მაგრად მახალისებს. შორიდან იცით, რა სასაცილოები ხართ (კაი გაგებით)? გეხუტუნეთ! მის რეალ, ესპანეთი ხო მაგადია? მარაააა! 9122.

• აუ, ბავშვებო, ახლა გავიცანი პავლიკა. თქვენ ხომ არ იცით, ეს რა მაგარი ადამიანია. ძაან გამიხარდა. პავლიკ, კარგი ადამიანი ხარ, ძაან. გაიხარე! 9122.

• მოგესალმებით, მგზავნელებო. განსაკუთრებით — ათენელ მგზავნელებს. მე უკვე თავი დავაღწიე მაგ ჯოჯოხეთს და მინდა, თქვენც მალე დაბრუნდეთ საქართველოში.

• ერთი ჭიქა რძე, სატანის მზერა და გაცივებულ თვალებში დარდი, უსიერია ობოლი ზეცა და ვარსკვლავებში კრთის მთვარის ლანდი...

• პარიჟანკა, ერენიტა, აუუუუ! აქ ვაااარ! :) მიყვარხართ და მინდა თქვენთან მეგობრობა. ბოხო.

• მამუკას: რომ გითხრა, ეს პატარა, 29 წლის გოგო ლექტორს მიებარა-მეთქი, დამიჯერებ? ვინც მიცნობს, მათ იციან. ashley pcd-ს: კი, გაგეცნობი. ქუთათურო, ქუთაისში მოვდივარ. გრუზინკა.

• მანაველო, შენც ჯიგარი და თაფლი გოგო ხარ. განძის მაძიებელს და მგელკაცას — მოკითხვა. დეიდა გრუზინკას კი უამრავი კოცნა. დეიდა, ასე ძაან რატომ მიყვარხარ? ლუნა.

• კახელო 616, კახელო სალომე და 9717, ჩვენ 1 გუნდი ვართ. ოჯახის წევრებივით ხართ. აი, კიკო, ბუბუსიკა, ლიმონჩიკა კი ჩემი დაიკოები... გენაცვალოთ მის რეალი თქვენ!

• „მობილი-ზაციას“ სალამი! მოვიკითხავ მის რეალს, კახელო616-ს, კახელ სალომეს და კიკოს. მეგრელებო, გეყოთ ჩხუბი და მის რეალისა და კახელი სალომეს ლანძღვა. მაგრები არიან. ბალი.

• we are The Champions, we are The Champions! გილოცავთ, ესპანეთის ფანებო, მიყვარხართ! კასილასი უმაგრესი კაცი და მეკარეა. გაუმარჯოს შემტევ ფეხბურთს. აეე! მის რეალი.

• ნათუშკები, მადლობა სიყვარულისთვის. კიკო, არ ვიცი, სიტყვები არ მყოფნის, შენს შესაფასებლად. უსაყვარლესი ხარ! ასჰლეყ, ვეცდები. შენც სცადე, მაინც... მის რეალი.

• ზოგი აზრს დამიწუნებს, ზოგიც კიდევ, რითმას, ზოგი კიდევ სიმწრისგან, ახლა ენას იფხანს. მხოლოდ ზოგი მიხვდება, მის რეალის რითმას და იცოდეთ, სიმართლე ყველაფრისგან მიცავს!

• მოვიკითხავ მის რაგბის, უზნეო ანგელოზს, ცირას, ნათუშკებს, ლიფსო, მაგ ამბიდან 9 წელი გავიდა და ასეთი რამის დაწერა ჟურნალში არ შეიძლება. განძის მაძიებელი.

• მარ-ათენ, ეს „ვითომ მეგობრები“ ნამდვილი მეგობრები არიან, მე კი არც იმ გოგოსთვის დამიშავებია რამე (უმიზეზოდ რომ დებილი მიწოდა) და არც შენთვის. განძის მაძიებელი.

• 9717, კახელო616, ბალი, რიგითო რეზერვისტო, კასი, გოგა და ყველას, ვინც მხარი დამიჭირა, დიდი მადლობა. მე ვეთიშები კამათს, სიმართლეს ფიცი არ უნდა. ასეა, ასე! მის რეალი.

• მარ-ათენ, ჩვენს განძის მაძიებელს ნაცრისფერი სათვალით უყურებ. ჩვენ თუ ვძაბავთ, თქვენ იმავეს არ აკეთებთ? პრეზიდენტმა კი მანდ მეტი ხმა აკრიბა, ვიდრე — აქ. ნათუშკები.

• გრუზინკასა და განძის მაძიებლის მაგინებელი კავალიც და მამუკაც სინამდვილეში ძველი მგზავნელია და მათ სხვა მგზავნელებთანაც უმიზეზოდ ლანძღავს. ვთქვათ, ვინც არის?

• გავოგნდი! მე მგონია, რომ ღამით მძინავს და თურმე ნუ იტყვით, პაემნებზე დავძვრები და მხარზე კოცნით ვემშვიდობები მავანთ... :) ისე, ყველაფერი ხდება და... კარდიოლოგი.

• კახელებს ერთი გოგო ჰყავთ, გულბოღმიანი ქალუკა, თავს ხან პოეტი უწოდა, ხან კავალი და მამუკა; დემაგოგობას შეეშვი, ასე რამ გაგამწარუკა? ნესტარი.

• დე, შენ ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიხარული, ჩემი ცხოვრების ანგელოზი ხარ! უსაზღვროდ მიყვარხარ. მპუსკუნებიი! პატარა მავნე.

• როცა ვამბობდი, ჩემს დაბრუნებას რა აზრი აქვსმეთქი, მეუბნებოდნენ, პატარა კაკუ ყველას უყვარსო, მაგრამ ეს აქ ვერ დავინახე. წავბოდიალდი... პატარა მავნე.

• ბოთე, კეთილი იყოს შენი მოსვლა „გზაში“. აბიტურიენტებო, წარმატებები! ცირა.

• მოკითხვა მგზავნელებს. ძალიან მომწონს აპოლონის, მის რეალის, კიკოს, ლიმონას და კახელი სალომეს მესიჯები. მაგრები ხართ. იარმორკელი.

• როგორ ხართ? ეგოისტკა, დიიიდი მადლობა თბილი სიტყვებისთვის, მაგრამ ვერ გიცანი. მოვიკითხავ მეგრელ მგელოს, შეწირულს და პარაზიტკას. მიყვარხართ. მაზოხისტკა.

• მოგესალმებით ყველა მგზავნელს. 15 ივლისს, ზუგდიდში ღვთისმშობლის კვართის ვლაქერნობის დღესასწაულია. ერთმანეთის გაცნობა თუ გვინდა, დადიანების სასახლე, 12 საათი. მგზავრი.

• აუ, რა კარგია ზღვა, მზე და თოლიები... მომენატრა თელავი და განძის მაძიებელი, მაგრამ აგვისტომდე აქ ვრჩები. ვიღაც მოზასავევ, ენა დაიმოკლე და ნუ მაბრაზებ. ვინმე.

• ფელამუშამ მომიძია? მე აქ ვარ, თქვენთან, „გზაში", ოღონდ ნიკი შევიცვალე და ჩარჩოშიც ორჯერ გახლდით. ტარზანის საცოლე გოგო მაინც კამელიად დავრჩი. მიყვარხართ!

• ბოთე და წიკო შემოგვიერთდნენ. მობრძანდით, გეთაყვა, „მობილი-ზაცია" მიგიღებთ. ბოთე, გაგიცნობ. ცირა.

• მგზავნელებო, დიდი ხანია, თქვენს მესიჯებს თვალს ვადევნებ და გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ (თუ მიმიღებთ). ყველანი ძალიან მიყვარხართ. გაკოცეთ ბევრიი. ბაია.

• ლუციფერ, რას შვრები, როგორ ხარ? გამოჯანმრთელდი? წარმატებებს გისურვებ. იმედია, წელს მაინც ჩააბარებ. ლაზარე.

• ჯეჯე, ჩემი ნომერი იცის ოლეგარიომ (მაგას შემოვევლე), ასევე გრუზინკამ, გიო93-მა, აფხაზეთის პრინცესამ, ლუნამ, green girl-მა, გამოართვი ვინმეს და მომწერე. მანაველი.

• შეწირულის ამბავმა შემძრა. ძალიან მინდა გავიცნო და ვიმეგობრო მასთან, მაგრამ მეშინია, ვაითუ, შემიყვარდეს. მოვიკითხავ პატარა მავნეს. მპუა, შენ. პრინცესა.

• დაგემშვიდობეთ კიდეც, მაგრამ ახლა ძალიან გულნატკენი გწერთ. რა გჭირთ, ხალხო, რატომ ლანძღავთ ერთმანეთს, არ გრცხვენიათ? მის რეალი იცით, რომ უძალიანმაგრესი ადამიანია? თუ არ იცით, მე გეტყვით, რომ მართლა მაგარი ადამიანია და მაგრადაც მიყვარს. ამიტომ გაფრთხილებთ, ჭკუას მოუხმეთ და დამშვიდდით. დაფიქრდით, სანამ რამეს დაწერთ. მივდივარ და თან — სამუდამოდ. ველარ ვიყიდი იმ ჟურნალს, სადაც ჩემს საყვარელ ადამიანებს ცუდად მოიხსენიებენ. მარ, ძალიან გთხოვ, აღარ დაბეჭდო ასეთი მესიჯები. მერწმუნე, ყველა ძველი მგზავნელი დაიკარგება. ერთ-ერთი მე ვარ. მაპატიეთ, არ მინდოდა, ცუდად მეთქვა რამე, მაგრამ ახლა წავიკითხე „გზა" და ცუდ ხასიათზე დავდექი. ნახვამდის! კიკო.

• სალამი ყველა მგზავნელს. მოვიკითხავ ილინს, პარიჟანკას, green girl-ს, განძის მაძიებელს, ყველანი მაგრები ხართ! მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ თქვენს სამყაროში.

• ისტორიამ ჩააბანძა ჰიტლერი და გებელსაო, კავალ, რას გადაეკიდე განძის მაძიებელსაო? ვერც მამუკა ვერ გაუძლებს გრუზინკასთან ტენდერსაო.

• დავიჯერო, არავის გინდათ ჩემი გაცნობა? კარგი, რა, რა მოგივიდათ? მგონი, მარტო მე ვარ ის მგზავნელი, რომელსაც არც ერთ მგზავნელთან არ აქვს ურთიერთობა. გამეცნობით?

• გმადლობთ, ქუთათურო, დიდი სალმისთვის. კარგი ადამიანი ჩანხარ. ჩვენი ქალაქი ხომ უსაზღვრო მონატრებისა და უზომო სიყვარულის მესაიდუმლეა. ქუთაისელი ლომუა.

• ფლამინგო, გმადლობთ გულითადი მიღებისთვის. როგორ თქვი, ღმერთმა გვამრავლოსო? ამინ! შენს პირს შაქარი. მეტი ქუთაისელი — კიდევ მეტი ძლიერი სიყვარული. ლომუა.

• ხალხო, ნუ დაერიეთ ერთმანეთს, რა. მე ჭკუას არავის ვასწავლი, მაგრამ ნუ გახადეთ ეს ჟურნალი ბავშვური კინკლაობის მომსწრე. ამას მთელი საქართველო კითხულობს. ლომუა.

• აბა, დროებით, ტკბილებო, მაგრად იყავით. ერთმანეთს ლექსები მივუძღვნათ და სიყვარული ვაჩუქოთ, გინებისა და სიძულვილის სანაცვლოდ. ქუთაისი ასეთია. ლომუა.

• გადავწყვიტე, აღარ დავამესიჯო. არავისიც არ მეშინია და რაც გინდათ, ის იფიქრეთ ჩემზე. აქ უჩემოდაც მაგრად აირია მონასტერი. ყველანი თვალმაქცები ხართ. კავალა.

• დიდი მადლობა, მარი, მესიჯი რომ დამიბეჭდე. უზომოდ გამახარე, ღმერთმა გაგახაროს. ჩემი ნიკი იასამანია.

• კახელი სალომე, ჯეჯე, განძის მაძიებელი, კამელია, მართლა ძაან მომწონხართ. მაგარი იუმორი გაქვთ. იასამანი.

• მის რეალსა და კახელ სალომეს ცუდად აღარავინ შეეხოს, გასაგებია? ნიცოლე, ბოტოტა, მის რეალ, აბეზარა და მის 13.07, უღრმესი მადლობა, გვერდში დგომისთვის. ashley pcd.

• საყვარელო კამელია, შენი ნომერი მინდოდა და არ მომცა ერთმა. იქნებ მოიძიო ჩემი ნომერი და შემეხმიანო? კახელი სალომე.

• „ნურც დამივიწყებთ" კი არა, „ნუუც, დამივიწყე?" — აი, ეგ მეწერა. ზაზუნა22, ნელკა, სად დამეკარგეთ? ლიფსო, რავა ერთდროულად გაგვახსენდა ერთმანეთი? ძველებს მოკითხვა. ბაო-ბაო.

• ლუნა, სიხარულო, 24 ივლისს გილოცავ, ჩემო ონავარო დისშვილო. მინდა, ყველაფერი საუკეთესო გისურვო. შენ ხომ ჩემი პატარა ნებიერა ხარ. დეიდას ძალიან უყვარხარ. გრუზინკა.

• ღამით, როდესაც მოვა ურჩი სიზმრები, ჩემს ოცნებებში აკვნესდები, როგორც მუსიკა. მინდა მსოფლიომ, მგზავნელებმა, ყველამ გაიგონ, რომ კამელიას სიგიჟემდე უყვარს გრუზინკა.

• პირველი მგზავნელი, ვინც გავიცანი, გრუზინკაა. ისეთი საყვარელი გოგოა, პირდაპირ ჩასაყლაპი. გრუზინკა, მაბოდებს შენზე და მიყვარხარ მაგრად. ყველანი მიყვარხართ! კამელია.

• ბოთეს გაუმარჯოოს! რა ხდება ხალხო, რამხელა აგრესია მოდის იცით, თქვენგან? რა არის, განძის მაძიებელმა თავისი საქმე თვითონ ვერ უნდა მოაგვაროს? მგელო, სად ხარ? 9122.

• მალიკუნა ბრუსკუნაო, მესიჯი რომ გამირემიქსე, არა უშავსო? შე ჩემსავით რაჭველო, როდის მოგწერე და როდის დაბეჭდე? ნიკიც შემიცვალე...

• ღმერთის არ გეშინია? აცნობიერებ, შენი ნიკის შინაარსს? ნუთუ არავის გაურკვევიხარ ამ საშინელებაში? შენივე ნიკით მოგმართავდი, მაგრამ არანაირი სურვილი არ მაქვს.

• ბაო, ჯიგარი ხარ, გაიხარე, მადლობა მოკითხვისთვის, მაგრამ ფეხი კი არა და ხელი მქონდა მოტეხილი. ჯიგარი ხარ. ლიფსო.

• შეწირულო, მაგარი კაცი ხარ, არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. შენი თავის გჯეროდეს. ღმერთი გფარავდეს. ლიფსო.

• ეს რა ვნახე და რა

წავიკითხე, მგზავნელებო? გათვალული ხომ არ ხართ? ასე საშინლად რატომ ლანძღავთ ერთმანეთს? მარი მართალია! გონს მოდით, საყვარლებო. იასამანი.

• გუგა ბახტაძე, მიყვარხარ უზომოდ. გუ-ათენს არავინ გაეფარცქვალოს, მაინც არ სცალია. გუ, მიყვარხარ! შენი გადარეული.

• ანგელოზი გავიცანი, რომელსაც ვაღმერთებდი. ისეთი ნაზი და საყვარელია, ყველა ისურვებს მის გაცნობას, მაგრამ მარტო მე გამიმართლა. მიყვარხარ, შენი გული ვარ. გრუზინკა.

• თამაზ ლაბაძე, ვერ დაგივწყე. 22 წელია, ვერ გივიწყებ. სიყვარული არ ვიცოდი რა იყო, ჩემი გული ზედ შუაზე გაიყო. ნახევარი შენ წამართვი, წაიღე.

• კობა, სიგიჟემდე მენატრები. რაც უნდა მითხრან, მე ჩვენი სიყვარულის მჯერა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე დაგელოდები. გკოცნი ბევრს. ციო. როცა შენ გიხსენებ, რაღაც მემართება, თითქოს ჩემი გული ნაზად იღიმება და თუ ახლა შორს ვართ, ამით რა შავდება? ჩვენ ხომ ერთმანეთი მაგრად გვენატრება.

• ჯონი მახათაძე, ჩემო უსაზღვრო მონატრებავ, აღარ შემიძლია, უშენოდ. ცრემლიანი ღამეა ახლა ჩემი ერთადერთი თავშესაფარი. მეამაყები, ჩემო ჯარისკაცო. მენატრები, ჯონი. შენი სითბო და ყურადღება ახლა ისე მჭირდება, როგორც არასდროს. ძალიან მკაცრად მოგვექცა ცხოვრება, ძვირფასო. ისღა დამრჩენია, შენზე ვილოცო. მადონა.

• ზემო ხოდაშენში მცხოვრებ მიშოს, იგივე ლაბდარას ვეუბნები, რომ ძალიან მიყვარს.

• ირინე სუჯაშვილს იცნობთ ვინმე? ყაზბეგიდანაა და თუ ამას წაიკითხავ, მინდა იცოდე, რომ გაგიუებით მიყვარხარ და დაგელოდები. ვიცი, რომ არ შემიყვარებ, მაგრამ მაინც. გკოცნი.

• ახალგაზრდა ბებიებო, ნონა და ნინო აბრამიძეებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს. ასევე მინდა თქვენს მესამე დაქალს, თამილა ხელაძეს მივულოცო დაბადების დღე. მშიშარა.

• რუსთავში, მაყვალა გუნიავას მინდა მივულოცო დაბადების დღე, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შვილებისა და შვილიშვილების კარგად ყოფნას. გკოცნი და გეფერები, თინიკო.

• ზურა ბრეგვაძე, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ვაჟკაცო შვილო, მრავალს დაესწარი, შენს ლამაზ ცოლშვილთან და ოჯახთან ერთად. გფარავდეს ყოვლადწმინდა სალოცავი, ჩვენო ვაჟკაცო. შენი მშობლები, მზია და მიშა ბრეგვაძეები.

• 13 ივლისს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს სიყვარულს, ხათოს. ბუთქუ, მრავალს დაესწარი, გისურვებ ყოველივე კარგს. მიყვარხარ. ბუთქუ, დამირეკე, გესმის? შენი გიჟი ბიჭი.

• 13.07-ს ანუ ხათოს. გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ულევ სიხარულსა და სიყვარულს გისურვებ. გფარავდეს ღმერთი. ათენი-23.

• 13.07-ო, ჩემო საუკეთესო დაიკო, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, სიხარულო, ღმერთი გფარავდეს! გკოცნი. გუ-ათენი.

• გიორგი ომიაძეს, 1-ელ ივლისს, დაბადების დღეს, ულოცავს დედიკო. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს. შენ ხარ ჩემი იმედი. სიცოცხლე შენით მიხარია.

• ნუკრი გეორქოვო, გილოცავ დაბადების დღეს, 9 ივლისს. გისურვებ ჯანმრთელობას, მოულოდნელ თავისუფლებას და ბევრ სიხარულს. ჩემი დიდი და დაუვიწყარი სიყვარული ხარ. ანუკი.

• ნატო გოგალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, კიკინა ნატალი.

• მაიკო მელკონოვს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ყველაფერს კარგს, ცხოვრებაში. გფარავდეს უფალი. გვიყვარხარ. დედიკო, მამიკო და დიანა.

• ჩემს საყვარელ ქმარშვილს, გიორგი და დავით ღაღანიძეებს! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ულევ სიხარულს. გფარავდეთ და გწყალობდეთ უფალი. გაიხარეთ. გკოცნით. ქეთინო.

• ანტონ, გილოცავ 23 წლის იუბილეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიყვარულს და მალე ჩვენთან დაბრუნებას. გვიყვარხარ და გვენატრები. შენი ცოლ-შვილი, ნინო და ლიზი.

• აპოლონს და ვერმახტს დაგვიანებით ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ სიყვარულს და სურვილების ახდენას. აქვე, ჩემს პრინცესა კამელიას მოვიკითხავ. გრუზინკა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ●

როგორ იქექავენ თავს სხვადასხვა ადამიანები



ვერძი

თავის ქექვას იწყებს უეცრად და ნერვიულად. თავის ქმედებებთან დაკავშირებით, რჩევებსა და კრიტიკას ვერ იტანს. ჩვეულებრივი ამბავია, თუ მის თავის ქექვას მასობრივი დაპატიმრებები, რევოლუციები და ხანდახან — მსოფლიო ომიც მოჰყვება.

კურო

საქმეს მთელი გულით უდგება. თავის მოქექვამდე უბის წიგნაკში ჩანაწერს აკეთებს — „შაბათი, 19:04 — თავის მოქექვა“. ტელეფონზე ამ დროისთვის ზარს აყენებს, თითის დეზინფექციას იტარებს და სპექტრომენტალური ტესტირების საშუალებით, მოსაქექავად თავის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ირჩევს. არასოდეს აცილებს მიზანს.

ტყუპი

თავის ხან — ერთ, ხან — მეორე მხარეს იქექავს და ვერაფრით გაუგია, რომელი მხარე მოიქექოს. ბოლოს, აღარც ერთ მხარეს არ მოიქექავს, მაგრამ საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩება და ერთ კარგ სტატიას ან ლექსს „გამოაცხობს“, ფერწერულ ტილოს შექმნის ან ორკესტრისა და ფორტეპიანოსთვის კონცერტს დაწერს.



კიბო

ძალიან მორცხვია. ამის გამო თავს მხოლოდ ბნელ შენობაში იქექავს, როცა მარტოა. ამ დროს სამყაროს ამაოებაზე ფიქრობს და ქექვით მიღებული შეგრძნებების შესახებ დღიურში დაწვრილებით აღწერს.

ლომი

თავს გამორჩეულად, მაყურებელთა აპლოდისმენტების თანხლებით იქექავს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შეძახილები — „ბრავო“ და „ბის“ თავის ქექვის პროდუქტიულობასა და ხარისხს 40–47%-ით ზრდის.

ქალწული

როგორც ნამდვილი ესთეტი, თავს არასოდეს იქექავს. ეს მის ღირსებასა და მორალურ-ეთიკურ პრინციპებს არ უპასუხებს. სამაგიეროდ, აქტიურად ერთვება გერჰარდ ფონ კრაინერშტაისბურგის „თავის მოქექვა, მიზეზები და შედეგები“ — განხილვაში, რის შემდეგაც, ვრცელ რეცენზიას წერს და ამ თემაზე ინტერვიუსაც იძლევა.

სასწორი

ვიდრე თავს მოიქექავს, დაწვრილებით განიხილავს ამ საქმის ყველა დადებით და უარყოფით მხარეს, მეგობრებსა და ნათესავებს რჩევას ჰკითხავს, გაესაუბრება ფსიქოლოგს, წაიკითხავს გერხარდ ფონ კრაინერშტაისბურგის ნაშრომს — „თავის მოქექვა, მიზეზები და შედეგები“, თვალს გადაავლებს გაზეთში დაბეჭდილ ქალწულის ინტერვიუს, ისევ ჰკითხავს მეგობრებს რჩევას და ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტილებას მიიღებს, მოიქექოს თავი თუ არა.



მორიელი

თავს ირონიული ღიმილით, ისე იქექავს, თითქოს ახალ მსხვერპლს ირჩევს. უმჯობესი იქნება, ამ პროცესში არ შეაწუხო და არც კი მიუახლოვდე. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ დროს მორიელი განსაკუთრებით დაუნდობელია.

მშვილდოსანი

თავს ენერგიულად იქექავს, თან ხუმრობს და ყველას ართობს. თავისი გონებამახვილობით მშვილდოსანი ყველას ყურადღებას იპყრობს. ის სამოგზაუროდ გაემართება და ყველაფერს მოსპობს, რაც თავის ქექვაში ხელს შეუშლის.



თხის რძა

თავს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იქექავს და ამ დროს იძახებს სასწრაფო დახმარებას, პოლიციას, სახანძროსა და მეზობლებს — ისე, ყოველი შემთხვევისთვის. თხის რქას ურჩევნია, უსაფრთხოების ზომები წინასწარ მიიღოს, ვიდრე მერე, ტელეფონის ციფერბლატზე ნომერი მოტეხილი თითით აკრიბოს.



მერწყული

მერწყულებს შორის ყველაზე მეტი გენიოსია, ვიდრე ზოდიაქოს სხვა ნიშნებში. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ თავის ქექვას მოჰყვეს, გამოიყვანს იდეალური ქექვის, აბსოლუტური ქექვისა და ნახევრად ქექვის ფორმულას და აბსოლუტური ქექვიდან მე-3, მე-6 და მე-8 ხარისხის ფესვს ამოიყვანს, მაგრამ ამაზე არ შეჩერდება, მოჰკიდებს ხელს თავის ზოდიაქურ მეგობარს — ტყუპს და ერთად დაწერენ კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის.



თევზები

გამუდმებით იქექავენ თავს. თავის ქექვის თანხლებით ჭამენ, სვამენ, ვარჯიშობენ, ინსტრუმენტზე უკრავენ და მიტინგზე სიტყვითაც გამოდიან. ასე უზრდელობის გამო კი არა, იმიტომ იქცევიან, რომ გამუდმებით ფიქრობენ და საკუთარ თავს ულრმავდებიან. ამასობაში კი თავიდან ხელის ჩამოლება ავიწყდებათ. ხოლო როცა ახსენდებათ, უკვე გვიანია, რადგან კვლავ თავის მოქექვის დროა...

რამდენიმე თვის წინ, ჩემ მიერ ამოწერილი იმ ინტერნეტსტატიების ინტრიგით სავსე სათაურები შემოგთავაზეთ, რომელიც მკითხველის მისაზიდავადაა განკუთვნილი. ახლა ისევ გთავაზობთ კურიოზული სათაურების ჩამონათვალს და იმედია, ისევე იხალისებთ, როგორც წინა ნომრებში დაბეჭდილ თქვენს „მესიჯ-კურიოზებზე" იხალისეთ. მაშ ასე:

ნაპოვნია ალიბაბასა და 40 ყაჩაღის ჩონჩხები



РАСПУТИН ДВАПУТИН

- მაქსიმ გალკინმა, პუტინის თხოვნით, პირის ღრუს გაფართოების კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა.
- ანგელინა ვოვკმა ჰელენა ხანგა დაკბინა.
- იუშჩენკო „ადამიანი-ამფიბიას" ყოველდღე ჩვენებას მოითხოვს.
- „სასწრაფო დახმარების" გამოძახებისას შენი ადგილსამყოფლის გრძედი და განედი უნდა უკარნახო.
- ჰოლანდიის პორნომაღაზიებში „სპარტაკის" მატჩების ვიდეოჩანაწერი იყიდება.
- ნაპოვნია ალიბაბასა და 40 ყაჩაღის ჩონჩხები.
- საფარმურატ ნიაზოვმა მენდელეევის ტაბულა თარგმნა.
- გალკინმა პირი ისევ გაიხია.
- სენსაციური ფოტო, პამელა ანდერსონის შრომის წიგნაკიდან!
- დაკარგული კატა „გოსდუმის" სპიკერის სავარძელზე აღმოაჩინეს.
- კორუფციის მერე, პირველ რიგში, პროსტიტუციის ლეგალიზება მოხდება!
- რუსული ავტომობილი მსოფლიოში საუკეთესოა!
- შთამომავლობითმა მკითხავმა ინჟინრის ხელფასი მიითვისა.
- აფთიაქს, „36,6" სახელს გადაარქმევენ და იქნება „37,1".
- გარდაცვლილ პენსიონერებს წამალს სასაფლაოზე მოიუტანენ.
- რიაზანელმა ვუნდერკინდმა ცარიელი ბოთლებისგან სამყაროს მოდელი შექმნა.
- ახალი წლიდან ეკლესიას „ღმერთის ფან-კლუბი" დაერქმევა.
- პენსიონერების პარტიის ემბლემა რუბიკის კუბიკი იქნება.
- მრავალშვილიანმა ოჯახმა მფრინავი თეფში მოიპარა.
- პუტინი ინდიელების ტომთან თანაცხოვრებას უარყოფს.
- ცრუპენსიონერი სტუდენტ-ქიმიკოსს ძუძუს აწოვებდა.
- მთავარ მოედანზე ჯამბაზების გაფიცვა მოეწყობა.
- კუზიან მყვინთავს ფარფლი მიაკერეს.
- სკოლებში დეფლორაციის კაბინეტები შეიქმნება.
- აცრის დროს ბავშვი გასკდა.
- მთვარე კარაქისგან შედგება და არა — ყველისგან, როგორც აქამდე იყო ცნობილი.
- გინეკოლოგმა ბრიტნი სპირსს ფეხებზე ცერა თითები მოაჭამა.
- ფეტიშისტი პამელა ანდერსონის ტრუსისგან მოხარშული წვნიანით მოიწამლა.
- პუტინის გენეტიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მისი გვარია — უტკინი.
- მოლაპარაკე საფლავი 2 წლის განმავლობაში მუშაობდა, როგორც — სექსი — ტელეფონით.
- ტრაგედია ამერიკაში: შიშველი გურჩენკო „პლეიბოის" ფურცლებზე გამოჩნდა.

„ტიკჭოხა", „ლომი" და... გურამ რჩეულიშვილის ბედისწერა



მივდიოდით და ხელკავს გავუკეთებდით, წამში კუნთებს დაჭიმავდა – ასეთი სიარული იცოდა

ირმა ხარშილაძე

სკოლაში 1941 წელს შესულან, ორი წელი მე-3 საცდელ (ახლანდელ 23-ა საჯარო) სკოლაში უსწავლიათ გოგონებთან ერთად, შემდეგ დაუყვიათ, გოგონები იქვე დაუტოვებიათ, რადგან მეფის რუსეთის დროს აშენებული სკოლა მაშინაც ქალთა ყოფილა, ვაჟებს კი — მეხუთე კლასამდე შენობის ძებნაში „უმოგზაურიათ" და ბოლოს, სკოლის დამთავრებამდე ანუ 1952 წლამდე, კიევის ქუჩაზე, მე-19 ვაჟთაში უსწავლიათ... ალბათ, ოდესღაც, სხვების დარად, არც ის ბიჭები და არც მათი პედაგოგები ფიქრობდნენ, რომ წლების შემდეგ ერთი ჩვეულებრივი კლასის მოსწავლეები თავიანთი წარმატებებით სახელს გაითქვამდნენ, რომ მათ შორის იყო ერთი განსაკუთრებულად გამორჩეული ბიჭი, რომელიც უთბილესი მოთხრობებით, ვაჟკაცობით, გამბედაობითა და სიკვდილითაც კი ქვეყანას აალაპარაკებდა. დღეს „არაჩვეულებრივი გამოფენა" მწერალ გურამ რჩეულიშვილის თანაკლასელს, საზოგადოება „ცოდნის" მთავარ რედაქტორს, ბატონ **ნოდარ ზედელაშვილს** *მასპინძლობს.*

— კლასში 35-40-მდე ვაჟი ვიყავით. წარმოგიდგენიათ ამდენი ვაჟი ერთად? — რას აღარ ვაკეთებდით — ვჩხუბობდით, მასწავლებლებს ვაჯავრებდით... მე-7 კლასში ქიმიის შესწავლა დავიწყეთ, არაჩვეულებრივი მასწავლებელი გვყავდა, ლეონიდე გოგიბერიძე. გურული კაცი იყო და ჩვენზე რომ გაბრაზდებოდა, გამოგვიცხადებდა: „მეოთხედური ვორი"! თუმცა საბოლოოდ არავის აყოლებდა „ვორს", „გაჭირვებულ" სამიანს მაინც გვიწერდა (*იცინის*).

— **ქალი-მასწავლებლები გყავდათ?**

— როგორ არა, იმ დროს სკოლის დირექტორებიც კი იყვნენ ქალები. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მაშინ ყველა სკოლას თავისი დირექტორის სახელით იხსენიებდნენ — ვერაზე „დობრი მიშკას სკოლა" იყო, იგივე ვაჟთა მე-8. იცით, რატომ ეძახდნენ ასე? — სხვა სკოლებიდან გაგდებული ბავშვები ყოველთვის ამ სკოლას აფარებდნენ თავს. 55-ე სკოლას „იპოლიტეს სკოლას" უწოდებდნენ, ჩვენს სკოლას „ლავროსი კოტრიკაძის სკოლა" ერქვა. ლავროსი კოტრიკაძე მაშინ ყველას საშინელი კაცი გვეგონა — ძალიან მკაცრი იყო. მახსოვს, სკოლაში კიტელის ტიპის შავი ფორმებითა და სკოლის გერბით დამშვენებული ქუდებით დავდიოდით, დიდი, ბალთიანი ქამრები გვკეთა და ბალთაზე „მე-19 სკოლა" ეწერა. ყოველ დილით ლავროსი კოტრიკაძე სკოლის ეზოში იდგა და უფორმოდ არც ერთს არ გვიშვებდა შენობაში. გაჭირვებული ცხოვრება იყო და ხანდახან შეიძლებოდა, არ გვცმოდა ის ფორმა, თუმც უფორმოდ იშვიათად ვახერხებდით სკოლაში შეპარვას, ძირითადად კი დირექტორი უკან გვაბრუნებდა. თან ამის გამო მშობელსაც იბარებდა. დედაჩემი სულ იმას მეხვეწებოდა, — ოღონდ ლავროსისთან არ მიმიყვანო და მეტი არაფერი მინდაო (*იცინის*).

— **თქვენს თანაკლასელებზეც გვიამბეთ.**

— ძალიან კარგი კლასი გვქონდა, ბევრი მათგანი კარგი მწერალიც გამოვიდა. საერთოდაც, უმაღლესი განათლების გარეშე არც ერთი თანაკლასელი არ დარჩენილა. აგერ, ოთარ იმედაშვილი შესანიშნავი ბიჭი იყო, არაჩვეულებრივად უკრავდა და მღეროდა; დიმიტრი გეგელია ბრწყინვალე ინჟინერი გამოვიდა, აეროდრომებს აშენებდა, მერე ამერიკაში გადასახლდა და იქ გარდაიცვალა; ჯემალ გიორგაძე, ზორბა ტანის გურული ბიჭი, სკოლაში ფოტოგრაფიით იყო გატაცებული და სულ ის გვიღებდა სურათებს. სხვათა შორის, შესანიშნავი აკრობატი იყო და მახსოვს, მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან გამოსულები გავაქეზებდით ხოლმე და ისიც დაუზარებლად, სულ სალტოებით ჩამოჰყვებოდა ხოლმე ვერის დაღმართს; ლექსო მჭედლიშვილი საქართველოს სახალხო არტისტი გახდა, პროფესიონალი აკრობატი იყო, ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა. როდესაც ჩვენთან ქართული ცირკი შეიქმნა, მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა — ყანჩელმა წაიყვანა, ლექსომ იქ თავისი ჯგუფი შექმნა და სიბერემდე ეს ჯგუფი „მჭედლიშვილების ჯგუფის" სახელით

გურამ რჩეულიშვილი ნოდარ ზედელაშვილი

ნოდარ ზედელაშვილი

გამოდიოდა მთელ საბჭოთა კავშირში; არაჩვეულებრივი ინჟინერი ბორის ინასარიძე ბოლოს „კოლხეთმშენის“ ტრესტის მმართველი იყო; გოგი ცინცაძე ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ; ვასიკო თევდორაშვილმაც ინჟინრობა ირჩია, არაჩვეულებრივი ბიჭი იყო; დავით ჯავახიშვილი და კარლო არსენიშვილი ძალიან საინტერესო მწერლები გამოვიდნენ — სამწუხაროდ, სამივე ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. გურამ რჩეულიშვილის შესახებ კი იცით, რომ 1960 წელს დაიღუპა ზღვაზე... მაშინ, სკოლის ასაკში, არავინ ვფიქრობდით, ვინ ვიქნებოდით მომავალში ან რას გავაკეთებდით, მხოლოდ სიცელქისა და მაიმუნობისკენ გაგვირბოდა თვალი.

— ვინ იყო გამორჩეულად ცელქი?

— მაგალითად, გურამ რჩეულიშვილი ძალზე მოუსვენარი იყო... გამახსენდა, მეთერთმეტე კლასს ვამთავრებდით და გადავწყვიტეთ, თავები გადაგვეპარსა. დილით შინიდან გამოსულებმა, ჯერ დალაქს შევუარეთ, სამართებლით თავები გადავიპარსეთ და ასე გამოვცხადდით სკოლაში. რუსულის გაკვეთილი გვეწყებოდა და ყველანი ჩავიმალეთ მერხებში, მხოლოდ გადაპარსული თავები გვიჩანდა. შემოვიდა რუსულის მასწავლებელი თამარ ჯაფარიძე, არაჩვეულებრივი ქალბატონი და დამსახურებული პედაგოგი და გაგიჟდა — უკან გავარდა, გზად ლავროსი კოტრიკაძე შეხვედრია და წამოუყვანია. ისინი რომ შემოვიდნენ, უკვე მერხებთან ვისხედით. ახლა დირექტორი გადაირია და ყველანი გარეთ გამოგვყარა, — წადით, მშობლები მოიყვანეთო. მშობლებიც გაგიჟდნენ, თავგადაპარსულები რომ დაგვინახეს. საწყლები თავს იმართლებდნენ, — ჩვენ არ მიგვიცია ამის უფლება, შინიდან ქოჩრიანები გამოვუშვითო (*იცინის*)... კიდევ, მახსოვს, მეცხრე კლასში ქიმიის მასწავლებელმა ლეონიდე გოგიბერიძემ აგარის შაქრის ქარხანაში ექსკურსიაზე წაგვიყვანა, შაქრის დამზადების ტექნოლოგიას უნდა გავცნობოდით. იქ შაქრით გაგვიმასპინძლდნენ და იცით, ეს რას ნიშნავდა? — იმ გაჭირვებული ცხოვრების დროს კარგი პურმარილის გაშლას. კარგად ვიჯერეთ გული, შინაც გამოგვატანეს შაქარი, მაგრამ გზაში შემოგვეჭამა. ექსკურსიაზე ცოტა ღვინო გვქონდა წაღებული და რამდენიმე ბიჭმა ჩუმად, მასწავლებელს რომ არ დაენახა, დავლიეთ. რომელიღაც სადგურში მატარებელში მგზავრები ამოვიდნენ, მათ შორის ერთი ძალიან სიმპათიური გოგონა იყო. გურამს ძალიან მოეწონა, სასმელმაც სითამამე შეგვმატა და გავიცანით. მეორე დღეს კლასში, გაკვეთილზე ვსხედვართ და ვხედავ, გურამი რაღაცას წერს. ძალზე დავინტერესდი. ზარი რომ დაირეკა, ის სქელტანიანი რვეული მერხში შეაგდო და გავიდა. მე სასწრაფოდ გამოვაძვრე, გადავშალე და... თურმე იმ გოგონაზე მოთხრობას წერდა. „ტყის გიჟი“ ერქვა იმ მოთხრობას, ახლაც არ მესმის, რატომ დაარქვა — ის გოგო ტყეში ხომ არ შეგვხვედრია (*იცინის*)! რაღა გამაჩერებდა, ყველა ბიჭს წავუკითხე ხმამაღლა. შემოვარდა გურამი, დიდი ამბავი დაგვაწია და ნაწერი დახია. სხვათა შორის, მერე ბევრჯერ მიფიქრია და მინანია ჩემი საქციელის გამო — ხომ შეიძლებოდა, ისე გაბრაზებულიყო, რომ საერთოდ აღარ დაეწერა?

— მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა... კიდევ რას მოგვიყვებით გურამზე?

— ცურვა არ იცოდა. მამამისს — აკადემიკოს მიხეილ რჩეულიშვილს სულ მთაში დაჰყავდა, ცხენიც საკმაოდ პატარამ გააჭენა, მაგრამ მთაში ცურვას ნამდვილად ვერ ისწავლიდა. ზაფხულობით რესტორან „არაგვის“ ადგილას რომ საცურაო აუზი იყო, იქ ვიპარებოდით და ვბანაობდით. გურამი აუზის კიდეს დაეკიდებოდა ხოლმე და ასე ჩერდებოდა წყალში. ისეთი გამბედავი იყო, გვეუბნებოდა, ზემოდან გადმოვხტები წყალში, ოღონდ მერე თქვენ გამომიყვანეთო. მახსოვს, უნივერსიტეტში პირველ კურსზე ნორმატივებს ვაბარებდით, სავალდებულო იყო, 50 მეტრზე გაგეცურა და კოშკიდან გადმომხტარიყავი. გურამის ნაცვლად ვიღაცამ კი გაცურა, მაგრამ 10-მეტრიანი კოშკიდან, საიდან გადმოხტომისაც ყველას გვეშინოდა, გურამი, ისე, რომ ცურვა არ იცოდა, გადმოხტა. ჩამოხტა თუ არა, წყალში დავხვდით და გამოვიყვანეთ. სამაგიეროდ, მერე ისეთი ცურვა ისწავლა, დელფინივით იყო. ალბათ, ესეც ბედისწერაა, რომ ზღვაში სხვის გადასარჩენად შესული დაიღუპა...

— კიდევ რა ხდებოდა სკოლაში თუ სკოლის გარეთ?

— მაშინ ხშირად ვაწყობდით წვეულებებს, განსაკუთრებით, საახალწლოდ. არადა, სულ ბიჭები ვიყავით, გოგონები ხომ უნდა „გვეშოვა“, მიგვეწვია. ხან რომელიმეს დის მეგობრებს ვეპატიჟებოდით, ხან ვინმეს შეყვარებულის ნაცნობებს და ასე ვერთობოდით. ბევრ მათგანს ახლა რომ შევხვდებით ხოლმე, სიცილით ვკვდებით — რას ვგავდით მაშინ, როგორი ჩაცმულები დავდიოდით და როგორ მოგვწონდა ერთმანეთი (*იცინის*)?

— გურამ რჩეულიშვილს ჰყავდა შეყვარებული?

— გურამი სულ შეყვარებული იყო. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ძლიერი მუშტიც ჰქონდა. საქმეებს ხშირად ვარჩევდით. ჩვენ ხომ კიევის ქუჩაზე ვსწავლობდით, რატომღაც ამოჩემებული გვქონდა მეჩნიკოვის, ახლანდელი დოდო აბაშიძის ქუჩის 9 ნომერი. ამ სახლის ეზო ყოველთვის ცარიელი იყო და ამიტომ საჩხუბრად ყოველთვის იქ მივდიოდით. ჩხუბი რა?! იარაღი არასდროს გვქონია, დანაც კი არავის გამოუყენებია. მუშტით ვიჩხუბებდით და მერე სამკვდრო-სასიცოცხლოდ კი არ ვეკიდებოდით ერთმანეთს, როგორც დღეს ხდება, მშვიდობიანად ვშორდებოდით ან სულაც, ვრიგდებოდით... სკოლაში, კლასში, კალათბურთის ორი გუნდი გვყავდა — „ტიკჭორა“ და „ღომი“. „ტიკჭორაში“ აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლები — მე, გურამი, დათო ჯავახიშვილი, ოთარ იმედაშვილი და გელა ქევანიშვილი ვიყავით, „ღომში“ — დასავლეთის. დიმიტრი გეგელია ყოველთვის მსაჯობდა. თუ ჩვენ ვიგებდით, „ღომელები“ სცემდნენ, თუ ისინი იგებდნენ — ჩვენ (*იცინის*). მოკლედ, წაგებული ყოველთვის დიტო რჩებოდა, მაგრამ მაინც ვერ თმობდა მსაჯობას. ხანდახან ღამის დაგვღამებია კალათბურთის თამაშში. ერთხელ ლავროსი კოტრიკაძე დაგვიდარაჯდა და რომ აღარ დავასრულეთ, სახლებში გაგვყარა, მეორე დღეს კი მასწავლებლებს გამოაძახებინა ჩვენი თავი. რა თქმა უნდა, ბევრი ორიანიც დაიწერა.

— ისე, ვატყობ, ხშირად ილებდით ორებს...

— საკმაოდ — ორებსაც და სამებსაც. მერე რა მოხდა?! გურამმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. მახსოვს, გამოსაშვებ გამოცდაზე ქართულში, თავისუფალი თემა დაწერა, რასაც დიდი ამბავი მოჰყვა. თემაში ეწერა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისიც იბრძოდნენ, რადგან გერმანია მათ წააქეზესო. ეს კი მართალი იყო, ოღონდ გამომცდელები არ უწერდნენ კარგ ნიშანს — როგორ, ის ქვეყ-

„სკოლის პერიოდში მართლა გვიწოდებდნენ „უბნის სახალხო არტისტებს“ — დავით ჯავახიშვილი, ვასილ თევდორაშვილი და ნოდარ ზედელაშვილი

ნები ომში ჩვენი მოკავშირეები იყვნენო. მთელი ამბავი ატყდა და ბოლოს, კომისიამ მაინც გურამის სასარგებლოდ გადაწყვიტა...

— სკოლის შემდეგ რით ერთობოდით, გარდა კალათბურთის თამაშისა?

— ან თეატრში ვიყავით, ან კინოში. თან იქ გოგონებიც დადიოდნენ და აღარ ვიცოდით, როგორ გავპრანჭოდით ერთმანეთს. ხანდახან დილიდან ღამემდე კინოში ვიყავით. ერთხელ, „სამი მუშკეტერი“ რომ გამოვიდა, შინ გვიან მივედით და დედაჩემმა კარგად „დამზილა“ — მოკლედ, მცემა. ისე მომქაჩა თმაში, მეგონა, სკალპი ამძვრებოდა (*იცინის*).

— აგერ, ფოტოც გაქვთ გადაღებული, რაც ადასტურებს, რომ სკოლის კულტურულ ღონისძიებებშიც აქტიურად მონაწილეობდით.

— ჩვენი რუსულის მასწავლებელი თამარ ჯაფარიძე, ენა რომ გაგვეტეხა, ნაწყვეტებს დგამდა ხოლმე პიესებიდან — „რევიზორი“, „ბორის გოდუნოვი“, „ვაი ჭკუისაგან“, სადაც როლებს ჩვენ ვთამაშობდით. იაშა ბურჭულაძე — ქართულის მასწავლებელი კი ქართულად დგამდა სპექტაკლებს. მე სულ სცენაზე ვიდექი. ჩემი კლასელი იყო თენგიზ არჩვაძე, თუმცა მალევე გადავიდა. რეჟისორი გურამ მაცხონაშვილიც ჩემთან სწავლობდა. ჩემ შემდეგ სწავლობდნენ კახი კავსაძე, ნოდარ ფირანიშვილი, იმერი კავსაძე და მერე როცა მხვდებოდნენ, იცინოდნენ, — სულ შენ იდექი სცენაზე და მსახიობები ჩვენ გამოვედითო. არადა, მაშინ, სკოლის პერიოდში მართლა მიწოდებდნენ „უბნის სახალხო არტისტს“ (*იცინის*), და არა მარტო მე — ჩემთან ერთად იყვნენ დათო ჯავახიშვილი, ვასიკო თევდორაშვილი, გურამ რჩეულიშვილი, ჯემალ მაჭავარიანი, რომელმაც სხვათა შორის, ქალის როლიც კი შეასრულა, თანაც

გურამ რჩეულიშვილი

მაგრად. ძალიან გვიხაროდა, ნამდვილ გრიმს რომ გვიკეთებდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის გრიმიორი...

— ისევ კლასის ამბებს დავუბრუნდეთ. ამდენ ორს რომ იღებდით, მოკარნახეები არ გყავდათ?

— როგორ არა, მაგრამ უკეთესი მეთოდიც გვქონდა შემუშავებული. ძალიან ნიჭიერი კლასელი გვყავდა — ვახტანგ ვახტანგიშვილი. კათედრასთან რომ მერხი იდგა, იქ იჯდა. მასწავლებელი რომ მიტრიალდებოდა, კათედრაზე, შებრუნებულ ჟურნალში ისე ჩაამატებდა ნიშანს, მასწავლებელი ვერაფერს იგებდა. თან გვეკითხებოდა, — რა ნიშანი გინდათო? მერე დიდხანს ფიქრობდა ხოლმე მასწავლებელი, — ამ მოსწავლეს ეს ნიშანი როდის დავუწერეო (*იცინის*)?.. შატალოებზეც დავდიოდით ზაფხულში — კინოში, ზამთარში — ზოოპარკში. მაიმუნების ვოლიერებში, მახსოვს, ძალიან თბილოდა და იქ ვიყავით ხოლმე მთელი დღე.

— სკოლის დამთავრება ბანკეტით აღნიშნეთ?

— რა თქმა უნდა. ფული შევაგროვეთ, ოჯახში ვიქეიფეთ და მასწავლებლებიც დავპატიჟეთ. ერთი რამ დამრჩა ხინჯად. ფიზიკას გვასწავლიდა და ბოლოს ჩვენი დამრიგებელიც იყო გოგი ნერსესოვი, კარგი გარეგნობის, ტანდაბალი კაცი. მოყავისფრო ტანსაცმელს იცვამდა და „შოკოლადნი გოგი“ შეარქვეს. თუ გაბრაზებული იყო, მტრისას, სჯობდა კლასში არ შევსულიყავით. ორიანის მიღების შემდეგ შინ გვიბარებდა — სვანეთის უბანში ცხოვრობდა. დედამისი აუცილებლად მურაბით გვიმასპინძლდებოდა და მერე ვაბარებდით გაკვეთილს. მოკლედ, არ მახსოვს, რატომ გავუნაწყენდით და ბანკეტზე არ დავპატიჟეთ. იცით, როგორ ვნანობთ? კლასელები, სხვათა შორის, მერეც ხშირად ვიკრიბებოდით. ახლა უფრო კანტიკუნტად ვხვდებით, ცოცხალი ცოტანი დავრჩით, ასე, 10-15-ნი. დავბერდით, შვილო. ღვინის დალევასაც ვერიდებით, ზოგს წნევა აწუხებს, ზოგს — რა, ჰოდა, შევჩივით ხოლმე ერთმანეთს... ვერ წარმომიდგენია, რომ გურამ რჩეულიშვილს ასეთი მომენტი ჰქონოდა, იმდენად ძლიერი იყო ფიზიკურად. დაკუნთული, საოცარი ადამიანი იყო. ქუჩაში რომ მივდიოდით და ხელკავს გავუკეთებდით, წამში კუნთებს დაჭიმავდა — ასეთი სიარული იცოდა. მაგარი ბიჭი იყო და პირველი ის გამოგვაკლდა კლასიდან. ტრადიციად გვაქვს, ყოველი წლის 4 ივლისს — მისი დაბადების დღეს, ავდივართ სასაფლაოზე და მერე მის ოჯახში ვიკრიბებით. წელს კლასელებიდან მე და უშანგი სპარსიაშვილი ვიყავით — ეტყობა, ბებრებს დაავიწყდათ ან შეუძლოდ იყვნენ (*იღიმის*). ■

დავით საგანელიძე:

— თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. იშვიათად ხდება, რომ „გზის“ ნომერი გამომრჩეს. „პროვოკატორიდან“ დაწყებული, ფოტოკურიოზებით (რომელზეც ძალიან ვხალისობ) დამთავრებული, ყველაფერს ვეცნობი. როგორც ექიმი, დიდი ინტერესით ვკითხულობ რუბრიკას — „ჯანმრთელობა“. მომწონს, რომ ყურადღებას სერიოზულ თემებზე ამახვილებთ და არა — „ყვითელ“ მასალებზე. დიდი ინტერესით ვეცნობი პოლიტიკურ მასალებსა და ინტერვიუებს პოლიტიკოსთა ცხოვრების შესახებ. „გზა“ ყველა თაობის მკითხველისთვის საინტერესო ჟურნალია! გზას დაგილოცავთ, ყოველთვის სიმართლის გზით გევლოთ. ■

ორიოლის ხიმანი

დასაწყისი „გზა“ №24-27

სვეტა კვარაცხელია

ირაკლი თვალს არ აშორებდა მისკენ მომავალ თაკოს. თითქოს დაიძაბა.

— იცი, რისი მეშინია? — ჩუმად თქვა გოგონამ. ჩემგან ზედმეტი ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში, არ გაბრაზდე და გულმოსული არ გამეპარო.

— ტყუილად გეშინია.

— მართლა? ესე იგი...

— სწორად ვერ გამიგე. მე გაპარვა არ მჩვევია. როცა მივდივარ, ვაფრთხილებ ხოლმე.

— და სად არის იმის გარანტია, რომ ასე იქნება?

— არსად.

— მაშინ... მაშინ არ გავთამამდები.

— როგორც გინდა, — შემპარავი ხმით თქვა მამაკაცმა, თავადაც ვერ მიხვდა, რატომ მოიქცა ასე.

თაკომ დაკვირვებით შეხედა. ვერასდროს ხვდებოდა, როდის იყო ეს კაცი გულწრფელი. მის თვალებში მოცეკვავე ჭინკები ყოველთვის ხითხითით იკლაკნებოდნენ, თითქოს თაკოს დასცინოდნენ, მორიელი კი ლამის კუდის ქნევით აფრთხილებდა, ზედმეტი არ მოგივიდესო.

ერთხანს ყოყმანობდა, მერე კი გაბედულად მიუახლოვდა პირად მცველს და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. მისკენ დაიხარა, თან გამომცდელად ათვალიერებდა ნახევრად ბნელ ოთახში მისი მორიგი ნაბიჯის მომლოდინე მამაკაცს.

— მოგწონვარ მაინც? — წაჩურჩულა მან.

— არ ვიცი, — შეცვლილი ხმით წარმოთქვა ირაკლიმ და ოდნავ შეირხა.

— მინდა მართლა მოგეხმარო გახდაში.

პირადმა მცველმა არ უპასუხა. თაკომ ადგილი მოინაცვლა და ირაკლისკენ გადაჩოჩდა. მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა, თითებით პერანგის ღილებს მისწვდა და ნელა დაუწყო გახსნა.

— როგორც მახსოვს, საუბარი პერანგის გახდას ეხებოდა და არა ღილების გახსნას.

— თქვენ არასწორად გაიგეთ, — მაცდურად ჩაილაპარაკა თაკომ და კიდევ ერთი ღილი შეუხსნა.

მერე კიდევ ერთი.

მერე ყველა.

ირაკლი ხმას არ იღებდა. ის დაიბნა.

თაკომ მამაკაცის მკერდზე თითები წრიულად გაასრიალა...

— თაკო... — ხმადაბლა დაიწყო ირაკლიმ. — თუ გგონია, ასეთი საქციელით ჩემს კეთილგანწყობილებას დაიმსახურებ და რასაც გინდა, იმას გამაკეთებინებ შენი კაპრიზების დასაკმაყოფილებლად, აქედანვე იცოდე, რომ ცდები.

— მე შენ მომწონხარ, — დაიჩურჩულა გოგონამ და ტუჩებით მის გულის კოვზს შეეხო.

პირად მცველს სისხლმა აასხა. ძნელი იყო თავის შეკავება. ახლავე უნდა ეღონა რამე, თორემ შეიძლებოდა საბედისწერო შეცდომა დაეშვა... მაგრამ, მისდა გასაოცრად, ადგილიდან არ იძვროდა.

სრულიად იდიოტური სიტუაცია შეიქმნა. რა გაეკეთებინა? გაერტყა თავხედი ბავშვისთვის? არ იქნებოდა ლამაზი, ხელი ეკრა და უხეშად მოეშორებინა? არა, ასე არ ივარგებდა. კაცურად არ იქნებოდა მართებული საქციელი — ხელი ჰკრა ქალს, რომელიც გკოცნის... თუნდაც შენი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ისიც ვერ წარმოედგინა, როგორ მოქცეულიყო. სულაც არ უნდოდა მისი ალერსი, მას არ ხიბლავდა ასეთი პროვოკაციები... რადგან ვერ მოიფიქრა, რა გაეკეთებინა, ადგა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

თაკო ეფერებოდა მის ზომიერად შეთმიანებულ მკერდს, თითებს ნელა ამოძრავებდა ზემოთ და ქვემოთ, ეხებოდა და დროდადრო მის კანს ტუჩებსაც მიადებდა წამიერად, თითქოს მამაკაცის სხეულის გემოს გაგება სურსო. გოგონას თმა, რომელსაც სუნამოს არომატი ასდიოდა, საამოდ ელამუნებოდა ნესტოებში და ამ ფაფუკი თმის ყოველი ღერის შეხებაზე ტანში ბურძგლავდა. „ოპიუმი“, — გაახსენდა დასახელება მამაკაცს. სურნელი მართლაც ოპიუმივით მოქმედებდა მასზე.

— მომისმინე, პატარავ, — გაღიზიანებულმა წარმოთქვა მოგვიანებით, — იქნებ დასაძინებლად წასულიყავი.

— რატომ მეძახი პატარას? რას ნიშნავს „პატარა“? — ვნებიანი ხმით ჩაეკითხა თაკო და მიბნედილი თვალებით შეხედა.

— უფროსებს „თქვენობით“ უნდა ელაპარაკო, — აღმზრდელობითი ტონი შეარჩია პირადმა მცველმა, უნდოდა, მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოუვიდა.

— მე ყოველთვის „შენობით“ მივმართავ ადამიანს, რომელსაც ლოგინში ვუწვები, — უდარდელად აიჩეჩა მხრები გოგონამ.

— მე შენთან არ ვწოლილვარ, — შენიშნა პირადმა მცველმა.

— ჰოდა, მოგიწევს, — თქვა და გულაღმა გაშოტილ მამაკაცს მოულოდნელად ძუძუზე უკბინა. მერე უცებ წამოდგა და უკანმოუხედავად გავიდა ოთახიდან.

ნაკბენი ადგილი დიდხანს ეწვოდა ირაკლის... ღამე ისე გაილია, თვალი ვერ მოხუჭა...

მაინც ვერ ჩასწვდა თაკოს სცენარის აზრს. რა უნდოდა მისგან? ის ხომ მთლად ბავშვი იყო მასთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს სიყვარული არ იყო. მაშ, რა? რაში სჭირდებოდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმა? იქნებ ჰგონია, რომ თუ თავს

შეაყვარებს, თავის გემოზე ატრიალებს წაღმა-უკუღმა? ან იქნებ... ასაკია ისეთი, როცა გოგონებს მოჭარბებულად აქვთ სექსუალური ენერგია და მის დახარჯვას ვერ ახერხებენ? შეიძლება, ადრე არც ყოფილა ასე ახლოს მამაკაცთან, თანაც მასთან ერთად ერთ სახლში გამოკეტილი... ვერაფერს იტყვი, საკმაოდ ინტიმურ-რომანტიკული სიტუაციაა, ადვილად შეიძლება ადამიანი ცდუნებას აჰყვეს, განსაკუთრებით — ძალიან ახალგაზრდა. ისე, რაღაც ახსენა წეღან სექსზე... სისულელეა, ეს მხოლოდ თავისი გამოუცდელობის დასაფარავად თქვა, რომ კონკრეტულ მომენტში ირაკლის არ შეშინებოდა და უარი არ ეთქვა მასთან დაწოლაზე. იგი არასდროს დაიჯერებდა, რომ თაკო მისით იყო გატაცებული. ეს ცოტა სასაცილოდაც კი ეჩვენებოდა. არც თავად მიუცია საბაბი, ასეთი რამ ეფიქრა.

ირაკლი გულთამპყრობელი და ქალების მუსუსი არასდროს ყოფილა. მისი მზერა მომნუსხველად ალბათ იშვიათად თუ მიმართულა სუსტი სქესისკენ. აი, გიგა სულ სხვა იყო, მისი ძველი მეგობარი, ახლა რომ ვიბლიანების საქმეს იძიებს. მას ეს შეეძლო... და მერე როგორ შეეძლო. კარგად ახსოვს მორიელს, როგორ დაითბობდა გიგა ხმას და დაითაფლავდა ენას, როცა რომელიმე ლამაზმანს გაიცნობდა. ისეთი ალერსიანი თვალებით უყურებდა, თითქოს ყურებამდე ყოფილიყო შეყვარებული; გეგონებოდა, ესესაა, ჩაბღუჯავს და კოცნით დაახრჩობსო. რატომღაც, ქალებზე ბანგივით მოქმედებდა მისი ეს მანევრი. ისეთი ნაზი, ისეთი სექსუალური გამოხედვით შეინიღბებოდა, ორ წუთში ნებისმიერს დააბამდა. პრობლემები მხოლოდ მაშინ იწყებოდა, როცა ქალები მისი მზერის ვერაგობას გაშიფრავდნენ; როცა მიხვდებოდნენ, რომ გიგას მათთვის წუთიერი სიამოვნების მინიჭება შეეძლო მხოლოდ და ხანგრძლივი რომანების გაბმა არ ეხალისებოდა... მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო...

ირაკლის არ ეხერხებოდა ასეთი რამეები. მანდილოსნებში ის ნდობას და მეგობრობას უფრო იწვევდა, ვიდრე ლტოლვას და ვნებას. მისი სულით უფრო იყვნენ აღფრთოვანებულნი, ვიდრე სხეულით. უამრავ ასეთ ქალს იცნობდა შორეულ წარსულში — სხვისი ცოლები და საყვარლები, რომლებიც მოდიოდნენ მასთან თვალცრემლიანები და გულს იოხებდნენ მის მკლავებში თავჩარგულნი, თავიანთ მამაკაცებზე გაგულისებულნი. და თუკი რომელიმე მათგანი მაინც შეეცდებოდა, ვნებიანი განსასვენებელი ეპოვა მის სხეულზე, მხოლოდ იმიტომ, რომ შური ეძია ქმარზე ან საყვარელზე, მაგრამ ირაკლი ამას არასდროს დაუშვებდა. ასეთებს იგი დელიკატური უარით ისტუმრებდა უკან, თავიანთი მამაკაცებისკენ.

ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო — თხუთმეტი-ოცი წლის წინ. რა თქმა უნდა, სხვა კატეგორიის ქალებიც არსებობდნენ მის ცხოვრებაში — ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ უცოლო მამაკაცი იყო. ასეთები მარტოხელები იყვნენ, გასათხოვრები, რომლებსაც მყუდრო ოჯახური იდილიის მოწყობა სურდათ. მაგრამ ირაკლის არ სურდა ასე. რადგან ღალატმა ერთხელ უკვე მოუღო ბოლო...

იყო ერთი ქალი... ნანა, რომელიც ვერ დაივიწყა.

მისთვის სიყვარული არასდროს აუხსნია.

თავიდანვე უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს. ათი თვე იცხოვრეს ერთად, არ დაქორწინებულან. მერე ირაკლი ავღანეთში წავიდა, ის კი არ დაელოდა მის დაბრუნებას. როცა ჩამოვიდა, ნანა უკვე გათხოვილი დახვდა...

თანაც... მის საუკეთესო ძმაკაცზე... გიოს ძმაზე, რატიზე.

მაინც ვერ დაივიწყა...

ამიტომაც არ სიამოვნებდა გიოსთან

შეხვედრა, ურთიერთობა... განგებამ კი, როგორც ჩანს, კიდევ ერთი გამოცდა მოუწყო. თუმცა გიო არაფერ შუაში იყო, მაგრამ მაინც. რამდენჯერაც მას დაინახავდა, იმდენჯერ რატი და საყვარელი ქალი ახსენდებოდა...

ნანა... ის სულ სხვა იყო — ყველაზე სასურველი და ყველაზე მიუწვდომელი, პირველი და ერთადერთი ქალი მის ცხოვრებაში, ქალი, რომელმაც სწორედ ირაკლის უსიტყვო და აუხსნელი სიყვარული არჩია სხვების მაღალფარდოვან, ხატოვან დითირამბებს. ის მას უყვარდა, ის მას სურდა და არ სჭირდებოდა არც ერთი სხვა ქალი დედამიწის ზურგზე.

თუმცა სიყვარული მაინც ვერ აუხსნა.

მხოლოდ ერთხელ უთხრა — „მინდა“... და სწორედ ამან მონუსხა ჟღალამაზესი ქალი, რომელიც მიიჩნევდა, რომ სიტყვა „მინდა“ ყოველთვის სიმართლედ ჟღერს, ხოლო „მიყვარხარ“ — ყოველთვის ტყუის. თავიდან მამაკაცს არ სჯეროდა ამის, მაგრამ დაახლოვდნენ და დაიჯერა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ნანას ნათქვამში დარწმუნდა, შეუყვარდა და იმიტომ. იმას, რაც მათ შორის იყო, „სექსს“ ვერ უწოდებდი, მათთან მიმართებაში ეს სიტყვა ძალზე პრიმიტიულად ჟღერდა, არც სიყვარული ერქვა იმას, რაც მათ შორის იყო. ნანას ამ სიტყვაზე ცენზურა ჰქონდა დაწესებული, ის სიტყვა „სიყვარულს“ არ ენდობოდა. იმას, რაც მათ შორის იყო, სახელი არ ჰქონდა... და ამიტომ კიდევ უფრო მშვენიერი იყო ურთიერთობა.

ამიტომაც ვერ დაივიწყა იგი...

მერე კი... მერე ყველაფერი უცებვე დამთავრდა. დამთავრდა უნაზესი ურთიერთობა, რომელსაც სახელიც კი არ ჰქონდა... ისევე უსახელოდ გაქრა, როგორც მოვიდა.

მაინც ვერ დაივიწყა...

მას შემდეგ ირაკლის ქალების მიმართ ალერგია გაუჩნდა, ახლოს არ იკარებდა, ინტიმურ სიახლოვეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა კი ეს გოგონა გამოჩნდა. რა იქნება ხვალ?

მორიელს გონება დაეღალა, დამძიმებული ქუთუთოებით ზანტად გახედა მთვარის შუქზე მოტორტმანე ფოთლების ჩრდილს და თვალები დახუჭა.

გამთენიისას ძილმა მაინც წაართვა თავი. მზემ კარგად გვარიანად რომ დააცხუნა, მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, დაფეთებული წამოხტა, ტანსაცმელი გაისწორა, ხელპირი დაიბანა, ფეხზე ჩაიცვა და ეზოში გავარდა... დააგვიანდა, ახალი ცვლა უკვე მოსულიყო — ის ბიჭები, წინადღეს რომ იყვნენ.

კიდევ ერთმა ღამემ ჩაიარა მშვიდად. ღამის მორიგეებს საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ. შინ შემობრუნდა და თაკოს ოთახს მიადგა. მიაყურადა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნელა შეაღო კარი. გოგონას ეძინა. თავზე დაადგა მძინარეს და ხმადაბლა დაუძახა. თაკო შეირხა. გრძელი წამწამები თოჯინასავით ააფახულა და პირადი მცველის დანახვაზე ჟინიანად გაიზმორა.

— რომელი საათია? — იკითხა ნამძინარევი ხმით, ბავშვივით გაბუშტული ტუჩებით და ცალი თვალით გახედა თავზე წამომდგარ მამაკაცს.

— ადგომის დროა.

— რა აზრი აქვს, — ჩაილაპარაკა გოგონამ და მხარი იცვალა.

— ზოგიერთებმა იციან, რომ დილით ადგომას აზრი არა აქვს, მაგრამ მაინც დგებიან, — თქვა ირაკლიმ.

— მაგით რისი თქმა გინდა? — წამოიწია თაკო და იდაყვს დაეყრდნო.

— ადექი.

მოულოდნელად გოგონა ლოგინზე შეხტა, მამაკაცს კისერზე ჩამოეკიდა და ტუჩებში აკოცა.

— თუ ვცდები, მითხარი, — ზედ ყურთან უჩურჩულა ბოლოს.

— ცდები, — ჩურჩულითვე უპასუხა ირაკლიმ და ყელში გაჩხერილი ნერწყვი შეუმჩნევლად, წვალებით გადაყლაპა, მერე მისი ბავშვური ხელები მოიშორა, გატრიალდა და არეული ნაბიჯებით დატოვა ოთახი.

ისევ გარეთ გავიდა. უნდა „გაგრილებულიყო“, თორემ ცუდად წაუვიდოდა საქმე. კარგა ხანს დაყო ბიჭებთან, შეიყოლია, გიგაზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ისინიც აჰყვნენ, სასაცილო ამბები გაიხსენეს, თვითონაც იცინეს და ირაკლიც ბევრი აცინეს. როცა გული იჯერა და პირველმა ეიფორიამაც გადაუარა, ისევ სახლში შევიდა, თაკოს დაუწყო ძებნა... ვერსად მიაგნო, სააბაზანოშიც კი შეიხედა. გოგონა არსად ჩანდა. შეშინდა. მისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, შეიძლება გაიპარა კიდეც ეზოს უკანა მხრიდან. ნერვებაშლილმა მეორე სართულის ფანჯრიდან გადაიხედა და... ამოისუნთქა. ჩაცუცქული თაკო ბაღჩაში მარწყვს კრეფდა და ჯამში ყრიდა. პერიოდულად ფეხს მოინაცვლებდა და კოხტა უკანალს გამომწვევად აბზეკდა. ამჯერად თეთრი შორტი ეცვა, თმაც, ჩვეულებისამებრ, ცხენის კუდივით შეეკრა კეფაზე. ირაკლის შვებისა და კმაყოფილების ღიმილი ერთდროულად გადაეფინა სახეზე. ვერ მოითმინა და ხმამაღლა დაუძახა.

გოგონა წელში გასწორდა, სახე მოიჩრდილა და მოიხედა. ირაკლი ადგილზე გაქვავდა. თაკოს ბიუსტჰალტერი არ ეცვა და ძუძუსთავები ისე ჰქონდა გამობზეკილი გამჭვირვალე მაისურის შიგნით, ლამის გული შეუღონდა.

— გინდა? — თაკომ ეშმაკურად დაიწვრილა თვალები, როცა მისი რეაქცია შეამჩნია და წითელი წვენით ტუჩებმოთხუპნილმა ჯამი მაღლა ასწია.

— მინდა, — სწორედ ისე წარმოთქვა მამაკაცმა, როგორც მაშინ, შორეულ წარსულში, როცა ნანასთან დაახლოების სურვილი გამოთქვა ამ ერთი მაგიური სიტყვით.

„საინტერესოა, რა იგულისხმა „გინდაში“ — მარწყვი თუ თავისი უკანალი?“ — გაიფიქრა მამაკაცმა და თავი რამდენჯერმე გადააქნია, მაცდური ფიქრები სასწრაფოდ რომ განედევნა გონებიდან. დარეტიანებული ჩამოვიდა პირველ სართულზე.

— ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, — საზეიმო ხმით განაცხადა ჰოლში შემოსულმა თაკომ და ვერცხლისფერი ჯამი მაგიდაზე შემოდგა, — გარეცხვაც კი არ სჭირდება, მაგრამ მე მაინც გადავავლე წყალი, შეგიძლია თამამად მიირთვა.

— მომისმინე, პრინცესა, — ჩაიბურტყუნა ირაკლიმ, — ჩემს უკითხავად ეზოშიც არ უნდა გახვიდე მარტო, გასაგებია?

— ვითომ რატომ? ეს ეზო ჩემი არ არის? უფლება არ მაქვს, გავისეირნო?

— გაქვს, მაგრამ მე შენ გვერდით უნდა ვიყო, დაიმახსოვრე ერთხელ და სამუდამოდ. შეიძლება ყოველი წუთი საბედისწერო აღმოჩნდეს. დავიდა შენამდე?

— ღმერთო ჩემო, როგორ მომბეზრდა ეს ყველაფერი. ვერ ხედავ, არაფერი რომ არ ხდება? ტყუილად გეშინიათ ყველას.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ და უნდა დამიჯერო, — ჯიუტად იმეორებდა ირაკლი.

— რატომ უნდა დავიჯერო შენი, რა, კარგად ერკვევი ადამიანებში? — ფეხი ფეხზე შემოიდო თაკომ და მრგვალი მკერდი გამომწვევად გამოზნიქა.

— მე შენზე უფროსი ვარ და გამოცდილებაც შენზე მეტი მაქვს, — მორიელმა გოგონას მკერდს ძლივს მოსწყვიტა თვალი და განზე გაიხედა.

— მაგრამ შენ ხომ სახეზე პათოლოგიური პატიოსნება გახატია!

ირაკლი გაოგნდა. ნუთუ მართლა ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი სახე?

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — მკაცრად თქვა, — რა გესმის შენ ადამიანების, ან იმის, რა აწერიათ მათ სახეზე.

— ძალიან ბევრი რამ მესმის, არც ისეთი პატარა ვარ, შენ რომ გგონია, — იუკადრისა გოგონამ, — დარწმუნებული ვარ, ასი წლის რომ გახდები, მაშინაც ასეთი მიამიტი იქნები.

— რაღაც ვერ გავიგე, ხან პათოლოგიური პატიოსნება გაწერიაო, ხანაც მიამიტი ხარო... მოდი, შევწყვიტოთ ეს იდიოტური საუბარი.

— პატიოსანი ადამიანები მიამიტები ხართ, განა არ იცი, რომ ასეა? თქვენ გიყვართ სიმართლე, იბრძვით სამართლიანობისთვის, სიტყვას ყოველთვის ასრულებთ, არ ღალატობთ ქალებს, არ წირავთ მეგობრებს... თქვენი წესიერებით იმდენად დადებითები ხარ, რომ უკვე გული მერევა! არადა, სხვები სწორედ ამით სარგებლობენ, ყველა გიყენებთ. მეგობრები გატყუებენ, ქალები გღალატობენ... თქვენ კი მაინც უშფოთველად ცხოვრობთ, იმიტომ, რომ გგონიათ, ეს ქვეყანა იმავე პრინციპებზეა აგებული, რა პრინციპებითაც თავად ცხოვრობთ. თუმცა ერთი რამ მაინც მიზიდავს შენში.

— მაინც რა? — უნდობლად გაეღიმა ირაკლის, თან გაოცებული დარჩა, ვერ წარმოედგინა, თუ თაკოს ასე სერიოზულად მსჯელობა შეეძლო.

— შენს მკლავზე ამოსვირინგებული მორიელის ნიშანი... ძალიან სექსუალურს გხდის, — თქვა თაკომ და პირი გააწკლაპუნა.

— გემრიელი მარწყვია, — მამაკაცმა სხვა თემაზე სცადა ლაპარაკის გადატანა.

— გულახდილად მითხარი, რა უფრო ტკბილია — ჩემი ტუჩები თუ ეს მარწყვი? — მაცდურად შეხედა გოგონამ და ტუჩებზე ენა მოისვა.

— იცი, რომ ბოზი ქალივით იქცევი? — კითხვა შეუბრუნა ირაკლიმ.

— ყველა ქალის სულში ზის პატარა ბოზი მაინც, ეს ჩემგან არ გესწავლება, — ნიშნის მოგებით აღნიშნა გოგონამ, — გააჩნია, ვინ რა დოზით ავლენს ამ თვისებას.

— რა თვისებას? — წარბები შეჭმუხნა პირადმა მცველმა.

— ბოზურ სულს.

— გეყოფა, პატარავ, დავიღალე შენი რატრატით. იქნებ ყავა დაგველია?

— ჯერ ჩემს კითხვას უპასუხე, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ.

— რომელი კითხვის პასუხი გაინტერესებს?

— რა უფრო ტკბილია — ჩემი ტუჩები თუ ეს მარწყვი? — გაიმეორა თაკომ.

— მარწყვი რომ ტკბილია, ამის დამტკიცება შემიძლია, შენი ტუჩების კი რა მოგახსენო... დაგემოვნება ვერ მოვასწარი.

— მაშინ გავიმეოროთ.

— არა მაქვს ამის სურვილი, სამწუხაროდ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ქალი არასდროს გყვარებია?

— არა.

— არც გიკოცნია?

— არა.

— იქნებ კოცნაც არ იცი?

— არა.

— მაშინ გასწავლი, — ბავშვურად წამოიძახა თაკო და კეკლუცად გაიღიმა.

— არა.

— სხვა სიტყვა არ იცი?

— ვიცი და მოუსვი ახლა აქედან, სანამ მიგტყიპე.

„პრინცესა“ უკმაყოფილო სახით გატრიალდა და სამზარეულოში შესულმა ჯამ-ჭურჭლის ჩხაკუნი ატეხა. მერე რაღაც გაუვარდა ხელიდან, დამსხვრევის ხმა გაისმა.

„ისევ... რა მოუხერხებელია, თუ ასე გააგრძელა, ყველაფერს დაღეწავს“, — ღიმილი ვერ შეიკავა ირაკლიმ, დივანზე გადაწვა და თვალები მილულა. თაკოზე ფიქრები მოეძალა.

თვითონაც არ იცოდა, რა უფრო უნდოდა — მართლა ჰყვარებოდა გოგონას, თუ არ ჰყვარებოდა. იგი ზომაზე მეტად აღიზიანებდა თავისი თავხედური გამოხდომებით, გამომწვევი საქციელით, მაგრამ, ამავე დროს, იყო მასში რაღაც ამაღელვებელი, მგრძნობიარე, თავბრუდამხვევი... ხანდახან მისი სითავხედეც საყვარლად ეჩვენებოდა და როგორც ბავშვურ სიცელქეს ისე აღიქვამდა. შეუძლებელი იყო, თაკოზე სერიოზულად გაბრაზებულიყავი, ისევე, როგორც ვერ გაუბრაზდებოდი კნუტს, რომელმაც შემთხვევით გაგკაწრა. გრძნობდა, რომ რაღაც გამოუცნობი იზიდავდა მასში, რაღაც უხილავი, იდუმალი, სახელსაც ვერ უძებნიდა მის ამ... ამ...

ერთი სიტყვით, მის ამ განსაკუთრებულობას.

მოულოდნელად ჩამოვარდნილმა სიჩუმემ გამოაფხიზლა. თაკო საეჭვოდ მიწყნარდა სამზარეულოში. თოფნაკრავივით წამოხტა და სახელურს არც შეხებია, ისე შეაღო კარი, ლამის შეამტვრია. გოგონა ფანჯარასთან მიმდგარიყო და მობილურზე ვიღაცას ეჩურჩულებოდა. ხმაურზე, შეშინებულმა სწრაფად გააქანა ტელეფონი ჯიბისკენ.

— ვის ელაპარაკებოდი? — გამეხებული მიუახლოვდა ირაკლი.

— რა შენი საქმეა! — უკმეხად უპასუხა თაკომ და უკუსვლით კედლისკენ წავიდა.

— მომეცი მობილური! — ხელი გაიშვირა მამაკაცმა.

— უფლება არ გაქვს! ყველაფრის უფლება კი არ გაქვს, — იყვირა.

— მომეცი-მეთქი, სანამ ძალით წამირთმევია.

— ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა, გესმის? მე სრულწლოვანი ვარ, ვისაც მინდა, იმას დავურეკავ და არავის ვკითხავ ამას! — გოგონამ ტელეფონი ჩაბღუჯა და ზურგს უკან დაიჭირა.

ირაკლიმ ღრმად ამოიხვნეშა, ნელ-ნელა დამშვიდდა და სკამზე ჩამოჯდა, რადგან იგრძნო, როგორ უცახცახებდა მუხლები.

— შენ იცი, რომ ძალიან შემაშინე? — ხმადაბლა თქვა და უძილობისგან ჩაწითლებული თვალები მისკენ მიაპყრო.

— რა ჩავიდინე ამისთანა... მეგობარს რომ ველაპარაკო, არ შეიძლება?

— ასე საიდუმლოდ?

— ჰო, თუნდაც ასე საიდუმლოდ.

— ვინ მეგობარია, რას წარმოადგენს?

— ის, ვისთან შესახვედრადაც არ გამიშვი.

— ესე იგი, შეყვარებულს...

— ჯერ არ არის შეყვარებული, უბრალოდ, მეგობარია, მოვწონვარ, მეც მომწონს.

— გამაგებინე, ერთდროულად რამდენი კაცი შეიძლება მოგწონდეს? — ვერ მოითმინა მორიელმა.

— რამდენიმე, — პატარა ბავშვივით დაიწვრილა ხმა გოგონამ და ეშმაკურად გაუღიმა, — ვინც პირველი შემიყვარებს, მისი გავხდები.

— მე არ გეხუმრები!

— არც მე. შენი საქმე არ არის, ვინ მომეწონება და ვინ არა! — ფეხები დააბაკუნა უცებ.

— მომისმინე, პატარავ... თუ შენ ჩემი შეკითხვა თავხედობად მიგაჩნია, მაშინ მე აქ აღარაფერი დამრჩენია. ჩვენ შორის, სანამ ერთად ვართ, მჭიდრო, ასე ვთქვათ, კოვალენტური კავშირი უნდა დამყარდეს. ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემოა, რაც მოძრაობს თუ არ მოძრაობს, იმ ელექტრონის ნაწილაკებად უნდა მიიჩნიო, რომელიც გვამჭიდროებს, გესმის? ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივაა — ის შენი თაყვანისმცემელიც, ის დაცვის ბიჭებიც, ეს შენი სახლიც და ეს ჩემი ჭრილობაც. ჩვენ ერთმანეთის ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. ასე რომ, მომიყევი ახლა, რაზე ილაპარაკეთ შენ და იმ... რა ჰქვია?

— სოსო... რაზმაძე, ოცდაორი წლის, სწავლობს სამედიცინოზე, — გაუბედავი ხმით ამოთქვა დატუქსული ბავშვივით კედელთან ატუზულმა თაკომ.

— ჰო, სოსო, არა უშავს, კაცური სახელია... იოსები, ჩვენებურად რომ ვთქვათ... — ირაკლი წამოდგა, გოგონას მიუახლოვდა, ლოყაზე მსუბუქად უჩქმიტა, მერე მაჯაში ხელი წაავლო და ჰოლში გაიყვანა, დივანზე შამოჯდა და ისიც გვერდით მოისვა.

— გისმენთ, პრინცესა, მოუთმენლად ველი თქვენს მონოლოგს.

— ისეთი არაფერი, დავურეკე, მოვიკითხე, როგორ ხარ-მეთქი. ბოდიში მოვუხადე, წუხელ კლუბში რომ ვერ მივედი. არ მინდოდა ეფიქრა, რომ მოვატყუე. თურმე თვითონაც არ ყოფილა. დედის ბიძაშვილი დამეღუპა ავარიაში და იქ ვარო. სულ ეს იყო, — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა თაკომ და თავი ჩაჰკიდა.

— მერე? ამას მიმალავდი? — ხუმრობის ტონით წამოიძახა მამაკაცმა, — რა იყო ამაში საჩუმათო? გეთხოვა და მე თვითონ დაგარეკვინებდი, უგულო კი არ ვარ...

— რა ვიცი, ასე მგონია, სუნთქვასაც მიკრძალავ...

— საიდან დაასკვენი, რა სისულელეა...

— რა, ასე არ არის? ყველაფერს მიკრძალავ, ორი დღეა.

— იტყუები, ყველაფერს არ გიკრძალავ... მაგალითად, ყავის მოდუღებას. მიდი, მომიხარშე ერთი დიდი ჭიქა ყავა, თორემ სული გამძვრება, მთელი ღამის უძინარი ვარ.

— უძინარი? რატომ, მოხდა რამე?

— არა, — დაიბნა ირაკლი და გოგონას მზერა აარიდა, — ბევრი საფიქრალი მაქვს, თანაც... მე ხომ დაძინების უფლება არ მაქვს.

— აბა, სულ მღვიძარე ხომ არ იქნები, ასე ვის შეუძლია?

— პირადმა მცველმა უნდა შეძლოს, სხვანაირად რისი მცველია?

— თანაც პირადი, არა? — გადაიკისკისა გოგონამ, ძალაუნებურად მისკენ გადაიხარა და მკერდით მხარზე შეეხო.

ირაკლის ტანში გასცრა. ჭიანჭველებმა დაუარა სხეულზე. წამით ორივე გაყუჩდა, გაუნძრევლად მისჩერებოდნენ ერთმანეთს. მამაკაცის თვალებში ჭინკები დამფრთხალი გაცვივდნენ აქეთ-იქით, თითქოს თაკოს მზერას ემალებიანო.

— წავალ, ყავას გავამზადებ, — ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა გოგონამ და წამოდგა.

ირაკლიმ თვალი სიამოვნებით გააყოლა სამზარეულოსკენ მიმავალ მათრახივით მოქნეულ „პრინცესას“ და გავიდა თუ არა, ტელეფონს დასწვდა, სწრაფად აკრიბა ცხრანიშნა ნომერი, თან კარს მზერას არ აცილებდა.

— გიგა, დიდი დრო არ მაქვს, ერთ რამ უნდა გთხოვო, — პირადი მცველი ხმადაბლა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, — ძმურად, გაიგე ერთი, ვინ არის სოსო რაზმაძე, სამედიცინოზე სწავლობს.

— ...

— ოცდაორის.

— ...

— მეტი არაფერი ვიცი, დანარჩენი შენთვის მომინდვია. ჩვენს ობიექტს ეფარცქვალება.

— ...

— კარგი, როცა გაარკვევ, დამირეკე, — დაამთავრა საუბარი, შვებით ამოისუნთქა და კვლავ დივანზე გადაწვა ყავის მოლოდინში.

— მომიყევი შენზე, — მიუბრუნდა თაკო, როცა ცხელი სითხით სავსე ფინჯნები მაგიდაზე შემოდგა, — ვიცი, ეს უსიამოვნო იქნება, მაგრამ...

— რატომ უსიამოვნო? ახლა ყავას დავლევ და ყველაფერი ცუდი, რაც ჩემშია, აორთქლდება. იცი, ამწუთას რა გავიფიქრე?

— რა?

— რომ ნახევარი წლის შემდეგაც მე და შენ აი, ასე ვისხდებით ამ მაგიდასთან და შენ სრულიად სხვანაირი იქნები — ლამაზი და სხვანაირი, — და მამაკაცმა თვალი ჩაუკრა გოგონას, რომელიც მისი სიტყვების აზრს ვერ ჩასწვდა.

ირაკლის თვალებში მიმალული ჭინკები მოცეკვავე კაცუნებად გადაიქცნენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკითხიერი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. სადაზღვევო კომპანია „ლოიდი“ ადამიანებს ნებისმიერი შემთხვევისგან აზღვევს. ერთადერთი, რის დაზღვევაზეც ეს კომპანია კატეგორიულ უარს აცხადებს, გახლავთ ჰოლივუდის ვარსკვლავების დაზღვევა... რისგან?

2. ფაინა კაპლანის მიერ დაჭრილი ლენინი ჰოსპიტალში „რენოს“ ფირმის ავტომობილით წაიყვანეს. მოგვიანებით, როგორ გამოიყენა საავტომობილო ფირმამ ეს ფაქტი?

3. რა მოიმოქმედა ფრანსუა ვიიონმა იმისათვის, რომ სამეფო სასამართლოს იურისდიქციისგან დაეღწია თავი?

4. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ეკლესიის ისტორია ცდომილებისა და ძალადობის ნარევია“.

5. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოკო შანელი პარიზიდან გაიქცა. რატომ?

6. დაასახელეთ საფრანგეთის პირველი მინისტრი, რომელმაც არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში შეზღუდა რომის კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება და მის ეკონომიკურ მოთხოვნილებებსაც ზღვარი დაუდო. „სახელმწიფოს აქვს რეალური მოთხოვნილებები მაშინ, როდესაც ეკლესიის მოთხოვნილებები თავისუფალი და წარმოსახვითია“, — ამბობდა იგი.

7. დაასახელეთ სახელგანთქმული თანამედროვე ქართველი ხელოვანი, რომელსაც არც ერთი ნახატი არ გაუყიდია.

8. როგორ ნათესავს ეძახიან რუსები — „სედმაია ვადა ნა კისელე“?

9. რისი აღმნიშვნელია ნაწილაკი „ჯან“?

10. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა, ილიკო მასზე მხოლოდ ორი წლით იყო უფროსი. ნიკო მას გამუდმებით აქილიკებდა, რის გამოც, ერთხელ ილიკომ დუელშიც კი გამოიწვია. როგორ დასრულდა ეს დუელი?

11. „ტიტანიკის“ მუზეუმში ინახება ვერცხლის უამრავი დანა-ჩანგალი, რომლითაც გემზე პირველი კლასის მგზავრები სადილობდნენ. ისინი ოკეანის ფსკერიდან არავის ამოუღია. როგორ მოხვდა ეს დანა-ჩანგალი მუზეუმში?

12. რით ფასობს მეაკვარიუმეებში ზოგიერთი თევზის ქვირითი, რომელსაც ძალზე მაგარი გარსი აქვს?

13. ლოცვის დროს, მორწმუნე მუსლიმანს საით უნდა ჰქონდეს სახე მიბრუნებული?

14. ვის ეკუთვნის სიტყვები: „პრი კომუნიზმე ოტხოჟიე მესტა ბუდემ დელატ იზ ზოლოტა“?

ანეკდოტები

***

— გოგოებო, გაიგეთ, იმ ახალგაზრდა დეპუტატმა რა თქვა?

— რაო?

— ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ყველა მსურველს სექსუალურად დავაკმაყოფილებთო!

— ტყუილია, წინასაარჩევნო ბლეფია!

***

სვანმა გაიგო, დედამიწა ბრუნავსო და თავბრუ დაეხვა.

***

— ცოლად იმიტომ შემირთე, რომ დეიდაჩემმა ანდერძით ვილა დამიტოვაა! — ზლუქუნებს ცოლი.

— აბა, ეგ რამ გაფიქრებინა?! ბიცოლას რომ დაეტოვებინა, მაინც შეგირთავდი.

***

მოკრივე ექიმს შესჩივის:

— მომკლა ამდენმა უძილობამ, რა.

— ძილის წინ დათვლა თუ სცადეთ?

— როგორ არა, მაგრამ ცხრამდე ავდივარ თუ არა, იმწუთას ფეხზე წამოვვარდები ხოლმე.

***

— რა წესიერი გოგო გყავს, საღამოს ცხრა საათზე უკვე სახლშია!

— აბა, სად უნდა იყოს? მაგის მჩხავანა შვილს მე ხომ არ ვაჭმევ ძუძუს?!

***

ზამთარია. ორი პროგრამისტი — ახალბედა და პროფესიონალი ფანჯარასთან დგანან.

— ვაა, ნახე, თოვლი მოდის, — უხარია ახალგაზრდას.

— ჰო, — მძიმედ აქნევს თავს მეორე. — 15 კილობაიტია წამში...

***

— დამისახელე სამი ასოსგან შემდგარი ყველაზე მხურვალე სიტყვა და მთელი ღამე შენი ვიქნები, — ეუბნება სვანს მაგარი ნაშა.

— მზე...

***

შარაგზაზე მიმავალი მღვდელი დაინახავს მიხოს, რომელიც ბალახს თიბავს, ფეხზე კი ზანზალაკები აქვს შებმული.

— ეგენი რიღათვინ გინდა? — დაინტერესდა მოძღვარი.

— თიბვის დროს ხან მწყერი წამოფრინდება, ხანაც — კურდღელი გადმოხტება და შემთხვევით, რამე რომ არ დავუშავო, წინასწარ ვაფრთხობ, — აუხსნა მიხომ.

— შენა, შვილო ჩემო, ძალიან ღვთისნიერი კაცი ჩანხარ, აგრემც ღმერთი გაგახარებს, — დალოცა მღვდელმა.

— ეჰ, არც ეგრეა, მამაო, — ამოიოხრა მიხომ, — ცოდვები მეც მამძიმებს. აი, ხანდახანა, ჩემი მეზობელი შაქრო შააბამს ხოლმე ტაჭკაში ვირსა, მოისვამს გვერდზე ცოლსა და ვენახში მიდის, მათი გოგო კი სახლში მარტო რჩება. ჰოდა, გადავალ ხოლმე და შავცოდავ.

— ეჰ, რას იზამ, შვილო ჩემო, უცოდველი არავინაა. შემინდვია შენთვის ეგ ცოდვა.

— ეგ არაფერი. ხანდახან შაქრო შააბამს ტაჭკაში ვირსა, გვერდით თავის გოგოს მოისვამს და ვენახში მიდის. სახლში მარტო ცოლიღა რჩება. გადავალ ხოლმე და შავცოდავ.

— ეგ ცოდვაც შემინდვია, შვილო.

— ხანდახან კიდე, შაქრო, მაგისი ცოლი და გოგო ფეხით მიდიან ვენახში. სახლში მარტოღა ვირი რჩება. გადავალ ხოლმე და...

— ეეეე!.. შენა, შვილო ჩემო, ეგ ზანზალაკები ფეხებზე კი არა, სხვაგან უნდა შეგება!..

***

სვანმა შარფი იყიდა და მეორე დღეს მაღაზიაში დააბრუნა, — ძალიან მიჭერსო.

***

ქალმა პოლიციელთან მიირბინა:

— მიშველეთ, ჩემი გაუპატიურება უნდათ.

— ვის?

— ვიღაც მანიაკს!

— ბრმაა ის უბედური?!.

***

საქართველოს პოლიციის აკადემიის პირველკურსელებს ქუჩაში პრაქტიკული მეცადინეობა უტარდებათ. ინსტრუქტორი კურსანტებს მიმართავს:

— დღეს ჩვენ შევისწავლით ხელკეტის ხმარების წესებს. ყველა მზად არის? მაშინ დავიწყოთ!.. უკაცრავად, მოქალაქევ, თუ შეიძლება, ერთი წუთით აქეთ მობრძანდით!..

***

ნარკომანი კარზე აკაკუნებს:

— მწვანე საღებავი გჭირდებათ?

— არა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ აკაკუნებს:

— მწვანე საღებავი გჭირდებათ?

— არაააა!..

ნარკომანი მესამედ აკაკუნებს:

— მწვანე საღებავი გჭირდებათ?

— გვჭირდება.

— აუ, რაში გჭირდებათ?

***

ჩანაწერები „წითელარმიელის“ დღიურიდან:

„პირველი დღე. ვდგავართ ტყის პირას. ტყეში „თეთრები“ არიან.

მეორე დღე: გადავედით შეტევაზე და გავყარეთ „თეთრები“ ტყიდან.

მესამე დღე: გადმოვიდნენ „თეთრები“ შეტევაზე და გაგვყარეს ტყიდან.

მეოთხე დღე: გადავედით შეტევაზე და გავყარეთ „თეთრები“ ტყიდან.

მეხუთე დღე: მოვიდნენ ტყის მცველები და ყველანი გამოგვყარეს ტყიდან.

***

სპორტული კომენტატორი:

— ჩვენი სპორტსმენები შავი ტრუსებითა და თეთრი მაისურებით ასპარეზობენ... დანარჩენ მოთხილამურეებს შედარებით უფრო თბილად აცვიათ.

ჟონგლის საკარიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. განქორწინებისგან.
2. ეს ამბავი „რენომ“ საკუთარი ავტომობილების (როგორც ყველაზე საიმედო და კომფორტულის) რეკლამირებისთვის გამოიყენა.
3. უნივერსიტეტში ჩააბარა.
4. გოეთეს.
5. პარიზში, გერმანელებთან ურთიერთობაში შემჩნეულ ქალებს თავს საჯაროდ ჰპარსავდნენ. კოკო შანელი კი ომის დროს გერმანელი ოფიცრის საყვარელი იყო.
6. კარდინალი რიშელიე, რომელიც ამავდროულად, საფრანგეთის პირველი მინისტრი გახლდათ.
7. ზურაბ წერეთელი.
8. ძალიან შორეულს.
9. ის სპარსული წარმოშობისაა და მოფერების აღმნიშვნელია.
10. დუელი ქალაქგარეთ შედგა. ილიკოს გარდა ყველამ იცოდა, რომ დენთით დატენილ დამბაჩებში ტყვიები არ იდო. როდესაც მათ თავიანთი იარაღი დაცალეს, ნიკოლოზ ბარათაშვილი მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. ილიკო ნიკოს „ცხედარს“ მივარდა და ტირილით დაემხო ზედ. ნიკომ ყვირილი მორთო, — თავიდან მომაშორეთ, ჯიბიდან ქაშმაშს მპარავსო. ნიკოს უვნებლად გადარჩენა ბიძამისს ისე გაუხარდა, რომ ეს ხუმრობაც აპატია.
11. მუზეუმმა ისინი „ტიტანიკის“ იმ მგზავრებისაგან შეიძინა, რომლებმაც გემზე სადილობისას, როგორც სუვენირები, დანაჩანგლები მოიპარეს, ხოლო მოგვიანებით, „ტიტანიკიდან“ შუალედურ სადგურებში ჩამოვიდნენ.
12. ასეთ ქვირითს მეაკვარიუმეები კონვერტში დებენ და ერთმანეთს ფოსტით უგზავნიან.
13. აღმოსავლეთით, მექის ქააბის ტაძრისკენ.
14. ლენინს.

ჩვენი ფოტო მაღლიერ

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა ზურა ხურციძემ გამოგვიგზავნა

ძვირფასო მკითხველებო!



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

მამაკაცთა ფიფის ცხელი ათეული

ქალი და მამაკაცი — ორი სამყარო, ორი განსხვავებული ლოგიკა... ეს განსხვავება დღემდე საიდუმლოდ რჩება. რაც უფრო თანასწორუფლებიანები ხდებიან ქალი და მამაკაცი, მით უფრო აშკარა ხდება მათ ქცევებსა თუ მსჯელობას შორის ზღვარი.

მაგალითად, ქალი სარკეში იმიტომ იხედება, რომ სახეზე რაიმე ხარვეზი (თუნდაც ნაოჭი) კოსმეტიკური საშუალებებით დაფაროს. მამაკაცი კი სარკეს იმიტომ მიაშურებს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ სიმპათიურია. ქალმა ზუსტად იცის, მის საყვარელ ადამიანს რომელი ზომის ტანსაცმელი სჭირდება, მამაკაცი კი თავისი რჩეულის მკერდის ზომას დაახლოებით ხვდება, თვალების ფერს კი უმრავლესობა ვერც კი არჩევს. ქალს არ ერიდება, ჰკითხოს მამაკაცს, — ძალიან ხომ არ გავსუქდიო? მამაკაცი არასოდეს შეეკითხება ქალს, — გავმელოტდი თუ არაო. მამაკაცებს ერთმანეთთან შელაპარაკების შემდეგ მალევე, აღარც კამათი ახსოვთ, არც მისი მიზეზი და კვლავ მეგობრებად რჩებიან. ქალები კი საათობით არკვევენ ურთიერთობას და მერეც კარგა ხანს ახსოვთ მომხდარი. ქალი რომ დაჰპირდება მამაკაცს — დაგირეკავო, — ეს იმას ნიშნავს, რომ უსათუოდ დაურეკავს. მამაკაცის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები კი თითქმის არაფერს ნიშნავს. ხანდაზმულ მამაკაცებს ახალგაზრდა ქალები იზიდავენ, ამით თითქოს თავს ირწმუნებენ, რომ კვლავაც სასურველნი და ძლიერები არიან. ქალებს კი სიამოვნებთ თავდაჯერებული, სოლიდური ასაკის მამაკაცის გვერდით ყოფნა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება მკაფიოა. სწორედ ეს განსხვავება იზიდავს მათ ერთმანეთისკენ, რაც ლოგიკურად ოჯახის შექმნით უნდა დამთავრდეს. თუმცა, შეყვარებული წყვილის დაშორებას, ოჯახურ კონფლიქტებს, ღალატსა თუ გაყრას ისევ და ისევ ამ განსხვავებებს უნდა „ვუმადლოდეთ“.

მაინც რა მიზეზით შორდება შეყვარებული წყვილი ერთმანეთს? უმეტესწილად, მამაკაცი ქალს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ტოვებს. მან გადაწყვიტა, რომ „ყველაფერი დამთავრდა“ — და ასეთი ფორმულირება საკმარისად მიაჩნია. ანალოგიურ სიტუაციაში სულ სხვაგვარად იქცევიან ქალები — მათ ზუსტი პასუხი უნდათ: ცდილობენ, ჩასწვდნენ საქმის არსს და მიაკვლიონ დაშორების ობიექტურ მიზეზს, თუნდაც ამის ინიციატორები თავად იყვნენ.

ნებისმიერი შემთხვევა თავისთავად ინდივიდუალურია. თუმცა, არსებობს გარკვეული სტერეოტიპები, რაღაც საერთო, მიღებული, თითქოსდა მარტივი... ყოფით პრობლემებს თავი რომ დავანებოთ, ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიზეზი ღალატია და უმეტესწილად — მამაკაცების მხრიდან. რატომ გაურბის თვალი სხვისკენ?

ფსიქოლოგების აზრით, ამაზე რამდენიმე პასუხი არსებობს:

1. არაჯანსაღი სექსუალური ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილება

ეს გახლავთ მამაკაცების განხიბვლის ერთ-ერთი და არცთუ იშვიათი მიზეზი. ხშირად, მეგობარი ქალის ყოლის სურვილი მამაკაცებს ცოლქმრობის კრიზისულ პერიოდში უჩნდებათ — ანუ ხუთი, შვიდი ან თერთმეტი წლის შემდეგ.

2. სულიერი სიმშვიდისა და ურთიერთგაგების ძიება

თუ საღამოობით, დაღლილ მამაკაცს შინ არა — მზრუნველი, არამედ ბუზღუნა და უხეში ცოლი ხვდება, ლოგიკურია, უფრო ალერსიანი ქალი მოძებნოს.

3. თავისი როლის ხაზგასმა, თვითამკვიდრება

თუკი მამაკაცს ოჯახში პირველობის დასამტკიცებლად არგუმენტი სჭირდება, ე.ი. ნამდვილად ეპარება ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, ამიტომაც პრესტიჟისთვის ცდილობს, საყვარელი გაიჩინოს, უფრო ხშირად კი თავს უმტკიცებს — ჯერ კიდევ მაგარი ვარო. მამაკაცის კრიტიკული ასაკი 35-დან 50 წლამდეა. საერთოდ, რაც უფრო ხანში შედის მამაკაცი, მით უფრო მეტად ებრძვის სიბერეს.

არსებობს 10 ძირითადი მიზეზი, რომელიც ძლიერი სქესის წარმომადგენლებში გაუცნობიერებელ შიშს იწვევს:

- განსაკუთრებით ეშინიათ ხელმძღვანელი ქალის. ქალი-ბოსი მათ თავდაჯერებულობას ართმევს, არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს.
- აქვთ სამსახურის დაკარგვის შიში.
- ზარავთ იმის წარმოდგენაც კი, რომ უმუშევრად დარჩენილებს, ცოლის ხარჯზე მოუწევთ ცხოვრება.
- შიშობენ, რომ მიატოვებენ და სიბერის წლებში მარტო დარჩებიან.
- საყვარელი ქალის საზოგადოებაში ყოფნისას არ სიამოვნებთ მასზე სიმპათიური და ათლეტური აღნაგობის მამაკაცის ხილვა.
- ერიდებიან გასუქებას.
- ეშინიათ სექსუალური ცხოვრების დროზე ადრე დამთავრების.
- საკმაოდ უფრთხიან ცოლის სოლიდური თანამდებობაზე დანიშვნას და ამის გამო ოჯახში ფუნქციის დაკარგვას.
- ვერ ეგუებიან დამარცხებას.
- გაურბიან არამყარ ურთიერთობებს.

აი, ის ცხელი ათეული, მამაკაცთა ცხოვრებას ჯოჯოხეთად რომ აქცევს, მაგრამ მისი განეიტრალება ყოველთვის შეუძლია ჭკვიან ქალს. არსებობს გარკვეული, უფრო სწორად, განსაზღვრული ეტიკეტი, რომელიც ქალებს მამაკაცებთან ურთიერთობას გაუადვილებს. თუ ქალს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — ოცნების მამაკაცმა მის გამო თავი დაკარგოს — უნდა იცოდეს, როგორ მიაღწიოს ამას. არსებობს რამდენიმე პირობა, რომლის შესრულება არათუ სასურველი, ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა მამაკაცის გულის მოსაგებად.

პირველი — თქვენი სამყარო იდუმალების ბურუსში გახვიეთ. მამაკაცი მანამ ინარჩუნებს რომანტიკულ სახეს, ვიდრე ბოლომდე არ გაგიცნობთ.

მეორე — ნუ ჩაუძვრებით სულში. „ყოვლისმცოდნე“ ქალი მამაკაცს აღიზიანებს.

მესამე — ნაკლები ილაპარაკეთ ყოფით პრობლემებზე. მამაკაცებს მოსწონთ არა მეწვრილმანე, არამედ ზებუნებრივი, თითქოსდა, „არაამქვეყნიური“ ქალები. უსახსრობაზე წუწუნი და ნათესავების პრობლემებზე ლაპარაკი შედეგს არ იძლევა.

მეოთხე — წელიწადში თუნდაც ერთხელ, რამდენიმე დღით მაინც დაშორდით ერთმანეთს.

მეხუთე — მისი განაწყენება ნუ შეგაშინებთ: უნდა გრძნობდეს, რომ მისი საკუთრება არ ხართ.

მეექვსე — ნურასოდეს მოდუნდებით: ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ გარეგნობას. ■

სტრესებთან ბრძოლის კომფორტული მეთოდები

სამწუხაროდ, შეუძლებელია, გავექცეთ პრობლემებს, რადგან მათ გარეშე ცხოვრება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც ყველაფერი მთავრდება. უბრალოდ, ეცადეთ, გულთან ნაკლებად მიიტანოთ ის, რაც გარშემო ხდება და პირველ რიგში, საკუთარი თავი დაზოგოთ.

თქვენ მრისხანებთ, გულზე სკდებით, ცრემლები გახრჩობთ... ასეთ დროს, ყველას არ ძალუძს, დადგეს ცივი შხაპის ქვეშ „შუბლის გასაგრილებლად“. გთავაზობთ რეცეპტს: მყუდროდ მოკალათდით და საკუთარ თავს გაესაუბრეთ; უთხარით, რომ გესმით თქვენივე ემოციების და სრული უფლება გაქვთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ მას. თუმცა, ის არ არის მეორე „თქვენ“. ის მხოლოდ მდგომარეობაა, რომელიც მოდის და მიდის! თქვენ კი რჩებით — გამარჯვებული ან დამარცხებული. ასეთი „გადახარშვის“ შემდეგ, სრულებით მზად ხართ, გვერდიდან შეხედოთ საკუთარ თავს, დაუკვირდეთ, როგორ ნელ-ნელა ცხრება ემოციები, როგორ მშვიდდება სხეული, სახე, თვალები. ხოლო ამ ყოველივეს შემდეგ თუ პლედშიც გაეხვევით, ჩაგეძინებათ კიდეც და სულ სხვა ადამიანად გაიღვიძებთ.

გელით საუბარი სერიოზულ თემაზე; თქვენ კი ნერვიულობთ, თითებს იმტვევთ, დროს წელავთ, რომ უსიამოვნო ლაპარაკი რაც შეიძლება გვიან ან საერთოდ არ გაიმართოს; გაურბით მოსალოდნელ ტკივილს... ასეთ დროს მოსინჯეთ „ჰეროვანი“ რეცეპტი: დადექით სარკესთან, შეხედეთ თქვენს ორეულს: ფერმკრთალი სახე, ჩამოყრილი მხრები, გაცრეცილი ტუჩები, მერყევი გამოხედვა, შეჭმუხნილი წარბები... ფრთხილად გადაისვით სახეზე ხელი და უთხარით საკუთარ თავს რაიმე გამამხნევებელი, მერე კი მაგალითი უჩვენეთ, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ამაყი, თავდაჯერებული ქალი: თავი მალა ასწიეთ, წარბები აზიდეთ, იდუმალი, ცივი ღიმილი აიფარეთ სახეზე და მკაცრი, შეუვალი გამოხედვა მოირგეთ. უსათუოდ დამშვიდდებით და თავდაჯერებულობაც მოგემატებათ.

თუკი სტრესი, რომელიც გადაიტანეთ, თავმოყვარობას გილახავთ, ნუ დაზოგავთ დროსა და ენერგიას და შემდეგი რეცეპტი მოსინჯეთ: წადით სილამაზის სალონში, მიაკითხეთ კოსმეტოლოგს, მასაჟისტს, შეიძინეთ ახალი კრემი, პომადა; თუ საშუალება გაქვთ, მეგობრებთან ერთად მიაშურეთ საუნას და მიანიჭეთ სხეულს სიამოვნება.

შეივსეთ ფილტვები ქანგბადით

გარეთ თბილა? ფანჯარა ფართოდ გამოაღეთ, დაჯექით იატაკზე, მოეშვით და ღრმად ამოისუნთქეთ.

გათავისუფლდით უარყოფითი ემოციებისგან

დადექით მუხლებზე, ხელები რამდენჯერმე მომუჭეთ და გაჭიმეთ. შეგიძლიათ იყვიროთ კიდეც. შემდეგ წამიერად მოეშვით და ენერგიულად ამოისუნთქეთ.

დაიამეთ თავის ტკივილი

მოხერხებულად დაჯექით სკამზე ან იატაკზე, ღრმად ჩაისუნთქეთ და ორივე ხელის, შუა და საჩვენებელი თითები საფეთქელთან მიიდეთ. შემდეგ მსუბუქად ამოისუნთქეთ. გაიმეორეთ ათჯერ.

ზურგის პრობლემა

სტრესის დროს ხშირად ვგრძნობთ, როგორ გვეღლება ზურგი, გვტკივა წელი. მოხერხებულად დაწექით იატაკზე, ფეხები მუხლებში მოხარეთ და ხელებში მოიქციეთ. მსუბუქი მოძრაობით მიიტანეთ მოხრილი ფეხები მუცელთან, გააჩერეთ 6 წამის განმავლობაში და შემდეგ ფრთხილად დაუშვით. ვარჯიში გაიმეორეთ ათჯერ.

ესეც ასე! სულ თხუთმეტი წუთი და, თქვენ წესრიგში ხართ. შეგიძლიათ, თამამად თქვათ, რომ „შესანსლეთ“ სტრესი და უწინდებურად ამაყი და თავმომწონე ქალი ხართ! ■

თევზის მწვადი

ულუფა 4 ადამიანისთვის

მასალად საჭიროა:

600 გ თევზის ფილე;
100 გ წითელი პომიდვრის მწნილი;
2 ს/კ ზეითუნის ზეთი;
ხმელი სუნელები;
მარილი, წიწაკა.

მომზადების წესი:

პომიდვრის მწნილი რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში ჩააწყვეთ, მერე ამოიღეთ და ცოტათი შეაშრეთ. დაჭერით თევზის ფილე. გააკეთეთ საწებელი ზეითუნის ზეთის, ხმელი სუნელების, წიწაკისა და მარილისგან. ჩააწყვეთ შიგ თევზი და პომიდორი. გააჩერეთ ნახევარი საათი. შემდეგ თევზის ფილე და პომიდორი მონაცვლეობით წამოაცვით ჩხირებზე და შეწვით ჰაერღუმელში (ან ტოსტერში) 5-6 წუთის განმავლობაში. მზა კერძი გაალამაზეთ მწვანე სალათის ფოთლებით. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიმვილმა



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-26

აჰმედმა წესი დაარღვია და მეკობრეთა შიშით, ოთხ მეომარს გუშაგობა დაავალა. გუშაგები ბანაკის ოთხ მხარეს განლაგდნენ. ერთ-ერთი მათგანი კი მუროჩის სიახლოვეს ჩამოჯდა. ვიდრე ის იქ დარჩებოდა, გაპარვა შეუძლებელი იყო, მაგრამ გუშაგებს დიდხანს არ გაჰყვათ გაბედულება. როგორც კი იქაურობა ნისლმა დაფარა, ნელ-ნელა თავისიანებისკენ გადაინაცვლეს. მოგვიანებით დაღლილობამ და მშვიდმა ღამემ თავისი გაიტანა, მუროჩის სიახლოვეს მყოფმა თურქმა, მიწისკენ ჩახარა თავი და ხვრინვა ამოუშვა. სწორედ ამას ელოდა მუროჩიც, მაგრამ მაინც არ აჩქარებულა. ცოტა ხანს მოიცადა, გუშაგს რომ უფრო ღრმად ჩასძინებოდა და მერე ფრთხილად გაცოცდა მისკენ. დიდი ხანი მოანდომა იმ მცირე მანძილის გავლას, რომელიც გუშაგამდე აშორებდა. ფრთხილობდა, რომ ბორკილის ჟღრიალს არ გაეცა, მაგრამ გუშაგს ისე ღრმად ჩასძინებოდა, რომ არათუ ბორკილის ხმას, მეხის გრიალსაც ვერ გაიგონებდა.

ორიოდე ნაბიჯიღა აშორებდა, როდესაც გუშაგს ხელიდან შუბი გაუვარდა. ქვაზე დაცემისას ფოლადის წვერმა ცივად გაიჟღარუნა. მუროჩი მაშინვე მიწას გაეკრა. გუშაგს რომ შეეხედა, აუცილებლად შენიშნავდა. შეიძლება, ვერც მიმხვდარიყო, ვინ იყო. ალბათ, მეკობრედ მიიჩნევდა, რომელიც მას ფრთხილად ეპარებოდა და განგაშს ატეხდა. მერე კი ყველაფერი გაირკვეოდა, მაგრამ ამას მუროჩისთვის მნიშვნელობა აღარ ექნებოდა. აჰმედი აღარ გაიმეორებდა შეცდომას და მომავალში უფრო საიმედოდ შებორკავდა: ან ახლა გაიქცეოდა, ან ველარასოდეს. მუროჩის უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. უკან დახევა გვიან იყო. გუშაგი ხელის გაწვდენაზე გახლდათ. ერთი ნახტომი და თურქი მის მკლავებში აღმოჩნდებოდა. რომ შემოეხედა, გაგუდავდა, მერე კი, სადაც ვიწრო იყო, იქ გამწყდარიყო...

გუშაგმა მძიმედ ასწია თავი და შუბს წაეტანა. უკან გახედვა არც კი უფიქრია. შუბი მხარზე მიიყრდნო და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

მუროჩი ჩრდილივით უხმაუროდ დაიძრა ადგილიდან. გუშაგთან მიცოცდა, შუბი ააცალა და ისევ უხმაუროდ გაეცალა. ახლა უნდა გადაეწყვიტა, თუ საით წავიდოდა. გზაჯვარედინიდან გზა რამდენიმე მხარეს იტოტებოდა, მაგრამ ის მარტო ერთ მიმართულებას იცნობდა — ანისიდან მომავალ გზას, რომელიც უკვე გამოვლილი ჰქონდა. რა ხდებოდა სხვა გზებზე, წარმოდგენა არ ჰქონდა. თავიდან იფიქრა: უკან გავბრუნდებიო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. შორს წასასვლელად არც ძალა ეყოფოდა და არც — დრო. დიდხანს ელოდა გუშაგის ჩაძინებას. მალე ის სხვა გუშაგს უნდა შეეცვალა და მისი გაუჩინარება შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. საით დაიწყებდნენ მის ძებნას?.. რა თქმა უნდა, ანისისკენ მიმავალ გზაზე და მალევე წამოეწეოდნენ. მათთან სისწრაფეში გაჯიბრებიდან არაფერი გამოვიდოდა. მოძებნიდნენ და ისევ ბაღდადის გზას გაუყენებდნენ. არა, ანისისკენ მიმავალი გზა არ გამოადგებოდა. ნაადრევი იყო უკან დაბრუნებაზე ფიქრი. ჯერ თავი უნდა დაეხსნა, ბორკილი მოეშორებინა და მერე დასდგომოდა არდოტისკენ მიმავალ გზას. ახლა ისეთი გზა და ალაგი უნდა შეერჩია, რომელსაც მდევარი არ დაადგებოდა. რამდენიმე გზას შორის, ასეთი მარტო ერთი ეგულებოდა — ხეობა, რომელსაც ასე უფრთხოდნენ თურქები. მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ გაქცეული ტყვე თავისით დაადგებოდა ბაღდადისკენ მიმავალ გზას. ყველა გზას გაჩხრეკდნენ, მაგრამ ხეობისკენ არც კი გაიხედავდნენ. აჰმედს რომც მოესურვებინა იმ გზის გაჩხრეკა, მექარავნენი არ დაჰყვებოდნენ. თანაც, რატომ შეიწუხებდნენ ისინი თავს გაქცეული ფხოველის გამო? ის ხომ აჰმედის ტყვე იყო და ზარალიც მას მიადგებოდა. მექარავნენი მცირე ხნითაც არ დარჩებოდნენ გზაჯვარედინზე. გათენებისთანავე აშლიდნენ ბანაკს და გზას გაუდგებოდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ სახიფათო ალაგს. მარტო თავის მოლაშქრეთა იმედად კი აჰმედი ფეხს არ შედგამდა ხეობაში და ქარავანსაც არ ჩამოშორდებოდა.

აჰმედის ბანაკი უკან დარჩა. წინ მექარავნეთა კარვები გამოჩნდა. გუშაგები ფხიზლობდნენ. აბჯარასხმულები მიმოდიოდნენ კარვებს შორის და ყურადღებით ზვერავდნენ ხეობის ყელს, მაგრამ ბუნება მუროჩის მხარეს იყო. სქელი ნისლი საიმედოდ ფარავდა ლოდებს შორის მიმავალს და მისი ფეხის ხმასაც ახშობდა.

ხეობა ციცაბო ფერდობებში იყო ჩაჭედილი. მუროჩიმ ყურადღებით მოათვალიერა დამრეცი კედლები. ჭიუხებში გაზრდილს არ გაუჭრდებოდა შვერილებსა და ნაპრალებზე ფეხის მოკიდება, მაგრამ ჭრილობით დასუსტებული ვერ შეძლებდა ამას. არც კი უცდია ზემოთ ასვლა. თავი რომ ვერ შეეკავებინა და ფერდობზე დაცურებულიყო, თავსაც გასცემდა და იქნებ ისე დაშავებულიყო, რომ წასვლა ველარ მოეხერხებინა. ისევ გზის გაგრძელება და ფერდობზე ასასვლელი სხვა ალაგის მოძებნა არჩია. როგორც კი ფერდობს უკან მოიტოვებდა, საფარს მოძებნიდა და ქარავნისა და აჰმედის რაზმის წასვლას დაელოდებოდა. ამასობაში ინათებდა. მერე ბორკილსაც მოიშორებდა და ანისისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა.

ხეობა გაიჭიმა. მუროჩიმ საკმაო მანძილი გაიარა, მაგრამ შესაფერის ადგილს მაინც ვერ მიაგნო. რაც ღრმად შედიოდა ხეობაში, ნაპირები უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ცოტას კიდევ ვივლი და თუ შესაფერისი ადგილი არ გამოჩნდა, ფერდობზე ასვლას ვცდიო.

და ამ დროს...

საპირისპირო მხრიდან ქვაზე ნალის ცემის ხმა გაისმა. ცხენი ჭენებით მოუყვებოდა ხეობას. მუროჩი სწრაფად ამოეფარა დიდ ლოდს და შუბი შემართა. თავიდან ეგონა, რომ ხეობაში მეკობრეები მოაჭენებდნენ ცხენებს. ბაღდადიდან მომავალი ქარავანი ღამით ვერ გაბედავდა სახიფათო ხეობის გავლას და თუ გაბედავდა, ჭენებით სვლას მაინც ვერ შეძლებდა, მაგრამ არც მეკობრენი წამოვიდოდნენ ასეთი ხმაურით. ისინი ჩუმად მიეპარებოდნენ მექარავნეთა ბანაკს და მოულოდნელად დაეცემოდნენ თავს.

ვიდრე მუროჩი გამალებული ზვერავდა ხეობას, ნისლიდან ცხენი გამოვარდა, რომელსაც უკან მგლის ხროვა მოსდევდა. მხედარს მარჯვენაში ხმალი ეჭირა, მაგრამ მგლებს არ იგერიე-

მოხდა. თურქის მიზეზით თავს არ გამოიდებდი, მაგრამ ომის მიზეზი გამოგიჩნდა, იარაღიც ხელთ გეპყრა და თავიც ვერ შეიკავე!.. აგრე იყო თუ — არა? — ჩაეძია ჰასანი.

მუროჩიმ დუმილით უპასუხა.

— აგრე იყო... ბრძოლის ჟინმა დასძლია სიფრთხილე, მაგრამ მაინც შენი მადლობელი ვარ. გადამარჩინე და მეც იმავეთი გიპასუხე. აჰმედს შენი მოკვლა უნდოდა. ხმლით გედგა თავზე. შემოიქნევდა და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი...

— ასე სჩვევიათ თურქებს სიკეთის გადახდა? — ისევ შეაწყვეტინა მუროჩიმ.

— ჩემს გადარჩენას აჰმედი სიკეთედ არ ჩაგითვლიდა. ის მეომარია და თავისი ხმლით მოიპოვებს სარჩო-საბადებელს. მე ვაჭარი ვარ და სიფრთხილით უნდა გავიტანო ლელო. თუ გამაფრთხილეს: გზაზე მეკობრენი თარეშობენო, ქარავანი არ უნდა ამეშალა. ყველასთან ერთად უნდა დავრჩენილიყავი. ჩვენი სიმრავლე მეკობრეებს დააფრთხობდა. იქნებ საერთოდ ვერ გაებედათ თავდასხმა და თუ გაბედავდნენ, უფრო იოლად მოვიგერიებდით. ასე მათ ქონებასა და სიცოცხლესაც დავიცავდი და ჩემსასაც. ასე მოიქცეოდა ვაჭარი. მე კი თავქარიანი ჭაბუკივით ავშალე ბანაკი, მარტო გავუდექი გზას და ჩემი ხალხი და ქონება მეკობრეებს ჩავუგდე ხელში. ჩემმა წასვლამ მექარავნეებიც გაანაწყენა და აჰმედიც. გინდ — დაიჯერე და გინდ — არა. მათ ჩემი სიკვდილი უფრო გაახარებდათ, ვიდრე გადარჩენა. თანაც შენ გაიქეცი. მეკობრეთა მოლოდინში ბანაკად მდგარ აჰმედს გაეპარე. ხვდები, რამხელა სირცხვილი აჭამე ამით?! ვინ ენდობა კაცს, რომელსაც საკუთარი ტყვეებისთვის ვერ მიუხედია, არა, ფხოველო?! სელჩუკებს სიკეთის დაფასებაც შეუძლიათ და მეგობრობაც იციან, მაგრამ მე და შენ მათი წესი დავარღვიეთ. მე ქარავანს ჩამოვშორდი, შენ გაიქეცი. მგლების ღრენა-ყმუილი ბანაკშიც ესმოდათ. არც ისე შორს იყვნენ და არც ისე სუსტები, დასახმარებლად რომ მოსულიყვნენ, მაგრამ არავინ დაძრულა ადგილიდან. წესია, ფხოველო. ქარავნად სვლისას ყველა ერთმანეთს ჰპატრონობს და არავინ გამოიღებს ხელს და ქარავანსაც არ ჩამოშორდება უცხოს დასახმარებლად. მე თავად დავარღვიე მექარავნეთა წესი და არცა მქონდა მათი დახმარების იმედი. ამიტომაც მოკვდებოდი შენც!.. არავინ ჩაგითვლიდა დამსახურებად ჩემს გადარჩენას. მე რომ არა, მოკვდებოდი! — თქვა ჰასანმა.

— ასე იოლად დაგითმო ჩემი თავი აჰმედმა? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არა... ოქროთი ვიყიდე შენი სიცოცხლე. აჰმედს აღარაფერი ესაქმება შენთან, — უპასუხა ჰასანმა.

— დიდხანს ივაჭრეთ?! — ბრაზი მოერია მუროჩის.

— არ გვივაჭრია. იმდენი მივეცი, რამდენიც მთხოვა. აჰმედი წუწკია და თანაც რეგვენი. ვერ მიხვდა, რომ ათჯერ მეტ ოქროსაც მივცემდი. შენ თავისუფალი ხარ, ფხოველო. აჰმედივით ბორკილს არ მოგარგებ. ნიავივით თავისუფალი ხარ, მაგრამ... „თვალი — თვალის წილ,“ — ქადაგებს ყურანი. შენ სიცოცხლე მაჩუქე და მეც არ დაგრჩი ვალში, მაგრამ სიცოცხლესთან ერთად, თავისუფლებაც დაგიბრუნე. ახლა შენ ხარ ჩემი მოვალე. რით დამიბრუნებ ვალს? — თქვა ჰასანმა.

— სახლს დაშორებულმა და დაჭრილმა, რით გადაგიხადო ვალი?.. შინაც რომ ვყოფილიყავი, მაინც ვერ მოგითვლიდი ოქროს. არც ოქრო-ვერცხლი მაბადია და წესადაც არა არს ფხოვში ადამიანით ვაჭრობა. სხვას კი რას ელი ჩემგან?! ერთია ჩემი სიმდიდრე — ფარხმალი და სახელი. სხვა არა მაბადია რა, — უპასუხა მუროჩიმ.

— შენი არც ოქრო მინდა, არც სახელი და ფარ-ხმალი, — თავი გაიქნია ჰასანმა.

— მაშ, რა გინდა? — გაუკვირდა მუროჩის.

— ამხანაგად გამიხდი და ბაღდადს გამომყევი, — უპასუხა ჰასანმა.

— ამხანაგი ისედაც ბევრი გეყოლება, ან რად გინდივარ ბაღდადს? — გაუკვირდა მუროჩის.

— ამხანაგი მართლაც ბევრი მყავს, მაგრამ შენნაირი, არც ერთი. მალე ჩემთან ვენეციელი ვაჭრები ჩამოვლენ. შორი მგზავრობა აქვთ ჩაფიქრებული. ჰინდის (ინდოეთი) ქვეყნამდე უნდა ჩაიყვანონ ქარავანი. მეც მათთან ერთად წავალ და ამ მგზავრობაში სანდო ამხანაგი მჭირდება, — თქვა ჰასანმა.

— თურქებს ვეღარ ენდობი? — დასცინა მუროჩიმ.

— ვენდობი... ამხანაგებს ყველაფერში ვენდობი, მაგრამ ამ მგზავრობაში შენნაირი კაცი მჭირდება, — გულწრფელად უპასუხა ჰასანმა.

— რისთვის? — ჰკითხა მუროჩიმ.

— ჩემს ახალგაზრდობას მაგონებ. შენსავით ფიცხი და შეუპოვარი ვიყავ. ასაკმა და მძიმე ცხოვრებამ დამაბრძენა და დამადინჯა. დაუფიქრებლად აღარ ვიქნევ ხმალს, როგორც ამას ახალგაზრდა ვაკეთებდი, მაგრამ იმ სიფიცხემ და შემართებამ მომიტანა ყველაფერი, რაც მაბადია. დღეს კი სხვა ვარ — ფრთხილი, ანგარიშიანი, დინჯი; მაგრამ დროდადრო ომს სიბრძნე კი არა, სიფიცხე და შეუპოვრობა იგებს. ამისთვის მინდა შენნაირი ამხანაგი... ჩემმა ვენეციელმა ამხანაგებმა ერთი რამ მიამბეს: ძალიან დიდი ხნის წინ, მათ ქვეყანას რომი ერქვა თურმე, ხალხი კი საკუთარ თავს რომაელებს უწოდებდა. უდიდესი მეომრები ყოფილან ისინი. ვერც ერთი ლაშქარი ვერ უძლებდა მათ შემოტევას. ზღვიდან ზღვამდე ყოფილა გადაჭიმული მათი ქვეყანა და ისე დიდი ყოფილა, რომ ერთი ბოლოდან მეორეში ჩასვლას, მრავალი თვე სჭირდებოდა... უცნაური საომარი წესი ჰქონიათ იმ რომაელებს. თურმე სამ წყებად ყოფდნენ ჯარს. წინათმებრძოლ ჯარში თხუთმეტიოცი წლის მეომრები იყვნენ, მერე მოდიოდა მეორე წყება, რომელიც ოცდახუთი-ოცდაათი წლის მეომრებისგან შედგებოდა. მას მოსდევდა მესამე წყება, ოცდათხუთმეტი და უფრო მეტი ასაკის მეომრები. იცი, რაში იყო ომის ასეთი წესის საიდუმლო?.. ბრძენი ხალხი ყოფილან რომაელები და კარგადაც სცოდნიათ კაცის ხასიათი... გამოუცდელი და ფიცხი ახალგაზრდაა. მედგრად, უშიშრად მიდის ომში. არ უგემია იარის ტკივილი და თავსაც იოლად იმეტებს და სხვასაც არ ზოგავს. გამოუცდელი მეომარი, ბევრს ვერას შემატებს ჯარს, მაგრამ თავის სიფიცხითა და სიშმაგით შიშში აგდებს მტერს. იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი პირველსავე შეტაკებაში იღუპებოდა, მაგრამ მერე ბრძოლას მეორე წყება აგრძელებდა: ოცდახუთი-ოცდაათი წლის მეომრები. იცოდნენ რომაელებმა, რომ კაცი ამ ასაკში აღწევს თავისი ძლიერების მწვერვალს. მაშინაა ჯან-ღონით სავსე და ძალაც მოსდევს მის დარტყმას. მეორე წყება ჯარის მთავარი ძალა იყო. ის მეომრები აკეთებდნენ მთავარ საქმეს — მტერს ხერხემალს უმსხვრევდნენ. ყველაფერს

კი მესამე წყება ამთავრებდა, ოცდათხუთმეტი და უფრო მეტი ასაკის, ცხოვრებით დაბრძენებული და ომებში გამოცდილი მეომრები. ისინი დინჯად, საქმის ცოდნით ჩეხდნენ მტერს და თანაც ასწორებდნენ ყველა შეცდომას, რომელიც წინამორბედმა მეომრებმა თავისი ახალგაზრდობითა და გამოუცდელობით დაუშვეს... ასეთ ჯარად უნდა ვიქცეთ ჩვენც. ჩემი გამოცდილება და შენი შემართება ყველა სიძნელეს დაგვაძლევინებს, — თქვა ჰასანმა.

— უარი რომ გითხრა? — ჰკითხა მუროჩიმ.

— შეცდომა იქნება ეგ და არც მეტყვი უარს, უპასუხა ჰასანმა.

— რატომ? — გაუკვირდა მუროჩის.

— შენ თავისუფალი ხარ. წასვლა თუ გინდა, წადი. ცხენსაც მოგცემ, აბჯარიარღსაც, ოქროსაც, მაგრამ თავად ნახე, რაც ხდება გურჯისტანისკენ მიმავალ გზაზე. მარტო ვერ ჩააღწევ იქამდე. მეკობრეებს თუ გადაურჩი, თურქები შეგიწირავენ. სხვა თუ არაფერი, წყალი ხომ გინდა. ყველა ჭას კი თურქები დარაჯობენ. ამიტომ იქნება შენი გურჯისტანს წასვლა შეცდომა. ვაჟკაცებიც არსებობენ და ვაჟკაცებიც. ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ზოგი კვდება, ზოგი კი ცოცხლობს. ნუ მიგეჩქარება იმ ქვეყნად. სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ და თუ სახელოვან სიკვდილს ინდომებ, დარჩი ჩემთან. თუ გინდა, მეკობრეებს შეაკვდე ან მგლები დააპურო შენი სისხლითა და ხორცით?!. უარს კი არ მეტყვი. შენი ხასიათის კაცს, არ ეყვარება ვალში დარჩენა... კარგად დაფიქრდი, ფხოველო. უკან დაბრუნებას ყოველთვის მოასწრებ. მთა არსად წავა, დაგელოდება. თავისუფლებისა და სიცოცხლის სანაცვლოდ, შენი ცხოვრების ერთ წელს გთხოვ. მეტი დრო არ სჭირდება ჰინდის ქვეყანაში ჩასვლას და უკან დაბრუნებას. მერე შენ თვითონ გადაწყვიტე — გინდ ჩემთან დარჩი, გინდ გურჯისტანში დაბრუნდი. მე თავად ჩაგაცილებ ჰერეთს, — შესთავაზა ჰასანმა.

— დაჭრილი და დასუსტებული ვერსად გამოგყვები, — უპასუხა მუროჩიმ.

— იარები ნუ გაფიქრებს. აქ არაფერი მოგაკლდება. საუკეთესო მკურნალს მოგიჩენ. ვიდრე არ გამოკეთდები, ბაღდადს არ გავემგზავრები, მაგრამ პასუხი ახლავე უნდა მომცე. თუ გურჯისტანში დაბრუნებას გადაწყვეტ, მე აქ აღარ დავრჩები. შენ ამით არაფერი მოგაკლდება. შენს თავს ციხისთავს ჩავაბარებ. გიაქიმებს და როგორც კი მომჯობინდები, ცხენსაც მოგცემს, იარაღსაც და ოქროსაც, — თქვა ჰასანმა.

მუროჩი დიდხანს ფიქრობდა. სადღაც მართალი იყო ჰასანი. მუროჩიმ ის მგლებს ხახიდან გამოჰგლიჯა, მან კი აჰმედისგან დაიხსნა. სიცოცხლეც შეუნარჩუნა და თავისუფლებაც აჩუქა. ამით ვალიც გადაიხადა და იქითაც დაადო ვალი. ვალს კი გასტუმრება შვენოდა. თანაც რამდენჯერ გადარჩა. პირველად რუსთავის ციხესთან, როცა ბაგრატოვანთა უფლისწულს შეება ატ ტავილი. ფიცხელი ომი იყო. ყოველი მხრიდან მოფრინავდა ისარი და შუბი, ელავდა ხმალი და იმ ომში თითიც არ გაჰკაწვრიათ მას და უშიშას. მერე ჭაობში ჩაცვივდნენ და ისევ არ გაწირა ღმერთმა. ისევ ბაგრატოვანთა უფლისწულმა დაიხსნა მყაყე ჭაობიდან. მაშინ იფიქრა მუროჩიმ, სხვათა საჩვენებლად დაგვხოცავსო, მაგრამ რაინდი აღმოჩნდა უფლისწული დავით. თავისუფლებაც აჩუქა და ფხოვს დასაბრუნებლად ცხენებიც მისცა, საგზალიც და იარაღიც. აჰმედის თურქებთან შეტაკებასაც გადაურჩა. ვერც გურჯმა მოკლა და ვერც იარამ გატეხა. გაქცევაც შეძლო. ჰასანი რომ არა, იმ ხეობიდანაც გააღწევდა, მაგრამ ღმერთმა ისევ სხვანაირად შეაბრუნა მისი ბედის ჩარხი. გათურქებული ჰერეთელისთვის დაღვარა სისხლი. მგლის ხროვა დაამარცხა, ისევ დაიმატა იარები და ისევ თურქებს ხელში ჩაუვარდა. ამჯერად აღარაფრით შეეძლო თავის დაცვა. უგონოდ იყო. ხმლის ერთი შემოქნევა და ყველაფერი დამთავრდებოდა. ვეღარასოდეს იხილავდა თოვლმოკიდებულ მწვერვალებს, მაგრამ ამჯერად ღმერთმა გათურქებული ქართველის ხელით აჩუქა სიცოცხლე. იმ კაცის ხელით, ვისი გულისთვისაც შეება მგლის ხროვას. ახლა კი ჰასანი ბაღდადს და მასზე უფრო შორეულ ქვეყანაში გაყოლას სთხოვდა.

ფიქრში ჩაძირულმა მუროჩიმ კედლის ჭრილს მიაპყრო მზერა. რუხ ღრუბლებში ოდნავ მოჩანდა მზე. მზე, რომელიც ფხოვიდან წამოსვლის დღიდან ჩასცქეროდა თვალებში. ჰასანს რომ გაჰყოლოდა, ისევ დინების აღმა უნდა ევლო და ისევ უნდა დაშორებოდა ფხოვს, მაგრამ ზურგი რომ შეექცია მზისთვის და მშობლიური მხარიკენ დაძრულიყო?.. დაიძვრებოდა კიდეც. პირველი შეხვედრისას არ მოეწონა ჰასანი. გათურქებული თუ თურქად დაბადებული, მისთვის მაინც მოსისხლე მტერი იყო, მაგრამ ერთს მაინც ვერ დაუკარგავდა. სიტყვის კაცობას ამჩნევდა ჰასანს. უბრალოდ არ წამოისროდა სიტყვას და თუ იტყოდა რამეს, აუცილებლად შეასრულებდა. არც მატყუარისა ემჩნეოდა რამე და თავადაც ხვდებოდა, რომ სიმართლეს ეუბნებოდა. სახიფათო იყო საქართველოსკენ მიმავალი გზა. მარტოს გაუჭირდებოდა უკან დაბრუნება და ალბათ ვერც ჩააღწევდა ფხოვს. დღისით თურქებთან უნდა ეომა, ღამით — მეკობრეებთან და მგლებთან. ყველას ვერ გასწვდებოდა ხმლითა და ისრით. ამაზე გაქცევის დროსაც ფიქრობდა, მაგრამ მაშინ ტყვე იყო და სიცოცხლეზე მეტად, თავისუფლება სწყუროდა. თუნდაც მომკვდარიყო, მაგრამ იარაღით ხელში და ისეც არ წავიდოდა იმ ქვეყნად, თუ რამდენიმე თურქს წინ არ წაიმძღვარებდა. ახლა კი...

ახლა თავისუფალი იყო. ჰასანი ცხენს, საჭურველსა და საგზალს ჰპირდებოდა, მაგრამ მისთვის ხომ არ გადარჩა ამდენჯერ, რომ შინისკენ მიმავალი მომკვდარიყო?.. ჰასანის სიტყვები გაახსენდა: „ჩემი გზა სიცოცხლისკენ მეჩეთზე გადიოდა და მეც უყოყმანოდ გავუდექ იმ გზასო!“ იქნებ მისი გზა სიცოცხლისკენ და ფხოვისკენ ბაღდადზე გადიოდა და ჰასანი უნდა ქცეულიყო იმ ხიდად, რომელიც აბობოქრებულ ნაკადზე გადაიყვანდა?..

— მე პასუხს ველი, ფხოველო, — ფიქრს მოსწყვიტა ჰასანმა.

მუროჩიმ გახედა, მერე კი თანხმობის ნიშნად გაუწოდა მარჯვენა.

— ბაღდადს წამომყვები? — აჩქარდა ჰასანი.

— წამოგყვები, — თავი დაუქნია მუროჩიმ.

— ჰინდის ქვეყანაშიც? — განაგრძო ჰასანმა.

— იქაც, — დაუდასტურა მუროჩიმ.

— მაშინ შენი ვინაობაც მითხარ, თორემ როდემდე გეძახო ფხოველი, — გაეღიმა ჰასანს.

— მუროჩი მქვია, გვარად დაიაური ვარ.

— კარგი, დაიაურო. სახელი მითხარი და ჩემგან საჩუქარიც გერგება. ვგონებ, არ დამიწუნებ, — ამ სიტყვებთან ერთად, ჰასანი დარბაზის ბოლოში გავიდა და უკან მობრუნებულმა სასთუმალთან მოზრდილი ბოხჩა დაუდო.

— რა არის ეგ? — კითხვით გახედა მუროჩიმ.

— თავად ნახე, — უკან გადგა ჰასანი.

ბოხჩაში მისი საჭურველი აღმოჩნდა.

მუროჩიმ ხმალი ქარქაშიდან ამოასრიალა და ფხა მოუსინჯა. ბასრმა ფოლადმა უმალ ამცნო, რომ მზად იყო სამსახურისთვის.

— მოგეწონა საჩუქარი? — ჰკითხა ჰასანმა.

მუროჩიმ უხმოდ დაუქნია თავი.

— სანაქებო ხმალი გქონია, თორიც, მაგრამ მოთმენა მოგიწევს. კარგა ხანს ვერ მოირგებ მაგ ჯაჭვის პერანგს, — განაგრძო ჰასანმა.

— მაშ რისთვის დამიბრუნე? — გაუკვირდა მუროჩის.

— ეგ შენი საჭურველია. შეჩვეული ხარ და სხვა აბჯარზე უკეთაც მოიხმარ, მაგრამ თურქებს ბევრი აქვთ ნაომარი გურჯებთან. მაგ ჯვრებით ნაქარგ აბჯარში უმალ ამოგიცნობენ და მეც ვეღარ შევძლებ შენს დაცვას, ან მოგკლავენ, ან ისევ დაგატყვევებენ. ხმალი ატარე. გატყობ, რომ გაგიჭირდება უიმისობა.

ჯაჭვი კი უმალ გაგცემს და გახსოვდეს, ფხოველო, რომ ბაღდადში მოსისხლე მტერთა შორის მოგიწევს ყოფნა, როგორც ქრისტიანსა და როგორც გურჯს! — თქვა ჰასანმა და დარბაზიდან გავიდა.

სისხლითა და სიკვდილით შეეღებათ ბაღდადი. კარიბჭის სიახლოვეს, მდელოზე უამრავი ცხედარი ეყარა. მათ შორის ცოცხლებიც ერივნენ. ხელფეხგაკრულნი იკლაკნებოდნენ მიწაზე და საცოდავი ხმით ითხოვდნენ შველას. ზოგს უკვე გადასწეროდა იმედი და გამვლელ-გამომვლელს მოკვლას ევედრებოდა.

— წყალი... ერთი ყლუპი წყალი, — ძონძებში გამოხვეულმა მოხუცმა მურორჩისკენ კანკალით გაიწოდა ხელი.

შეზარა ფხოველი მისმა ხილვამ. წელსა და ზურგზე საშინელი იარები მოუჩანდა. მატლდასეული ჭრილობებიდან ღვარად დასდიოდა სისხლნარევი ჩირქი, მაგრამ იმაზე მეტად უწყლობას შეეწუხებინა. წვალებით მოფოფხავდა მიწაზე და იმეორებდა:

— წყალი... ერთი ყლუპი წყალი...

უნაგირზე ჩამოკიდებულ ტიკს წაეტანა მურორჩი, მოხუცისთვის წყალი რომ მიეწოდებინა, მაგრამ ჰასანმა არ დაანება. ხელი უტაცა ტიკზე და თავის გაქნევით ანიშნა: ნუ იზამ მაგასო.

— გაჭირვებულის დახმარება ბაღდადში დანაშაულად ითვლება?— გაუკვირდა მურორჩის.

— ეგ კაცი სიკვდილმისჯილია. ასეთი წესი აქვთ თურქებს. სიკვდილმისჯილებს ხერხემლის მალებს უმსხვრევენ და ქალაქის კარიბჭესთან, ურჩთა დასფრთხობად ყრიან. მისთვის წყლის მიცემა ხალიფის ურჩობის ტოლფასია და ამის გამკეთებელს, იგივე მოელის, — უპასუხა ჰასანმა და ამასთან ერთად ხალიფას შავხიფთანიან მცველებზე მიანიშნა, რომლებიც თვალს არ აშორებდნენ მომაკვდავებს.

მურორჩიმ ბრაზით გახედა. მერე ხელი გააშვებინა, ხანჯალი იშიშვლა და საბელი ჩაჭრა. ტიკი მძიმედ დაეხეთქა მტვრიან თემშარას. სიკვდილმისჯილმა კვნესა შეწყვიტა და ტიკისკენ გაფოფხდა, მაგრამ მაინც ვერ დალია წყალი. შავხიფთანიანმა გუშაგმა დაასწრო, მოხუცს წიხლი უთავაზა, გვერდზე მიაგდო და ტიკს შუბი გაუყარა. დაღვრილი წყლის დანახვაზე სიკვდილმისჯილი მოიკრუნჩხა და ნადირივით აღმუვლდა. შავხიფთანიანი კი ყვირილით მიუბრუნდა მურორჩის.

ფხოველმა ვერაფერი გაიგო თურქის ნათქვამისა. ცხენი ააჩქარა, რომ რაც შეიძლება, მალე გასცლოდა იქაურობას. ამან უფრო გააშმაგა თურქი. ყვირილით გავარდა წინ და მხედარს შუბი შემოუქნია. მურორჩი სწრაფად გაერიდა დარტყმას და თვითონაც ხმალს წაეტანა. დანარჩენმა შავხიფთანიანებმა იფიქრეს: უცხო მხედარი ჩვენს ამხანაგს დაესხაო თავს და მათაც იარაღი მოიმარჯვეს. მურორჩის არც უფიქრია უკან დახევა, ხმალი შეათამაშა და შავხიფთანიანთა მოსაგერიებლად მოემზადა. ცოტაც და, კარიბჭესთან ბრძოლა ატყდებოდა, მაგრამ ამ დროს ჩხუბში ჰასანი ჩაერია. მან შავხიფთანიანებთან მიაგდო ცხენი და ჩალმის ბოლო ჩამოიხსნა, რომელიც სახის მტვრისაგან დასაცავად აეფარებინა.

— ალი ჰასან?! — გაოცებით აღმოხდათ გუშაგებს, ყოფილი ასისთავის ხილვისას.

— უკან დაიხიეთ! — ბრძანა ჰასანმა.

— მაგ კაცმა ბოროტმოქმედს წყალი მისცა, — შეეკამათა შავხიფთანიანთა ათისთავი.

— წყალი კი არ მისცა, ტიკი დაუვარდა, — თქვა ჰასანმა.

— ჩვენ ყველაფერი ვნახეთ, დაუვარდა თუ დააგდო. მაგ კაცმა ხალიფის ბრძანება დაარღვია. ბოროტმოქმედს დაეხმარა. გადმოგვეცი დამნაშავე! — წინ წარდგა ათისთავი.

— უკან დაიხიე, ბრიყვო. ალაჰს ვფიცავ, ამ კაცს რომ შეეხოთ, მასზე ადრე მოკვდებით. იცით, ვინ არის ის?! — ხმას აუწია ჰასანმა.

— ვინ არის? — ჩაეძია ათისთავი.

— ყივჩაყია, სასახლის მეჯინიბეთუხუცესის ბრძანებით ჩამოვიყვანე, ხალიფის ცხენების სამკურნალოდ! — მშვიდად იცრუა ჰასანმა.

შავხიფთანიანები შეცბნენ. ჰასანი არ აჭარბებდა. ხალიფის ცხენების მკურნალს ვერ შეეხებოდნენ. ამისთვის თავად დაისჯებოდნენ.

ჰასანმა უმალ ისარგებლა შავხიფთანიანთა დაბნეულობით. მურორჩის ანიშნა: გამომყევიო და ცხენი შეაბრუნა. ამ დროს, ქალაქის კარიბჭეს შავხიფთანიანთა კიდევ ერთი რაზმი გამოსცდა. რაზმს უკან ბორბლებზე შემდგარი გალია მოჰყვებოდა, რომელშიც ოცამდე სიკვდილმისჯილი იჯდა.

შავხიფთანიანებმა გალია მდელოზე შეაჩერეს და საქმეს შეუდგნენ. სიკვდილმისჯილები სათითაოდ ჩამოჰყავდათ გალიიდან, ჩუგლუგებით ხერხემლის მალებს უმსხვრევდნენ და იქვე ყრიდნენ. განწირულები საცოდავად კიოდნენ. ბევრი მოკვლას ევედრებოდა ჯალათებს, მაგრამ ისინი წარბშეუხრელად აგრძელებდნენ საქმეს.

— რა დააშავა მაგ ხალხმა? — ჰასანს გახედა მურორჩიმ.

— ვინ იცის. ზოგი მძარცველი და ავაზაკია, ზოგი — მკვლელი, ზოგი — უცხო დიაცს წაავლებდა ხელს, ზოგი — ერთ მუჭა ლეღვის ჩირს მოიპარავდა ბაზარში, ზოგის ჯორი შეუფერებელ ადგილას მოისაქმებდა, ზოგიც გზას გადაუჭრიდა ხალიფის ამალას... ბაღდადში ეგეც კმარა სასიკვდილო განაჩენისთვის.

— ჯალათთა ქალაქი ყოფილა ბაღდადი! — ბრაზით ჩაილაპარაკა მურორჩიმ.

— განა გურჯისტანში არ სჯიან ბოროტმოქმედებს, — შენიშნა ჰასანმა.

— სჯიან, მაგრამ ასე არა. შეარცხვენენ, ცალ ულვაშს ჩამოჰპარსავენ, იქნებ დიაცის კაბაც გადააცვან. ყველაზე დიდი სასჯელი თემიდან განკვეთა და განდევნაა, მაგრამ ასე, ცხვარივით ჩვენში არავის მოკლავენ. არც მოკლავენ და ვინმეს დასჯისას სეირის საცქერადაც არ შეგროვდება ხალხი, — თქვა მურორჩიმ და კარიბჭესთან თავმოყრილ ბრბოზე მიანიშნა.

— ეგენი სეირის საცქერად არ დგანან მანდ. სიკვდილმისჯილთა ნათესავები არიან. ცხედრების წასაღებად მოვიდნენ, — თქვა ჰასანმა.

— მერედა, რას უცდიან?!. მდელოზე აუარება ცხედარია. ალბათ მათი ნათესავებისაც? — გაუკვირდა მურორჩის.

— სიკვდილის მერე ცხედარი სამი დღე მდელოზე უნდა დარჩეს. მაგ ვადის გასვლას ელიან ჭირისუფალნი. მანამდე ცხედარს ვერავინ ახლებს ხელს. მაგას დარაჯობენ შავხიფთანიანები. ვინც ცხედრის წაღებას შეეცდება, ხერხემალს ჩაუმსხვრევენ და მდელოზე სასიკვდილოდ დატოვებენ, — უპასუხა ჰასანმა.

— ახლა ვნანობ, რომ ამ ჯოჯოხეთში გამოგყევი!.. ბრაზით ჩაილაპარაკა მურორჩიმ, მერე კი დეზი ჰკრა ცხენს, რომ მალე გასცლოდა ამ საზარელ ადგილს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმღიერესი ემიგრანტები

ივლიანე ხაინდრავა — ხარბინელ ქართველთა წინამძღოლი



წერილი მერვე.
წინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-27

მანანა გაბრიჭიძე

რუსულან დაუშვილი:

— ამერიკის ქართულ დიასპორაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდარი იყო მანჯურიის ქართული დიასპორა. ბუნებრივია, გაოცებას იწვევს — თუ საიდან აღმოჩნდნენ ქართველები ასეთ შორეულ ადგილას — ჩრდილოეთ ჩინეთში. ამის შესახებ უფრო ვრცლად მომდევნო წერილში მოგითხრობთ, ამჯერად კი მანჯურიაში მცხოვრებ ქართველთა შორის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და თვალსაჩინო პიროვნებაზე — ივლიანე ხაინდრავაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. საუბარია მწერალ ლევან ხაინდრავას მამაზე, გიორგისა (გოგა) და ივლიანე ხაინდრავა-უმცროსის ბაბუაზე, რომელიც 30 წელი ხელმძღვანელობდა ხარბინის ქართულ კოლონიას. ამ ხნის განმავლობაში მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, ხარბინში არაერთი საზოგადოებრივი თუ კულტურული დაწესებულება დაარსდა. წარმატებული მრეწველი და საზოგადო მოღვაწე, რომლის გარეშეც არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, ქველმოქმედი და მეცენატი, ქართველთა ქომაგი შორეულ აღმოსავლეთში, შესანიშნავი პიროვნება — ასე ახასიათებდნენ მას თანამედროვენი. კეთილი საქმეებითა და ქველმოქმედების წყალობით, ხაინდრავამ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო ქართველებში, არამედ ხარბინის მთელ მრავალეროვან მოსახლეობაში. მის აზრს ანგარიშს უწევდნენ არა მარტო ჩინეთის, არამედ იაპონიის ადმინისტრაციაშიც. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი სიცოცხლე სამშობლოდან შორს იმყოფებოდა, ცხოვრების წესითა და მთელი არსებით, ის დიდი ქართველი იყო. სწორედ მამის წყალობით „დაავადდნენ“ შვილები საქართველოთი: მიუხედავად დიდი რისკისა, სამშობლოში დაბრუნდნენ და ახლა მისი შთამომავლები საქართველოს მოქალაქეები არიან.

ივლიანე ხაინდრავა დაიბადა 1873 წელს სენაკის მაზრის სოფელ ლეხაინდრაოში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 16 წლის ასაკში იგი ანარქისტებს მიემხრო, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტში მონაწილეობის ბრალდებით, დააპატიმრეს და სხვებთან ერთად, 20 წლით კატორღა მიუსაჯეს — სახალინზე, საიდანაც შემდგომ, მანჯურიაში გადასვლა მოახერხა.

— მანჯურიაში როგორ აეწყო მისი ცხოვრება?

ივლიანე ხაინდრავა უფროს ვაჟთან — ლევანთან ერთად

— ქალაქ ხარბინში ხაინდრავა დაუმეგობრდა გენერალ ხორვატს, რომელმაც ივლიანეს გადასახლებულის სტატუსი მოუხსნა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების აკრძალვას ვერაფერი მოუხერხა. გენერლის რჩევით, იგი ქალაქში დარჩა, შეიძინა მიწები, ააშენა სახლები, ერთ ქუჩას კი „გრუზინსკაია“ ანუ — „ქართველებისა“ უწოდა... შემდეგ დაუახლოვდა გენერალ მაოჰის, რომლის ხელშეწყობით, იჯარით აიღო ტყეები. მანჯურიაში ნახშირი არ იყო, სათბობად ძირითადად შეშას იყენებდნენ, რომელსაც გემებით ეზიდებოდნენ. ტყის დამუშავებამ ხაინდრავა გაამდიდრა, რაც საშუალებას აძლევდა, ქველმოქმედებისათვის მოეკიდა ხელი. ქართული სათვისტომო სწორედ მის სახლში, გრუზინსკაიას ქუჩაზე იყო განთავსებული, სადაც თავმჯდომარის კაბინეტიც ჰქონდა მოწყობილი. ხაინდრავების ოჯახი კი ცენტრალურ ქუჩაზე — კიტაისკაიაზე ცხოვრობდა სამსართულიან საკუთარ სახლში, რომლის პირველ სართულს აქირავებდა... ივლიანე გვიან დაქორწინდა, მის ცოლს — მარია კაჩანოვას მამა ნახევრად ლატვიელი, ნახევრად რუსი ჰყავდა, დედა — პოლონელი. ძალიან სიტყვაძუნწი და მკაცრი ქალი იყო. სამი შვილი ჰყავდათ — ლიდა, ლევანი და ალექსანდრე (ალიკ), რომელიც ცოტა ხნის წინ თბილისში გარდაიცვალა.

— შვილებიდან რომელიმე მათგანს პირადად თუ იცნობდით?

— მაშინდელი ხარბინი და ქართველ ემიგრანტთა ცხოვრება ძალზე რელიეფურადაა აღწერილი ივლიანეს უფროსი ვაჟის, მწერალ ლევან ხაინდრავას მოთხრობებსა და რომანებში: „მამისეული სახლი“, „მოჯადოებული შორეთი“, „კვამლი ჰორიზონტზე“ და სხვა, რომელთა ნაწილი წლების წინ ბატონმა ლევანმა დიდი სიხარულით გვაჩუქა, როდესაც შეიტყო, რომ მანჯურიელ ქართველებზე სტატიას ვწერდი. სხვათა შორის, 2002 წელს დაიბეჭდა გულბათ ტორაძის შესანიშნავი წიგნი — „ჩემი მეგობარი ლევან ხაინდრავა“, რომელიც უხვადაა დასურათებული მწერლის ხარბინული ცხოვრებისა და შანხაის პერიოდის ამსახველი ფოტოებით... 1908 წელს ივლიანე ხაინდრავას უშუალო მონაწილეობით, ხარბინში დაარსდა ქართული სათვისტომო, რომლის პირველი და უცვლელი თავმჯდომარე გარდაცვალებამდე ის იყო. მისი ინიციატივითა და

MK

მეჯლისი ხარბინში

უშუალო მონაწილეობით გაიხსნა: კლუბი, ბიბლიოთეკა, ქართული სკოლა, ურთიერთდახმარების სალარო. უცხოეთში არსებულ სათვისტომოებს შორის ყველაზე მტკიცე და მდიდარი ორგანიზაცია სწორედ ხარბინის ქართული საზოგადოება იყო და, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, გამგეობა ფულით ეხმარებოდა საფრანგეთში დამკვიდრებულ, საქართველოს მთავრობის ლეგაციას და ქართული კულტურის ცენტრებს სხვა ქვეყნებში. გასული საუკუნის 70-იან წლებში სტამბოლის კათოლიკურ მონასტერში, ოთარ გიგინეიშვილს უნახავს ივლიანე ხაინდრავას, როგორც დიდი ქველმოქმედისა და სახელოვანი ქართველის პორტრეტი... საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და რეპრესიების გამო, ბევრი ლტოლვილი ჩინეთის საზღვრის გადაკვეთას უფრო იოლად ახერხებდა და იქაური სათვისტომოს დახმარებით, ან დასავლეთში — ევროპასა თუ ამერიკაში მიდიოდა, ან ხარბინში იწყებდა ახალ ცხოვრებას... „აქ ქართველობა ყოველდღე გვემატება, გამორბიან საქართველოდან და რუსეთიდან. ჩინეთისა და რუსეთის საზღვრები ძალიან შეკრულია, მაგრამ ვერაფერი ვერ აკავებს ამ საწყლებს და ამგვარათ თავს იღწევენ კომუნისტების ჯოჯოხეთიდან“, — წერდა ივლიანე ხაინდრავა პარიზში, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ელჩს აკაკი ჩხენკელს.

— ივლიანე ხაინდრავას შვილები რას საქმიანობდნენ?

— ხარბინელი ქართველები აღნიშნავდნენ შობა-ახალ წელს, ნინოობას, თამარობას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესა თუ სხვა დღესასწაულებსა და ღირსშესანიშნავ თარიღებს. ზეიმებსა და ქართულ კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ივლიანე ხაინდრავას შვილებიც. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“ აღწერდა „ქართული საზოგადოების“ დარბაზში ჩატარებულ 26 მაისის დღესასწაულს და სხვა გამომსვლელებს შორის, ლიდა ხაინდრავასაც მოიხსენიებდა. ყველა ის უბედურება, რომელიც ხარბინელ ქართველებს დაატყდათ თავს, ხაინდრავების ოჯახსაც შეეხო, თუმცა ყველა ხელისუფლების პირობებში თავისი ავტორიტეტით ივლიანე არა მარტო თავის ოჯახს, არამედ სხვა ქართველებსაც ჰპატრონობდა. ლევან ხაინდრავამ წიგნში — „კვამლი ჰორიზონტზე“ — მამისადმი მიძღვნილ ეპიზოდში შესანიშნავად აღწერა მისი პორტრეტი: მაღალი, ხმელი მოხუცი, ამაყად შემართული თავით, დახვწილი სახის ნაკვთებით, კეხიანი, არწივისებური ცხვირით, მოვლილი ულვაშით, ჭაღარა წვერით, დიდი, ძლიერი ხელებითა და გრძელი თითებით... ასეთი შემოგვყურებს იგი 30-იან წლებში გადაღებული ფოტოებიდან.

1938 წელს ლევანმა შანხაიში ფრანგული უნივერსიტეტი — „ავრორა“ დაამთავრა, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების სიხარული ივნისში მამის გარდაცვალებამ დაჩრდილა... ივლიანე ხაინდრავას გარდაცვალებას გამოეხმაურა თითქმის მთელი ადგილობრივი პრესა, როგორც რუსული და პოლონური, ასევე — ჩინური და იაპონური. წლისთავზე, სათვისტომომ პანაშვიდი გადაუხადა დილით — წმინდა სოფიას მართლმადიდებლურ ტაძარში, საღამოს — სასაფლაოზე. ხარბინის რუსულ გაზეთ „ზარიაში“ დაიბეჭდა გამგეობის წერილი — „პატრიოტის ხსოვნა“ და განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდებისათვის სათვისტომო აწესებდა ივლიანე ხაინდრავას სახელობის სტიპენდიას, რითიც უკვდავყოფილი იქნებოდა მისი ხსოვნა და გაგრძელდებოდა მისი საქველმოქმედო საქმიანობა. სამწუხაროდ, ხარბინის ქართული სათვისტომოს კეთილშობილური გადაწყვეტილება — ივლიანე ხაინდრავას სახელით, მატერიალურად დახმარებოდა ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობას — დიდხანს არ გაგრძელებულა: 1939 წლის 1-ელ სექტემბერს II მსოფლიო ომი დაიწყო და ხარბინელი ქართველები ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ომმა დაჩქარა ხაინდრავების ოჯახის დაბრუნება სამშობლოში. 1947 წელს საქართველოში ჩამოვიდა ლევანი, რომელიც მალევე გადაასახლეს ყაზახეთში, საიდანაც თბილისში მხოლოდ 1955 წელს დაბრუნდა. იმავე წელს საქართველოში ჩამოვიდა ალექსანდრე, რომელიც საბედნიეროდ, რეპრესიებს გადაურჩა. როგორც ლევან ხაინდრავას ბიოგრაფი, გულბათ ტორაძე წერს, ლევანს ძალიან აწუხებდა, რომ მამის საფლავი დაკარგა. მისმა ვაჟმა, რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ ჩინეთში ყოფნისას მოინახულა ხარბინი და მამის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ვიდეოფირი ჩამოუტანა, რომელზეც აღბეჭდილი იყო ლევანისათვის ასეთი ნაცნობი, ხარბინის ღირსშესანიშნაობები — მამისეული სახლი და ივლიანე ხაინდრავას საფლავი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ტროი ლენდვერის საჩუქარი ნიუ-იორკს

4 ივლისს, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ნიუ-იორკის ცენტრში მდებარე ტაიმს-სკვერი ჩედლერის ყველისგან დამზადებულმა ერთტონიანმა ქანდაკებამ დაამშვენა, რომელზეც ბენჯამინ ფრანკლინი, ჯონ ადამსი და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელისმომწერი სხვა ამერიკელი პოლიტიკოსებიც არიან გამოსახულნი. სკულპტურა ტროი ლენდვერმა შექმნა. ავტორი საკუთარ ქმნილებას „ძალზე პატრიოტულს“ უწოდებს და ირწმუნება, რომ პასტერიზებული ყველისგან შექმნილ ქანდაკებას ზაფხულის მზე ვერაფერს დააკლებს. იმისათვის, რომ ამერიკის მამების გამოსახულება არ დასკდეს და სასაქონლო იერი არ დაკარგოს, ქანდაკების ზედაპირი კულინარიული ცხიმითაა დაფარული. აღსანიშნავია ისიც, რომ ტროი ლენდვერი ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი შექმნილი არაერთი ყველის ქანდაკების ავტორია. ერთი წლის წინ მან 300 კგ ყველისგან რაშმორის მთის ასლი გამოაქანდაკა და მთის ფერდობზე ამერიკის 4 პრეზიდენტის ვაშინგტონის, ჯეფერსონის, რუზველტისა და ლინკოლნის გიგანტური თავები გამოკვეთა.

P.S. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციას 1776 წლის 4 ივლისს მოეწერა ხელი.

ჯენიფერ ენისტონი კვლავ შეყვარებულია!

ჯენიფერი კვლავ შეყვარებულია და ბედნიერებაზე ოცნებობს. იქნებ მოხდეს ხახწაული და ახალმა შეყვარებულმა მიხი გულიდან ბრედ პიტის გაძევება შეძლოს?

მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები აჭრელდა სტატიებით იმის შესახებ, რომ ჯენიფერ ენისტონი კვლავ შეყვარებულია! მისი რჩეული ცნობილი ამერიკელი მუსიკოსი ჯონ მეიერია. ჯენიფერი და ჯონი უკვე ორი თვეა ხვდებიან და ერთმანეთი თავდავიწყებით უყვართ. მაისის დასაწყისში შეყვარებულები მაიამიში ჩაფრინდნენ და სასტუმრო MandarinOriental-ის საპრეზიდენტო ნომერში დაბინავდნენ, რომელიც ჯენიფერმა წინასწარ დაჯავშნა. ნომრიდან მხოლოდ იმისთვის გამოდიოდნენ, რომ აუზში ეცურავათ, მაგრამ ვნებებს წყალშიც ვერ იოკებდნენ, ერთმანეთს ეალერსებოდნენ და განუწყვეტლივ ნაზ სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ... 10 მაისს, საღამოს, შეყვარებულები ჯენიფერის მორიგი ფილმის დასრულების აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე გაეშურნენ, რომელიც კლუბში Coconut Crove გაიმართა. ჯენიფერმა გადამღებ ჯგუფს ჯონი წარუდგინა და სატრფოს სტუმრების პატივსაცემად რამდენიმე სიმღერის შესრულება სთხოვა. ამის შემდეგ კვლავ მყუდრო კუთხეში განმარტოვდნენ, არავის აქცევდნენ ყურადღებას და მთელი საღამო შამპანურით და ალერსით ტკბებობდნენ...

დრო გვიჩვენებს, თუ როგორ დასრულდება მათი სიყვარულის ამბავი. ჯონის მეგობრებს თუ ვერწმუნებით, ცნობილი პლეიბოი ჯენიფერის გულს აუცილებლად დაამსხვრევს! ნუთუ ადამიანი



მსუბუქი ფლირტის გამო ყველაფერს მიატოვებს, ათასობით კილომეტრს გადალახავს და ნიუ-იორკიდან მაიამიში მხოლოდ იმის გამო ჩავა, რომ ქალთან, რომელიც არ უყვარს, უიკენდი გაატაროს?! ბოლო სამი წელი ჯენიფერ ენისტონმა ბრედ პიტის მიერ მიყენებული იარების მოშუშებას შესწირა. მას შემდეგ, რაც ბრედი ანჯელინა ჯოლისთან წავიდა, უბედური, მიტოვებული ჯენიფერი ჯოლის თაყვანისმცემლებსაც კი ებრალებოდათ. ტაბლოიდები ენისტონს დღემდე უიღბლო სიყვარულის მსხვერპლად მიიჩნევენ: „ჯენიფერი კვლავ იმგვარ ფორმაშია, რომლის წყალობით ერთ დროს ბრედის გული მოინადირა! „ჯენის შესაფერისი, ჭეშმარიტი მამაკაცი!“ „მადლობა ღმერთს, ჯენი კვლავ შეყვარებულია!“ ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ მისდამი ესოდენ ცხოველი ინტერესის გამო, ჯენიფერი ბრედ პიტის მადლიერი უნდა იყოს, რადგან შთამბეჭავი და დასამახსოვრებელი კინოროლებით ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნის! თავად ჯენიფერს მოწამის როლი დიდად არ ხიბლავს. ბრედ პიტს 36 წლის ასაკში დაშორდა. ქორწინების წლები კარიერას შესწირა და დიდხანს ცდილობდა, სერიალის — „მეგობრები“ წყალობით მოპოვებული ტელევარსკვლავის სტატუსი „ჰოლივუდის ვარსკვლავის“ სტატუსით შეეცვალა. ბრედი კი — შვილებზე ოცნებობდა და თითქოს თავისთავად მოხდა, რომ ცხოვრების გზაზე თანამოაზრე ანჯელინა ჯოლის შეხვდა... ჯენი იტანჯებოდა, ბრედის დავიწყებას ვერ ახერხებდა და ჟურნალისტებს გულს უშლიდა: იმის შესახებ მოუთხრობდა, თუ როგორ ეშვებოდა ზღვის სანაპიროსთან და მთელი ხმით გაჰყვიროდა მაშინ, როდესაც ტკივილი გაუსაძლისი ხდებოდა. ანჯელინასა და ბრედის ოჯახში ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ. ბრედის ახალი ოჯახის ზრდასთან ერთად, ჯენი ქმრის დაბრუნების იმედს თანდათან კარგავდა. ბავშვზე უკვე თავადაც ოცნებობდა. რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა გაზეთი იმის შესახებ წერდა, თითქოს ჯენიფერი ბავშვის შვილად აყვანას აპირებდა და ინიციალებით „AA — Alexander Aniston“ ამოქარგული საბავშვო სამოსის კომპლექტიც კი შეუკვეთა. ბოლო ხანებში ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული ჭორები ჩაცხრა და დღემდე უცნობია, თუ როგორ დასრულდა ეს ამბავი. დაბეჯითებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯენიფერი კვლავ იმ მამაკაცის ძიებაში იყო, რომელსაც მომავალს დაუკავშირებდა...

როდესაც ბრედ პიტთან განქორწინების შემდეგ ჯენი, როგორც იქნა, გონს მოეგო, მის ცხოვრებაში პირველი მამაკაცი — მსახიობი ვინს ვონი გამოჩნდა. წყვილმა ერთმანეთი ფილმის — „განქორწინება ამერიკულად“ გადასაღებ მოედანზე გაიცნო. ეკრანული სიყვარული — რეალური რომანტიკული ურთიერთობისთვის ნოყიერი ნიადაგია, მაგრამ მათი ურთიერთობა ფილმის სარეკლამო კამპანიის დამთავრებისთანავე დასრულდა. მომდევნო სერიოზული პრეტენდენტი, მოდელი პოლ სკალფორდი, ბრედ პიტს ტყუპისცალივით ჰგავდა, მაგრამ ეს რომანი კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ მალე, პოლმა გუდა-ნაბადი აიკრა და სახლში წავიდა. ჯენიფერ ენისტონის ცხოვრებაში ერთმანეთის მიყოლებით კიდევ ორი მომხიბვლელი მამაკაცი გამოჩნდა — ორლანდო ბლუმთან და ჯეისონ

ლუისთან („სექსი დიდ ქალაქში“) ხანმოკლე ურთიერთობამ, მრავალი ჭორიკანა დააფიქრა იმის შესახებ, რომ ენისტონს საინტერესო მამაკაცები ბუზებივით გარს ეხვევიან, მაგრამ ჯენი მათ შენარჩუნებას ვერ ახერხებს!

თავად ჯენიფერმა კი განაცხადა: „საქმე ის არის, რომ ჰოლივუდელი უფლისწულები მოკლე ხანში გომბეშოებად გადაიქცევიან ხოლმე“. ჯენის ახალი რჩეული, მომღერალი ჯონ მეიერი ერთი მხრივ ცნობილი ადამიანი და Grammy-ს მრავალგზის მფლობელია, მეორე მხრივ კი — პენელოპა კრუსთან, კემერონ დიასსა და ჯესიკა სიმპსონთან გახმაურებული რომანების მიუხედავად, „ჰოლივუდელი უფლისწული“ სულაც არ არის! ენისტონი მეიერთან ურთიერთობის შესახებ კომენტარებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. იქნებ მწარე გამოცდილებამ ასწავლა, რომ პირად ცხოვრებაში პრესა არ უნდა ჩაახედოს? ან იქნებ, უბრალოდ ეშინია, თვალი არ ეცეს?! ჯენიფერ ენისტონმა მხოლოდ ერთადერთი განცხადება გააკეთა: „ჩემს პირად ცხოვრებაში ხანგრძლივი შესვენება იყო და ახლა ძალიან მიხარია, ისეთ მომხიბვლელ ადამიანს რომ შევხვდი, რომელთან საუბარიც შეიძლება“. როგორც ჩანს, შეყვარებულებს ასაკობრივი სხვაობა საერთოდ არ აწუხებს (ჯენიფერი სატრფოზე 8 წლით უფროსია). ჯენიფერ ენისტონის თაყვანისმცემლებს ისღა დარჩენიათ, ხელები ზეცისკენ აღაპყრონ და უფალს მადლობა შესწირონ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათმა კერპმა ჭეშმარიტი სიყვარული იპოვა! ■

მოლოს და მოლოს, ფლავიო მრიატორემ ცოლის შერთვა გადაწყვიტა

როგორც ცნობილია, აღიარებულ პლეიბოი ფლავიო ბრიატორეს ტოპ-მოდელ ჰაიდი კლუმთან 4 წლის გოგონა ჰყავს. ცოტა ხნის წინ, პლეიბოი ახალი ლამაზმანით მოიხიბლა, რომელიც რა თქმა უნდა, მის წინამორბედზე ახალგაზრდაა. 28 წლის ელიზაბეტ გრეგორაჩიზე დაქორწინების წინ, „რენოს“ ბოსმა გერმანულ ილუსტრირებულ ჟურნალს — „ბუნტე“ ინტერვიუ მისცა. ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, აპირებენ თუ არა ის და მისი მომავალი მეულლე შვილების გაჩენას, 58 წლის ბრიატორემ უპასუხა: „იდეაში, დიახაც რომ ვაპირებთ. ყველაფერი ღვთის ნებაა. დარწმუნებული ვარ, ელიზაბეტი შესანიშნავი დედა იქნება. მას ბავშვები ძალიან უყვარს“. სპორტულმა მენეჯერმა და ლეგენდარული იახტის — Force Blue მფლობელმა ფლავიო ბრიატორემ აღიარა, რომ „მთელი წელი“ ფიქრობდა იმის შესახებ, რომ საკუთარი ბედი Wonderba-ს ყოფილ მოდელთან დაეკავშირებინა. ბრიატორემ იახტის გემბანზე საუზმობისას სთხოვა სატრფოს ხელი და საკუთარი გულიც შესთავაზა მაშინ, როდესაც იახტას კუნძულ სარდინიის ნაპირთან ჰქონდა ღუზა ჩაშვებული. გრეგორაჩის წინამორბედ ჰაიდი კლუმს 35 წელი შეუსრულდა. ფლავიო ბრიატორესა და ელიზაბეტს შორის ასაკობრივი სხვაობა კი 30 წელია! გრეგორაჩი ხანდაზმულ პლეიბოისთან ქორწინებას სიხარულით დათანხმდა: „მუდამ მინდოდა, გვერდით გამოცდილი მამაკაცი მყოლოდა. ახალგაზრდა ყმაწვილები არ მაინტერესებს“. ქათინაურები არც ბრიატორემ დაიშურა: „ელიზაბეტის საკუთარი ოჯახისადმი ერთგულებამ და სიყვარულმა გამაოგნა! ეს მისი საუკეთესო თვისებაა“. როგორც ჩანს, სიყვარული ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებისა და ხასიათის ადამიანებს მაგნიტივით იზიდავს, რადგან ფლავიო ბრიატორემ მშობლები ადრეულ ასაკში მიატოვა. როგორც თავად ამბობს: „...ნორჩმა და მშიერმა ყმაწვილმა საკუთარი ცხოვრების გზა მონახა“. ■

სრულმეტრაჟიანი „მეგობრემი“

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

სტუდიის — Warner Bros. — პოპულარული კომედიური სერიალი „მეგობრები“, რომელიც მაყურებელს ექვსი საუკეთესო მეგობრის ცხოვრების შესახებ მოუთხრობს, მალე სრულფასოვანი კინოვერსიის სახით მოგვევლინება! გაზეთ „დეილი მეილის“ ინფორმაციით, „უახლოეს 18 თვეში ფილმის გადასაღებ მოედანზე ჯენიფერ ენისტონი, კორტნი კოქსი, მეთიუ პერი, მეტ ლებლანი, დევიდ შვიმარი და ლიზა ქუდროუ შეიკრიბებიან. პროექტის შესახებ ხმები ჯერ კიდევ 2004 წელს გავრცელდა, როდესაც ტელეეკრანებზე სერიალის მეათე სეზონის ბოლო სერია უჩვენეს. თავდაპირველად, ჯენიფერ ენისტონი „მეგობრების“ კინოვერსიაში მონაწილეობაზე უარს ამბობდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, პროექტისადმი დამოკიდებულება შეეცვალა. სრულმეტრაჟიანი ფილმის მწარმოებელი კვლავაც კომპანია „უორნერ ბრაზერსი“ იქნება. მისივე გამოშვებულია კიდევ ერთი პოპულარული ტელესერიალის — „სექსი დიდ ქალაქში“ — მიხედვით გადაღებული კინოვერსია, რომლის შემოსავალმა უკვე 300 მილიონ დოლარს გადააჭარბა. კენდის ბუშნელის ბესტსელერის მიხედვით გადაღებული სერიალის ბოლო, მეექვსე სეზონი 2004 წელს გამოვიდა. ■

აურაცხელი იყო ღვთივსულიერი საქმენი გიორგი მთაწმინდელისა

შორენა მერკვილაძე

10 ივლისი შავ მთასა და ათონზე მოღვაწე, ქართველი მართლმადიდებელი მამის, გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღეა. გიორგი მთაწმინდელს — „ათონურ-ქართული სარწმუნოებრივი და ლიტერატურული სკოლის მნათობს“ უწოდებენ...

გიორგი მთაწმინდელი წარმოშობით სამცხიდან გახლდათ. წმინდა მამა 1009 წელს თრიალეთში დაიბადა. მისი მშობლები — იაკობი და მარიამი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. იაკობი ჭაბუკობიდანვე მსახურობდა საქართველოს მეფის, გიორგი პირველის კარზე. გიორგი, მესამე შვილი იყო. მშობლებს ჯერ კიდევ მის შობამდე დაუდვიათ აღთქმა ღვთის წინაშე, თუ კვლავ ძე მოგვეცემა (პირველი, ასული შეეძინათ — თეკლა, მეორე კი ვაჟი — თევდორე), უფალს შევწირავთო...

7 წლამდე გიორგი მშობლებთან იზრდებოდა, შემდეგ ტაძრისის მონასტერში წაიყვანეს აღსაზრდელად, სადაც სამი წლის მანძილზე იმყოფებოდა: „ვითარცა ახალი ნერგი მშვენიერი, ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“. როდესაც ათი წლის გახდა, იაკობმა შვილი ხახულის მონასტერში გადაიყვანა და თავის უფროს ძმებს — გიორგი მწერალს (იგი მეფე დავით კურაპალატის კარზე მსახურობდა მწერალთ-გამგებლად, ამიტომაც ეწოდებოდა მწერალი) და საბა ხახულელს ჩააბარა აღსაზრდელად. სავანის წინამძღვარს, მამა მაკარს ღვთაებრივი ყრმის ხილვისას უთქვამს: ჭეშმარიტად უფლისგანაა კურთხეულიო. გიორგი, მამა მაკარის სულიერი შვილი გახდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გიორგი მწერალი, ფერის ჯოჯიკის ძის კარზე მიიწვიეს მასწავლებლად. ბიძამ ძმისწულიც თან წაიყვანა. ფერისის ოჯახმა პირველი დღეებიდანვე შეიყვარა ღვთისმოსავი და საოცარი გონიერებით გამორჩეული გიორგი. მალე ამ სათნო ოჯახს უბედურება დაატყდა თავს — ბიზანტიის კეისარმა, ბასილი მეორემ ფერისს მის წინააღმდეგ შეთქმულებაში დასდო ბრალი და სიკვდილით დასაჯა. იმპერატორის ბრძანებით, ფერისის ოჯახი და ახლობლები ბიზანტიაში გადაასახლეს. ტყვეთა შორის, გიორგი მწერალი და ყრმა გიორგიც იმყოფებოდნენ... 12 წელი მოუხდათ ბიზანტიაში ყოფნა. ფერისის ქვრივმა, რომელსაც შვილივით უყვარდა გიორგი, და ბიძამისმა მოახერხეს, რომ ჭაბუკი „ფილოსოფოსთა და რიტორთათვის მიეცათ სასწავლებლად“.

12 წლის შემდეგ კეისარმა ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართო. მაშინ გიორგი 25 წლის გახლდათ. სულიერი და საერო განათლებით შემკული ჭაბუკი კვლავ ხახულის მონასტერს მიადგა. მალე ის მონაზვნად აღკვეცა მამა ილარიონ თვალოელმა. მამა გიორგი განმარტოებით მოღვაწეობის სურვილმა შეიპყრო, მაგრამ ამის შესახებ ხახულელი მამებისთვის არ უთქვამს. ერთ ნისლიან ღამეს კი მალულად დატოვა მონასტერი და გლახაკის ძონძებით შემოსილი სამშობლოდან უცხო ქვეყნისკენ გაემართა. მრავალი გასაჭირის გადალახვა მოუხდა, ვიდრე შავ მთას მიაღწევდა. იქაური სამონასტრო ცხოვრების წინამძღვარი წარმოშობით ქართველი ბერი, გიორგი დაყუდებული გახლდათ, რამეთუ წმინდა მამას „მუდმივ საცხოვრისად და სულის სამოღვაწეოდ თავი თვისი თვითონვე შეეყენებინა შავი მთის კლდეს, ერთ ღრმასა და დიდ გამოქვაბულში“. შავი მთის სავანეების მოლოცვისა და იქ მოღვაწე ბერების ხილვის შემდეგ, გიორგი მთაწმინდელი გიორგი დაყუდებულის ხილვას ესწრაფოდა, რათა მისგან, შავ მთაზე სამოღვაწეოდ ლოცვა-კურთხევა მიეღო. დიდი სულიერი სიხარულით შეხვდა გიორგი დაყუდებული ახალგაზრდა ბერს. შეხედა თუ არა, იგრძნო „სიკეთე სულისა მისისა“. თვითონვე დაიმოწაფა და რომანწმინდის სავანეში დაამკვიდრა სამოღვაწეოდ...

მამა გიორგიმ რომანწმინდის სავანეში 3 წელი დაყო. „დიდი შრომითა და მოღვაწებითა, მარხვითა და მღვიძარებითა, სიმდაბლითა და მორჩილებითა“. არ შეუნელებია სვლა სულიერი სიმაღლისკენ. მისი მთავარი საზრუნავი — ღვთისკენ განუწყვეტელი სწრაფვა გახლდათ. 3 წლის შემდეგ, მოძღვარმა — გიორგი დაყუდებულმა „ჰასაკით, სიბრძნითა და გონიერებით სრულქმნილი“ ბერი დიდი სქემით შემოსა და იერუსალიმში წარგზავნა წმინდა ადგილების მოსალოცად. გიორგი მთაწმინდელმა მსოფლიოს საქრისტიანო სამყაროს შუაგულში მცირე ხანს დაყო, მერე იერუსალიმიდან კვლავ შავ მთაზე დაბრუნდა.

ერთ დღეს დიდსქემოსანი გიორგი მოძღვარმა თავისთან იხმო. სიბრძნით, სულიერებითა და გონიერებით გამორჩეულ მოღვაწეს ათონის მთაზე წასვლა დაავალა. მამა გიორგის წმინდა ექვთიმე მთაწმინდელის საქმე უნდა გაეგრძელებინა — საღმრთო წიგნები ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნა. შიშმა და მოწიწებამ შეიპყრო თავმდაბალი ბერი: შეუძლებელ არს ჩემგან ნაცვალყოფა სამგზის სანატრელი ექვთიმე მთაწმინდელისა, რომელმაც განანათლა ქართველთა ენაო, — შეჰკადრა მოძღვარს, მაგრამ წინ ვერ აღუდგა სულიერი მამის კურთხევას და მთაწმინდაზე წასასვლელად მოემზადა...

ათონის მთაზე ჩასული გიორგი მთაწმინდელი პირველად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მიეახლა, მერე ექვთიმე მთაწმინდელის სამარხს სცა თაყვანი; საღმრთო საქმეში შეწევნა შესთხოვა წმინდანს... და შეუდგა საქმეს ათონის ქართველთა სავანეში დამკვიდრებული გიორგი მთაწმინდელი. დაიწერა წიგნნი მისი კალმით: „ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი“. ითარგმნა „სვინაქსარი“, „სახარებაი გამოკრებული საწელიწდოი“; „დიდი კურთხევანი“; „დაბადება“; „პავლე სრული“; „კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი“...

გარდაიცვალა ქართველთა სავანის წინამძღვარი მამა სტეფანე ხარტულარი. ათონის მთაზე მოღვაწე ქართველმა ბერებმა უკვე მესამეგზის სთხოვეს მამა გიორგი მთაწმინდელს წინამძღვრობა. კვლავ უარზე დადგა, მაგრამ ბერები აღარ მოეშვნენ. ბოლოს წილისყრაზე შეთანხმდნენ. საწინამძღვროდ სამი ძმა გამოარჩიეს. სამგზის „განიგდო“ წილ და სამგზისვე გიორგი მთაწმინდელს ერგო. მართლა ღვთის ნება ყოფილაო, — დარწმუნდა გიორგი და მიიღო კვერთხი ათონელ ქართველთა მწყემსთავრობისა.

საოცარი მოშურნეობით შეუდგა გიორგი მთაწმინდელი საძმოს სულიერ წინამძღვრობას. არ იცოდა, რა იყო დაღლა, დასვენებაზე არც უფიქრია, წერა არ დაუტევებია. ფიზიკურადაც შრომობდა. სავანის გამშვენებასა და აღდგენა-განახლებაზე ზრუნავდა.

ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში სამარტვილე ააშენა წმინდა ექვთიმეს სა-

მარხად და მისი წმინდა ნაწილები ნათლისმცემლის ეკლესიიდან მონასტრის მთავარ — ღვთისმშობლის ტაძარში გადაასვენა. შემდეგ, ათონის სავანის დამაარსებლის, წმინდა იოანე მთაწმინდელის ნეშტი გადმოასვენა მთავარანგელოზთა ეკლესიიდან. არსენ ნინოწმინდელისა და იოანე გრძელიძის ნაშთებიც მოიძია, ცალკე გვადრუცში მოათავსა და „ექვთიმეს ფერხთა კერძოით“ ჩაასვენა სამარტვილეში...

გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს მეფე გახლდათ ბაგრატ IV. ღვთისმოსავმა მეფემ არაერთგზის სთხოვა მამა გიორგი მთაწმინდელს სამშობლოში სამოღვაწეოდ დაბრუნება. დიდხანს უარობდა ნეტარი მამა, მაგრამ მეფის ბოლო წერილის წაკითხვის შემდეგ, აზრი შეიცვალა. „წმინდაო მამაო, არათუ ოდენ წიგნთათვის ვარ, რათა განათლდნენ ეკლესიაი ჩვენნი, არამედ რათა თვით მე განვნათლდე ხილვითა თქვენითა და სული ჩემი ხელთა თქვენთა შეევედრო და ძე ჩემი და ყოველნი თვისანი ჩემნი სიწმინდისა თქვენისა მიერ იმწყესებოდინ და განისწავლებოდინ, და რათა ღმერთსა ნიჭად მიუპყრნე სულნი ჩვენნი“, — წერდა ბაგრატ მეფე. წერილის წაკითხვამ სამშობლოში წასვლა გადაანყვეტინა. ეს უფლის ნებაც იყო. გამოემართა გიორგი მთაწმინდელი საქართველოსკენ, რათა მშობელი ქვეყნის სულიერი მდგომარეობა მოეწესრიგებინა. თან რამდენიმე მოწაფეც გამოიყოლა.

დიდად გაახარა მეფე ბაგრატი გიორგი მთაწმინდელის თანხმობამ. საქართველოში წამოსვლამდე ღირსი მამა ანტიოქიაში იმყოფებოდა. ბაგრატმა მგზავრობისთვის საჭირო განძი გაუგზავნა, თან წერილი მისწერა ანტიოქიის პატრიარქს და იმპერატორს; სთხოვდა მათ, ხელი შეეწყოთ გიორგისა და მისი მხლებლებისთვის საქართველოში გამომგზავრებაში...

ჩამოვიდა და შეუდგა ერის სულიერ ამაღლებაზე ზრუნვას. ცდილობდა, ამოეძირკვა და აღმოეფხვრა ქვეყანაში დაბუდებული ნაკლოვანებები და ცდომილებები — უსჯულოება კი მრავლად იყო. უპირველესად, ღვთისმოსავი გვირგვინოსნის სწავლება-დამოძღვრით დაიწყო: შენი სასწორი სიმართლით უნდა სწონიდეს, რათა ყოველი არაწმიდება და უწესობა პირველად შენგან მოისპოს, მერე ერისგანო — შეაგონებდა ნეტარი მამა მეფე ბაგრატს. მღვდელმთავართ მხოლოდ ღირსეულთა მღვდლად კურთხევისკენ მოუწოდებდა, სამღვდლო ხარისხში მყოფთ კი — ღვთის წინაშე მართალი და ღირსეული მსახურებისკენ. ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა. უქადაგებდა, მოძღვრავდა და განანათლებდა ერს, „განჰმართნა ყოველნი ცხადნი და დაფარულნი უწესობანი“... ღამით კი წერდა და თარგმნიდა.

კიდევ ერთი ღვთივსათნო საქმე აღასრულა საქართველოში ყოფნის ჟამს გიორგი მთაწმინდელმა: უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ყრმანი და ზოგიც ჭაბუკნი შეიფარა, ზოგი თვითონ იპოვა, ზოგმაც „გონებით მახვილმა“, თვითონ მიაკითხა. ოთხმოცი ასეთი ყრმა და ჭაბუკი დაიმოწაფა. ყველა ასაკისას სხვადასხვაგვარად ასწავლიდა და მოძღვრავდა გულმოწყალე მამა. სხვა მიზანიც ჰქონდა — ობოლი ბავშვები ქართველ სწავლულთა საკრებულოდ ექცია და ათონის წმინდა მთაზე ივერიონის მონასტერში სამოღვაწეოდ და სავანის გასამძლავრებლად მოემზადებინა...

საქართველოში წამოსვლისას გიორგი მთაწმინდელმა თან წამოიღო „ყოველნი წიგნნი, რაც კი მის კურთხეულ ხელს დაეწერა და ეთარგმნა. ღვთივსულიერი ნაშრომნი ქართულ ეკლესია-მონასტრებში გაავრცელა“.

5 წელი მიილია, სამშობლოში ღირსი მამის ყოფნისა. შემდეგ კვლავ ათონის წმინდა მთას მიაშურა ოთხმოცი ობოლი ბავშვით. მეფემ დიდი პატივითა და დიდძალი საფასით გაისტუმრა ქართველთა მნათობი, თუმცა კი ძალიან გაუძნელდა მასთან განშორება...

მიდიოდა მამა გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლისკენ. მოწაფეებთან და რამდენიმე თანმხლებ სასულიერო პირთან ერთად, მეფის ასული მართაც, მომავალში — მარიამი მიჰყავდა ბიზანტიის სადედოფლოდ გამზადებული: იმპერატორმა, კონსტანტინე დუკამ, თავისი უფროსი ძის, ტახტის მემკვიდრის — მიქაელისთვის ითხოვა ქართველი მეფის ასული.

დიდი სიხარულითა და ზეიმით შეხვდნენ კონსტანტინოპოლის სასახლეში საქართველოდან ჩასულთ. იმპერატორი გაუოცებია მამა გიორგის სათნო სახის ხილვას: ასეთი ღმრთივსულიერი სახე კაცისა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო, — უთქვამს კეისარს... როდესაც ობოლი მოწაფეების შესახებ შეიტყო, მისი აღტაცება და გაკვირვება გაორმაგდა. სთხოვა, ათონის მთაზე წასვლამდე მანახვე ყრმანი, რათა წყალობითა მოგხედოთ და ყველა სათხოვარი აგისრულოთო.

პეტრეპავლობის დღესასწაულის წინადღეს გიორგიმ მოწაფეები იხმო და უთხრა, იმპერატორთან წასასვლელად მოემზადეთო. მორჩილებს წმინდა მამა შეუძლოდ მოეჩვენათ და შეჰკადრეს, ხვალისთვის გადავდოთ ეს შეხვედრაო.

...ხვალე ჩვენს ხელში აღარ იქნებაო, — ბრძანა ნეტარმა მამამ. ყველასთვის გაუგებარი იყო, თუ რას გულისხმობდა გიორგი მთაწმინდელი. მხოლოდ თვითონ უწყოდა — „ხვალე“ მისი მიწიერი ცხოვრების ჟამი სრულდებოდა...

შეხვდნენ კეისარს. გაკვირვებული შესცქეროდა კონსტანტინე დუკა ღვთაებრივ ყრმებს. შემდეგ, წმინდა მამას მიუბრუნდა და ასე მიმართა: დიდი და მადლიანი საქმე გიქნია ნეტარო, დღევანდელ დროში ამას სხვა ვერავინ შეძლებდაო. ღმერთსა და თქვენს ღვთაებრივ ხელმწიფებას შეევედრებ მათ ბედსო — შეჰღაღადა ღირსმა მამამ. მადლობა შესწირა იმპერატორმა; შემდეგ ყრმებმა იგალობეს. კიდევ ერთხელ გააოცეს კონსტანტინე დუკა.

...პეტრეპავლობის დღესასწაული თენდებოდა. გიორგი მთაწმინდელმა ცისკრის ლოცვა აღასრულა. ნაშუაღამევს სარეცელზე წამოჯდა, ოთხ მოწაფეს უხმო და ოთხივ „სახარების“ ერთდროულად წაკითხვა დაავალა. როდესაც კითხვას მორჩნენ, ჯვარი გადასახა ირგვლივ ყოველივეს, მერე გასწორდა, ხელები გულზე დაიკრიფა და წარმოთქვა: „ხელთა შენთა, უფალო, შეევედრებ სულსა ჩემსა“. გავიდა ნეტარი მამის განწმენდილი სული სხეულიდან. 1065 წლის 27 ივნისის (ძველი სტილით) იდგა. გიორგი მთაწმინდელი 57 წლისა აღესრულა.

გლოვასა და მწუხარებას მიეცა ოთხმოცი ობოლი, ახლა უკვე სულიერი მამისგანაც დაობლებული. შემდეგ, წმინდა ნეშტი ურემზე დაასვენეს, ოთხივ მხრივ გარს შემოეხვივნენ და კონსტანტინოპოლიდან ათონის მთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, რათა მის მიერ აშენებულ „ლუსკუმასა შინა“ დაეკრძალათ. ■

საბედისწერო „გარჩევა" და სისხლის ღვრით დასრულებული ოჯახური ბიზნესი

„ოთახში რომ შევედი, მული დავინახე... მას ორივე ხელი სისხლიანი ჰქონდა..."

დიდი ოდენობით ფულის დაკარგვას, ბიზნესის ჩავარდნასა და მეწილეებს შორის თანხის გადანაწილებას მრავალთვიანი „გარჩევები", ჩხუბი და სისხლის ღვრა მოჰყვა. სიტუაცია ვერც მეწილეების ნათესაურმა კავშირმა იხსნა სავალალო შედეგისგან — საზარელი მკვლელობისგან. 2006 წლის 11 იანვრის საღამოს მომხდარი, მორიგი შელაპარაკება ერთი ოჯახის წევრებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა და მათ მომავალ ურთიერთობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ფულის გამო, სიძემ ცოლისძმა სასიკვდილოდ გაიმეტა, დანით შეიარაღდა და შურის საძიებლად პირდაპირ მისი საცხოვრებელი ბინისკენ გასწია. იმ ღამით, აკოფიანების ოჯახში, საშინელი ტრაგედია ცოლისა და ორი არასრულწლოვანი შვილის თვალწინ დატრიალდა.

„...მამა კარის სახელურს ჩაებღაუჭა, მერე ნელ-ნელა ჩაცურდა კარზე და იატაკზე პირაღმა დავარდა. თავდაპირველად, სისხლი არ შემიმჩნევია. ვიფიქრე, გონება დაკარგა-მეთქი და ყვირილი ავტეხე: — ჩქარა, წყალი მოიტანეთ-მეთქი! დედაჩემი იქვე იდგა და ადგილიდან არც იძვროდა, გაქვავებულიყო და მამაჩემს მისჩერებოდა. მერე გავიგე, თურმე დანის დარტყმის მომენტი აშკარად დაუნახავს და როგორც ჩანს, მაშინვე, წამიერად გააცნობიერა, რომ მამას გული კი არ წაუვიდა, — მოკვდა... უეცრად კივილი ატეხა, მეზობლებიც მოცვივდნენ... მამას თეთრი მაისური ეცვა და შევნიშნე, პირდაპირ გულთან როგორ გაწითლდა იგი. მერე ლაქა თანდათან გაიზარდა... „სასწრაფოც" მოვიდა, არ ვიცი, ვინ გამოიძახა. ექიმებმა თავი გადაიქნიეს — უკვე გვამიაო... შემდეგ პროზექტურაში გადაასვენეს... კარენს (მოკლულის სიძე) რაღაც წამით შევასწარი თვალი. სადარბაზოს კიბეზე დაეშვა. მაშინ, უცებ აზრზეც ვერ მოვედი, რა მოხდა. მთელი ყურადღება მამაზე გადავიტანე. ყველაფერი რომ იმავე წამს გამეცნობიერებინა, იმას იქიდან ცოცხალს ნამდვილად არ გავუშვებდი..." — ამბობს მოკლულის უფროსი ვაჟიშვილი, 17 წლის **გიორგი აკოფიანი**. დედის თქმით, მომხდარმა ამბავმა მას იმდენად დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა, რომ დღემდე შურისძიებაზე ფიქრობს და მოსვენებას ვერ პოულობს. *„იმ ღამეს შოკში ჩავარდა და ეს მდგომარეობა დღემდე უგრძელდება. თითქოს, ახლაც აფექტშია. აგრესიულია, ხმას ვერ გასცემ და ვერაფერზე დაელაპარაკები. საშინლად ფეთქებადი გახდა და ძალიან მეშინია. ამ უბედურებასთან ერთად, მანიაკმა მკვლელმა, რომლისთვისაც ფულის გარდა ამქვეყნად სხვა ფასეული არაფერი არსებობს, შვილის ჯანმრთელობა და მომავალიც სადარდებლად დამიტოვა"*, — ამბობს დაზარალებული **ირა აკოფიანი**.

41 წლის კარენ ოგანესიანი, დაზარალებულის ანუ ცოლისძმის ოჯახთან ახლოს, თბილისში, სამგორის რაიონში, ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა. გაირკვა, რომ ადამიანის დაჭრისთვის ის წარსულშიც ყოფილა ნასამართლები. პროკურატურამ ბრალი ხულიგნობისა და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის წაუყენა. სასამართლომაც დანაშაული დაადასტურა და ოგანესიანს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 3 წელიწადში ის ვადამდე ადრე, სასჯელისგან გათავისუფლდა და ოჯახს დაუბრუნდა. *„მისი ხასიათი ყველამ კარგად ვიცოდით. ხშირად სვამდა და მთვრალი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავდა. აგრესიული და ენაბილწი იყო, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, არც ნათესავებს, არც მეგობრებს ის არ გაგვირიყავს. პირველად რომ ციხეში მოხვდა, მის ოჯახს ვპატრონობდით. მაშინ ყველაზე მეტად სწორედ მისი ცოლისძმა — ალიკა წუხდა, თავს ევლებოდა დასა და დისშვილებს და არა მარტო მათ, კარენის მშობლებსაც ყურადღებას აქცევდა. ფაქტობრივად ის არჩენდა ამ ოჯახებს. კარენმა კი, მადლობის ნაცვლად, სასიკვდილოდ გაიმეტა იგი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცს სიცოცხლე მოუსწრაფა და ბავშვები დაეობლა... მასთან ურთიერთობას რომ ვინარჩუნებდით, ეს პირველ რიგში ალიკას და მისი დის დამსახურება იყო. ორივენი უკეთილშობილესი ადამიანები არიან. კარენი რომ გაგვერიყა, ვიცოდით, რომ შეურაცხყოფილები დარჩებოდნენ და ეს არავის გვინდოდა"*, — აღნიშნავს ოჯახის ერთ-ერთი ახლობელი.

მომხდარ მკვლელობაზე სისხლის სამართლის საქმე მეორე დღეს აღიძრა, ეჭვმიტანილზე — კარენ ოგანესიანზე კი ძებნა გამოცხადდა. მისი ადგილსამყოფლის დასადგენად სამართალდამცველებს დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდათ. ბოლოს მას დედოფლისწყაროში, ერთ-ერთი ნაცნობის ოჯახში მიაგნეს და დააკავეს. ოგანესიანს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. დანაშაული მაშინვე აღიარა და უფრო მეტიც, სამართალდამცველებს ისიც უთხრა, რომ რამდენიმე დღეში თავისი ფეხით აპირებდა განყოფილებაში გამოცხადებას და ჩაბარებას...

„ამის არ გვჯერა. საკუთარი თავი ისე უყვარს, რომ ამას ვერ გააკეთებდა. პირიქით, ყველაფერს იღონებდა იმისთვის, რათა თავი როგორმე დაეძვრინა პასუხისმგებლობისგან. ისე გაიქცეოდა და გადაიკარგებოდა სადმე, რომ საკუთარ ცოლ-შვილსაც წლობით არ მოიკითხავდა. ამას ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობ, რომ მას კარგად ვიცნობ. წლების მანძილზე ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით და ბევრ სიტუაციაში გამომიცდია. ჩემს ქმარსაც ყოველთვის ვურჩევდი, თავი შორს დაეჭირა ამ ადამიანისგან. რა ვქნა, ჩემი დის ქმარია, როგორ მივაგდო? საკუთარ დას როგორ ვკრა ხელიო? — მეუბნებოდა. ფულშიც არაერთხელ გამოვცადეთ და ვიცოდით, რომ აღება უყვარდა, დაბრუნება და გაცემა კი — არა. ყოველთვის რაღაცას საქმიანობდა, ფულს შოულობდა, მაგრამ მის ოჯახს ეს არასდროს ეტყობოდა. ფული უყვარდა, მაგრამ მისი მოხმარება და ხარჯვა — არა. ალბათ, ფიქრობს, რომ ყველას მასავით შეუძლია ქაღალდზე ღირსება გაცვალოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გავიგე, თურმე გამომძიებლის მოსყიდვაც უცდია. თავიდან დანაშაული კი აღიარა, მაგრამ როგორც ჩანს, მერე აზრი შეიცვალა. გამომძიებელს, თურმე, ვი-

ღაცები მიუგზავნა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მკვლელობა ისე აშკარად მოხდა, იმდენი თვითმხილველის წინაშე, რომ სასჯელს ვერსად გაექცეოდა. მეზობლებმა კარგად დაინახეს, თუ როგორ ჩარბოდა აქოშინებული, დანით ხელში სადარბაზოს კიბეზე. ეს მათ ჩვენებებშიც დააფიქსირეს“, — აღნიშნავს დაზარალებული.

საქმის მასალების მიხედვით, ყველაფერი 2005 წლის ზაფხულში დაიწყო. ალიკა აკოფიანმა მეგობართან ერთად ბიზნესი წამოიწყო: აზერბაიჯანიდან ჩამოტანილ ქსოვილებს ისინი თბილისში, ბაზრობის ტერიტორიაზე ყიდდნენ. ეს ამბავი რომ შეიტყო, კარენ ოგანესიანმა, რომელსაც იმ დროისთვის საკუთარი საცხობი ჰქონდა, დაინტერესება გამოთქვა და ცოლისძმას ახალი წინადადება შესთავაზა. უთხრა, რომ მეტწილ თანხას საქმეში თავად ჩადებდა, ხოლო გარკვეულ რაოდენობას თუ ის და მისი მეგობარიც დადებდნენ, ქსოვილების მაღაზიის ასამუშავებლად კომერციულ ფართს იქირავებდა.

ირა აკოფიანი:

„ფართის დაქირავებას, ყოველთვიურად დიდი თანხა სჭირდებოდა და ჩემი მეუღლე შეშინდა. თანაც, ადგილიც არ მოსწონდა და ეჭვი ეპარებოდა, რომ იქ მაღაზია მოგებას მოიტანდა. მაინც არ გაუწია წინააღმდეგობა. მე დავუშალე და ისიც შევახსენე, რომ კარენს საცხობის სახით, დამატებითი შემოსავალიც ჰქონდა და წაგების შემთხვევაში, ოჯახი მშიერი არ დარჩებოდა, ჩვენ კი დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებოდით. მაინც არ დამიჯერა, სიძეს ხათრი ვერ გაუტეხა. საქმე წამოიწყეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, ჩემი ქმრისა და კარენის ფუნქციები ამ ბიზნესში რატომღაც შეიცვალა. ისე მოხდა, რომ ბოლო დროს, ბაქოში ყოველთვის კარენი მიემგზავრებოდა, მაღაზიის საქონლით მომარაგების საკითხსაც ერთპიროვნულად წყვეტდა და ჩემს მეუღლეს, არც მესამე პარტნიორს, საქმის კურსში არ აყენებდა. ამის გამო, არაერთხელ მოუხდათ შელაპარაკება, მაგრამ კარენი ირწმუნებოდა, რომ საქმისთვის საზიანოს არაფერს აკეთებდა. თუმცა, ეჭვი იმისა, რომ შეიძლებოდა ქაღალდზე მას არარეალური ციფრები დაეფიქსირებინა, სინამდვილეში კი დიდი თანხა „მოეტეხა“, მაინც რჩებოდა და ჩემს ქმარს მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ მითხრა — ყველაფერთან ერთად, ვატყობ, რომ ბაქოში ჩემს კავშირებს იყენებს და ახალი საქმის დამოუკიდებლად წამოწყებას აპირებს, ისე, რომ არაფერში უნდა, გამრიოსო. გული სწყდებოდა, რომ გამოიყენა, სარგებელს კი არ უნაწილებდა. ყველაზე მეტად, ამ სიტუაციას მესამე პარტნიორი — ჩემი ქმრის ბავშვობის მეგობარი ვერ ეგუებოდა. ერთ დღესაც გამოაცხადა, რომ საქმიდან გადიოდა და თავისი წილისა და მოგების დაანგარიშება მოითხოვა. დაიანგარიშეს, მაგრამ 7 ათასი დოლარი სადღაც გაქრა. როცა კარენს მოჰკითხეს, მან თურმე მხრები აიჩეჩა — მე საიდან ვიცი, ფულის გასავალ-შემოსავალს თქვენ ანგარიშობდით, ყველაფერი თქვენს ხელში იყოო. დაიწყეს ჩხუბი და ამ ურთიერთობის გარკვევას თვეები დასჭირდა. კარენი ხან ამბობდა, რომ ფულს მოიტანდა, ხანაც ყველაფერს თავიდან ირიდებდა... იმ საშინელ დღეს, როცა ეს უბედურება მოხდა, კარენი და ჩემი ქმარი ერთად იმყოფებოდნენ ნათესავის ოჯახში სტუმრად. წვეულება იყო და დალიეს. მთვრალებს თურმე, სუფრასთანაც მოსვლიათ შელაპარაკება, მაგრამ გაუშველებიათ. ჩემი ქმარი შინ მაშინვე წამოსულა, რამდენიმე წუთის შემდეგ კარენსაც დაუტოვებია იქაურობა. სახლში რომ შემოვიდა, ალიკას აღელვება შევატყვე, მაგრამ არ ჩავეძიე, რადგან ვიცოდი, რომ ამით კიდევ უფრო გავაღიზიანებდი. პირდაპირ საძინებლისკენ წავიყვანე და დავაწვინე. დაახლოებით ერთ საათში, ტელეფონმა დარეკა. ჩემი მულის მეზობელი რეკავდა, მითხრა — თქვენებთან ერთი წიოკია, ტირილი და კივილი ისმის, მე კარს არ მიღებენო. არ მინდოდა, ეს ამბავი ქმარს გაეგო, მაგრამ გაუღვიძია და რომ არ მეთქვა, მერე არ მაპატიებდა. ბავშვები დავტოვეთ და ორივენი მულის ოჯახისკენ წავედით. კარი ატირებულმა მულისშვილმა გამიღო. ბავშვები დამფრთხალები იყვნენ, კარენი კი არსად ჩანდა. ოთახში რომ შევედი, მული დავინახე. ორივე ხელი სისხლიანი ჰქონდა. თურმე, გაბრაზებულ კარენს ჯავრი ცოლზე უყრია და ჩხუბისას, ის შუშიანი კარისთვის მიუნარცხებია. შუშა ჩამსხვრეულა და ჩემი მულისთვის ხელები გადაუსერავს... შემეშინდა, სისხლისგან არ დაიცალოს-მეთქი და ვიყვირე, „სასწრაფო დახმარებისთვის“ დაერეკათ. მივიხედე და ქმარი რომ ვერსად დავინახე, მის მოსაძებნად გავვარდი. კარენი სამზარეულოში მიემწყვდია და მუშტებს ურტყამდა. კივილი რომ ავტეხე, ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ, ორივენი გააშველეს და ალიკა სახლისკენ წაიყვანეს. კარენი იქვე დარჩა, მეზობლები აწყნარებდნენ. იქაურობა მანამ არ დავტოვე, სანამ „სასწრაფო“ არ მოვიდა. ხელებზე ნაკერების დასადებად საავადმყოფოში წაიყვანეს, მე კი შინ დავბრუნდი, რადგან ქმრის მარტო დატოვების შემეშინდა. არ ვიცი, ჩემი შინ მიბრუნებიდან, ალბათ, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, როცა კარზე ბრახუნი ატყდა. კარისკენ პირველი ალიკა გავარდა, ვერაფრით შევაჩერე. მე უკან მივსდევდი. კარი რომ გააღო, კარენს სიტყვაც არ უთქვამს ისე, დანიანი ხელი მოუქნია ალიკას და სხეულში ჩაარტყა. ცხადია, რომ მის მოსაკლავად მოვიდა, ზუსტად იცოდა, რაც უნდა გაეკეთებინა და ამიტომაც, დანა პირდაპირ გულში ჩაარტყა, თანაც ისე ძლიერად, რომ გადარჩენის შანსიც არ დაუტოვა. ყველაფერი რაღაც წამებში მოხდა. ქმრის უკან ვიდექი, ჩემ უკან კიდევ ბავშვები იდგნენ და ამ საშინელებას ყველანი ერთად ვუყურებდით. ალიკა მომენტალურად ჩაიკეცა და იქვე დალია სული. მახსოვს, რომ შევკივლე, მერე გონება დავკარგე... გონს რომ მოვედი, თავს უამრავი ხალხი მეხვია...“

სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა მხარემ განსასჯელის უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელმა პროცესზე თავი დამნაშავედ ცნო, სხდომებმა მაინც დაძაბულად და ხმაურით ჩაიარა. განსასჯელის ნათესავები დანაშაულის პროვოცირებაში აწ გარდაცვლილს ადანაშაულებდნენ, რასაც დაზარალებულის მხარე პროტესტითა და ხმამაღალი, უსიამოვნო რეპლიკებით ხვდებოდა. განსასჯელის დის თქმით, ბიზნესში, ისევე როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობაში, სიტუაცია აკოფიანებს რომ არ გაეზვიადებინათ, ეს უბედურებაც არ მოხდებოდა. დაცვის მხარემ სასამართლოს ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება და შესაბამისად, მსუბუქი სასჯელის დანიშვნა სთხოვა, მაგრამ სასამართლომ მთლიანად ბრალდების პოზიცია გაიზიარა და ოგანესიანს, ჩადენილი დანაშაულისთვის, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის შემსუბუქებაზე სარჩელი მხოლოდ უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა და მსჯავრდადებულს პატიმრობის ვადა 4 წლით შეუმცირა. ამ გადაწყვეტილებით დაზარალებულის მხარე უკმაყოფილო დარჩა, თუმცა გასაჩივრების უფლება მას აღარ ჰქონდა.

ირა აკოფიანი:

„ცხოვრება სამუდამოდ დამინგრია და ამ დანაკარგს ვერავითარი სასჯელი ვერ ამინაზღაურებს, მაგრამ მაშინ, როცა დამნაშავე დამსახურებისამებრ არ ისჯება, გაუბედურებულ ადამიანს ტკივილს უსამაგებს. ცხოვრება მას საკადრის პასუხს გასცემს; ოღონდ, ამხელა ცოდვის ტარებისთვის ისევ მისი შვილები მებრალებიან“...

■

სკანდალი ევროპის ელიტურ სასტუმროში — იქ მონეები აღმოაჩინეს

გასულ კვირას, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ელიტურ და უმდიდრეს სასტუმროში, სამართალდამცველებმა შოკის მომგვრელი დანაშაული გამოააშკარავეს — სასტუმროში მონები აღმოჩნდნენ!.. 15 ქალი, რომლებზეც თურმე, არაბთა გაერთიანებული საამიროების უმდიდრესი ემირის ქვრივი ბატონობდა, ბოლო 8 თვის განმავლობაში, მუქარისა და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, სასტუმროში მცხოვრებ, სამეფო გვარის ერთ-ერთ მემკვიდრესა და 4 პრინცესას ემსახურებოდნენ. ბრიუსელში მდებარე სასტუმრო „კონრადში“ ემირის ქვრივს მეოთხე სართული დაუქირავებია და მონებს შენობიდან გასვლას, ისევე, როგორც სართულის დატოვებას, კატეგორიულად უკრძალავდა. მომხდარის შესახებ სამართალდამცველებმა ერთ-ერთი მონისგან შეიტყვეს, რომელმაც გაქცევა მაინც მოახერხა და ქუჩაში გასვლისთანავე, უახლოესი პოლიციის განყოფილებას მიაშურა. სპეცოპერაციისას, პოლიციამ შენობიდან კიდევ 14, სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრი, უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილი ადამიანი გამოიყვანა. მათ შორის არიან: ფილიპინელი, მაროკოელი, ინდოელი, ეგვიპტელი, თურქი, ერაყელი და სირიელი ქალები. ბელგიელი სამართალდამცველები ამჟამად არკვევენ, არიან თუ არა დაზარალებულები ტრეფიკინგის მსხვერპლნი და კონკრეტულად რომელმა სააგენტოებმა მიიღეს ამ ქვეყანაში მათ ჩაყვანაში მონაწილეობა. ■

64 წლის მანიაკმა ციხეში 20 წლის გოგონაზე იძორწინა

საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი ფრანგი სერიული მკვლელი — შარლ სობრაჟი (მეტსახელად გველი) ციხეში დაქორწინდა. ჩადენილი სადისტური დანაშაულებისთვის, სობრაჟს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მას პირად ბედნიერებაში ხელს სულაც არ უშლის. ნეპალელმა მანიაკმა, 20 წლის გოგონაზე — ნიჰიტა ბიზვასზე იქორწინა. თან, ქვეყნის უზენაეს სასამართლოში სააპელაციო საჩივარიც შეიტანა და მოსამართლეებს აღნიშნული გარემოებისა და ახალდაქორწინებულთა მდგომარეობის გათვალისწინებით, განაჩენის გაუქმება და სასჯელისგან გათავისუფლება სთხოვა. გოგონა მანიაკს თურმე ადვოკატმა გააცნო. პატიმარს დამცველთან საურთიერთოდ, თარჯიმანი დასჭირდა და ამ სამსახურის გაწევა, ადვოკატის ინიციატივით, სწორედ ნიჰიტა ბიზვასს სთხოვეს. გოგონა აცხადებს, რომ ოჯახის შექმნა უსაზღვროდ ახარებს და სრული ბედნიერებისთვის, ციხიდან ქმრის გათავისუფლებას ელოდება. რამდენად სერიოზულად აღიქვამს მომხდარს სასამართლო და რა გადაწყვეტილებას გამოიტანს ის, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. მანამდე კი სამართალდამცველები და ექსპერტები აკეთებენ კომენტარს. მათი თქმით, სობრაჟი საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედად რჩება და წლების მიუხედავად, მისი გათავისუფლება დაუშვებელია. ბევრი შიშობს, რომ საფრთხის წინაშე თავად ბიზვასის სიცოცხლეც აღმოჩნდება...

ოფიციალური ცნობების თანახმად, სობრაჟი უცხოელ ტურისტებს მოულოდნელად ესხმოდა თავს და ხოცავდა. ეს დანაშაულები გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაიდინა. გამოძიების ინფორმაციით, მანიაკმა 20 ტურისტი ქალი გამოასალმა სიცოცხლეს, თუმცა სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ბევრი დაუფიქსირებელი მკვლელობაც აქვს ჩადენილი. რაც შეეხება მეტსახელს — გველი, ის სობრაჟს პოლიციამ შეარქვა. მიზეზი კი ის იყო, რომ მანიაკი ყოველთვის, საოცრად მოხერხებულად ახერხებდა დაჭერისგან თავის დაძვრენას. მარტო ციხიდან სობრაჟი სამჯერ გაიქცა. ბოლოს ის 2004 წელს დაიკავეს და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს... ■

ორი სტუდენტის საღისტურ მკვლელობასთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია გაჩნდა

ორი ფრანგი სტუდენტის მხეცურ მკვლელობასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის პოლიციამ ბოროტმოქმედის ფოტორობოტი გამოაქვეყნა. ეჭვმიტანილის გარეგნულ ნიშნებზე ინფორმაცია მათ დანაშაულის თვითმხილველებისგან მიიღეს. მოწმეების თქმით, დამნაშავე 30-40 წლის, გამხდარი, თეთრკანიანი მამაკაცი უნდა იყოს. ამბობენ, მას შავი მაისური, ცისფერი ჯინსი და თეთრი ბოტასები ეცვა. სტუდენტების — 22 წლის გაბრიელ ფერეზისა და მისი თანატოლის, ლორან ბონომოს დასახიჩრებული გვამები მეხანძრეებმა მათსავე საცხოვრებელ ბინაში, ცეცხლის ჩაქრობისას იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს გაირკვა, რომ ახალგაზრდები არა დამწვრობის, არამედ ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად იყვნენ დაღუპულები. გამოძიების ინფორმაციით, ბოროტმოქმედმა ისინი ჯერ დანით აჩეხა, შემდეგ კი, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა.

შემზარავი დანაშაული 2008 წლის 29 ივნისს მოხდა. იმ დღეს, გაბრიელ ფერეზი მეგობარს — ლორენ ბონომოს ბინაში ესტუმრა. ერთ-ერთი ვერსიით, ბოროტმოქმედი ჩვეულებრივი ყაჩაღი იყო და მას აწ გარდაცვლილები ადრე არ იცნობდნენ. შემთხვევამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, ბინიდან ნოუტბუქი გაქრა და ვარაუდობენ, რომ ქურდი, სხვა ნივთების წასაღებად, ბინაში ისევ დაბრუნდა. როგორც ჩანს, სტუდენტებმა თავდამსხმელს წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დანით შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა მათი მოგერიება იოლად მოახერხა. მეორე ვერსიის თანახმად, მკვლელი ერთი არ უნდა ყოფილიყო. ამ ეჭვის საბაბს სამართალდამცველებს მოკლულებზე დაფიქსირებული დაზიანებები აძლევს.

როგორც ამბობენ, ორივე მოკლულის სხეულზე ექსპერტებმა 250 ჭრილობა დათვალეს, ეს კი ერთი ადამიანის ნამოქმედარს არ ჰგავს. მომხდარის შესახებ, სტუდენტების ოჯახებს უკვე შეატყობინეს. მშობლების თქმით, ახალგაზრდები ლონდონში სულ რამდენიმე კვირის ჩასულები იყვნენ, რათა „იმპერიალ-კოლეჯთან“ დადებული კონტრაქტით გათვალისწინებული დავალებები შეესრულებინათ. ხელშეკრულების თანახმად, სტუდენტებს სამი თვის მანძილზე სამეცნიერო კვლევები უნდა ეწარმოებინათ. ■

მაღალი ნასწავლი ქართული და ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე მეოცნებე გალელი ჰედაგოგები

იმას, თუ რა სიძნელეები შეექმნათ გალელ აბიტურიენტებს, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად, ენგურს გამოღმა სეპარატისტთა ადმინისტრაცია არ უშვებდა, მსმენდია საკმაოდ ვრცლად აშუქებდა. როგორც ცნობილია, უმრავლესობამ მაინც მოახერხა საწადლის ასრულება და შემოვლითი გზით — ზოგმა უთენია, ზოგმა სულაც შუაღამით, მაინც ჩააღწია ზუგდიდამდე. მაგრამ ამჯერად, მკითხველის ყურადღებას იმაზე გავამახვილებთ, თუ რა უძღოდა წინ მისაღებ გამოცდებს, სახელდობრ — როგორ და რა პირობებში სწავლობდნენ გალელი მოზარდები სკოლის დამამთავრებელ კლასში. ამის შესახებ მოგვითხრობენ მათი პედაგოგები, რომლებსაც დიდი წნეხის ქვეშ უხებოდათ მუშაობა.

ნანა შონია

ასმათ შამუგია

ნონა შონია, *გალის რესურსცენტრის ხელმძღვანელი:*

— აფხაზურმა ადმინისტრაციამ სამ ნაწილად: გალის, ტყვარჩელისა და ქვედა ზონებად დააქუცმაცა რაიონის ტერიტორია და იქ არსებული სკოლებიც ამის შესაბამისად გადაანაწილა. ერთი მათგანი — აჩიგვარის სკოლა ოჩამჩირეს მიაკუთვნა. შემოიღო ე.წ. რუსული პირველი კლასის გახსნის პრინციპი და ქართული მაღალი კლასების გამოშვების შემდეგ თანდათან, რუსულენოვანი სწავლება დაამკვიდრა. თუ ომამდე, რაიონში სულ 4 სკოლა იყო რუსული, დღეს, შეიძლება ითქვას, რომ 32 სკოლიდან, მხოლოდ თერთმეტ — ენგურის მოსაზღვრე სკოლაში მიმდინარეობს სწავლა საქართველოს სასწავლო გეგმით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით; დანარჩენი ქართული სკოლების მასწავლებლები იძულებული არიან, ბავშვები ამეცადინონ რუსეთისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებით, იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. რუსულ ენასა და ლიტერატურას კვირაში 10 საათი, აფხაზურს — 3-4, აფხაზეთის ისტორია-გეოგრაფიას — 2-2 ეთმობა და ამ დროს საერთოდ ამოღებულია საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ქართულ ენასთან ერთად. არადა, გალის ე.წ. განათლების განყოფილება თავის დოკუმენტებში წერს, რომ მისი დავალებით, „რაიონის ზედა ზონის სკოლებში ტარდება ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგანში, ამ სასწავლო წლის ბოლოს კი ჩასაბარებელ საგამოცდო საგანთა ნუსხაში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაცაა შეტანილი“. ფაქტი ჯიუტია: 2005 წლის ივნისში მიღებული ბრძანებით, აფხაზურმა განათლების სამინისტრომ აკრძალა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოება „სხვა ენაზე“ (ცხადია, ქართული იგულისხმება), გარდა 2 „სახელმწიფო ენისა“ — რუსულისა და აფხაზურისა; ამ ბრძანების საფუძველზე, სკოლებს ჩამოეხსნათ ქართული აბრები და საქართველოს უმაღლესდამთავრებულ პირს უკვე აღარ იღებენ სკოლაში მასწავლებლად...

ქალბატონი ნონას ნათქვამს დავამატებთ: გალის ჰუმანიტარული კოლეჯის კურსდამთავრებული „პედაგოგები“ მოსწავლეებს უსინჯავენ ჩანთებს და ქართული სახელმძღვანელოების პოვნის შემთხვევაში, მათ მშობლებს უქმნიან პრობლემებს... მაშ, რას უნდა ემსახურებოდეს, ქართულში „ღია გაკვეთილების ჩატარება“, თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის იმის მტკიცებას, რომ — აი, ხომ არ ვკრძალავთ ქართულსო!

ქართველი პედაგოგი იძულებულია, დაიზეპიროს მისთვის ხშირად გაუგებარი თემა, რუსეთის სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებიდან და ასე „აუხსნას“ მოსწავლეებს ახალი მასალა. მაგრამ ის უმეტესაწილად, ქართულად ატარებს გაკვეთილს, თან იძულებულია, დაზვეროს ფანჯრებიდან — ვინმე ხომ არ მოდის, ხომ არ აყურადებს... ბავშვებს მერხებზე რუსული წიგნები აქვთ გადაშლილი, ქართულ სახელმძღვანელოებს კი მალულად დაატარებენ... ასეთ ვითარებაში განათლებამიღებული მოზარდები წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. და მაინც, აღწერილი მდგომარეობა, ბუნებრივია, სერიოზულ დაღს ასვამს მათი მომზადების დონეს. მაგალითად, შარშანდელი მონაცემების მიხედვით, იქაურ ახალგაზრდებს საკმაოდ დაბალი ქულები ჰქონდათ მიღებული ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო უცხო ენად ჩაბარებულ რუსულში — 2-3-ჯერ მეტი. ამგვარად, სეპარატისტების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ სამურზაყანოს „გარუსების“ საქმეში უკვე გამოიღო შედეგი: ქართველი მოსწავლეები უკეთ ითვისებენ მათთვის უცხო, „მშობლიურ ენად ქცეულ“ რუსულს!..

აქვე დავძენთ, რომ სამურზაყანოს ზედა ზონის ყველა სკოლაში ისწავლება აფხაზური ენა. ამ საგნის მასწავლებელთა უმრავლესობა ან — მედდაა, ან — მზარეული, ან — სტილისტი...

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, გალის რესურსცენტრი (*ხელმძღვანელი — ნონა შონია, უფროსი სპეციალისტი ზუგდიდში — სიმა ლატარია*) ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ღონისძიება ჩაატარონ გალის მიმართულებით და ხელი შეუშალონ მოსახლეობის საბოლოო „გარუსების“ მიზანმიმართულ პოლიტიკას: ზუგდიდში 80-ზე მეტი გალელი აბიტურიენტისთვის გაიხსნა მოსამზადებელი კურსები; გალის №1 რუსული სკოლის (იქ უკვე ფაკულტატურის დონეზეც კი არ ასწავლიან ქართულს) კურსდამთავრებული 20 აბიტურიენტისთვის ცალკე ტარდება მეცადინეობა ქართულში; 200-ზე მეტ ბავშვს უფასოდ გადაეცა ტესტების კრებული; 43 აბიტურიენტი ჩაირიცხა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსამზადებელ ჯგუფებში, რომლებიც ჯავახიშვილის სახელობისა და სამედიცინო უნივერსიტეტების ბაზაზე მოქმედებს. თითოეულს, მომზადების გარდა, ეძლევა სტიპენდია, 100 ლარის ოდენობით.

დაძაბულია ვითარება გალის რაიონის სკოლებში, მაგრამ იქ მაინც ტრიალებს ქართული სული. ქართველი ბავშვები აფხაზების მიმართ კეთილგანწყობილებით იზრდებიან. ქვედა ზონის სკოლებიდან არა მარტო ქართული ლაპარაკი, არამედ სიმღერის ხმაც ესმით ხოლმე აფხაზებს, მაგრამ ამის გამო, ჯერ-ჯერობით სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს მათთან პრობლემები არ შეჰქმნია. ღმერთმა ქნას, მომავალში ზედა ზონაშიც ასევე იყოს!.. სამურზაყანოელი მასწავლებლები თავდაუზოგავად ემსახურებიან თავიანთ საქმეს. ისინი ბავშვებს არა მარტო ენასა და ლიტერატურას, არამედ ქართულ ცეკვასა და სიმღერასაც ასწავლიან და ჩატეხილი ხიდის გამთელებაზეც ოცნებობენ...

■

სიმა ლაგარია

მსჯელობთმოვარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-27

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თქვა: *„რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდის წლებში რუსეთს სათავეში ედგა გენიოსი და ურყევი ნებისყოფის მქონე მხედართმთავარი სტალინი“.*

ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე გამართული მოლაპარაკებების მონაწილე, ბრიტანელი ფელდმარშალი მონტგომერი თავის მოგონებებში წერდა: *„...სტალინი თითქმის არასოდეს ცდებოდა... მას საოცარი სტრატეგიული ალღო ჰქონდა და მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როცა მას თუნდაც ერთი მცდარი აზრი ეთქვას ჩვენი მოლაპარაკებების დროს, სტრატეგიულ საკითხთან დაკავშირებით“.*

მოგონებებში, რომლებიც 1962 წელს გამოიცა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, რომელიც სხვათა შორის, დასავლელი პოლიტიკოსებიდან ყველაზე ხშირად ხვდებოდა ბელადს, წერდა: *თავიდან სტალინმა ჩემზე თავისი ნიჭიერებით მოახდინა შთაბეჭდილება, მაგრამ მის შესახებ აზრი აღარც შემდგომში შემცვლია. ის კარგი, ბუნებრივი მანერებით გამოირჩეოდა, რომლებიც, როგორც ჩანს, მის ქართულ წარმოშობას უნდა მივაწეროთ. ვიცი, რომ დაუნდობელი იყო, მაგრამ ვაფასებ მის გონებას და მის მიმართ სიმპათიითაც კი ვარ განწყობილი, რისი საფუძველიც ბოლომდე საკუთარი თავისთვისაც ვერ ამიხსნია. ალბათ ეს სტალინის პრაგმატიზმს უნდა მივაწეროთ: მასთან შეხვედრისას, მალე გავიწყდებოდა, რომ პარტიულ მოღვაწეს ელაპარაკებოდი... მე პირადად, მასში მუდამ საინტერესო, ცოტა პირქუშ და მკაცრ მოსაუბრეს ვხედავდი, მაგრამ ეს განსახილველი საკითხების სიმძიმით აიხსნებოდა. მე არ ვიცნობდი ადამიანს, რომელიც თათბირებზე მასავით თავშეკავებული ყოფილიყო. სტალინი საუცხოოდ იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომელიც კი მას ეხებოდა. საოცრად წინდახედული და ძალზე ოპერატიული ადამიანი გახლდათ... ამ ყველაფრის მიღმა კი, რა თქმა უნდა, ძლიერი ხასიათი იდგა“.*

ჯორჯ კენანი, რომელიც ომის დროს მოსკოვში აშშ-ის საელჩოში მუშაობდა, წერდა: *„უშიშარი, მაგრამ ფრთხილი ადამიანი იყო, ზოგჯერ ძალზე იოლად რისხდებოდა. ეჭვიანიც გახლდათ, მაგრამ მომთმენიც და უშუალოც, საკმაოდ ჟინიანიც თავისი მიზნების მიღწევისას. შესწევდა უნარი, გადამჭრელი ზომები მიეღო ან თუ საჭირო იყო, დალოდებოდა მოვლენების განვითარებას და ამავე დროს, ფარულად ემოქმედა, თან ისე, როგორც ამას გარემოებები უკარნახებდა. გარეგნულად — საოცრად მოკრძალებული და უბრალო, განსაკუთრებულად პრინციპული და შეუპოვარი იყო, როცა საქმე სახელმწიფოს პრესტიჟსა და ღირსებას ეხებოდა... პრინციპული და ზედმიწევნით რეალისტი კაცი იყო, უაღრესად მომთხოვნი, ლოიალობის, პატივისცემის გამოხატვისა თუ დავალებების შესრულების საკითხებთან დაკავშირებით. ნამდვილი ქართველი გმირის დარად, სტალინს, რომელიც მკაცრი და ფხიზელი თვალით აკვირდებოდა ადამიანებს, შეეძლო ყოფილიყო კარგი და ერთგული მეგობარი ან — შეურიგებელი, საშიში მტერი. მისთვის ძნელი იყო, აერჩია რაიმე შუალედური პოზიცია მეგობარსა და მტერს შორის“.*

ცნობილმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და მწერალმა ჩარლზ სნოუმ 1967 წელს XX საუკუნის ათი უდიდესი პიროვნების პორტრეტი-ესე გამოაქვეყნა. ეს გალერეა მან სტალინის შესახებ დაწერილი ესეთი დაასრულა. სნოუმ საკადრისი მიუზღა მის ისტორიულ დამსახურებას და ბელადი თავის თანამემამულეზე — უინსტონ ჩერჩილზე მაღლა დააყენა.

აშშ და ინგლისი 1944 წლის ნოემბრამდე იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ საფრანგეთს ევროპის საკონსულტაციო კომისიის მუშაობაში მიეღო მონაწილეობა. საბჭოთა კავშირი კი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში საფრანგეთის მონაწილეობის მომხრე გახლდათ. შარლ დე გოლთან საუბრისას, 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში მისი ვიზიტის დროს, ბელადმა თქვა: *„გენერალმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ უთანხმოება გვქონდა ინგლისთან და ამერიკასთან, საფრანგეთის ეროვნულ კომიტეტთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის გამო — მიგვეჩნია თუ არა იგი მთავრობად“.* დე გოლმა შენიშნა, რომ მისი აზრით, სტალინმა ამ თამაშში გაიმარჯვა. სტალინი დაეთანხმა მას და ხაზგასმით თქვა: *„სწორედ იმისთვის თამაშობენ, რომ მოიგონ. მაგრამ საფრანგეთი მეტს მოიგებს“.* ყირიმის კონფერენციაზე შეთანხმდნენ იმაში, რომ საფრანგეთი უფლებამოსილი იყო, გერმანიის ოკუპაციასა და მასზე კონტროლის განხორციელებაში მიეღო მონაწილეობა.

დე გოლი აღიარებდა, რომ ჩერჩილთან, რუზველტთან და სხვა დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკებების საკმაო გამოცდილება ჰქონდა და იმედოვნებდა, რომ ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნებოდა „დიდი სამეულის“ ყველაზე თავისებურ წარმომადგენელთან — სტალინთან შეხვედრისას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტალინი კიდევ უფრო უკეთ ფლობდა დიალოგის ხელოვნებას. *„დაახლოებით 16 საათის განმავლობაში, რა დროსაც საერთო ჯამში, ჩვენი მოლაპარაკებები გრძელდებოდა, — წერდა დე გოლი, — მე ჩავწვდი სტალინის გრანდიოზული და ფარული პოლიტიკის არსს. კომუნისტი, რომელსაც მარშალის მუნდირი ეცვა, ცდილობდა, თავგზა აებნია ჩემთვის... დამშვიდობებისას სტალინმა მითხრა: „თქვენ კარგად გეჭირათ თავი. კარგად ბრძანდებოდეთ! მიყვარს ისეთ ადამიანთან საქმის დაჭერა, რომელმაც იცის, რა უნდა, თუნდაც მისი შეხედულებები ჩემსას არ ემთხვეოდეს“.* დე გოლმა ბელადი პარიზში მიიწვია. სტალინმა უპასუხა: *„როგორ მოვახერხებ ამას? მე ხომ*

უკვე მოხუცი ვარ. მალე მოვკვდები“.

სტალინის ისეთი მოძულეც კი, როგორიც ჩან კაიში იყო, აღიარებდა, რომ *„სამოკავშირეო კოალიციაში სტალინი თანასწორთა შორის პირველი იყო. სტალინური სახელმწიფოს ომის შემდგომი პერიოდის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო ბელადის მისწრაფებით, განემტკიცებინა რუსეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი, უზრუნველეყო მისი გლობალური ინტერესები... სწორედ სტალინისა და საბჭოთა კავშირის დახმარების წყალობით გაუძლო ჩინეთმა იაპონიასთან ომს (1937-1941) პირველ წლებში. ასევე სტალინის წყალობით, ჩინეთის კომპარტიამ არა მარტო თავიდან აიცილა განადგურება, არამედ ხელთ იგდო ძალაუფლება კონტინენტურ ჩინეთში. მაგრამ არც იაპონიის კაპიტულაცია იქნებოდა შესაძლებელი, რომ არა წითელი არმია, რომელსაც გენერალისიმუსი სტალინი ედგა სათავეში. ასე თუ ისე, ჩინეთის ისტორია 1930-იანი წლებიდან გადაჯაჭვული იყო სტალინის პოლიტიკასთან და საბჭოთა კავშირთან“.*

ინტერესმოკლებული არ იქნება იმ შეფასების გაცნობაც, რომელსაც სტალინს მისი მოწინააღმდეგეები — ჰიტლერელები აძლევენ. მაგალითად, სტალინგრადთან გერმანელთა დამარცხების შემდეგ, შელენბერგის მტკიცებით, გესტაპოს შეფმა მიულერმა მას უთხრა: *„აბა, ერთი, წარმოიდგინეთ, რა წინააღმდეგობებს წააწყდა მისი ქვეყანა ბოლო ორი წლის განმავლობაში და მაინც, რამხელა ავტორიტეტით სარგებლობს იგი ხალხის თვალში. ახლა სტალინს სრულიად სხვაგვარად აღვიქვამ. ის გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოთა ყველა სხვა ლიდერი...“*

ახლახან გამოიცა ე.წ. „ჰიტლერის საუბრები სუფრასთან“. ესაა სტენოგრაფიული ჩანაწერები იმ ფრაზებისა, რომლებიც ფიურერს ვიწრო წრეში უთქვამს.

„რუსი ხალხის ძალა, — ამბობდა ჰიტლერი, — მის რაოდენობასა და ორგანიზებულობაში კი არ არის, არამედ მის უნარში, შობოს სტალინის მასშტაბის პიროვნებები. თავისი პოლიტიკური და სამხედრო თვისებებით, სტალინი აშკარად სჯობნის ჩერჩილსაც და რუზველტსაც. ეს ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკოსია, რომელიც პატივისცემის ღირსია. ჩვენი ამოცანაა, ისე გავანადგუროთ რუსი ხალხი, რომ სტალინის მასშტაბის ადამიანები მეტად აღარ დაიბადონ“.

და კიდევ ერთ ციტატას მოვიტანთ, რომელიც ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს ეკუთვნის, რომელსაც ნიურნბერგის პროცესზე სიკვდილი მიუსაჯეს: *„სტალინგრადისთვის ბრძოლის დამთავრების შემდეგ მე ძალზე საინტერესო საუბარი მქონდა ადოლფ ჰიტლერთან. მისთვის ჩვეული მანერით, ფიურერი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა სტალინზე. მან თქვა: ამ მაგალითიდან კიდევ ერთხელ ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ერთი ადამიანი მთელი ერისთვის. ეჭვგარეშეა, ნებისმიერი სხვა ხალხი 1941-1942 წლების გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ, წელში გატყდებოდა. თუ რუსეთს ეს არ დაემართა, რუსი ხალხი თავის გამარჯვებას მხოლოდ ამ ადამიანის რკინისებურ სიმტკიცეს უნდა უმადლოდეს; სწორედ უსაზღვრო ნებისყოფამ და გმირობამ, რომელიც ამ ერმა გამოამჟღავნა, მისცა წინააღმდეგობის გაგრძელების შესაძლებლობაო... მართლაც, წითელი არმიის ჩამოყალიბება გრანდიოზული საქმე იყო, ხოლო თვითონ სტალინი, ეჭვგარეშეა, უდიდესი მასშტაბის ისტორიული პიროვნებაა“.*

მტრის ასეთი შეფასება ცოტას როდი ნიშნავს, მით უმეტეს, როცა ეს შეფასება ლიდერს ეკუთვნის...

ამ ცოტა ხნის წინ აშშ-ში გაიხსნა საიდუმლო მოხსენება, სათაურით — „სტალინის სიკვდილისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მალენკოვის მოსვლის შესაძლო შედეგები“, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უმაღლეს ინსტანციებში დაიწერა. მის მომზადებაში, სახელმწიფო დეპარტამენტის, სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალების და შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის სადაზვერვო სამმართველოები მონაწილეობდნენ. მოხსენება ქვეყნის მმართველი პირების ძალზე ვიწრო წრისათვის იყო გათვალისწინებული. აი, რა წერია ამ მოხსენებაში: *„სტალინის სიკვდილი თავიდან მოგვაშორებდა ადამიანს, რომელიც თითქმის ღმერთკაცად იქცა. ბევრ საბჭოთა მოქალაქეს ის ფოლადისგან ჩამოსხმულ ადამიანად მიაჩნდა, რომელმაც უღარიბესი რუსეთი უდიდესი პოტენციალის სამრეწველო და სამხედრო სახელმწიფოდ გადააქცია, რომელმაც მოიგერია გერმანელთა თავდასხმა და საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდეს სამხედრო გამარჯვებამდე მიიყვანა... გულუბრყვილობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ახალი საბჭოთა რეჟიმი შეძლებს დაეუფლოს ომის თავიდან აცილების სტალინისეულ ხელოვნებას... გარკვეული ხნის განმავლობაში სტალინის ვერც ერთი მემკვიდრე ვერ მოიპოვებს მის მსგავს სტატუსს ან მნიშვნელობას...“*

დაუსრულებლად შეიძლება სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა ციტირება. არსი მაინც ერთია: თუ ისინი პატიოსანი ადამიანები არიან და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან, უნდა აღიარონ — სტალინი ქმნიდა ისტორიას, რომელიც ხალხის, კაცობრიობის კეთილდღეობას ემსახურებოდა.

დასასრული

როტერდამის ფესტივალზე გამოსვლისას

„სიტყვებისგან ვთლი „ქანდაკებას“:...

მათ შორის, ვინც წლევანდელი — უკვე მეექვსედ ჩატარებული, ლიტერატურული კონკურსის — „საბას“ ლაურეატი გახდა, პოეტი მაია სარიშვილი გახლავთ. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის მეორე დღეს, წლის საუკეთესო პოეტურ კრებულად დასახელებული „მიკროსკოპის“ ავტორს ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრე. დიასახლისთან ერთად, მისი და ასევე პოეტ შოთა იათაშვილის 4 შვილიც შემომეგება! სასტუმრო ოთახში შემიძღვნენ და სანამ მათ დედასთან ლიტერატურაზე ვსაუბრობდი, ჩვენთვის ხელი რომ არ შეეშალათ, საკუთარ ოთახში განმარტოებულნი, წყნარად თამაშობდნენ...

ლაურეატი პოეტის ლაურეატი მეუღლე და შვილებისთვის შეთხზული ზღაპრები

თამუნა კვინიკაძე

— მაია, გილოცავთ ლიტერატურული პრემიის მიღებას! 4 შვილის დედა წერისთვის როგორ იცლით?

— როცა სათქმელი მოსვენებას არ მაძლევს, დრო ყოველთვის მოინახება. ვწერ მაშინ, როცა პატარები იძინებენ, თან — მათი სუნთქვა ჩამესმის...

— წერა რა ასაკიდან დაიწყეთ?

— ბავშვობიდან ვწერ. მაშინაც და ახლაც ეს ერთგვარ მოთხოვნილებად მექცა.

— პირველი ლექსი თუ გახსოვთ?

— როგორ არა?! ჩემი ოჯახი მრავალსართულიანი სახლის I სართულზე ცხოვრობდა. ბავშვობაში ერთი უცნაური თვისება მქონდა: ძალიან მიყვარდა იმის ყურება, თუ როგორ გაჰქონდათ ნაგავი. მე და ჩემი ძმა სუნს რომ არ შევეწუხებინეთ, ფანჯრებს ჩავკეტავდით და ამ პროცესს დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს. ნაგავს ჯერ ბუნკერიდან გამოყრიდნენ, შემდეგ კი დიდი ნიჩბებით, სატვირთო მანქანებზე ტვირთავდნენ. სულ ვცდილობდი, რომ იმ საერთო ნაგავში ჩვენი სახლიდან გადაგდებული რომელიმე ნივთი ამომეცნო. ერთ დღეს, მოულოდნელად, ჩემს თოჯინას მოვკარი თვალი, რომელიც დედას გადაეგდო. ამან ძალიან იმოქმედა, მძაფრი ემოცია გამოიწვია ჩემში. ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს, განვმარტოვდი და იმ თოჯინაზე ლექსი დავწერე. მოგვიანებით კი ეს და კიდევ ბევრი სხვა ლექსი ერთად გადავყარე, რაზეც ახლა გული ძალიან მწყდება. ჩემი ნაწერები მას შემდეგაც არაერთხელ გადამიყრია. საოცარია, მაგრამ ადვილად ველევი, არ მენანება.

— ასე რატომ იქცევით?

— არ ვიცი. ჩემი პირველი კრებულის მიმართაც საშინელი გაუცხოების განცდა მაქვს. თუ დამიჯერებთ, კრებული სახლშიც კი არ მაქვს, წაკითხვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

— ასეთი რამ არც ერთი პოეტისა თუ პროზაიკოსისგან არ მსმენია. ასეთი განცდა მხოლოდ გამოქვეყნებული თუ იმ ლექსების მიმართაც გაქვთ, რომლებიც ბოლო დღეებში დაწერეთ და ჯერ არავის წაუკითხავს?

— წერის დროს საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულად ვარ განწყობილი. ეს დიდი შრომაა, რომელსაც ხშირად ქვაზე მომუშავე მოქანდაკის შრომას ვადარებ. მე სიტყვებისგან ვთლი „ქანდაკებას“. დაუმთავრებელ ლექსს არასდროს ვტოვებ, ვერ დავიძინებ, ის იმწუთას ჩემთვის ძალიან ძვირფასია, წერის დროს ბოლომდე გულწრფელი ვარ.

— თქვენ ლექსების პირველი შემფასებელი ალბათ თქვენი მეუღლე — შოთა იათაშვილია, არა?

— გამოიცანით. პირველად ყოველთვის მას ვაკითხებ. მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია.

— რას გეუბნებათ?

— ისეთი სტილის ლექსები გაქვს, მასში რომ გავერკვე, დრო მჭირდებაო. ყოფილა შემთხვევა, რომ პირველი წაკითხვისას არ მოსწონებია, ხოლო როცა იგივე ლექსი რამდენიმე ხნის შემდეგ წაუკითხავს, უთქვამს: რა მაგარი რამ დაგიწერიაო!.. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ჯანსაღ კრიტიკას მივესალმები, ეს ჩემთვის დამთრგუნველი არ არის, პირიქით, ამის შემდეგ შეიძლება დავფიქრდე, ბევრ რამეს სხვაგვარად ჩავუკვირდე.

— ამბობენ, პოეტები არაორდინარული ადამიანები არიანო...

— (*მაწყვეტინებს*) ამ აზრს ვეთანხმები.

— ოჯახში ორი პოეტის, ორი არაორდინარული ადამიანის ერთად ცხოვრება როგორია?

— თავისი სირთულეები აქვს. მეც და შოთაც ხასიათით დამთმობები ვართ, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ერთურთის სუსტი და ძლიერი მხარეები ვიცით. ერთმანეთისადმი სიყვარული და კეთილგანწყობილება ბევრ რამეში გვეხმარება.

— თქვენ სიყვარულის ამბავი როგორ დაიწყო?

— ერთმანეთს წლების განმავლობაში, შორიდან ვიცნობდით, ერთურთის ნაწერებს ვკითხულობდით. ჩვენი გზები პოეტურ საღამოებზე იკვეთებოდა. უფრო ახლოს კი 1997 წელს გავიცანი შოთა. მერე ერთმანეთს უფრო ხშირად ვხვდებოდით, მალე დავქორწინდით.

— შეყვარებული შოთა ლექსებს გიძღვნიდათ?

— (*იცინის*) შოთამ პირველი ლექსი მაშინ მომიძღვნა, როცა ჩემი ლექსები წაიკითხა ისე, რომ არც მიცნობდა.

— როგორი იყო თქვენი განცდა, როცა უცნობი მამაკაცისგან მოძღვნილი სტროფები წაიკითხეთ?

მეუღლესთან ერთად



შვილებთან — საგასთან, ნაგასა და ანასტასიასთან ერთად

მოწაფეებთან ერთად

— გულთან ახლოს არ მიმიტანია, რატომღაც, ზერელედ წავიკითხე. როცა მისი მეუღლე გავხდი და ის ლექსი ხელახლა გადავიკითხე, სხვაგვარად აღვიქვი — უფრო მომეწონა. შოთას არაერთი ლექსი აქვს ჩემთვის მოძღვნილი. ერთმანეთის ლექსების პირველი შემფასებლები ვართ.

— შარშან წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში „საბას“ გამარჯვებული შოთა იათაშვილი იყო, წელს კი თქვენ გახდით, ელოდით?

— არ ველოდი. ჯერ კიდევ დისკომფორტის განცდა მაქვს. როცა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს, დავიბენი, თან მეუხერხულა — იმ ადამიანების გვერდით ვიდექი, რომლებიც ამ ნომინაციაში ჩემთან ერთად იყვნენ წარდგენილნი...

— მაია, თანამედროვე ქართულ მწერლობაზე რას იტყვით?

— მიმაჩნია, რომ ბევრი საინტერესო ნაწარმოები იქმნება. ყველა მწერალსა და პოეტს ვგულშემატკივრობ.

— ვინ არის ის ავტორი, რომლის ახალ წიგნსაც დიდი ინტერესით ელოდებით?

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ჩემთვის მთავარია ტექსტი და არა ის სახელი და გვარი, რომელიც ამ ტექსტის ბოლოში წერია... შეიძლება, სრულიად უცნობი პოეტის ლექსი წავიკითხო და აღფრთოვანებული დავრჩე.

— თქვენი შვილებისთვის საბავშვო ლექსებს არ წერთ?

— მათ ზღაპრებს ვუწერდი, ვთხზავდი ამბებს... პატარა წიგნებს საკუთარი ხელით ვუკინძავდი. ზოგიერთ მათგანს ახლაც ვინახავ.

— მშობლების ლექსები ზეპირად თუ იციან?

— ჩემი ლექსები ძნელი დასამახსოვრებელია, შოთას ლექსებს უფრო იოლად სწავლობენ.

— რა განცდა გეუფლებათ მაშინ, როცა ლექსს ასრულებთ და ბოლო წერტილს სვამთ?

— ზუსტად ის დავწერე, რაც მინდოდა? — ბოლო წერტილის შემდეგ საკუთარ თავს სულ ამას ვეკითხები... ■

„ქობულეთი 2008“

სცენაზე მებრძოლი ბავშვები, ბუზღუნა ჟიური და სხვადასხვა დიალექტზე წარმოთქმული სადღეგრძელოები

სულ ახლახან საქართველოს ზღვისპირეთში საერთაშორისო სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი-კონკურსი — „ქობულეთი 2008“ დასრულდა. უკვე ტრადიციული, მხიარული და მეგობრული — ასეთი იყო ღონისძიება, რომელიც ბათუმისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, ცეკვა-სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების მონაწილეობით ჩატარდა. მართალია, ფესტივალზე ანსამბლები სხვა ქვეყნებიდანაც იყვნენ მოწვეულნი, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ ბულგარელებმა მოახერხეს. დანარჩენებმა კი ორგანიზატორები დააიმედეს, რომ ამ დათვალიერებაში გაისად მიიღებენ მონაწილეობას. რაც ყველაზე მთავარია, ქობულეთში ჩამოსვლა ჰერეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულმა ქართულმა ანსამბლებმა მოახერხეს.

ხათუნა ბახტურიძე

საოცარი სანახავი იყო ქობულეთი ამ ათი დღის განმავლობაში. შავი ზღვის სანაპირობზე, საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი დამსვენებლების ნაცვლად, ჩოხა-ახალუხიანი, ხანჯლებით შეიარაღებული ყმაწვილები და ჩიხტიკოპიანი გოგონები დასეირნობდნენ. კაფე-ბარებში ჯაზის, როკისა და „პაპსის“ ნაცვლად, ქართული „განდაგანა“ და „მრავალჟამიერი“ ისმოდა. ამ ყველაფრის შემხედვარეს, უკვე უცხოური მარკის ავტომობილები მართლაც მეუცხოეობდა და ქუჩაში, ფაეტონის, „დროშკის“ ან სულ მცირე — ცხენების გამოჩენას მაინც ველოდი. ცხენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შუა ფესტივალის დროს, ძროხები კი ნამდვილად გამოჩნდნენ, თანაც ისე, რომ ქობულეთის სტუმრებსა და მასპინძლებს თავი, სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც დაამახსოვრეს. ის იყო, ქუჩაში, ბათუმიდან მომავალი, პრეზიდენტ საკაშვილის კორტეჟი გამოჩნდა, რომ ძროხებმა — არც აციეს, არც აცხელეს — პირდაპირ სახელმწიფოს მეთაურის ავტომობილს გადაურბინეს წინ. ამ ფაქტით აღშფოთებულმა პატრულმა, წესრიგის დამრღვევი პირუტყვი სასწრაფოდ დააპატიმრა.

ძროხები და პატრული იქით იყოს და, ფესტივალი მართლაც შთამბეჭდავად ჩატარდა. ღონისძიების მონაწილეთა შემხედვარეს, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლოდ მეჩვენებოდა, ქართული ფოლკლორის მოამაგეთა წუხილი იმის გამო, თითქოს ჩვენს ტრადიციულ ხელოვნებას გადაგვარება ემუქრება. სცენაზე გამოსული ახალგაზრდების თითოეულ მოძრაობაში, ჩვენი წინაპრებისთვის დამახასიათებელი ჟინი და ემოცია იგრძნობოდა. თავიანთი შვილების შემყურე მშობლებს თვალზე ცრემლი რომ ადგებოდათ და ტაშს ხელისგულების ატკივებამდე უკრავდნენ, ეს გასაკვირი არაა, მაგრამ უცხოეთიდან ჩამოსული ანსამბლ „სივეკის“ ხელმძღვანელის მიერ გამოხატულმა ემოციამ კი მართლაც გამაოცა. როდესაც ბულგარელ ქალბატონს შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვე, ასეთი პასუხი გამცა: „არ ვიცი, ეს ბავშვები თითოეულ ილეთს რამდენად სწორად ასრულე-

როკისა და „პაპსის“ ნაცვლად, ქართული „განდაგანა“ და „მრავალჟამიერი“ ისმოდა

ბენ, მაგრამ გაოცებული ვარ მათი სისხარტითა და თვალებში მოელვარე ცეცხლით. ესენი ნამდვილი მებრძოლები არიან!“

მშობლებისა და უცხოელი სტუმრებისგან განსხვავებით, ჟიურის წევრები კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი, თუმცა ისინი ძირითადად, ქორეოგრაფების მიმართ გამოხატავდნენ საყვედურს: თითოეული მათგანი მიიჩნევდა, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი ანსამბლების ხელმძღვანელებს ქართულ ცეკვაში ფოლკლორისათვის უცხო, შეუფერებელი ელემენტები ჰქონდათ შეტანილი და ხშირ შემთხვევაში, შინაარსობრივადაც არ იყო საინტერესო. ჟიური მართლაც, უნიჭიერესი და კომპეტენტური ადამიანებით იყო დაკომპლექტებული: პოლიკარპე ხუბულავა (სახალხო არტისტი), მარიკა კვალიაშვილი (კომპოზიტორი), ანზორ ანანიძე (ლოტბარი), ქეთევან მანელიშვილი (ქორმაისტერი), უჩა დვალიშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი), თენგიზ უთმელიძე (საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე), ახმედ ამბალია (საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი) და ზაურ ლაზიშვილი (ქორეოგრაფი) — ამ ადამიანებისთვის თავის მოწონება, ალბათ, მართლაც რთული საქმეა. ასეა თუ ისე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გრან-პრის მფლობელები გახდნენ: ვოკალში — თბილისის ანსამბლი „შემოქმედი“ და ბულგარული „სივეკი“, ქორეოგრაფიაში — ფოთის „როკვა“ და ასევე ფოთის „ფაზისი“. პირველი ადგილი ქორეოგრაფიაში — ლაგოდეხის „ლაკვასტმა“ და ხაშურის „ფრესკამ“, ვოკალში კი სვანეთის „ლაგიშედამ“ და ასევე სვანეთის „მიჟენარმა“ გაინაწილეს. მეორე ადგილი ინდივიდუალურ შემსრულებელს — ახალქალაქელ მასის უნანიანს და წალენჯიხიდან მოწვეულ ანსამბლ „ბედინარას“ ერგო.

რაც შეეხება მესამე ადგილს, მეგობრულად გაიყვეს: ვოკალში — ქედის „ხარატულმა“ და მცხეთის „მცხეთამ“, ქორეოგრაფიაში კი ცხინვალის „ფრონმ“ და თბილისის „ფესვებმა“. ჟიურის წევრებს შორის ყველაზე ხუმარა, ყველაზე მხიარული და ყველაზე ემოციური, ქალბატონი **ქეთევან მანელიშვილი** გახლდათ, რომელმაც მითხრა:

სულხან კომახიძე და მისი გუნდის წევრები

— ბედნიერი ვარ, რომ ჟიურიში, ცოცხალი ლეგენდების — მარიკა კვალიაშვილისა და პოლიკარპე ხუბულავას გვერდით ვზივარ. ძალიან მიყვარს ლაპარაკი, მაგრამ ახლა ჩუმად ვარ და ვცდილობ, მათი თითოეული სიტყვა გულისყურით მოვისმინო. ეს ერთი. მეორე და მთავარი ის გახლავთ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხე თავის ხალას კულტურას წარმოგვიდგენს. შუახევმა, ჩვენებურად რომ ვთქვა, ისეთი „ფაიზალი“ აჭარული გვიჩვენა, როგორსაც სხვა ვერც ერთი კუთხის ანსამბლი ვერ შეასრულებდა. ჩვენ ყველაფერს მისხალ-მისხალ ვიწერთ. ჩუმად ვუყურებ ქალბატონ მარიკასა და ბატონ პოლიკარპეს და ვაკვირდები, ვის რა შეფასებას უწერენ. ვგიჟდები, ისე მიხარია, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. პატარა ბავშვივით ვარ აღტაცებული.

— ერთადერთ უცხოურ ანსამბლზე — „სივეკზე“ რას იტყვით?

— არავის ვჩაგრავ და არც შეურაცხყოფას ვაყენებ ვინმეს, მაგრამ უცხოელები კოსტიუმებითა და მოწესრიგებული ვარცხნილობით გვჯობნიან.

— კონკურსანტების შეფასებისას ძირითადად, აქცენტს რაზე აკეთებთ?

— მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორიის პედაგოგი და კაპელის მთავარი ქორმეისტერი ვარ, აქცენტს ნაღდ კუთხურობასა და ფოლკლორზე ვაკეთებ. ყველაზე დიდი კულტურა და სიდიადე უბრალოებაში ჩანს.

სიდიადე რომ უბრალოებაშია, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ბატონი პოლიკარპე ხუბულავას ულამაზესი ჟესტის მომსწრე გავხდი: ერთ-ერთი საფესტივალო დღის ბოლოს, ჟიურისა და ჟურნალისტების პატივსაცემად გამართულ ვახშამზე, სტუმრების საამებლად მოწვეულ ადგილობრივ მომღერლებს ბატონმა პოლიკარპემ (რომელიც უკვე 80 წელსაა გადაცილებული) ერთად სიმღერა შესთავაზა. მართალია, თავდაპირველად, მომღერლები დაიბნნენ, მაგრამ მხცოვანი არტისტის შეგულიანების შემდეგ, ისეთი „განდაგანა“ შემოსძახეს, რომ ახლომახლო თუკი ვინმე დადიოდა, ყველამ მათ გარშემო მოიყარა თავი. ეს საღამო არა მარტო სტუმრებისათვის, არამედ მასპინძლებისთვისაც დაუვიწყარ, ულამაზეს მოგონებად იქცა.

ფესტივალს განსაკუთრებული ელფერი შესძინეს საპატიო სტუმრებმა — ვახტანგ ტატიშვილმა და დათო როსტომაშვილმა, რომელიც საღამოობით ხან კახური, ხან სვანური და ხანაც აჭარული დიალექტით თამადობდა.

ასეთი საინტერესო ეს ფესტივალი ალბათ არ გამოვიდოდა, რომ არა ღონისძიების ორგანიზატორი — რატი მეგრელიძე და მისი გუნდი: სულხან და მირანდა კომახიძეები, ილია კაკალაძე, ირმა ბოიაჯანი და ალიონა ლუდენკო. სულხანი, გარდა იმისა, რომ გამუდმებით იღიმებოდა, ყველა საქმეს პირადად აგვარებდა და სრულიად სამართლიანად, საკუთარ თავს „ყველაფერშიკს“ უწოდებდა. მირანდა უმთავრეს მოვალეობას — ანუ ღონისძიებების წამყვანობას, წესრიგის დამმყარებლის ფუნქციასაც უთავსებდა, თანაც ისეთი მონდომებით, რომ ზოგჯერ კაბაში გადაცმული პატრული მეგონა... ირმასა და ალიონას ფუნქცია კარგად ვერ გავარკვიე, მაგრამ „აღმოვაჩინე“, რომ „ყველაფერშიკის“ მითითებებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასადაც კი ასრულებდნენ და სტუმრების დაკვალიანებაზეც ზრუნავდნენ. მათ შორის ყველაზე გონებამახვილი და ენაკვიმატი, ილია გახლდათ, ალბათ იმიტომ, რომ ზოგჯერ „საჩკაობასაც“ მიუტევებდნენ და ხუმრობა-ხუმრობაში წამოცდენილ მწარე სიტყვებსაც, რომლის ადრესატები უმთავრესად, ირმა და ალიონა იყვნენ... ■

ფარისევლების ხარვეზი

უკეთესი ცხოვრებისადმი ადამიანების სწრაფვის სურვილით სპეკულაცია ახალი მოვლენა არ გახლავთ და ამ თვალსაზრისით, რაიმე ზებუნებრივი არც სხვადასხვა სექტის ადეპტებს მოუგონიათ. მათ უბრალოდ, ფსიქოლოგიური თაღლითობის მძლავრი სისტემა შექმნეს და ამ გზით ადამიანებზე ზეწოლის მექანიზმები დახვეწეს. თუმცაღა, ახალი მოძღვრებების „დამფუძნებელ მამებს“ მცირედით დაკმაყოფილება არ სჩვეოდათ და ამიტომაც, მიმდევართა პატარა ჯგუფის გაბრიყვების მათეული გეგმები ხშირად ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების ფანტასტიკურ იდეებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ასეთი მასშტაბური მიზნები კი შესაბამის მსხვერპლსაც მოითხოვდა. ამის გამო ბევრ ქვეყანაში ტოტალიტარულ სექტებთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა.

იდეოლოგიური „მუტაციები“: მოტყუებიდან მკვლელობამდე

ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც სამართლებრივის პრეტენზია აქვს, ტოტალიტარული სექტების საქმიანობა კანონის ამა თუ იმ მუხლს ეწინააღმდეგება.

რა არის სექტა? პირველ რიგში, კომერციული ორგანიზაცია (თუმცა თავად ამას არ აღიარებს), რომელიც ვითომდა კანონის ფარგლებში, საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. ასეთ „ფარს“ კი რასაც გინდა — არაკონკურენტუნარიანი ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებით დაწყებული და გამოძალვითა და მასობრივი მკვლელობით დამთავრებული — ამოაფარებ.

მცირედით დავიწყოთ: ნებისმიერი სექტა ყოველთვის ზრუნავს საკუთარი იდეების პოპულარიზაციაზე. პოტენციურ „კლიენტებამდე“ ხმის მიწვდენის ყველაზე მარტივი საშუალება კი საკუთარი სწავლების შესახებ ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემაა. ამასთან, ყველა, ვინც მსგავსი საგამომცემლო საქმიანობითაა დაკავებული, ჩადებული ფულის სწრაფად ამოღებასა და გამრავლებასაც ახერხებს. ამის მიღწევის სქემა ძალზე მარტივია: ყოველი ეგზემპლარის ფასი წინასწარაა შეთანხმებული და ისიც გარკვეულია, რომ უთუოდ მთელი ტირაჟი გაიყიდება, წიგნების ფასს კი რიგითი სექტანტები აანაზღაურებენ. მართალია, ამ უკანასკნელთ შემდგომში შეუძლიათ, ეს ლიტერატურა „ახალწვეულებს“ ჩამოურიგონ, მაგრამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ფული უეჭველად წინასწარ და მთლიანად უნდა გადაუხადონ. ზოგიერთ ქვეყანაში — მაგალითად, რუსეთში — სექტების მოსამრავლებლად იდეალური პირობებია შექმნილი. საქმე ისაა, რომ მსგავსი ორგანიზაციები იქ რელიგიურ საფარქვეშ მოქმედებენ და შესაბამისად, გადასახადების გადახდისგანაც თავისუფლდებიან. თუმცა ეს მაინც სახელმწიფოს მოტყუების ყველაზე უწყინარი საშუალებაა. ამის გარდა კიდევ რამდენიმე ხერხი არსებობს.

ბევრი სექტა თავის მიმდევრებს არჩევნებში ხმის მიცემაზე უარის თქმისკენ მოუწოდებს. მაგალითად, „იეღოვას მოწმეების“ სექტის ადეპტები ქადაგებენ, რომ დედამიწაზე მხოლოდ ერთი მთავრობა — ე.წ. „ბრუკლინში მოქმედი მმართველი კორპორაცია“ არსებობს. სექტანტების თვალში ამ კორპორაციას მთავრობის სტატუსი აქვს. საერთოდაც, ძალაუფლების ხელში ჩაგდება ტოტალიტარული სექტების ერთ-ერთი მთავარი მიზანთაგანია. აი, რას წერდა ამის თაობაზე „გაერთიანების ეკლესიის“ დამაარსებელი სან მენ მუნი: „როცა ჩვენი დრო მოვა, მსოფლიოს ხელისუფლად, მსოფლიოს გამგებლად, მის სათავეში უნდა მოვიყვანოთ ავტოკრატიული თეოკრატია, რაც არის ღმერთის მმართველობა, მისი მიწიერი წარმომადგენლის (*ანუ მუნის. — ავტ.*) მეშვეობით. ამრიგად, ჩვენ რელიგიისგან პოლიტიკის განცალკევება არ შეგვიძლია. რელიგიისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან განცალკევება ყველაზე მეტად სატანას უყვარს... როცა ამერიკაში ხელისუფლების სათავეში მოვალთ, კონსტიტუცია უნდა შევცვალოთ და სიკვდილით დასჯა შემოვიღოთ თითოეული იმ ადამიანისთვის, ვინც მხილებული იქნება ნებისმიერ სხვა ადამიანთან სიახლოვეში, იმის გარდა, ვინც მისთვის წინასწარვე იყო დანიშნული“. სახელმწიფოსთან მსგავსი „კატათაგვობანას“ თამაში, რელიგიური სექტების ზოგიერთი ადეპტის საიდუმლო საქმიანობის ფონზე, მაინც ბავშვურ ცელქობად მოჩანს.

გასული ასწლეულის ყველაზე ამბიციური ფანატიკოსი ალბათ, მაინც „აუმ სინრიკეს“ სექტის ლიდერი სეკო ასახარა იყო. მისი სწავლება იმ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისკენ იყო მიმართული, რომელიც კაცობრიობის დამღუპველი, ბირთვული კატასტროფის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. სამყაროს აღსასრულისთვის ასახარა საფუძვლიანად ემზადებოდა. სწორედ ამ მიზნით ქმნიდა მასობრივი განადგურების იარაღსაც. თავად ის და მისი მიმდევრები, რაღა თქმა უნდა, გადარჩენას აპირებდნენ, რისთვისაც ატომური აფეთქებისგან საგანგებო თავშესაფარში უნდა დამალულიყვნენ. როგორც ჩანს, რჩეულთა ბატონობის იდეას ასახარა თავის კერპს — ადოლფ ჰიტლერს დაესესხა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, სადამდე შეიძლება მისულიყო საქმე, ასახარას ლოგიკურად ჩამოყალიბებულ შიზოფრენიულ ნაბოდვარს ფართო გასაქანი რომ მისცემოდა. თუმცა უბედურების ზარმა ერთხელ მაინც ჩამოჰკრა და 1995 წლის 20 მარტს „აუმ სინრიკეს“ ადეპტებმა ტოკიოს მეტროში ტერორისტული აქტი მოაწყვეს...

ტოკიოდან 100 კილომეტრში მდებარე, სექტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობებისა და საწყობების საფუძვლიანმა შემოწმებამ ასეთივე საფუძვლიანი დაფიქრების საბაბი წარმოშვა. გაირკვა, რომ „აუმ სინრიკეს“ იქ უმაღლეს დონეზე აღჭურვილი, პატარა ქიმიური ქარხანა ჰქონდა გამართული, საწყობებში კი 40 სხვადასხვა დასახელების ქიმიური ნივთიერებით სავსე ათასზე მეტ კასრს ინახავდა. თანაც, ეს ნივთიერებები ისე იყო შერჩეული, რომ მათგან სასიკვდილო გაზების, ხელოვნური ნარკოტიკების ანდა ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადება ყოფილიყო შესაძლებელი. აღნიშნულ ტერიტორიაზე აღებული ნიადაგის ნიმუშებში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ტიპის მომწამვლელი ნივთიერებების — ზარინისა და ბოტულიზმის ტოქსინის კვალი აღმოაჩინეს. დადგენილია, რომ „აუმ სინრიკეს“ ქიმიურ მინიქარხანაში ნერვულ-პარალიზური გაზების წარმოება იყო შესაძლებელი.

მალე ცნობილი გახდა, რომ „აუმ სინრიკეს“ დაფინანსების ძაფები კორეის ნახევარკუნძულზე მოქმედ, ცნობილ და გავლენიან „ტოიცუ კეკაიდ“ („საზოგადოება და ერთიანობა“) წოდე-

ბულ, ფრიად საშიშ სექტამდე მიდიოდა. იმ დროისთვის, „ტოიცუ კეკაი“ რუსეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზეც და განსაკუთრებით აქტიურად სახალინზე მოქმედებდა. ამ ორი სექტის საფუძვლიან ურთიერთკავშირს თუნდაც ის ადასტურებს, რომ თავის დროზე, იაპონიის დედაქალაქში მდებარე მთელი თავისი უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები) „აუმ სინრიკემ“ სწორედ „ტოიცუ კეკაისგან“ და თანაც, დღემდე ბურუსით მოცული პირობების საფუძველზე მიიღო. თუ ყოველივე თქმულს სხვა სექტების — მაგალითად, კრიშნას შემეცნების საზოგადოების მესვეურების თუ საიენტოლოგების დანაშაულებს, ლოს-ანჯელესში მომხდარ „ციური კარიბჭის“ სექტის წევრების მასობრივ თვითმკვლელობებსა და აგრეთვე, მუნიტებისა და ისევ და ისევ საიენტოლოგების მიერ დაზვერვითი ინფორმაციის შეგროვებასაც დავუმატებთ, მართალია, მაინც არასრულ, მაგრამ ფრიად „მეტყველ“ სურათს მივიღებთ.

დოსიე: სეკო ასახარა (ნამდვილი სახელი — ტიძუო მაცუმომო)

ნემსთერაპიის ყოფილი სპეციალისტი, იაპონიაში რამდენიმე იაფფასიანი ჩინური რესტორნის მეპატრონე სეკო ასახარა, კუმამოტოს პროვინციის ქალაქ იაცუშიროში დაიბადა. მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა სკოლის დამთავრების შემდეგ, ნემსთერაპიის სპეციალისტად დაიწყო მუშაობა. დაქორწინების შემდეგ კი სამუშაოდ, ჩიბის პრეფექტურის

ქალაქ ფუნაბაშის ჩინურ აფთიაქში გადავიდა და 6,7 მილიონი იენის ანგარიშების გამოწერასთან დაკავშირებული თაღლითობისთვის, პასუხისგებაშიც იყო მიცემული. 1981 წელს, ასახარამ ფუნაბაშში საკუთარი აფთიაქი გახსნა და ფალსიფიცირებული წამლების გაყიდვით თითქმის 40 მილიონი იენი იშოვა, მაგრამ შემდეგ დააპატიმრეს და სასამართლოს დადგენილებით, 20 ათასი იენით დააჯარიმეს. ყოველივე ამის პარალელურად, ასახარა იოგას ვარჯიშებითა და საკუთარი სწავლების შექმნითაც იყო დაკავებული. 1984 წელს, ტოკიოში იოგას სავარჯიშო დარბაზი გახსნა და იმავდროულად, რელიგიური საქონლით მოვაჭრე კომპანიაც დააარსა. 1986 წელს ასახარას ორგანიზაციამ რელიგიური ელფერი შეიძინა, რომელსაც 1987 წლის ივლისიდან, „აუმ სინრიკე“ ეწოდა და მისი მრავალრიცხოვანი განყოფილებებიც მთელ იაპონიაში გაიხსნა.

ცნობისთვის:

„აუმის ჭეშმარიტების“ მომხრეები თავს ბუდისტურ თემს უწოდებენ. რელიგიური კორპორაცია „აუმ სინრიკე“ იაპონიის ქალაქ ფუძინომიაში წარმოიშვა, სადაც 20-მდე ტაძარი და ბერების თემი ჰქონდა. „აუმ სინრიკეს“ ცენტრები ტოკიოში, ნიუ-იორკში, ბონსა და შრი-ლანკაშიც მოქმედებდა.

რუსეთში „აუმ სინრიკეს“ ფილიალი 1992 წლის დასაწყისში დარეგისტრირდა. 1995 წლამდე ამ სექტას მარტო მოსკოვში 6 ცენტრი ჰქონდა. 1995 წლის 20 მარტს „აუმ სინრიკეს“ ადეპტებმა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრძანებით, ტოკიოს მეტროპოლიტენის რამდენიმე სადგურზე საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერების — ზარინის გაზის გამოყენებით, ტერორისტული აქტი მოაწყვეს. ამის შედეგად, 5,5 ათასი ადამიანი დაშავდა, 11 კი დაიღუპა. ამ ფაქტის შემდეგ „აუმ სინრიკეს“ მოსკოვის ფილიალის ხელმძღვანელები სათავო ორგანიზაციისგან განდგომას შეეცადნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

Lumma Design — მწვანე და ნარინჯისფერ ფერებში

გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Lumma Design — თავისი ახალი ქმნილების — CLR X650 — პირველი ფოტოები გაავრცელა, რომელიც krossover BMW X6-ის ბაზაზეა აწყობილი. Lumma-ს დიზაინერებმა ავტომობილის წინა ნაწილი შეცვალეს და სამუხრუჭე დისკების გაგრილების თვალსაზრისით, მას განსხვავებული ფორმის ბამპერი დაუყენეს. აგრეთვე შეუცვალეს უკანა ხედვის სარკე, შუქფარების ფორმა და კაპოტი, რომელზეც კარბონის ფიგურა დაამონტაჟეს. Lumma CLR X650 მწვანედ და ნარინჯისფრად შეიღებება და 23-დუიმიანი ორიგინალური დიზაინის ბორბლების დისკებით აღიჭურვება. სალონში სპორტული საჭე, ალუმინის სატერფულები და ძარასფრად შეღებილი ხელსაწყოების პანელია დაყენებული. ჯერჯერობით, ამ ავტომობილის ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ არაფერია ცნობილი. CLR X650-ის სერიული ვერსიის პრემიერა პარიზის ავტოსალონზე, მიმდინარე წლის ოქტომბერში შედგება. ■

პრინცი ჩარლზი საწვავის ნაცვლად ინგლისურ ღვინოს გამოიყენებს

უელსის პრინცის კუთვნილი Aston Martin ბიოეთანოლის მომხმარებელ მანქანად გადააკეთეს, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მისაღებად ინგლისური ღვინო იქნება გამოყენებული. 1970 წელს გამოშვებული Aston Martin DB6 Volante პრინც ჩარლზს დაბადების დღეზე, დიდი ბრიტანეთის დედ-

ოფალმა აჩუქა. მაშინ ჩარლზს 21 წელი შეუსრულდა. მფლობელი ავტომობილს მხოლოდ ზაფხულობით იყენებს, ხოლო მანქანის მიერ ყოველწლიურად გავლილი მანძილი დაახლოებით 300 მილია (482,8 კმ). პრინცის პირადი მდივანი, სერ მაიკლ პიტი ამბობს: „ამგვარად ჩარლზს ეკოლოგიისთვის ბრძოლაში თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა სურს“. საწვავის სახით ღვინის გამოყენება სრულიად გამართლებულია. ევროპის კავშირმა მის წარმოებაზე მკაცრი შეზღუდვები დააწესა და ამიტომაც, ზედმეტი ღვინის ხელსაყრელ ფასებში გაყიდვის ერთადერთ საშუალებად, მისი ბიოეთანოლად გადამუშავებაღა რჩება. უფრო ადრე, ჩარლზმა თავისი ავტოპარკი (რომელშიც Jaguar, Audi და Land Rover შედის) ასევე ბიოდიზელის მოხმარებაზე გადაიყვანა, რომელიც მზესუმზირის ზეთის გადამუშავების შედეგად მიიღება. ■

„ფორდის“ ახალი ჰეჩბეკი

კომპანია „ფორდმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ახალი ჰეჩბეკის — Focus RS — 2,5-ლიტრიანი ტურბინირებული ძრავა არა 280 ცხ.ძ-ის (როგორც ადრე იყო დაგეგმილი), არამედ 300 ცხ.ძ. სიმძლავრის იქნება. ამერიკელმა ავტომწარმოებლებმა ასეთი მაჩვენებლის მიღწევა ძრავას მართვის ბლოკის პროგრამის შეცვლით, ცილინდრების ბლოკის თავაკის მოდერნიზებითა და აგრეთვე, გამომშვები სისტემის გაუმჯობესებით მოახერხეს. „ფორდის“ წარმომადგენელთა თქმით, სიახლე წინაამძრავიანი იქნება და ნაკლებად მძლავრი მოდიფიკაციისგან განსხვავებით, ST Quaife თვითმბლოკი დიფერენციალით აღიჭურვება. წინასწარი მონაცემებით, ასეთი მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 6 წამზე ნაკლებ დროში განავითარებს. გარდა ამისა, ავტომობილს მოდერნიზებული ამორტიზატორები, აგრეთვე, 19-დუიმიანი ბორბლების დისკები და Continental-ის საბურავები დაუყენდება. Focus RS-ის პრეზენტაცია ივლისის ბოლოს, ლონდონის მოტორშოუზე შედგება, გაყიდვაში კი მომავალი წლის დასაწყისიდან იქნება. ■

ეირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასაბეჭდების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო ELVA

ქ. თბილისი თოსლიძის ქ. № 49

ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com

1 სტადიონი რიოში
2 ტყის ვაშლი
3 აღორძინების ხანა
4 სამკურნალო წიგნი
5 ... ანანიაშვილი
6 მდინარე რუსეთში
7 არმიის მღვდელი
8 პორტუგალიის დედაქალაქი
9 მწარე საწებელი
10 ქალის თავსაბურავი
11 ლითონის ფული
12 სალბუნი
13 ბელორუსიის დედაქალაქი
14 საჭრელი იარაღი
15 დროის ათდღიანი მონაკვეთი
16 ჯორჯი საქართველოს
17 ღვინის ღმერთი ბერძნ. მით.
18 მწერი
19 საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი
20 მტაცებელი ფრინველი
21 კორეული ავტომობილი
22 მარადწვნე წაწვოვანი ხე
23 უპიგმენტო
24 ლაბორატორიული ჭურჭელი
25 ფულის ერთეული უზბეკეთში
26 ხალიჩა
27 ლედხანა ინგლისში
28 გასართობი სანახაობა
29 მაიმუნის სახეობა
30 ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში
31 ყვავის ნაშიერი
32 ვაზის ბაღი
33 გადამდნარი კარაქი
34 ფიქრი, რაც ჭანი
35 პროფესიონალი მხედარი
36 პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
37 არაბული ქვეყანა
38 აქლემის ნაშიერი
39 სიყვარულის ღმერთი რომ. მით.
40 რუსეთის სახელფრანცო საგენტო
41 ... ონო
42 მდინარე იტალიაში
43 ტაძარი თბილისში

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ცურვა; 2. ატელიე; 3. კენტუკი; 4. გარგარი; 5. ტიპიკონი; 6. აკუსტიკა; 7. აკვალანგი; 8. ლემური; 9. კონვერტი; 10. მეანი; 11. კაფე; 12. უხვი; 13. კიკო; 14. აკაცია; 15. ტიურამი; 16. ვარანი; 17. მილი; 18. ფინიში; 19. საბრალონი; 20. შამპინიონი; 21. იარა; 22. კასტა; 23. კამა; 24. ბრასი; 25. ლიმა; 26. საბრალონი; 27. ნოლი; 28. სვირინგი; 29. მეხიკო; 30. პეჟო; 31. არმინია; 32. ყალიონი; 33. პრობლემა; 34. მიმი; 35. ლონდონი; 36. მანდილი; 37. ლივ; 38. ქვა; 39. ლიბია.

სურათებზე: ანასტეიშა, რობი უილიამსი.

ვინ ხართ თქვენ მისთვის?

ვინ ხართ მამაკაცისთვის — დედა, შვილი თუ თანასწორუფლებიანი მოკავშირე? უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ქალების უმეტესობის დამოკიდებულება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან, თურმე დედობრივი ან შვილური გრძნობით გამოიხატება. არსებობს მესამე ვარიანტიც — უფრო ჰარმონიული, ჭეშმარიტად ქალური ქალი. რომელ ტიპს განეკუთვნებით თქვენ, ამას ტესტის შეკსების შემდეგ შეიტყობთ.

1. როგორ ცდილობთ მამაკაცთან ახალდაწყებული ურთიერთობის განმტკიცებას?

ა) ცდილობთ გააგებინოთ, რომ შესანიშნავი დიასახლისი ხართ — 2;

ბ) კეკლუცობთ და უშუალოდ იქცევით — 1;

გ) მაშინვე არ იხსნებით, ცდილობთ, მისთვის გამოცანად დარჩეთ — 0.

2. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მამაკაცები არიან...

ა) დიდი ბავშვები, რომლებიც გამუდმებით მზრუნველობას საჭიროებენ — 2;

ბ) ძლიერები და ისინი ქალის დაცვასა და უზრუნველყოფაზე ზრუნავენ — 1;

გ) ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვთ — 0.

3. თქვენი ქმარი/მეგობარი მივლინებაში აპირებს წასვლას. ჩვეულებრივ, თქვენ წინა საღამოს...

ა) ძირითადად, მომზადებას უნდებით და თვალყურს ადევნებთ, რომ არაფერი დარჩეს — 2;

ბ) განსაკუთრებულ სინაზეს ავლენთ და უფრო მეტ დროს მის მოფერებას უთმობთ — 1;

გ) მისთვის თავის მობეზრება არ გსურთ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ეხმარებით — 0.

4. შესაკეთებლად წაღებული მტვერსასრუტი ხელოსნისგან წამოსაღები გაქვთ. მას კი არ სცალია. თქვენ...

ა) მოთმინების ფიალა გევსებათ და თავად მიდიხართ მტვერსასრუტის წამოსაღებად, რადგან ხვენნასა და ლოდინს გირჩევნიათ, ასე მოიქცეთ — 2;

ბ) მოუწყობთ სკანდალს: რათა იმავე საღამოს მოიტანოს მტვერსასრუტი! — 1;

გ) ძალას არ დაატანთ, მაგრამ ტკბილი სიტყვით შეეცდებით თავად მიახვედროთ, რომ მტვერსასრუტი მოიტანოს — 0.

5. მაღაზიაში რაღაც ნივთი მოგვიდათ თვალში და გსურთ, რომ სადღესასწაულოდ სწორედ ეს ნივთი მიიღოთ საჩუქრად. როგორ სთხოვთ ამის თაობაზე თქვენს ქმარს/საატრფოს?

ა) მოგერიდებათ თხოვნა, ვიდრე თავად არ წამოიწყებს ამაზე საუბარს — 2;

ბ) შემოვლით ეტყვით, რომ ეს ნივთი ძალიან გჭირდებათ და ძალიან გაგიხარდებათ, თუ საჩუქრად სწორედ მას მიიღებთ — 1;

გ) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მოსთხოვთ, რომ ეს ნივთი მოგართვათ საჩუქრად — 0.

6. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ფლირტის მიმართ?

ა) ვიდრე მამაკაცისგან არ ვიგრძნობ ინიციატივას, ფლირტს არ დავიწყებ — 2;

ბ) მამაკაცებს ყოველთვის ვეკეკლუცები — 1;

გ) ფლირტზე არასოდეს ვამბობ უარს, თუკი მამაკაცის მიმართ ინტერესი მაქვს — 0.

7. ჩვეულებრივ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას — თქვენ თუ ის?

ა) უფრო ხშირად მე — 2;

ბ) უფრო ხშირად ის — 1;

გ) ჩვენთან თანასწორუფლებიანობა სუფევს. როცა რაღაც საკითხში უფრო კომპეტენტური მე ვარ, გადაწყვეტილებას მე ვიღებ, ხოლო როცა ის უფრო კომპეტენტურია — ის — 0.

8. რომელ პერსონაჟს უფრო ჰგავხართ ხასიათით?

ა) მელანის — „ქარწაღებულნი“ — 2;

ბ) ჯულია რობერტსის გმირს — „ლამაზმანი“ — 1;

გ) მილედის — „სამი მუშკეტერი“ — 0.

9. როგორი ტიპის მამაკაცებთან უფრო გიიოლდებათ ურთიერთობა? ან როგორ მამაკაცებს უფრო მოსწონხართ?

ა) ჟენიასნაირთან — „ბედის ირონია ანუ აბანო გაამოთ“ — 2;

ბ) გოშასნაირთან — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ — 1;

გ) რეტ ბატლერისნაირთან — „ქარწაღებულნი“ — 0.

ტესტის შედეგები

12-18 ქულა. „ქალი-დედა“: ის თავად უნდა აკონტროლებდეს ყველაფერს. გადაჭარბებულად ზრუნავს მის გვერდით მყოფ მამაკაცზე და შვილივით მეურვეობს მას. ყოველთვის თავად იღებს გადაწყვეტილებას, არც პასუხისმგებლობას გაურბის და თანამედროვე ოჯახის პრობლემების დიდ ნაწილს თავადვე იტვირთავს. „ქალი-დედების“ ერთი ნაწილი იმორჩილებს ქმარს და ისე მართავს, როგორ თავად სურს. მეორე ნაწილი კი, მსხვერპლად ეწირება მეუღლეს და მთელი ცხოვრება ხელით დაათრევს მას. მამაკაცები, რომლებიც ამ ტიპის ქალებს ირჩევენ პარტნიორებად, არ არიან დამოუკიდებლები. მტკიცე ნებისყოფის ქალი მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ ცხოვრებაში მიმართულება მისცეს. როგორც წესი, ამ ტიპის მამაკაცები ცხოვრებაში დიდ სიმაღლეებს ვერ აღწევენ.

6-11 ქულა. „ქალი-გოგონა“: პირველი ტიპისგან განსხვავებით, გამუდმებულ ყურადღებასა და ზრუნვას ის თავად საჭიროებს. ეძებს მამაკაცს, რომელიც მის ცხოვრებაზე მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იტვირთებს. წინასწარ დაუგეგმავს, რა უნდა აკეთოს და გაანებივრებს მას. ამ ტიპის ქალი ან მოხერხებულად ნიღბავს იმას, რომ არაფრის კეთება არ სურს, ან მართლაც, უსასოდ გრძნობს თავს მამაკაცის გარეშე. მისი აზრით, მამაკაცები იმიტომ არსებობენ, რომ იზრუნონ და დაიცვან ქალი. ხშირ შემთხვევაში, ამ ტიპის თანაცხოვრება მამაკაცთან „მამაშვილური“ დამოკიდებულების მკაფიო მოდელს წარმოადგენს. შესაბამისად, სიყვარულშიც არათანასწორი მდგომარეობაა — ქალი ყველაფერს იღებს, თავად კი ბევრს არაფერს გასცემს. „ქალი-გოგონები“ უშუალოები, კეკლუცები და ჯიუტები არიან, ხანდახან — ინფანტილურებიც. ზოგჯერ მათი სიჯიუტე ისტერიულობამდე მიდის. იმისათვის რომ „ქალმა-გოგონამ“ წარმატებას მიაღწიოს, ის აუცილებლად უნდა გაიზარდოს და დამოუკიდებელი გახდეს.

0-5 ქულა. „ქალური-ქალი“: ის თავისუფლად ახერხებს მამაკაცთან ადეკვატურ ურთიერთობას და არც შვილში ურევს პარტნიორს და არც მამაში. მოქნილობა მისი უმთავრესი თვისებაა. მას შეუძლია, თავადაც მიხედოს საკუთარ თავს და სიამოვნებით მიიღოს მამაკაცის მიერ გამოვლენილი ყურადღება თუ მზრუნველობა. დარწმუნებულია საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში. ის არ აღიქვამს მამაკაცს როგორც ცხოვრების საყრდენს და არა აქვს იმის მოთხოვნილება, რომ პარტნიორი გამუდმებით მის გვერდით იმყოფებოდეს. არ ცდილობს, თავბრუ დაასხიოს და მოხიბლოს ყველა მამაკაცი, რათა შემდგომში ისინი დაეხმარონ მას. ის ისევე დარწმუნებულია ცხოვრების თანამგზავრში, როგორც საკუთარ თავში, ამიტომ ყოველთვის მზადაა, თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცეს პარტნიორს. თანასწორი ურთიერთობა აქვს მამაკაცთან. ეს არის ორი ზრდასრული, დამოუკიდებელი პიროვნების კავშირი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება ძალუძს.

ჰოროსკოპი

(3 - 9 ივლისი)

ვერძი

სამსახურში მოსალოდნელია თანამდებობრივი ან სახელფასო ზრდა. კარგი პერიოდია საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად ან საზღვარგარეთ სამოგზაუროდ. ზედმეტად ბევრ დროს ნუ დახარჯავთ სასიყვარულო ურთიერთობების გარკვევაზე.

ჯუჯი

შესაძლოა, ხელი მიჰყოთ უჩვეულო საქმიანობას, რომელიც დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. კარგი **გუნება**-განწყობილება საწადლის მიღწევის აუცილებელი წინა **პირობაა** — როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საქმიანობაშიც.

ტყუპი

ბევრი მოძრაობა და მოგზაურობა გელით. იმიჯის შეცვლა კარგად იმოქმედებს თქვენს ფსიქოსომატურ მდგომარეობაზე. შესაძლოა, მოულოდნელად, მეგობრებმა მატერიალური დახმარება გაგიწიონ.

ჯიგრისხიტი

თქვენი ენერგეტიკული და შემოქმედებითი პოტენციალი საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს, ამიტომ დროს უქმად ნუ დაკარგავთ და ეცადეთ, ახალ საქმეს მოჰკიდოთ ხელი. ფარული სასიყვარულო კავშირი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

ლომი

უმჯობესია, სწრაფად დასძლიოთ კრიზისული სიტუაციები, მატერიალური რესურსები კი სამართლიანად გაანაწილოთ. შესაძლებელია, ახალი სიყვარული გეწვიოთ, რომლისთვისაც თავგანწირვასაც არ მოერიდებით. გირჩევთ, დასვენებაზეც იზრუნოთ.

ქალწული

მაღალი სასიცოცხლო ტონუსი გაქვთ. პრაგმატიზმი, სიფრთხილე და შრომისმოყვარეობა საუკეთესო შედეგებს მოგიტანთ. გაქვთ შანსი, საზოგადოებრივი სტატუსი აიმაღლოთ. საფუძვლიანად შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება საყვარელი ადამიანის მიმართაც.

სასწორი

თუ სიზარმაცესა და გაუბედაობას მოერევით და მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, საწადელს იოლად მიაღწევთ. შესაძლებელია, პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის გადაწყვეტილება მიიღოთ.

ღორღი

არ არის გამორიცხული, რომ დამატებითი შემოსავალი მიიღოთ. კარგი დროა დასასვენებლად წასასვლელად, სადაც მხიარულად გაატარებთ დროს. საყვარელ ადამიანთან დროებით განშორება თქვენს გრძნობას გაამყარებს და შესაძლოა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძვლადაც იქცეს.

ჯუბა

რომანტიკული განწყობილება დაგეუფლებათ, რის გამოც, იოლად დაიპყრობთ ნებისმიერი ადამიანის გულს. სიფრთხილე გმართებთ გზებზე. შესაძლოა, დამატებითი შემოსავალი გაგიჩნდეთ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული, მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრათ.

მახვილი

თუ მიღწეულით არ დაკმაყოფილდებით, წინსვლა გარანტირებული გაქვთ. იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და აკონტროლეთ კვების რაციონი. ჯობს, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას დათმობაზე წახვიდეთ — ამით მხოლოდ მოგებული დარჩებით.

ჯვარედინი

მოვლენები ისე განვითარდება, რომ გარშემო მყოფების დახმარება დაგჭირდებათ. ერიდეთ თავყრილობებს და თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელებისგან. უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობის ან უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობის დასაწყებად, ნაკლებად ხელსაყრელი დროა.

თევზები

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, გარეგნული ბრწყინვალებისკენ მიისწრაფვით. გარშემო მყოფებისთვის რჩევა-დარიგებას არ დაიშურებთ, ოღონდ ეცადეთ, ამის გამო, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა არ დაძაბოთ. კარგი დასვენებაც ნამდვილად არ გაწყენთ.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	2	9	8	5	7	6	3	4
4	6	5	1	3	2	9	8	7
8	7	3	6	9	4	1	2	5
2	4	6	9	8	5	7	1	3
5	9	1	2	7	3	4	6	8
3	8	7	4	1	6	2	5	9
9	1	4	3	6	8	5	7	2
6	5	8	7	2	9	3	4	1
7	3	2	5	4	1	8	9	6

7	5	4	9	8	1	3	6	2
9	6	2	4	3	7	1	8	5
3	8	1	5	6	2	9	7	4
2	1	5	8	7	3	6	4	9
6	9	8	1	4	5	7	2	3
4	7	3	6	2	9	5	1	8
1	2	9	7	5	4	8	3	6
8	4	7	3	9	6	2	5	1
5	3	6	2	1	8	4	9	7

3	4	2	9	5	8	6	1	7
1	8	5	7	6	3	9	2	4
7	6	9	2	1	4	5	8	3
4	7	1	3	9	5	2	6	8
6	9	3	8	2	1	7	4	5
5	2	8	6	4	7	3	9	1
9	5	7	4	8	6	1	3	2
2	1	4	5	3	9	8	7	6
8	3	6	1	7	2	4	5	9

* მარტივი

	7		1					3
4	5				7			6
	3		8	4		5	9	
5		7		9	4			2
	8		7				6	
9			3			4		1
	4	5		8	1		3	
2			4				5	8
8					9		1	

** საშუალო

			5			8		
	7			8				4
6			9				2	
3				7			4	
		8	4			9		
	2		3	5				7
	1				5			2
4				6			9	
		5			3			

*** რთული

	6			3				9
			1				6	
9				7				2
	2		7		3			6
		6	8			1		
3				5			7	
2				1				4
	3				5			
7				6			8	

ფოტოკუჩიოზები

ივლისში
წასაკითხი ჟურნალი